

1554/2  
1991



იმერიულ-კავკასიური  
ენათმეცნიერება

XXX

„მასნიცელობა“

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
არნ. ჩიქოგაგას სახელობის მნათხვეცნიერების ინსტიტუტი



ISSN 0134—4943

# იბერია-კავკასიური ენათმეცნიერება

XXX

ეპლვება ენათმეცნიერების ინსტიტუტის დაარსების  
50-ე წლისთავს



თბილისი  
„მეცნიერება“  
1991

81.2(2K) 1 იმპროექტ - კავკასიური ენათმეცნიერების  
o 315 2) ენათმეცნიერების ინსტიტუტი



„იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ მორიგი, 30-ე ტომი ეძღვნება ენათმეცნიერების ინსტიტუტის 50 წლისთავის. მასში გამოქვეყნებული სტატიების ნაწილი ასახავს ინსტიტუტის ისტორიასა და სამეცნიერო ცხოვრებას.

ქრებულში იმპრედება ინსტიტუტის აწ გარდაცვლილ ამაგდარ თანამშრომელთა (არც ჩიქობავას, ვ. თოფურიას, ი. გიგინეიშვილის, თ. შარაძენიძის, გ. როგორის) გამოუქვეყნებელი (ან ზიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული) ნაშრომები.

ქრებულს ერთვის „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ ცველა (1—29) ტომში გამოქვეყნებულ ნაშრომთა ბიბლიოგრაფია, აგრეთვე, ინსტიტუტში 1990 წლიდე დაცულ დისერტაციათა ბიბლიოგრაფია. აქვე იმპრედება ინსტიტუტის ისტორიისთან დაკავშირებული სტატისტიკური და ქრონოლოგიური მონაცემები.

გამოცემა ნავარაუდევია ენათმეცნიერებისათვის და, საერთოდ, ენის საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის.

25/2

სარედაქციო კოლეგია: ა. არაბული, შ. აფრიდონიძე, გ. გოგოლაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), გ. თოფურია, ალ. კობახიძე, ქ. ლომთათიძე, მ. მაჭავარიანი, თ. უთურგაიძე, რ. ლამბაშიძე, ვ. შენგელია, ზ. ჯაფარიძე, ბ. ჭორბენაძე (მთავარი რედაქტორი)

რეცენზიურები ფილოლ. მეცნ. კანდიდატები: რ. ენუქიშვილი,  
ვ. მალაძე



## სამათმეცნიერო კვლევა-ძიების ისტორიაზე საქართველოში

საქართველოში რომ ლინგვისტურ აზროვნებას დიდი ხნის ისტორია აქვს, ამის ცოცხალი მოწმეა ქართული ანბანი. უკვე იმ ქართველს, რომელმაც დღე-ვანდელი მეცნიერული კრიტერიუმებითაც კი უზადო. ქართული ანბანური სისტემა შექმნა, ბრწყინვალედ აქვს გათვალისწინებული ქართული ენის ფონოლოგიური სტრუქტურა. ქართული დამწერლობისა და მწერლობის განვითარებასთან ერთად უწყვეტი დინებით ვითარდება ფილოლოგიური აზროვნება. ლრმა ლინგვისტური ანალიზის ნიმუშია ანტონ კათალიკოსის „ქართული ლრმამატიკა“ და სულხან-საბა ორბელიანის დიდებული ლექსიკონი. რომ არა-ფერი ვთქვათ სხვა ლექსიკოგრაფთა (განსაკუთრებით ნიკო ჩუბინაშვილის) და ცალკაულ მწიგნობართა, გრამატიკოსთა ნააზრევზე, მაღალი მეცნიერული მიდგომით არის გაშუქებული მრავალი ენობრივი საკითხი ჩვენი ბუმბერაზი მწერლებისა და განმანათლებლების ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველის, იაკობ გოგებაშვილის... მიერ.

ე მაგრამ ენათმეცნიერების განვითარების გზაზე გარდატეხის ერად იქცა ივანე ჭავახიშვილის მეთაურობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება. აქ, ამ უნივერსიტეტში, ოლორძინდა და გაიფურჩქნა მეცნიერების სხვა დარგებთან ერთად და, შეიძლება ითქვას, პირველ რიგში ქართული ენათმეცნიერება. ივ. ჭავახიშვილმა თავი მოუყარა რუსეთის და უცხოეთის უმაღლეს სახწავლებლებსა და სამეცნიერო ცენტრებში მოვაწე ქართველ სპეციალისტებს. თბილისში გადმოინაცვლა პეტერბურგის ქართველოლოგიურმა ცენტრმა. ჩუბინაშვილების, მარი ბროსეს, ალ. ცაგარელის, ნ. მარის პეტერბურგის ქართველოლოგიურ სკოლას ნაზიარები ახალგაზრდა სპეციალისტები (ივ. ჭავახიშვილი, იოსებ ყიფშიძე, აკ. შანიძე და სხვანი) თბილისში ჩაუდგნენ სათავეში ამ დარგის განვითარებას.

თბილისის უნივერსიტეტში ენათმეცნიერების მაღალი დონე იმთავითვე უკვე განსაზღვრა აკ. შანიძის პირველმავე მონოგრაფიამ („S2 და O3 ქართულ ზმებში“), რომელიც პირველი სადოქტორო დისერტაციაც იყო თბილისის უნივერსიტეტში დაცული. ამას მაღალ მოჰყვა თბილისის უნივერსიტეტში აღზრდილ პირველივე თაობის ახალგაზრდა ლინგვისტთა ფუძემდებლური შრომები — არნ. ჩიქობავას „მარტივი წინადადების პრობლემა...“ (რომელიც ასევე პირველი სადოქტორო დისერტაცია იყო თბილისის უნივერსიტეტში აღზრდილია) და ვ. თოფურიას „სვანური ზმნა“.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს 1922 წ. ივ. ჭავახიშვილის მიერ პალიმფსეტებში უძველესი ქართული ხანმეტი ტექსტების აღმოჩენა, რაც განუზომელი ღირებულებისაა ქართული ენის ისტორიისათვის.

თბილისის უნივერსიტეტში საენათმეცნიერო კვლევა-ძიების გამოცემაში ლებამ ნიადაგი შეუმჩადა „საენათმეცნიერო საზოგადოების“ ჩამოყალიბების იგი დაფუძნდა 1923 წ. (თავმჯდომარეობდა გ. ახვლედიანი, მდივნული უწყებელი ჩიქობავა. საზოგადოებამ იარსება 1929 წლამდე). საზოგადოების სხდომები იმართებოდა საქართველოს მუზეუმის სხდომათა დარბაზში ჩვეულებრივ ყოველთვიურად. ამ საზოგადოებამ თავისი ორგანოც — „წელიწდეული“ დაარსა, რომლის 1 და 2 ტომი ერთად გამოვიდა (მეტი აღარ გამოცემულა) და რომელშიაც გაცხადებული იყო საზოგადოების ძირითადი კრედო. სწორედ მასში გამოქვეყნდა არნ. ჩიქობავას ცნობილი საპროგრამო სტატია „ზოგადი თვალსაზრისისათვის“, რომელშიაც ქართულ-კავკასიური მდიდარი ენობრივი მასალის თავისებურების გათვალისწინებით ჩამოყალიბებულ იქნა ლინგვისტური კვლევის თეორიული პრინციპები.

თბილისის უნივერსიტეტში დაარსებისთანავე სათანადო ყურადღება დაუთმო კლასეკური და აღმოსავლური ენების შესწავლას. განსაკუთრებით კი უნდა აღინიშნოს თბილისის უნივერსიტეტის ფუძემდებლის ივ. ჭავახიშვილის მონიცომება აქ ფართოდ გამლილიყო საკვლევო მუშაობა ქართველურთან ერთად სხვა კავკასიური ენების სფეროში. მისი ღრმა რწმენით (იგი ამას მეცნიერულად ასაბუთებდა), თბილისი უნდა იქცეს კავკასიოლოგის მძლავრ ცენტრად. იგი ჩაგონებდა თავის მრავალრიცხვან მოწაფეებს, რომ შეუძლებელია ქართველური ენების გაღრმავებული ისტორიული კვლევა კავკასიის ხალხთა ენების გათვალისწინების გარეშე და საქართველოს ისტორიის კვლევა კავკასიის ხალხთა ისტორიისაგან მოწყვეტით. თვით მისი მეცნიერული მოღვაწეობაც ხომ ამ საკითხებს ფართოდ მოიცავდა. ამ მიზნის განხორციელება თბილისის უნივერსიტეტში ივ. ჭავახიშვილმა იმით დაიწყო, რომ პირველხანებშივე აფხაზური ენის მასწავლებლად მოიწვია ცნობილი ქართველი თვათნასწავლი მეცნიერი, აფხაზურის მცოდნე, ქართულ-აფხაზური ენობრივი ურთიერთობის ნაყოფიერი მკვლევარი პეტრე ჭარაია. მაგრამ მან ავადმყოფობის გამო ეს ვერ შეძლო (მაღლ კადეც გარდაიცვალა). ამის შემდეგ ივ. ჭავახიშვილმა თხოვნით მიმართა აფხაზური მწერლობის ფუძემდებელს დ. გულიას დაინტერესებულ პირთათვის აფხაზური ესწავლებინა. ორი სასწავლო წლის განმავლობაში დ. გულია აფხაზურს ასწავლიდა ქართველ სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ პირთ. შემდეგ კი ოცდაათანი წლებიდან უკვე აფხაზური ენის კურსს თბილისის უნივერსიტეტში კითხულობდა ს. ჭანაშია. ამრიგად, თბილისის უნივერსიტეტი ის უმაღლესი სასწავლებელი იყო, სადაც პირველად იქნა წაკითხული ამ ენის აკადემიური კურსი. ასე თსუ-ში თანადათან მოშადდა სპეციალისტები მთის კავკასიური ენებისა და არნ. ჩიქობავას ინიციატივით 1933 წ. ჩამოყალიბდა კიდევ კავკასიურ ენათა კათედრა, რომელიც ამ ენათა სპეციალისტების მომზადების სამშენებლოდ იქცა როგორც საქართველოს, ისევე მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

ენათმეცნიერული აზროვნებისა და საენათმეცნიერო კვლევა-ძიების განვითარებისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო აგრეთვე ისიც, რომ 1932 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამგებლობაში ჩამოყალიბდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქცია. მის ხელმძღვანელად დანიშნული იყო მ. ტოროშელიძე. რედაქციაში შედიოდნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები და მწერლები (ტერიტორიულად ენციკლოპედიის რედაქცია მოთავსებული იყო საჭარო ბიბლიოტეკის I სართულზე).

რედაქტიამ მოკლე დროის განმავლობაში დიდი მუშაობა გასწია. დაადგინდა სიტყვანი. მის მიხედვით დაიწერა სტატიები მთლიანად მასალაზე, დაიწერა საენციკლოპედიო შრიფტები, აიწყო და დაიბეჭდა კიდეც I ტომი, მაგრამ შეუშაობა ამაზე შეწყდა (დააპატიმრეს მ. ტოროშელიძე).

ქართულ ენციკლოპედიურ ლექსიკონზე მუშაობამ დიდად შეუწყო ხელი მეცნიერების სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიის დახვეწის.

ამავე რედაქტიასთან დაიწყო მუშაობა რუსულ-ქართული ლექსიკონის შესადგენად. მის შედგენაზე მუშაობდა დიდად განათლებული პირი, პროფესიით იურისტი პეტრე ქავთარაძე, რომელსაც დახმარებას უწევდნენ ცნობილი ქართველი ლინგვისტები: ვ. თოფურია, ს. ყაუხეჩიშვილი, არნ. ჩიქობავა, აკ. შანიძე.

3. ქავთარაძის მიერ შედგენილი რუსულ-ქართული ლექსიკონი გამოსაცემად გადაეცა ობილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობას.

ლექსიკონი 1937 წელს გმოცემულ იქნა ვეტორის აღუნიშვნელად (3. ქავთარაძე დააპატიმრეს), რის გამოც ეს ლექსიკონი უმართებულოდ ცნობილი დარჩა როგორც „უნივერსიტეტის ლექსიკონი“.

თავიდანვე ქართველი ენათმეცნიერები დიდ ადგილს თავიანთ მოღვაწეობში უთმობდნენ ენის თეორიის საკითხებს. ჯერ კიდევ უნივერსიტეტის დაარსების პირველსაც წლებში გამოქვეყნდა (ლითოგრაფიის წესით) მოკლე კურსი ენათმეცნიერების შესავლისა გ. ახვლედიანის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ოცდათოანი წლებიდან მოყოლებული მართმის რეკიმის გამო მძიმე მღვმარეობაში უხდებოდათ მოღვაწეობა ენათმეცნიერებს, არნ. ჩიქობავაშ მაინც მოახერხა პოზიტიურ მეცნიერულ საფუძველზე დაყრდნობით გამოექვეყნებინა 1934 წ. ზოგადი ენათმეცნიერების სახელმძღვანელოს I ნაწილი — „ენათმეცნიერების შესავალი“ (რომლის წინასტყვაობაში აშკარად ჩანს ის სიძნელეები, რაც სახელმძღვანელოს გამოცემას ახლდა თან).

საენათმეცნიერო მუშაობა არსებითად პირველ ხანებში თსუ კათედრებზე მიმდინარეობდა. 1933/34 წწ. (1936) უნივერსიტეტშივე შეიქმნა საკვლევი ცენტრი „ელჩი“ (ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების ინსტიტუტი). აյ ენის სექტორში ძირითადად მუშაობა იყო გაშლილი მასალის მოსაპოვებლიდ ქართული ლექსიკონისათვის.

საენათმეცნიერო კვლევა-ძიება ახალ საფეხურზე ავიდა და გაფართოვდა 1936 წლიდან, როცა ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი და მის სისტემაში მრავალპროფილიანი „ენიმკი“ — ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი (მისი დირექტორი იყო ს. განაშია). ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ხელოვნების განყოფილებათა გვერდით ამ ინსტიტუტში არსებობდა რამდენიმე ლინგვისტური განყოფილება. ეს განყოფილებები იყო: ქართველური ენებისა (ხელმძღვანელი აკ. შანიძე), ლექსიკოლოგიისა (ხელმძღვანელი ვ. თოფურია), მთის კავკასიური ენებისა (ხელმძღვანელი არნ. ჩიქობავა), ზოგადი ენათმეცნიერებისა და ექსპერიმენტული ფონეტიკისა (ხელმძღვანელი ვ. ახვლედიანი). პირველ ხანებში ზოგი განყოფილების შემადგენლობა 2—3 კაცით განისაზღვრებოდა. თანდათან მომზადდა კადრები ცველა ზემოთ დასახელებულ დარგში. ასპირანტურის გზით ინსტიტუტი სპეციალისტებს მშენდებლა მოძმე რესპუბლიკებისათვისაც. ინსტიტუტში დაარსდა სამეცნიერო ორგანო „ენიმკის მოამბე“, რომელშიაც ქვეყნდებოდა ინსტიტუტის თემატიკის მიხედვით თანა-

მშრომელთა გამოკვლევები. მასში ფართოდ იყო აგრეთვე ასახული „სამუცნე-ერო ინფორმაციები, კერძოდ ექსპელიციათა ანგარიშები.“

1937 წ. გამოკვეყნდა ივ. ჭავახიშვილის ფუნდამენტური ნაშროვა „ექსპელიციათული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, რომელიც წარმოადგენდა მრავალი წლის ნაღვაში და დაფუძნებული იყო იმ დროისათვის არსებულ ენობრივ წყაროებზე.

1938 წ. დაიბეჭდა არნ. ჩიქობავას „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებით ლექსიკონი“. იგი, შეიძლება ითქვას, წარმოადგენს ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის შედგენის პირველ ცდას.

1941 წლის 1 მარტიდან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსებასთან დაკავშირებით, ენიმკი გაიყო ორ ინსტიტუტად — ენისა და ისტორიის. 1950 წლის 17 ივნისიდან ენის ინსტიტუტს ეწოდა ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

ინსტიტუტის წინაშე დასმულ ამოცანათა შესაბამისად მუშაობა გაიშალა შემდეგ განყოფილებებში: ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილება, ქართველურ ენათა განყოფილება, ლექსიკოლოგის განყოფილება, სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილება, მეტყველების კულტურის განყოფილება (დაარსდა 1963 წ. თავდაპირველად 1959 წლიდან ეწოდებოდა, „ქართული სალიტერატურო ენის ნორმების განყოფილება“), მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილება, ახლო აღმოსავლეთის ენათა განყოფილება (1960 წლიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ცალკე დაარსების გამო ეს განყოფილება შეუერთდა აღნიშნული ინსტიტუტის საენათმეცნიერო განყოფილებებს), თარგმნითი ლექსიკონების განყოფილება (დაარსდა 1958 წ.), ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორია, ეტიმოლოგიური ლექსიკონის ლაბორატორია (დაარსდა 1990 წელს), სამეცნიერო კვლევის კომპიუტერული უზრუნველყოფის ჯგუფი (დაარსდა 1990 წელს). გარდა ამისა ინსტიტუტში მუშაობს ენციკლოპედია „ქართული ენის“, ინფორმატიკისა და ქართული მუსიკალური დიალექტების შემსწავლელი ჯგუფები.

ჭ. ლომთათიძე

## სამართლებულო მუნიციპალიტეტის ინსტიტუტი

ქართული ენის მეცნიერული კვლევის თვისებრივად ახალი ეტაპი დაკავშირებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებასთან. სწორედ აქ ივ. გავახიშვილის თაოსნობით განისაზღვრა ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც საფუძვლად უნდა დასდებოდა ენათმეცნიერებაში აჩვენებითად ახალი მიმართულების ჩამოყალიბებას, რაც უწინარეს ყოვლისა, ქართული ეროვნული ენის ღრმა და ყოველმხრივ შესწავლას გულისხმობდა; კერძოდ:

- ა) ძელი ქართული ენის გამოწვლილვითი ანალიზი,
- ბ) ქართული ენის დიალექტების ყოველმხრივი შესწავლა,
- გ) ქართველურ ენათა ისტორიისა და სტრუქტურის დაღვნა,
- დ) გარკვევა ქართველურ ენათა მიმართებისა მთის კავკასიურ ენებთან,
- ე) ქართველურ ენათა კვლევის შედეგების ზოგადენათმეცნიერული მნიშვნელობის წარმოჩენა.

ქართული ენათმეცნიერებისათვის სწორედ ამ ხუთი პრობლემის დამუშავება გახდა ბალავარი შემდგომი წარმატებული კვლევა-ძიებისათვის, მათ განსაზღვრეს ქართული ენათმეცნიერების მიზანდასახულობა, ამ მიმართულებით იქნა მოპოვებული განსაკუთრებული წარმატებანი.

ყველაფერი ეს საფუძვლად დაედო იბერიულ-კავკასიურ ენათა მეცნიერული სკოლისა და საუნივერსიტეტო კურსის ჩამოყალიბებას.

მყარმა მეცნიერულმა წინამდებრებმა შესაძლებელი გახდა სათანადო განსაზღვრულიყო ლექსიკოლოგიური და ტერმინოლოგიური მუშაობის პრინციპები, აგრეთვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის კრიტერიუმები.

თბილისის უნივერსიტეტშივე დაედო საფუძველი ინდოევროპული, სემიტური და თურქული ენების მეცნიერულ შესწავლას როგორც ისტორიულ-შედარებით, ასევე ტიპოლოგიური თვალსაზრისით.

ზემოხსენებულმა განაპირობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერული მიმართულება და მიზანდასახულობა, რაც სავსებით ბუნებრივი იყო, რადგან ინსტიტუტის დამფუძნებლები იყვნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამარსებელნი და ამავე უნივერსიტეტის პირველი კურსდამთავრებულები.

როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო ცენტრი ენათმეცნიერების ინსტიტუტი (რომელიც 1936 წლიდან არსებულ ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტს გამოეყო) დაარსდა 1941 წელს (თავდაპირველად ეს იყო ენის ინსტიტუტი აკად. ნ. მარის სახელობისა, 1950 წლიდან სახელი გამოიცვალა და ეწოდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნი-



ერების ინსტიტუტი, 1988 წლიდან — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას /  
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი).

ენათმეცნიერების ინსტიტუტი ერთადერთი სამეცნიერო დაწესებულებულებების  
სადაც შესწავლება ყველა იძერიულ-კავკასიური ენა. კვლევის შედეგები  
ქვეყნების როგორც მონოგრაფიების სახით, აგრეთვე სამეცნიერო კრებუ-  
ლებში — უპირატესად ესაა „იძერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“ (ინსტი-  
ტუტის სამეცნიერო ორგანო) და „იძერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წე-  
ლიწდეული“ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ორგანო).

ნახევარი საუკუნის მანძილზე ენათმეცნიერების ინსტიტუტში შეიქმნა  
ფუნდამენტური გამოკვლევები, რომლებმაც არსებითად განსაზღვრეს ენათ-  
მეცნიერული აზრის განვითარება საქართველოში:

ა) დამუშავებულია იძერიულ-კავკასიურ ენათა ფონეტიკისა და ფონო-  
ლოგიის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკოლოგიის საკითხები; კვლევის  
შედეგები გამოქვეყნებულია მონოგრაფიებისა და ცალკეული სტატიების სა-  
ხით;

ბ) გამოცემულია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომე-  
ული (რომლის საფუძველზე შეიქმნა და 1985 წელს გამოქვეყნდა ერთტომე-  
ული), თარგმნითი, დიალექტური, დარგობრივი და ტერმინოლოგიური ლექსი-  
კონები;

გ) მონოგრაფიული შესწავლილი ქართველური ენები და მათი დია-  
ლექტები, გამოცემულია დიალექტური ტექსტები;

დ) მნიშვნელოვანი გამოკვლევები მიეძღვნა ენათა ტიპოლოგიურ შესწავ-  
ლას;

ე) სისტემებრ მუშავდებოდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმები,  
რომლებსაც ამტკიცებდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული  
თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგრენი მუდმივი  
კომისია; სალიტერატურო ენის ნორმათა მეცნიერული დასაბუთებისადმი მიძღ-  
ვნილი გამოკვლევები ქვეყნდება პერიოდულ კრებულში „ქართული სიტყვის  
კულტურის სკითხები“;

ვ) დამუშავდა თეორიული ენათმეცნიერების ფუნდამენტური პრობლე-  
მები: ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის პრინციპები, ენათმეცნიერული  
კვლევის მეთოდები, ენის ფილოსოფიის, ფიქოლინგვისტიკისა და სოციოლინ-  
გვისტიკის ძეტუალური საკითხები;

ზ) დაიწყო იძერიულ-კავკასიური ენების ფონეტიკის, გრამატიკისა და  
ლექსიკის დამუშავება კომპიუტერების საშუალებით;

თ) ენათმეცნიერების ინსტიტუტი ყოველთვის აქტიურად იღვწოდა ქარ-  
თული სალიტერატურო ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის განსამტკიცებულად.  
ამის ერთ-ერთი ნიმუშია ინსტიტუტში შექმნილი ქართული ენის სახელმწიფო  
პროგრამა, რომელიც საერთო-სახალხო განხილვის შემდგომ დამტკიცებულ  
იქნა საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ (1989 წლის  
15 აგვისტოს).

ასე რომ, ჩატარებულია საკმაოდ დიდი, შრომატევადი და მრავალფეროვა-  
ნი სამუშაო, რომელსაც უთუოდ დამსახურებული ავტორიტეტი მოაქვს ქარ-  
თული საენათმეცნიერო სკოლისათვის. კვლევის შედეგებსა და პრინციპებს  
იზიარებენ და ემუარებიან საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე კავკა-  
სიოლოგებიც, რამაც განპირობა ქართველი ენათმეცნიერების მიწვევა და

ქეტიური მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესებსა და ხელმისაწვდომობის განვითარების მიზანის სამეცნიერო ორგანიზაცია განვითარების მიზანის სამეცნიერო ორგანიზაცია.



\* \* \*

რა მიზანს ისახავს ამჟამად ენათმეცნიერების ინსტიტუტი და რამ უნდა განსაზღვროს მომავალში მისი სამეცნიერო ორგანიზაცია?

უწინარეს ყოვლისა, ეს არის მკვიდრი სამეცნიერო ტრადიციების პერმანენტული შეხამება ენათმეცნიერული კვლევის უახლეს მონაპოვრებთან, ობიექტური შეფასება მიღწეულისა და ამის საფუძველზე მეცნიერული ძიების ახალი მიმართულების განსაზღვრა. სამეცნიერო მუშაობისადმი ამგვარი მიღვომა ენათმეცნიერების ინსტიტუტში მემკვიდრეობითია და, ამდენად, სამომავლოდ მისი მეცნიერული პროფილის განმსაზღვრელიც.

ენათმეცნიერების ინსტიტუტი განეკუთვნება იმ სამეცნიერო დაწესებულებებს, რომელთა მთელს საქმიანობას განსაზღვრავს მრავალსაუკუნვნოანი ქართული კულტურის სამსახური, კერძოდ, ეს ეხება ქართული ეროვნული კულტურის უმნიშვნელოვანების მონაპოვრისა და მისივე შემდგომი განვითარების მძლავრი საშუალების — ქართული სალიტერატურო ენის ყოველმხრივ და ღრმა შესწავლას, მისი სახელმწიფოებრივი სტატუსის განმტკიცებასა და შინაგანი პოტენციის მაქსიმალურად გამოვლენას.

როგორც ითქვა, მონოგრაფიულად არის შესწავლილი ყველა იბერიულ-კავკასიური ენა. გრძელდება ენათა ცალკეული ჯგუფების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი: ქართველური, აფხაზურ-აღილური, დაღესტნური და ჩიხური ენების ისტორიულ-შედარებითი შეთოდით შესწავლამ ამ მხრივ მეცნიერულად ფასეული შედეგები მოგვცა. ინსტიტუტს განზრახული აქვს ამ თვალსაზრისით კვლევა-ძიების გალრმავება. ამ პრობლემის დამუშავებისას გასათვალისწინებელი ხდება მთელი რიგი თავისებურებები, რომლებიც დამახასიათებელია იბერიულ-კავკასიური ენების ფონებაზური სისტემისა და გრამატიკული წყობისათვის და რაც, თავის მხრივ, საჭიროებს შესაბამისი თეორიული კრიტერიუმების დადგენას.

ზემოხსენებული თავისთავად განაპირობებს იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლისას მიღებული პოზიტიური შედეგების თეორიული განზოგადების საჭიროებას და კვლევის შეთოდების შემდგომ დახვეწა-დაზუსტებას.

ამასთანავე, ენათმეცნიერების თეორია გულისხმობს ისეთი ფუნდამენტური პრობლემების ახლებური თვალსაზრისით შესწავლას, როგორიცაა: ენის არსი, ენათმეცნიერების ისტორია და თანამედროვე მიმართულებანი, ენათმეცნიერების დარგები და მათი ურთიერთმიმართება, აგრეთვე ფონოლოგიის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკოლოგიის, სემანტიკის ზოგადთეორიული აუკითხები.

ენათმეცნიერების ინსტიტუტში წლების მანძილზე შეისწავლებოდა ლინგვისტური თეორიის ფილოსოფიური საფუძვლები. ენის ფილოსოფიის პრობლემების ღრმა და ყოველმხრივი შესწავლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მეცნიერების განვითარების ამ ეტაპზე, როცა უცილებელი ხდება მეცნიერების სხვადასხვა დარგში შეძენილი ცოდნის ინტეგრაცია, ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების წარმოჩენა.

  
მეცნიერული აზროვნების თანამედროვე ეტაპი აუცილებელ პირობებად გულისხმობს ფსიქოლინგვისტიკის საკითხების ფართო სპექტრით შესწავლის კუთხით ამ მხრივ ჩვენში მეცნიერულად ფასეული ტრადიცია არსებობს, რომელიც მეცნიერებულ და განვითარებულ და ფსიქოლოგების ერთობლივ ძალისხმეულობას მოითხოვს.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმღინარე პროცესებმა ფრიად აქტუალური გახადა სოციოლინგვისტური პრობლემატიკა, რასაც ადრე უპირატესად წმინდა პრაგმატული თვალსაზრისით ექცევდა ყურადღება. ამჟამად საჭიროა სოციოლინგვისტური საკითხების იმგვარი შესწავლა, რომ შესაძლებელი გახდეს სათანადო თეორიული განხოგადებანი.

განვითარებული და დახვეწილი სალიტერატურო ენა არა მხოლოდ მაღალი კულტურის მაჩვენებელია, არამედ ერთი კონსოლიდაციის, მისა სრული ერთიანობის ძირითადი პირობაცაა. ამიტომაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ქართული სალიტერატურო ენის თეორიული და პრაქტიკული საკითხების შემდგომ შესწავლასა და გადაწყვეტას იმ სამეცნიერო პრინციპების შესაბამისად, რომლებიც ჩვენში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ენათმეცნიერების ინსტიტუტში გამომუშავდა.

ქართული სალიტერატურო ენის შესწავლა მისი პოლიფუნქციურობის თვალსაზრისით, თეორიული სტილისტიკის საკითხების გარკვევა, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ენის გამოყენების სტილური თავისებურებების განსაზღვრა ყოველთვის იყო და ამჟამადც რჩება ენათმეცნიერების ინსტიტუტის ერთ-ერთ ძირითად სამეცნიერო თემატიკად.

მეცნიერების ყოველი დარგის წინსვლის ერთ-ერთ ხელშემწყობ პირობას სათანადო დამუშავებული სამეცნიერო ტერმინოლოგია წარმოაღენს. მით უფრო საშურია ამ საკითხის მოგვარება ამჟამად, მეცნიერების სწრაფი განვითარების ეპოქაში. სემანტიკურად ზუსტი და ცალსახა, ფორმობრივად მოქნილი და ენის შინაგან ბუნებას შეგუებული ტერმინის მიგნება და დანერგვა შესაბამისი თეორიული წინამდებრების ასებობას ვარაუდობს. ამ მხრივაც ინსტიტუტს დიდი გამოცდილება და ტრადიცია აქვს, რაც უთუოდ ხელსაყრელ ნიადაგს უქმნის ტერმინოლოგიური მუშაობის შემდგომ გაღრმავებასა და გაფართოვებას.

ყოველი ერთოვნული კულტურის საგანძურში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს განმარტებით, ისტორიულ, დიალექტურ, დარგობრივ და ეტიმოლოგურ ლექსიკონებს.

ყოველი ენის პერმანენტულად გაახლებული განმარტებითი ლექსიკონის მომზადება საეტაპო ღირებულების ქვენეა არა მხოლოდ წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით, არამედ, საერთოდ, კულტურის დონის წარმოსახენად. მრავალი სიტყვა, რომელიც უკანასკნელ ხანს ქართულ სალიტერატურო ენას შემოემატა კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, სათანადო დამუშავებას, განმარტებას და შეფასებას საჭიროებს. ეს არის ერთ-ერთი მუდმივი ლექსიკოგრაფიული სამუშაო, რომელიც გარკვეული პერიოდულობით განმარტებითი ლექსიკონების მრავალ- და ერთტომეულების გამოსაცემად მომზადებასაც გულისხმობას.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ქართველურ ენათა და ლექსიტური და დარგობრივი ლექსიკონების სრული კონკუსის შექმნა. ამ მხრივ ინსტიტუტში უკვე დაწყებულია მუშაობა, რომელიც დაუყოვნებლივ

საჭიროებს გაფართოვებას, რაც იმავდროულად გულისხმობს რესპუბლიკის სხვა შესაბამისი სამეცნიერო ცენტრების ამ სამუშაოში აქტიურ ეჭართული ერთობლივი კოორდინირებული პროგრამის შესაბამისად.

ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონების შექმნას თავისთვად ბევრი სირთულე ახლავს. უწინარეს ყოვლისა, ეს არის სათანადო სისრულით სალექსიკონო მასალის მოპოვება. მით უფრო ეს თავს იჩენს ქართულ სალიტერატურო ენაში, რომელსაც განვითარების ხანგრძლივი და არაერთგვაროვანი ისტორია აქვს. გარდა ამისა, მრავალი ქართული წერილობითი წყარო ჯერ კიდევ არ არის გამომზეურებული. გასათვალისწინებელია ზოგი ისეთი ფორმაც, რომელიც მხოლოდ ზეპირ მეტყველებას შემორჩის, მაგრამ რომლის არქაულობა ეჭვს არ იწვევს. განსკვავებით ისტორიული ლექსიკონებისაგან, რომლებიც ძირითადად ლექსიკოგრაფიულ სამუშაოებს გულისხმობენ, ლექსიკის ეტიმოლოგიური კვლევა აუცილებელ პირობად მოიცავს ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სემანტიკური საკითხების შესწავლასაც; საჭირო ხდება აგრეთვე ყველა იმ ენის მონაცემების გათვალისწინება, რომელთაც ქართველურ ენებთან მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი კონტაქტები ჰქონდათ და აქვთ.

დღიდ თეორიული და პრაქტიკული ღირებულება აქვს აგრეთვე თარგმნოთი ლექსიკონების მომზადებასა და გამოცემას. ლექსიკოგრაფიული მუშაობის ეს სფერო განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს როგორც ენათა შეპირისპირებითი ანალიზის ერთ-ერთი წინაპირობა, უპირველეს ყოვლისა სიტყვათწარმოების პრინციპებისა და სემასიოლოგიური კვლევის თვალსაზრისით. რაც შეეხება თარგმნითი ლექსიკონების პრაქტიკულ მნიშვნელობას, იგი საყოველთაოდ არის ცნობილი.

ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, რომელმაც უნდა განსაზღვროს ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო პროფილი უახლოესი წლების მანძილზე, არის საქართველოს ლინგვისტური ატლასის შექმნა. უკვე დაწყებულია ამ თვალსაზრისით ქართული ენის დიალექტების შესწავლა, უნდა დაიგეგმოს ამ პრინციპების საფუძველზე სხვა ქართველური ენების შესწავლა, გასათვალისწინებელია საქართველოში არსებული სხვა ენების გავრცელების ტერიტორიული და სოციალური სფეროებიც.

ქართული ენათმეცნიერების კვლევის ფარგლებში ყოველთვის შემოდიოდა ისეთი პრობლემატიკაც, რომლის ყოველმხრივი და სრულყოფილი შესწავლა მეცნიერების სხვადასხვა დარგის ერთობლივ ძალისხმევას გულისხმობს. ამათგან უმთავრესი არის ონომისტიკური კვლევა-ძიება, რომელიც აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, სოციალურ რეალიებს და იმავდროულად გეოგრაფიულ გარემოს. ქართველური ეთნონიმების, ტოპონიმების, ანთორპონიმების ისტორიული და თანამედროვე ვითარების თვალსაზრისით შესწავლა, კვლევის შედეგების თეორიული განზოგადება სადღეისოდ ქართველოლოგის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. ამ ხასიათის კვლევა-ძიება რომ მხოლოდ წმინდა მეცნიერული ინტერესებით არ განისაზღვრება, კარგად არის ცნობილი.

იბერიულ-კავკასიური ენების ფონემატიკური სისტემის შესწავლა ექსპრიმენტული ფონეტიკის მონაცემთა გათვალისწინებით მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმანენტური თვალსაზრისით, არამედ მას არსებითი ღირებულება აქვს: ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების მრავალი საკითხის წარმატებული გადაწყვეტისათვის.

მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ენათმეცნიერული მუზ-  
ობაში, მთ უმეტეს, თუ ის ლექსიკოლოგიის პრობლემატიკასთან არასრულად შე-  
შირებული, აუცილებელია გამოყენებულ იქნას კომპიუტერები. ისტორიულ  
უკვე ძეგლ შესაძლებლობა სამეცნიერო მუშაობისათვის, აგრეთვე საგამომცემ-  
ლო საქმიანობისათვის გამოყენოს რამდენიმე კომპიუტერი. გარდა ამისა,  
უნდა შეიქმნას იბერიულ-კავკასიურ ენათ მანქანური ბანკი, ქართული ენის  
ტექსტების სრული ბანკი, ქართული ენის გენერალური კომპიუტერული ლე-  
ქსიკონი, დამუშავდეს მეტყველების სინთეზისა და ქართული ენის სწავლების  
პროგრამირების საკითხები.

ინსტიტუტს ძეგლ ყველა საშუალება საინფორმაციო სამსახურის გასაფარ-  
თოებლად. გვიფს, რომელიც ამ მიზნით შეიქმნა ინსტიტუტში, ევალება და-  
მუშაოს საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოცემული ლიტერატურა ზოგადა  
და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხებზე და მოამზადოს სათა-  
ნიდო საინფორმაციო ბიულეტენი დამუშავებული მასალის საფუძველზე.

\* \* \*

ენათმეცნიერების ინსტიტუტში მიმღინარე თეორიული ჩასიათის კვლევა-  
ძება, რომელსაც, რა თქმა უნდა, თავისთავადი მეცნიერული ლიტებულება  
აქვს, იმავდროულად ხელს უწყობს წარმატებით გადაწყდეს მთელი რიგი  
პრაქტიკული საკითხები.

უწინარეს ყოვლისა იგულისხმება ენათმეცნიერული დისციპლინების სწავ-  
ლების დონის ამაღლება რესპექტურის შესაბამის უმაღლეს სასწავლებლებში.  
ინსტიტუტში შექმნილ გამოკლევებს თავისი წვლილი შექვე ამ მნიშვნელო-  
ვან საქმეში. ამასთან ერთად ინსტიტუტის თანამშრომლები უშუალოდ მონა-  
წილეობენ სასწავლო პროცესში, თავის მხრივ ინსტიტუტში შეთავსებით მო-  
წვეული არიან თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი  
სასწავლებლების პროფესიონალური მასალების განვითარების მიზანით ურ-  
თიერთობის შემდგომი გაფართოება.

როგორც ითქვა, ენათმეცნიერების ინსტიტუტში დამუშავდა და საერთო-  
სახალხო განხილვის შემდგომ საბოლოო სახე მიიღო ქართული ენის სახელ-  
მწიფო პროგრამამ, რომელიც წარმოადგენს როგორც შორს გამიზნულ სტრა-  
ტეგიულ მიზანდასახულებათა, ასევე ლოკალურად გადასაწყეტი მიმღინარე  
პრობლემათა ერთიან კომპლექსს. პროგრამა მოიცავს სამ ძირითად ასპექტს:  
ა) კონსტიტუციურს, რომელიც გულისხმობს ქართული ენის უფლებათა გან-  
მტკიცებასა და საყოველთაოდ დამკვიდრებას; ბ) მეცნიერულს, რომელიც  
განსაზღვრავს ქართული ენის შესწავლას თანამედროვე მეცნიერების მოთხოვ-  
ნილებათა დონეზე; გ) პედაგოგიურს, რომელიც მოთხოვს ქართული ენის  
სწავლების დონის ამაღლებას ყველა ტიპის სასწავლებელში. ენის ფუნქციონი-  
რება განისაზღვრება ორი ძირითადი სფეროთი: ენა როგორც საზოგადოებრი-  
ვი ურთიერთობის საშუალება და ენა როგორც ეროვნული კულტურის საფუძ-  
ველი. ენის მეცნიერული შესწავლა გულისხმობს ენობრივი პროცესების გა-  
მოვლენასა და მიღებული შედეგების საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაცი-  
ების გამომუშავებას ქართული სალიტერატურო ენის შემდგომი განვითარების  
მიზნით, რაც ტრადიციისა და ახალი ტენდენციების ურთიერთშეჯერებას უნდა  
ეფუძნებოდეს.



დღის შესრულში დადგა ქართული ენის შესახებ განმაზოგადებელი წარმომავალი შექმნა, რომელიც წარმოაჩენს ქართული ენის სტრუქტურას, ქართული ლინგვისტური აზრის განვითარების ძირითად ეტაპებს, წარმოგვიდგურებულ ტურისა და მეცნიერების იმ ცენტრებს, რომლებმაც არსებითი წვლილი შეიტანეს ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ეს იქნება ენციკლოპედია „ქართული ენა“, რომლის სავტორო და სარედაქციო ჯგუფების ხელმძღვანელობა ეკისრება ენათმეცნიერების ინსტიტუტს. ენციკლოპედიას არა მხოლოდ საცნობარო ხასიათი ექნება, არამედ იმავდროულად წარმოაჩენს ქართული ენის მნიშვნელობას ეროვნული სულისკვეთებისა და კულტურის ჩამოყალიბებაში.

\* \* \*

რა გზით ივარაუდება იმ ფართო სამეცნიერო პროგრამის შესრულება, რომელიც ენათმეცნიერების ინსტიტუტს აქვს დასახული?

უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია ენათმეცნიერების ინსტიტუტში არსებულ განყოფილებათა სამეცნიერო მუშაობის ინტეგრაცია განყოფილებათა სპეციფიკის შენარჩუნებით. ეს კი ნიშნავს, რომ საჭიროა დამუშავდეს კონკრეტული სამეცნიერო პრობლემის საინსტიტუტო პროგრამა, რომლის ცალკეული მონაკვეთები შესრულდება შესაბამის განყოფილებებში. ამის ტრადიცია ინსტიტუტში არსებობს. ამჟამად ამ პრინციპით მუშავდება, მაგალითად, ქართული ენის აკადემიური კურსი. რა თქმა უნდა, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ თითოეულ განყოფილებას ექნება თავისი პროფილის მიხედვით დასამუშავებელი სხვა პრობლემატიკაც.

სულ უფრო საშური ხდება სამეცნიერო ინფორმაციის ურთიერთგაზიარება როგორც საქართველოში, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ სამეცნიერო ცენტრებს შორის, რაც ორი გზით მიიღწევა: ა) ერთობლივ სამეცნიერო სესიებში მონაწილეობით და ბ) სამეცნიერო თემატიკის კომპლექსური დამუშავებით. ამის ტრადიციაც არსებობს. საჭიროა ამ ტრადიციის საფუძველზე სამეცნიერო კონტაქტების გაფართოვება. იგულისხმება აგრეთვე საინფორმაციო ბიულეტენების უფრო რაციონალური გამოყენება.

საჭირო ჩანს, იმერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის შედეგები შეაჯამოს და კვლევის შემდგომი პერსპექტივა განსაზღვროს კავკასიონლოგთა საერთაშორისო სიმპზიუმებმა, რომლებიც პერიოდულად (4—5 წელიწადში ერთხელ) უნდა ტარდებოდეს.

ენათმეცნიერებას უთუოდ სასიკეთოდ წააღვება აგრეთვე კონტაქტების შემდგომი გაფართოვება მეცნიერების მომიჯნავე დარგებთან (იგულისხმება: ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ისტორია, ეთნოგრაფია, ფოლკლორისტიკა...).

\* \* \*

ენათმეცნიერების ინსტიტუტმა წარმოაყნა წინადადება, რომ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგრენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის ნაცვლად შექმნას ქართული სალიტერატურო ენის სახელმწიფო კომისია.

კომისიის მიზანი იქნება ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვა და დანერგვა, კონტროლი ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვაზე, სახელმწიფო ზრუნვის განხორციელება ქართული ენის ყოველი მიზანისა ვი განვითარებისათვის და უზრუნველყოფა მისი შეუზღუდავი გამოყენებისა კველა სახის აღმინისტრაციულ და საზოგადოებრივ ორგანოებში, სამეცნიერო, კულტურისა და განათლების დაწესებულებებში, სახალხო მეურნეობისა და მომსახურეობის სფეროს კველა ტიპის ორგანიზაციებსა და საწარმოებში, ანუ: ქართული სალიტერატურო ენის სახელმწიფო კომისია უფლებამოსილი იქნება საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში კონტროლი გაუწიოს ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, ფუნქციონირებას, უზრუნველყოს ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვა და შეიმუშავოს ქმედითი ღონისძიებანი ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დასამკვიდრებლად, ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ქართული ენის ღრმა მეცნიერულ შესწავლას და ქართული ენის სწავლების ღონის ამაღლებას რესპუბლიკაში არსებულ კველა ტიპის სასწავლო დაწესებულებაში.

ქართული სალიტერატურო ენის სახელმწიფო კომისიის საბაზო სამეცნიერო დაწესებულებად ივარაუდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების იმსტიტუტი.

კომისია უნდა შედგეს ორი ქვეკომისიისაგან; ესენია:

ა) თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი ქვეკომისია;

ბ) ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციონირების მაკონტროლებელი ქვეკომისია.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი ქვეკომისია განიხილავს და დაადგენს ქართულ სალიტერატურო ენაში სავალდებულო ხმარების ფონეტიკურ, ორთოგრაფიულ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ და ლექსიკურ ფორმებს.

ქვეკომისიის დანიშნულება იქნება უზრუნველყოს ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვა, რომ ქართული სალიტერატურო ენა სრულად იყენებდეს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პროცესში შექმნილ საგანძურს, იყოს მაქსიმალურად მონოლითური, ჰეშმარიტად ხალხური და სათანადოდ მოემსახუროს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების კველა სფეროს.

ქვეკომისიას დაევალება შეისწავლოს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პროცესში წარმოშობილი სადაც საკითხები და შეიმუშაოს ნორმათა პროექტები ამ საკითხთა მოსაგარებლად.

ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციონირების მაკონტროლებელი ქვეკომისია კონტროლს გაუწევს ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვას, უზრუნველყოფს ქართული ენის გამოყენებას სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების კველა სფეროში.

თითოეული ქვეკომისია წარმოადგენს მუშაობის ხანგრძლივ პერიოდზე გათვალისწინებულ პროექტების მიზანისა და ყოველწლიურ გეგმას, რომელსაც დაამტკიცებს ქართული სალიტერატურო ენის სახელმწიფო კომისიის სხდომა.

უნდა დაწესდეს ყოველკვარტალური გამოცემა (4—5 სასტამბო ფორმის რაოდენობით), რომელშიც გამოქვეყნდება კომისიის მუშაობის ანგარიში და შიდებული დადგენილებები.

\* \* \*



ეროვნული

კულტურის მინისტრი

გაკეთებული ბევრია, გასაკეთებელი — უფრო მეტი.

ქართული ენათმეცნიერების პოზიტიური მონაპოვარი სრულ განვითარება  
იძლევა იმისას, რომ ყველა ეს პრობლემა მომავალში უთუოდ სათანადო დო-  
ნებე გადაიჭრება.

ბ. ჭორბენაძე

## ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილება იმ სახით, როგორითაც ის დღემ- დე ასებობს, დაარსდა 1958 წელს საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის წევრ- კორესპონდენტის, პროფ. თინათინ შარაძენიძის, ხელმძღვანელობით. 50-იანი წლები საკმაოდ მღელვარე და არამდგრადი აღმოჩნდა ენის თეორიის განვი- თარების თვალსაზრისით: მიმდინარეობები მიმდინარეობებს ცვლილა, იქმნე- ბოდა მრავალი ახალი სკოლა როგორც ევროპაში, ისე განსაკუთრებით ამერი- კის შეერთებულ შტატებში. საჭირო იყო ყველაფერში გარკვევა, ახალი მიმ- ღინარეობების ათვისება, გამოსაცევის გამოყენება, ახალი მეთოდოლოგიის დახვეწია და დანერგვა, ამ თვალსაზრისით იბერიულ-კავკასიური ენების მასა- ლის გაანალიზება და განზოგადება. საქართველოში თეორიული ენათმეცნი- ერება ყოველთვის მაღალ დონეზე იყო. გ. ახვლედიანმა და არნ. ჩიქობავამ დააფუძნეს ქართული ენათმეცნიერული სკოლა ზოგადი პრობლემების კვლე- ვის თვალსაზრისით. ამ სკოლისთვის დამახასიათებელი იყო არა მხოლოდ ენის არსის ფილოსოფიულ-თეორიული კვლევა, არამედ იბერიულ-კავკასიური ენე- ბისთვის დამახასიათებელი თავისებურებების განზოგადება როგორც ტიპო- ლოგიური, ისე ზოგად-არსობრივი თვალსაზრისით.

თინათინ შარაძენიძემ გაიზიარა თავისი მასწავლებლების ძირითადი გე-  
 ზი და ამოსავალი პოსტულატები და განყოფილების მუშაობა ამ მიმართუ-  
 ლებით წარმართა. თვითონ მისი პრობლემატიკა მრავალფეროვანი იყო. ემპი-  
 რიულად ის იკვლევდა ქართველურ, უპირატესად ქართულსა და სვანურ,  
 ენებს მორფოლოგიის, ფონოლოგიისა და დიალექტოლოგიის თვალთახედვით.

თ. შარაძენიძემ ფუნდამენტური მონოგრაფია მიუძღვნა ენათ კლასიფი-  
 კაციის პრობლემას. მან დაწვრილებით გააანალიზა და შეფასება მისცა ენათა  
 გენერალურობა, მორფოლოგიურ, ფსიქოლოგისტურისა და ედ. სეპირის კონ-  
 ცეპტუალურ კლასიფიკაციებს. კრიტიკულად გააანალიზა ნ. მარის სტადიური  
 კლასიფიკაცია. საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა ენათა კავშირის შესახებ.  
 თ. შარაძენიძის ეს გამოკვლევა საფუძვლად დაედო მის სადოქტორო დისერ-  
 ტაციას. მკვლევრის განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს თანამედროვე  
 ენათმეცნიერული მეთოდები, დესკრიფციული ენათმეცნიერების სისტემა ჰო-  
 კეტის, ნაიდას, პაკის და სხვათა თეორიებში. სპეციალური განხილვის საგანი  
 გახდა დესკრიფციული პროცედურები ფონოლოგიისა და სინ-  
 ტრაქსის დონეებზე.

ამასთან დაკავშირებით მკვლევარმა დასვა მეტად მნიშვნელოვანი და იმ  
 დროისათვის პრინციპული საკითხი: აღწერისას მნიშვნელობის გათვალისწი-  
 ნების აუცილებლობა. აგტორის აზრით, აღწერა და სინქრონიული ყალიბების  
 შექმნა სემანტიკის დონის გაუთვალისწინებლად ხელშესახებ შედეგებს ვერ

მოგვცემს. ამ პერიოდში ფორმალურ-სტრუქტურული მეთოდებით საყოველ-თაო გატაცების ფონზე, ეს საკმაოდ გაძელული და იმედის მომცემი დასკურნებული გაიმართა.

თ. შარაძენიძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით 1971 წ. თბილისში ენათმეცნიერების ინსტიტუტში გაიმართა საკავშირო კონფერენცია ენისა და მეტყველების ურთიერთობის პრობლემაზე. მასში მონაწილეობა მიიღო ბევრმა ცნობილმა ენათმეცნიერმა. ძირითადი მოხსენება ჰქონდა თინათინ შარაძენიძეს. შემდგომ მან სპეციალური მონოგრაფია უძღვნა ამ საინტერესო საკითხს. თინათინ შარაძენიძემ არ გაიზიარა ენისა და მეტყველების დიქოტომია, აშკარად დაუპირისპირდა სოსიურის მეტად პოპულარულ თეორიას ენისა და მეტყველების დაპირისპირების შესახებ და განიხილა ისინი ერთ მთლიანობად. მკვლევარმა გააანალიზა თითქმის ყველა თანამედროვე თეორიული მიმდინარეობა. მათ შორის სპეციალური გამოკვლევები მიუძღვნა პრალის სკოლას, უენევის სკოლას და სხვ. ამ გამოკვლევებს, გარდა თეორიულისა, ჰქონდა დიდი საგანმანათლებლო მნიშვნელობა, რამდენადც იმ ხანად თითქმის არ არსებოდა და უცხოური ლიტერატურის თარგმანები. განყოფილების ხელმძღვანელი სპეციალურად განიხილავდა აგრეთვე ენათა უნივერსალიებისა და ტიპოლოგიის საკითხებს. ამ მეტად აქტუალურ საკითხსაც მიეძღვნა სპეციალური მონოგრაფია. თავისი შემოქმედების ბოლოს ის დაინტერესდა ენათმეცნიერების ისტორიით. მის კალაბს ეკუთვნის მეტად ორიგინალური მონოგრაფია ბოლუენ დეკურტენეს შემოქმედების შესახებ.

განყოფილების ძირითადი თემატიკა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ენის ფილოსოფიის ისტორია და ენათმეცნიერების ფილოსოფიური საფუძვლები; ენათმეცნიერების ძირითადი მიმდინარეობები; ენათმეცნიერების მეთოდოლოგია და სპეციალური მეთოდები; ენათმეცნიერების დარგები. განყოფილების თანამშრომლებსა და ასპირანტებს ჰქონდათ თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა. ყოველმა ჩვენთაგანმა აირჩია ის თემატიკა, რომელიც მის შინაგან ინტერესებს შეესაბამებოდა. განყოფილებაში ხშირად იმართებოდა სხდომები, სჯა-ბაასი. მის სხდომებს ესწრებოდნენ სხვა განყოფილების თანამშრომლები, ამიტომ თითოეული ჩვენთაგანის გამოკვლევები საერთო გაცხოველებული მსჯელობის საგანი იყო, რაც გვინარჩუნებდა ზოგად პერსპექტივას და აცხოვებდა კრიტიკულ აზროვნებას.

ენის ფილოსოფიის ისტორია გახდა მ. მაჭავარიანისა და ირ. რამიშვილის კვლევის საგანი. მ. მაჭავარიანმა შეისწავლა ინგლისური ემპირიული ენის ფილოსოფიის ისტორია დაწყებული საშუალო საუკუნეებით, დამთავრებული თანამედროვე ინგლისური ანალიტიკური ლინგვისტური ფილოსოფიით. გამოკვეუნებულია ამ მონოგრაფიული ნაშრომის რამდენიმე თავი. სპეციალური გამოკვლევები მიეძღვნა განმაზოგადებელ პრობლემატიკას, კერძოდ, მნიშვნელობის საკითხის კვლევას ენათმეცნიერებასა და ფილოსოფიაში, ენათმეცნიერების საგნის საკითხს, ენის სხვადასხვა იდეალიზაციას ენის ფილოსოფიის ისტორიაში და შესაბამისად ენათმეცნიერებაში და სხვა.

ირ. რამიშვილმა მიუძღვნა ორიგინალური გამოკვლევები თანამედროვე ურთულესი მიმდინარეობის — გლოსემატიკის — ფილოსოფიურ საფუძვლებს. ამ თემაზე მან გამოაქვეყნა მონოგრაფია: „კოპენჰაგენის სტრუქტური სკოლის ამოსავალი პრინციპები“, სადაც განხილულია ისეთი ფუნდამენტური პრობლემები, როგორიცაა: ინდუქციისა და დედუქციის, ფორმისა და

სუბსტანციის, გამოხატულებისა და შინაარსის ურთიერთდამოკიდებულება. გზა ლინგვისტიკიდან სემიოლოგიამდე. ენის იმანქნტური ალგებრისა ფართული ნელობის მიმართების პრობლემა და სხვა. ორ რამიშვილის კვლევით უფლებულებები აგრეთვე ბუნებრივი და ხელოვნური ენების ურთიერთმიმართების პრობლემა. ამ საკითხზე მან გამოაქვეყნა რამდენიმე სტატია. სანტერესო გამოკვლევები მიუძღვნა ავტორმა ლაიბრიცის კონცეფციას მეცნიერების უნივერსალურა ენის შესახებ (1971), მეტაენის შესწავლის საკითხებს (1972), რამონდ ლულის ენის თეორიას (1979) და სხვა.

1958 წლის დასაწყისში თ. შარაძენიძემ განყოფილებასთან დააფუძნა მათემატიკური ლინგვისტიკის სემინარი, რომელშიც ენათმეცნიერთა გარდა მონაწილეობდნენ მათემატიკოსები, ლოგიკოსები, კიბერნეტიკის სპეციალისტები: ი. ქარცივაძე, ზ. მიქელაძე, მ. გაგუა და სხვები. ამ სემინარის წევრებმა მიიღეს მონაწილეობა საკავშირო კონფერენციებში, რომლებიც მიეძღვნა ამ დარგის დაფუძნებას საბჭოთა კავშირში. თ. შარაძენიძის ხელმძღვანელობით დაცული იქნა რამდენიმე დისერტაცია მათემატიკური მეთოდებს გამოყენებით: რ. მდივანის „თანამედროვე ქართული ენის ანლაუტური კონსონატური ჯუფების დისტრიბუციული ანალიზი“ (1966), ლ. აბულაძის „ვაჟა-ფშაველას მხატვრული პროზის სტატისტიკური სტრუქტურა“ (1967), გ. კვარაცხელიას „მეტყველების სტილოსტატისტიკური ანალიზი“ (ქართული ენის მასალაზე)“ (1968), ლ. ენუქიძის „ტრანსფორმაციული მეთოდი და მისი გამოყენება ქართული ენის მარტივი წინადაღების მასალაზე (ქართული წინადაღების მიმართ ტრანსფორმაციული მეთოდის გამოყენების პირველი ცდა)“ (1969), კ. ლერნერის „მათემატიკური მეთოდები ისტორიულ ენათმეცნიერებაში“ (1973). ეს სამუშაო შემდეგაც გაგრძელდა. 1986 წელს ტ. გურგენიძემ დაიცვა დისერტაცია თემზე „მრავლობითობის კატეგორიის უნივერსალურ-ტიპოლოგიური შესწავლა“. 1961 წელს სამი აკადემიის ერთობლივ სხდომაზე (საკავშირო, სომხეთისა და საქართველოს) მ. მაჭავარიანმა წაიკითხა განმაზოგადებელი მოხსენება „მათემატიკისა და ენათმეცნიერების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ“, რომელიც შემდგომ დაიბეჭდა რუსეთში და საზღვარგარეთ. მოვიანებით იმავე თემას მიეძღვნა თ. შარაძენიძის და გ. კვარაცხელიას სტატიები. იმავე პერიოდში დაარსდა განყოფილების კრებული: „თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები“ (გამოკვეყნდა ექვსი ტომი).

XIX ს. დასასრულსა და განსაკუთრებით ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში ენათმეცნიერებაში საყოველთაოდ გაბატონდა თვალსაზრისი, რომ აუცილებელია ენის ბერითი მხარის საკუთრივ ლინგვისტური თვალსაზრისით კვლევა. ბერის, როგორც ფიზიკურ-ფიზიოლოგიური რიგის მოვლენის, ცნება აღარ აკმაყოფილებდა ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებას, ის აღარ იყო საკმარისი არც სინქრონიული კვლევისათვის. ლინგვისტიკაში დაიწყო ძიება ახალი ერთეულისა. შეიქმნა ახალი დონე — ფონოლოგია, საკუთარი ერთეულით — ფონემით. ამასთან დაკავშირებით გაჩნდა ბერი საკმაოდ განსხვავებული მიმდინარეობა და შესაბამისი თეორიები. მათ შესწავლას, კრიტიკულ ანალიზს და ფონოლოგიური თვალსაზრისით იბერიულ-კავკასიური ენების მასალის კვლევას არაერთი სტატია და გამოკვლევა მიუძღვნა ი. ქობალავაშ. 1974 წელს გამოქვეყნდა მისი მონოგრაფია „ფონემის ცნება თანამედროვე ენათმეცნიერებაში“, სადაც განხილულია ყველა თანამედროვე თეორია დაწყებული სოსიურით, ბოდუენ დე კურტენეთი, ინგლისური სკოლით და დამ-

თავრებული მოსკოვის ფონოლოგიური სკოლით. მისი სპეციალური კვლევის საგანი გახდა ფონოლოგის ჩამოყალიბების ისტორია და ფონეტიკისა და ფონოლოგის ურთიერთმიმართების საკითხი. პარალელურად მკვლევრის მუშაობები ენათა მასალაზე მუშავდებოდა ფონოლოგიური კომბინატურული საკითხებიც.

გამოქვეყნების პირველსავე წლებში ნ. ტრუბეციოს კლასიკურ ნაშრომს ფონოლოგის საფუძვლების შესახებ გამოხმაურა ბ. ფოჩხუა. ბ. ფოჩხუას კვლევის საგანი გახდა აგრეთვე ენათმეცნიერების მეორე ფრიად მნიშვნელოვანი დარგი — ლექსიკოლოგი და თეორეტიკოსი. თ. შარაძენიძე და ბ. ფოჩხუა აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის შექმნაში. ამ დიდი საქმის შესრულებისათვის 1971 წელს მათ ქართველ ენათმეცნიერთა ჯგუფთან ურთად მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. ბ. ფოჩხუას კალამს ეკუთვნის მნიშვნელოვანი თეორიული ნაშრომი ქართულ ლექსიკოლოგიაში, რომელიც 1974 წელს საფუძვლად დაედო მის სადოქტორო დისერტაციის. მკვლევრის ზოგადი მოსაზრებები ყოველთვის ეფუძნება ქართული ენის ლექსიკური მასალის ღრმა ცოდნასა და ანალიზს. თავისი მოღვაწეობის ბოლო პერიოდში ბ. ფოჩხუამ ჩაითვალისა და ნაწილობრივ განახორციელა დიდი სამუშაო: „ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონის“ შედგენა. ავტორის სიკვდილის შემდეგ 1987 წელს გამოქვეყნდა ამ ლექსიკონის პირველი ტომი, რომელსაც წინ უძღვის ბ. ფოჩხუას თეორიული ნაშრევი ენის ლექსიკის სისტემატიზაციის თაობაზე. განყოფილებაში გრძელდება მუშაობა ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონის შემდეგი ტომების გამოცემაზე. ამან განაპირობა ლექსიკოლოგიური საკითხების თეორიული მხარის შემდგომ ანალიზიც.

ლექსიკის სტატისტიკური მეთოდებით, როგორც ითქვა, იკვლევდა ლ. აბულაძე. დისერტაციის დაცვის შემდეგ მისი მუშაობა ძირითადად წარიმართა სტატისტიკური მეთოდების გამოყენების ხაზით ლექსიკოლოგიასა და სტილისტიკაში. გამოქვეყნდა რიგი სტატია. ლ. აბულაძე იკვლევს აგრეთვე ლექსიკური სემანტიკის, კერძოდ, ლრობის სემანტიკური ველის საკითხებს.

როგორც ითქვა, მათემატიკური ლინგვისტიკის საკითხებს მიუძღვნა მთელი რიგი ნაშრომები გ. კვარაცხელიამაც: „ზოგიერთი დაკვირვება სიტყვათა სიხშირეზე და პასიონის განაწილება“ (1963), „სტილისტურ-შედარებითი კვლევის ცდა მათემატიკური მეთოდებით“ (1967), „ენათმეცნიერება და კიბერნეტიკა“ (1966) და სხვა. ბოლო ღრმოს მკვლევრის შესწავლის საგანი გახდა ქართული ენის იდეოგრაფიკა, რომელსაც მიეძღვნა „ფერთა სახელები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“, „ფერი, ბერა, სუნი და გემო ვაჟას შემოქმედებაში“, „ფერის იდეოგრაფიკა თანამედროვე ქართულ ენაში“. ველთა თეორიაში მუშაობს აგრეთვე განყოფილების ახალგაზრდა მკვლევარი მ. მგელაძე. მან დაამუშავა ხედვის ველის თეორიის საკითხები ძველი ქართულის მასალაზე, გამოიყენა ველთა თეორიის კვლევისას მარკირების თეორია და მეთოდოლოგია.

განყოფილებაში სპეციალური კვლევის საგანი გახდა სტილისტიკაც. თავდაპირველად ამ დარგის თეორია და ემპირიული კვლევა დაუკავშირდა, როგორც ითქვა, მათემატიკური მეთოდების გამოყენებას, რასაც მიეძღვნა ლ. აბულაძის, გ. კვარაცხელიას დისერტაციები და სტატიები. შემდგომ გ. კვარაცხე-

ლიამ განაგრძო მუშაობა ფუნქციური სტილის თეორიულ და პრაქტიკულ კითხებზე. მას ეკუთვნის მთელი რიგი სტატიები ამ თემაზე: „სტილისტიკული ექსპერიმენტი“ (1972), „ფუნქციური სტილისტიკის ზოგადი სტანდარტები“ (1985), რაც საფუძვლად დაედო მის საღონქორო დისერტაციას. ავტორმა ოეორიული საკითხების გარდა შეისწავლა ქართული ენის სამეცნიერო, საგანგეოთ-პუბლიცისტური, მხატვრული სტილი და მეტად საინტერესო დასკვნები მიიღო.

ლ. ენუქიძე შეისწავლის სინტაქსის თეორიულსა და ემპირიულ პრობლემატიკის. „სინტაქსი გრამატიკის უძველესი დარგთაგანია. იგი ჯერ კიდევ ფილოლოგიურ გრამატიკებში იყო გამოყოფილი. მიუხედავად ასეთი ხანდაზმულობისა, სინტაქსის ამოცანები, მისი ძირითადი ცნებები და ანალიზის პროცედურები დღესაც სპეციალისტთა შორის პრინციპული დავის საგანგენის წარმოადგენს. ასეთ ვითარებაში სინტაქსის პრობლემატიკის დამუშავების ყოველი ახალი ცდა საგანგებო ყურადღებას იქცევს“ (თ. შარაძენიძე). ამ თვალსაზრისმა განაპირობა ის, რომ წლების მანძილზე განყოფილებაში ლ. ენუქიძის საკვლევ თემას წარმოადგენდა და კრიტიკულად ანალიზდებოდა ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე ენათმეცნიერებაში. აღნიშნული თეორიების პრაქტიკული ღირებულების შეფასების მიზნით თანამედროვე სინტაქსის ძირითადი ცნებები და ანალიზის პროცედურები გამოიყენებოდა ქართული ენის მასალაზე. ლ. ენუქიძემ გააანალიზა თითქმის ყველა თანამედროვე სინტაქსური თეორია, სახელდობრ, ტრანსფორმაციული სინტაქსი, წარმომქმნელი სინტაქსი, ვალენტონის თეორია, წინაღადების აქტუალური დანაწილების პრობლემები, რელაციური სინტაქსი. სინტაქსისა და ტექსტის ლინგვისტიკის ურთიერთმიმართების საკითხები. ზმნის ვალენტონის, პირიანობისა და ადგილო-ანობის ურთიერთმიმართება და სხვა. განხილულ თეორიათა საფუძველზე გაანალიზებული ქართული ენის მასალა სვამს რიც საკითხს. ახლებურად წარმოაჩენს ქართული ენის ზოგ თავისებურებას. ამავე დროს გვაძლევს თვით თეორიის კრიტიკულად გაანალიზების შესაძლებლობას. ლ. ენუქიძის შრომებში არის ცდა ქართული ენის ტრანსფორმაციული გრამატიკის აგებისა. ქართული ზმნის ვალენტონის განსაზღვრის ცდამ ქართული ზმნის მნიშვნელოვანი თავისებურებანი წარმოაჩინა. საჭირო გახდა ერთმანეთისაგან გამიზულიყო ცნებები: ვალენტონა, პირიანობა, ადგილიანობა. ქართული ზმნის ვალენტონის ცალსახად და მყაცრად განსაზღვრის მიზნით შესწავლილი იყო ზმნური გარემოცვის წევრთა სიხშირე. დადგინდა აქტანტთა ხმარების სიხშირული იერარქია: პირდაპირი ობიექტი — ირიბი ობიექტი — სუბიექტი. შესწავლილი იქნა ირიბ და თანდებულიან ბრუნვათა გამოვლენის სიხშირეც, რის საფუძველზე გაკეთდა დასკვნა: ზმნის გარემოცვაში ხშირი ხმარება არის აუტილებელი. მაგრამ არასაკმარისი პირობა აქტანტთა გამოსავლენად. ვალენტონის დასაღვენად უნდა გამოვიყენოთ კომპლექსური მეთოდი. სუბიექტისა და ობიექტის ასახვა ზმნაში და შესიტყვებაში მისი წარმომაზნის იშვიათობა მსჯელობის საგნად ხდის ერთგვარშემამენებინი შერწყმული წინადადების საკითხს ქართულში. ამგვარ კონსტრუქციებს ლ. ენუქიძე მიიჩნევს რთულ თანწყობილ წინადადებებად, რადგან ყველა ზმნა ქმნის სტრუქტურულად განსხვავებულ წინადადების ცენტრს.

1969 წლიდან მ. მაჟავარიანის კვლევის საგანი გახდა გრამატიკული სემანტიკის საკითხები. მან ახალი თვალსაზრისით გამოიკვლია გვარის, ქცევისა



და კაუზატივის კატეგორიები. მთავარი იდეა მისი კვლევისა იყო მაქცევრების ახლებური ინტერპრეტაცია, როგორც ერთი ზოგადი მნიშვნელობის მქონე ფულის ტეგორიის გამომხატველი, ერთი რანგის მქონე წარმომქმნელი პრეფექსებისა, რომელნიც პირის ნიშნებთან ერთად წარმადგენენ ნაცვალსახელოვან პროკლიტიკებს ბრუნვითი ფუნქციებით. სწორედ ეს ბრუნვითი მნიშვნელობები განაპირობებუნ მაქცევართა ცნობილ ცალკეულ ფუნქციებს, რომელნაც ერთა-ონდება ინტროვერტულ-ექსროვერტულ მიმართებები, რომლის ცენტრი არის მეტყველი პირი. სწორედ ნაცვალსახელოვანი პროკლიტიკების მიერ რეგულირდება სუბიექტ-ობიექტების წარმოქმნა-მოსპობა და, ამდენად, მარტივი წინადადების წარმოქმნაც. ანალიზისას თავისებური ინტერპრეტაციით გამოყენებულია მარკირების თეორიაც. ავტორს თავისებურად ესმის კაუზაციის ცნებაც, კაუზატივის კატეგორია მას განხილული აქვს იბერიულ-კავკასიური ენების ტიპოლოგიური მონაცემების ფონზე. მცვლევარი სეჭასტიკური პრინციპით ანალიზებს მოქმედების, პროცესისა და ძღვომარეობის ასპექტურ კატეგორიებს და შემოაქვს დიფერენციალური ნიშნების კონები მათ გასარჩევად.

კაუზატივის ნიშანი ა- ავტორის აზრით, აგრეთვე პირის ნაცვალსახელოვან პროკლიტიკას უკავშირდება და წარმოქმნის კაუზირებული ზმნის ამოსავალ სუბიექტს, სინთაქსურ ობიექტს. ვინისა და მანის რიგის პროკლიტიკებს ავტორი აგრეთვე ბრუნვის ნიშნების ფუნქციით ტვირთავს (ვინ-ის რიგი ნომინატივის ფუნქციისა, ხოლო შან-ის რიგი ირიბი აუზატივ-მიცემითის ფუნქციისა), რაც უკავშირდება აგრეთვე მარკირების პრინციპს და წარმოაჩენს აგენტურობისა და ინაგენტურობის ცენტრალურ სემანტიკას. ავტორის ზოგერთი მოსახრებები განხოგადებულია მონოგრაფიაში „ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა“ (1987) და რიგ სტატიაში.

განყოფილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა სოციოლინგვისტიკის საკითხები. ამ თემას ძირითადად ამუშავებს კ. ლერნერი. მან თავისი მოლგა-წეობა განყოფილებაში დაიწყო მათემატიკის მეთოდების გამოყენებით ისტორიულ ენათმეცნიერებაში. ამ მხრივ კ. ლერნერს რიგი საინტერესო სტატია აქვს გამოქვეყნებული გლობორნონლოგიის გამოყენებაზე დიაქრონიულ ლინგვისტიკაში. მან გამოიკვლია მეივს, სოსიურის, ტარდის, დიურკჰამის და სხვათა შრომები ენის სოციალური ბუნების გარკვევის მიზნით. ორიგინალურია მისი გამოკვლევები კულტურის, ენისა და სოციუმის ურთიერთობისა და ენობრივი წარმონქმნების სოციოლოგიზაციის მექანიზმის დადგენის თვალსაზრისით. საინტერესოა მის მიერ შემოთავაზებული ინტერპრეტაცია ქართველურ ენების ხარისხების სისტემის ჩამოყალიბებისა სოციალურ-კულტურული ორეალის გათვალისწინებით.

1966—1986 წლებში განყოფილებაში მუშაობდა ი. მელიქიშვილი. მან ძირითად თემად აირჩია მარკირების თეორია. ამ თვალსაზრისით განხილა და გაანალიზა მარკირების ყველა მანამდე არსებული თეორია (იელმსლევის, იაკობსონის, ტრუბეცკოის, გრინბერგის) და გარკვეული განხოგადებების შედეგად შექმნა მეტად საინტერესო სინთეზი. მისი აზრით, ზოგადი ენობრივი ფაქტებით და მიმართებებით დაინტერესებული ენათმეცნიერული მიმდინარებები ამ რიგის მოვლენათა ძლიერ ამსხველ და მომაწესრიგებელ პრინციპად მარკირების მიმართებას მიიჩნევენ. ავტორმა თვალი გაადევნა ამ ცნების განვითარებას ჩვენი საუკუნის 30-იანი წლებიდან დღემდე, გამოყო მისი გან-





ნარატიული ტექსტის სემანტიკური ორგანიზაციის მხრივ. მოცემულია ჭოჭერა დების სემანტიკის ინვარიანტული წარმოდგენა სემანტიკურ კატეგორიათა ურთისებები მინებში და დასმულია ნარატიული ტექსტის სეგმენტისა და პრედიკტურული მანტიკური იზომორფიზმის საკითხი. მიღებული შედეგები გამოქვეყნებულია მთელ რიგ სტატიებში და განხოგადებულია სადისერტაციო შრომაში (1986). ნ. ჩიჩუას ეკუთვნის აგრეთვე გამოკვლევა ენისა და კულტურის ურთიერთდა-მოკიდებულების შესახებ.

ეს პრობლემატიკა განყოფილებაში განსაკუთრებით გაცხოველდა მას შემდეგ, რაც მუშაობა დაიწყო სემინარმა „კულტურა და ენა“ (1984—1988), რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო განყოფილების თანამშრომლები, არამედ მოწვევული სპეციალისტებიც. მსჯელობის საგანი გახდა გ. რამიშვილის, კ. გაბაშვილის, ნ. რამიშვილის, მ. მაჭავარიანის, ი. მელიქიშვილის, ნ. ჩიჩუას, თ. დოლიძის, ლ. აბულაძის, ლ. დალაქიშვილის, გ. კვარაცხელიას და სხვათა მოხსენებები. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია გ. ლებანიძის მიერ წაკითხულმა მოხსენებების სერიამ ლოგოსის კატეგორიის „შესახებ. აქვე წამოიჭრა ენისა და ფსიქიკის ურთიერთმიმართების პრობლემატიკა, რაც შემდგომ გახდა განყოფილების კვლევის საგანი. ფსიქოლინგვისტური პრობლემატიკა აისახა მ. მაჭავარიანის რამდენიმე მოხსენებაში (მაგ.: „განწყობის როლი ენის ფუნქციონირებაში“; წაკითხულია მოხსენებად საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელიც 1978 წელს ჩატარდა თბილისში და ეხებოდა ადამიანის ფსიქიკის არაცნობიერ პლასტებს), მასვე ეკუთვნის გამოკვლევა: „ცნობიერების, განწყობისა და ენის ურთიერთმიმართებისათვის“, რომელშიც ახლებურად არის ინტერპრეტირებული დ. უზნაძის განწყობის თეორიის ენობრივი პრობლემები. ენის ფსიქოლოგისტური თეორები და ზოგადად ენის ფსიქოლოგიური ბუნება გამოკვლეულია ი. ქობალავას შრომებში, რომლებიც ეხება სოსიურის, ბოდუენის, სეპირის და სხვა ენათმეცნიერების ნააზრევის ამ მხარეს. დ. უზნაძის ენის თეორია განწყობის პრობლემატიკის თვალსაზრისით გამოკვლეულია განყოფილების ასპირანტის დ. ციცქაშვილის სტატიებში.

განყოფილებაში ისევ აქტუალური გახდა ენის ფუნქციების, მისი არსის, ექსტრალინგვისტურ სამყაროსთან მისი ურთიერთმიმართების პრობლემატიკა, რასაც ბიძგი მისცა ქართული ენის სახელმწიფო პროგრამაზე მუშაობამ. ამ თემაზე ჩვენში და მოსკოვში წაკითხული იქნა რამდენიმე მოხსენება კ. ლერნერისა და მ. მაჭავარიანის მიერ. მ. მაჭავარიანს ხაზასმული აქვს, რომ ენა ორმხრივ მიმართული მოვლენაა: თავისი შინაგანი არსით (შიდაფორმით) ის სულიერების, ღვთაებრივ-კოსმიურ საუფლოს განეკუთვნება, ხოლო გარეგანი, ფუნქციურ-მატერიალური განზომილებით ისტორიულ დროსა და სივრცეშია განთქმილი, ერთს ისტორიულ ნებასა და ენერგიაზე დამოკიდებული. ერთს აზერებში ინტენსიური წერტილები იქმნება ამ ორივე საწყისის (ზეციურისა და მიწიერის) განმთლიანების, სინთეზის განხორციელებისას. ენისა და ერთს ჭეშმარიტ ისტორიას სწორედ ასეთი დაჭიმული, მკვრივად შეკრული პერიოდები ქმნიან, როდესაც ერთს არაცნობიერი და რაციონალური სულიერი და ფიზიკური ძალების საერთო ძალისხმევით განუყოფელი და გამთლიანებულია „ენა, მამული, სარწმუნოება“. ამდენად, ერთს ბიოგრაფიაში, მის მეხსიერებაში ფეთქებს სწორედ ეს ინტენსიური წერტილები, სწორედ ისინი შეაღენენ ერთს თვითშეგნებისა და თვითშემეცნების ერთიან ღერძს დროისა და სივრცის გარენული გათიშვისდა მიუხედავად. პიროვნების მოქმედების დონეზე ეროვნულობის პრობლემა უშუალოდ უკავშირდება უზნაძისეულ განწყობის



მოქმედების თავისებურებას, რომლის შინაარსს სწორედ ენის შიდაფოლმა ქმნის. ამდენად, ადამიანის ფსიქიკური მიმღინარე პროცესები უშუალოდ გულა არ ასახვენ გარეგანი თუ შინაგანი სამყაროს მოვლენებს, არამედ ჰქონდებოდება და მათ არეგულირებს ცნობიერ და მით უმეტეს არაცნობიერ დონეზე ენის შინაგანი სტრუქტურა, სულჩადგმული ეროვნული გამოცდილებით, ეროვნული საწყისის მოქმედებით.

წლების მანძილზე განყოფილების თემატიკაში შემოღილდა რუსული ენათმეცნიერების ისტორია. ამ პრობლემატიკას ამუშავებდა გ. ხუხუნი. მისი კვლევის სფერო იყო XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველი ნათვის ეყრდნობა უმდიდრეს ფაქტობრივ მასალას — არა მარტო რუსი ლინგვისტების მონოგრაფიულ გამოკვლევებს, არამედ მათ ნაკლებად ცნობილ, სხვადასხვა უურნალებში მიმობნეულ სტატიებს, მიმოწერას და სხვა. გ. ხუხუნის კვლევა-ძიება განხოგადდა და გამოქვეყნდა მრავალი სტატიისა და რამდენიმე მონოგრაფიის სახით.

განყოფილების თანამშრომლები ეწევიან მრავალმხრივ სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას. სისტემატურად იღებენ მონაწილეობას საინსტიტუტო, რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებას და კონგრესებში. აქვთ ცხოველი ურთიერთობა ცნობილ საბჭოთა და საზღვარგარეთელ მეცნიერებთან. ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ დაწერილია მრავალი რეცენზია სხვათა ნაშრომებზე, დაფრთიანებულია მრავალი დისერტაციი. განყოფილებაში დაცულია ექვსი სადოქტორო დისერტაცია (თ. შარაძენიძის, ბ. ფოჩხუას, გ. ხუხუნის, ი. ქობალავას, გ. კვარაცხელიას, კ. ლერნერის მიერ), მრავალი საკანდიდატო დისერტაცია. განყოფილების თანამშრომლების შრომები იბეჭდება როგორც საქართველოში, ისე რუსეთში და საზღვარგარეთ.

განყოფილების თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ და იღებენ ქართული ენციკლოპედიის შექმნაში. თ. შარაძენიძე და ბ. ფოჩხუა ამ მუშაობის სათავეებთან იდგნენ და მნიშვნელოვანწილად განაპირობეს ენციკლოპედიაში ენათმეცნიერული მასალის წარმოჩენა. თ. შარაძენიძე იყო ენათმეცნიერების სექციის თავმჯდომარე (ახლა ამ მოვალეობას ასრულებს მ. მაჭავარიანი).

განყოფილება ამჟამადაც ცდილობს შეინარჩუნოს ის თავისუფალი, შემოქმედებითი სული, რომელიც მას შთაბერა მისმა ხელმძღვანელმა — გამოჩენილმა ქართველმა ენათმეცნიერმა და მოღვაწემ თინათინ შარაძენიძემ.

მ. მაჭავარიანი

## ქართველურ ენათა განყოფილება

I. ქართველურ ენათა განყოფილება შეიქმნა 1936 წლის 23 იანვარს „ენის სექტორის“ სახელწოდებით; დაევალა ქართულ-მეგრულ-ჭანურ-სვანური ლექსიკონის შედგენა. ხელმძღვანელობა დაეკისრა აკაკი შანიძეს<sup>1</sup>.

ამავე წლის ივლისში „ენის სექტორის“ ეწოდა „ქართველურ ენათა სექტორი“<sup>2</sup>. 1937 წლის მაისში, როცა საბოლოოდ დაიხვეწია საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის („ენიმკი-ს“) სტრუქტურა, ამ სექტორს უწოდეს „ქართველურ ენათა განყოფილება“. გამგედ იყო ჯერ ა. შანიძე (1941 წლის 23 ნოემბრამდე)<sup>3</sup>, ხოლო შემდეგ, 1941 წლის 23 ნოემბრიდან 1961 წლამდე, განყოფილებას განავებდა ვარლამ თოთურია. ამ დროის (20 წლის) მანძილზე განყოფილებამ ბევრი მეტად საყურადღებო სამუშაო შეასრულა (სამეცნიერო პროდუქციის შექმნა, კადრების აღზრდა და სრული მრავალი). 1961 წელს ვ. თოთურია მთლიანად გადავიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ქართველურ ენათა განყოფილების გამგის მოვალეობას ასრულებდა ივანე გიგინიშვილი (1961—1965 წწ.). ღრისის გარევეულ მონაცვეთებში განყოფილების გამგედ მუშაობდნენ ვლადიმერ ფაჩჩიძე (1966—1975 წწ.), ივანე ქავთარაძე (1976 წლის აპრილიდან 1982 წლის ნოემბრამდე), ბესარიონ ჯორბენაძე (1982 წლის ნოემბრიდან 1985 წლის ბოლომდე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის დეკანად არჩევამდე). 1986 წლის 1 იანვრიდან განყოფილებას ხელმძღვანელობს თედორე უთურგაძე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსებასთან დაკავშირებით (1941 წლის 1 მარტს), როცა „ენიმკი“, „გაიყო ორ მოძმე ინსტიტუტად: ა) აკად. 6. მარის სახელობის ენისა და ბ) ისტორიის ინსტიტუტად“<sup>4</sup>, ქართველურ ენათა განყოფილება არ შეცვლილა. 1953 წელს მას გამოეყო ქართული სალიტერატურო ენის ნორმების განყოფილება<sup>5</sup> (ამჟამინდელი „მეტყველების კულტურის განყოფილება“).

<sup>1</sup> ს. ჭავაძე, მოქლე ანგარიში აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის და მისი სამეცნიერო საბჭოს მუშაობისა 1936—1944 წწ.—აკტორის „შემომები“, ტ. V, 1987, გვ. 443.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 444.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 445.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> ქ. ლომთათიძე, ქართული ენათმეცნიერება.—მეცნიერება საბჭოთა საქართველოში 40 წლის მანძილზე, თბ., 1961, გვ. 455; ლ. ლეჭავა, ივანე გიგინიშვილი, თბ., 1986, გვ. 55—56.



1936-1937 წლებში ქართველურ ენათა განყოფილებაში იყო ცხრა თა-  
ნამშრომელი (აკად. შანიძე — გამგე, თამარ ანდლულაძე, ივანე გიგინი, ალექსანდრე გუჯეგიანი, ალექსი დავითიანი, გივი თარგამაძე, არსენ ონიანი, არის-  
ტარქ ცხადაძე, შოთა ძიძიგური). განყოფილებას ჰყავდა ორი ასპირანტი (არაშ  
მარტიროსოვი და ალექსანდრე ჭიშიაშვილი).

ამჟამად ქართველურ ენათა განყოფილებაში არის 42 თანამშრომელი,  
ამათგან წამყვანი — 3, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 16, მეცნიერი  
თანამშრომელი — 6, უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 14, ლაბორან-  
ტი — 3.

II. განყოფილების ძირითად პრობლემას წარმოადგენდა და ახლაც წარ-  
მოადგენს ქართველური ენებისა და მათი დიალექტების კვლევა.

ამ მიზნით ეწყობოდა ექსპედიცია-მივლინებები საქართველოს სხვადასხვა  
რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ.

კვლევის შედეგები ქვეყნდებოდა მონოგრაფიებისა და სტატიების სახით.

ქართულ-ქართველური ენებისა და მათი დიალექტების ფონეტიკის, გრა-  
მატიკისა და ლექსიკის საკითხებს მიეძღვნა მრავალი მეტად საყურადღებო მო-  
ნოგრაფია და სტატია.

ქვე შეიძლება დავასახელოთ მონოგრაფიების ძირითადი ნაწილი (და ზო-  
გიერთი სხვაც), რომელიც ეხება:

1. ქართულისა და სხვა ქართველური ენების ფონეტიკას: „ფონეტიკური  
პროცესები ძველ ქართულში“ (მ. ძიძიშვილი, 1960); „სონარტთა სისტემა და  
აბლათეტი ქართველურ ენებში“ (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965)<sup>6</sup>; „სვა-  
ნური ენის ფონეტიკა, I, უმღაუტის სისტემა სვანურში“ (მ. ქალანი, 1969);  
„ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა“ (თ. უთურგაძე, 1976) და სხვ.

2. ქართულისა და სხვა ქართველური ენების მორფოლოგის საკითხებს:  
„ნაცვალსახელი ქართველურ ენებში (ისტორიულ-შედარებითი ანალიზი)“  
(არ. მარტიროსოვი, 1964); „ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში“  
(დ. ჩეუბიანიშვილი, 1972); „სტატიკური ზმნები ქართულში“ (მ. სუხიშვილი,  
1976); „დრონაკლი ზმნები სვანურში“ (კლ. გაგუა, 1976); „ქართული ზმნის  
ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები“ (დ. ჭორბენაძე, 1980);  
„ზმნის ხმოვანპრეფიქსური წარმოება ქართულში“ (დ. ჭორბენაძე, 1983);  
„დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმები ახალ ქართულში“ (გ. ვოგოლაშვილი,  
1984); „მესამე სერიის ნაკვეთულთა წარმოება და მნიშვნელობა ძველ ქართულ-  
ში“ (ავთ. არაბული, 1984); „მასდარის წარმოება ძველ ქართულში (აშშის ფუ-  
ძის ისტორიისთვის დაკავშირებით)“ (დ. ცხადაძე, 1984); „ჩვენებით ნაცვალსა-  
ხელთა სისტემები ქართულში სხვა ქართველურ ენებთან შედარებით“ (ნ. ჩა-  
თოლანი, 1985); „ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი“  
(თ. უთურგაძე, 1986); „გარდამავალი ზმნები ქართულში (სისტემისა და ის-  
ტორიის ზოგი საკითხი)“ (მ. სუხიშვილი, 1986); „Грузинский глагол (Вопросы  
формального и семантического анализа)“ (დ. ჭორბენაძე, 1986); „ქართული  
ზმნის ულვლილების სისტემა“ (გ. ვოგოლაშვილი, 1988) და სხვ.

3. ქართული და ქართველური ენების სინტაქსის საკითხებს: „ქართული  
ფრაზეოლოგიის საკითხები“ (ა. თაყაიშვილი, 1961); „მარტივი წინადადების

<sup>6</sup> ქართველურ ენათა განყოფილების თანამშრომელი იყო გივი მაჭავარიანი.



შედგენილობა ძველ ქართულში” (ანტ. კიზირია, 1963); „რთული წენადაღების შედგენილობა ძველ ქართულში” (ანტ. კიზირია, 1969); „მარტო—მარტო დადების შედგენილობა ქართველურ ენებში” (ანტ. კიზირია, 1982); „მცსამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის შეთანხმება ქართულში” (ლ. კვენტალიანი, 1983); „მარტივი წინადადების ტიპები წევრთა შედგენილობის მიხედვით და კომუნიკატივები” (ანტ. კიზირია, 1987) და სხვ.

4. ქართული ენის ისტორიის საკითხებს: „ქართული ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში” (ივ. ქავთარაძე, 1954); „გრამატიკის საკითხები XIX საუკუნის ქართულ პერიოდულ გამოცემებში” (ნ. აბესაძე, 1960); „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის” (შ. ძიძიგური, 1959); „Вопросы истории грузинского языка в труде К. С. Кекелидзе” (ივ. ქავთარაძე, 1979); „ქართული ენის ისტორიისათვის (XII—XVIII სს.)” (ივ. ქავთარაძე, 1964) და სხვ.

5. ქართული ენის დიალექტებს: „ძიებანი ქართული დიალექტოლოგიდან” (შ. ძიძიგური, 1954); „ქართული ენის კახური დიალექტი (გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ)” (არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, 1956); „ქართული დიალექტოლოგია, I (ქართული ენის კილოთა მოკლე განხილვა, ტექსტები, ლექსიკონი)” (ი. გიგინეიშვილი, ი. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961); „ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება“ (თ. უთურგაიძე, 1966); „ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი“ (გრ. იმნაიშვილი, 1966); „ქართული დიალექტოლოგიის ისტორიის საკითხებისათვის“ (არ. მარტიროსოვი, 1972); „ქართლური დიალექტი, I (გამოკვლევა)“ (გრ. იმნაიშვილი, 1974); „თუშური დიალექტი“ (გ. ცოცანიძე, 1987); „ქართული ენის გავახური დიალექტი (გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ)“ (არ. მარტიროსოვი, 1984); „გიორგობიდან გორგობამდე“ (გ. ცოცანიძე, 1987)<sup>7</sup>; „ქართული ენის მოხეური დიალექტი (გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი)“ (ივ. ქავთარაძე, 1985); „ქართული დიალექტოლოგია“, I (გ. ჯორბენაძე, 1989) და სხვ.

განცოფილებაში წარმოებს ქართული ონომასტიკის კვლევაც. გამოკვეყნებულია საყურადღებო მონოგრაფია „ერწო-თიანეთის ტოპონიმია“ (გ. ბეჭოშვილი, 1980) და მთელი რიგი სტატიები.

6. შესწავლილია მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ენა და მოსახრებანი ქართული ენის შესახებ: „იაკობ გოგებაშვილი და ქართული ენა“ (ივ. ქავთარაძე, 1956); „ილია ჭავჭავაძის ენა“ (გ. შალამბერიძე, 1966); „ბალავარი მწერლებისა“ (გ. ჯორბენაძე, 1987).

7. შეიქმნა სახელმძღვანელოები საშუალო და უმაღლესი სასწავლებლებისათვის: „ქართული ენის გრამატიკა (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი; სახელმძღვანელო არასრული საშ. სკოლის, V, VI და VII კლასებისათვის)“ (ა. შანიძე, 1939); „ქართული გრამატიკის საფუძვლები“ ორ ნაკვეთად (ა. შანიძე, 1942, 1943); „ილია ჭავჭავაძის ენის შესწავლა სკოლაში“ (გ. შალამბერიძე, 1957); „ქართული ენა (პრაქტიკული)“ (ანტ. კიზირია, 1957, 1960, 1967, 1974); „ქართული მარტლწერა საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის“ (გ. შალამბერიძე, 1958); „ქართული ენა და მარტლწერის ზოგიერთი საკითხი“ (ვ. თოფუ-

<sup>7</sup> გ. ცოცანიძის ეს ნაშრომი დიალექტოლოგიას არ ეძღვნება (მასში განვითარებულია თუშეთის ახლო წარსულის ყოფითი სურათები), მაგრამ შეიცავს თუშური დალექტისათვის დამახასიათებელი მეტყველების წიმუშებს, ლექსებსა და სხვ.

რია, 1965); „ქართული ენის ფაკულტატური გრამატიკის საკითხები“ (შ. ჯორგე ბენაძე, 1985) და სხვ.

შედგა: „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (ვ. თოლუშვილი, ვ. გიგინე იშვილი, 1941, 1947, 1949, 1968); „ქართულ-რუსული ლექსიკონი“ (გ. ახვლედიანი, ვ. თოფურია, 1942); „რუსულ-ქართული ლექსიკონი (საშუალო სკოლისათვის)“ (ვ. თოფურია, ს. ყაუჩხიშვილი, 1958).

გამომუშავდა ქართული წერის დედანი: „ქართული წერის დედანი (I, II და III კლასებისათვის)“ (ვ. თოფურია, 1963).

განყოფილების თანამშრომლები, სხვებთან ერთად, მონაცემლებას ღუბულობდნენ აზერბაიჯანული, აფხაზური, სომხური, თურქური და რუსული სკოლებისათვის სახელმძღვანელოებისა და ლექსიკონების შედგენაში.

8. დაიძეჭდა სვანური და ქართული დიალექტოლოგიური ტექსტები: „სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსხემოური კილო“ (ტექსტები შექრიბეს ვ. შანიძემ და ვ. თოფურიამ, 1939); „სვანური პოეზია“, I (სიმღერები შექრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ და მ. გუგუშვილმა, 1939); „სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსხემოური კილო“ (ტექსტები შექრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, 1957); „სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო“ (ტექსტები შექრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, 1967); „ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ“ (შ. ძიძიგური, 1956); „ქართლური დიალექტი, I, ტექსტები“ (გრ. იმანაშვილი, 1974) და სხვ.

ტექსტები ერთვის დიალექტებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიებსა და სხვა ზოგიერთ გამოკვლევასაც.

9. დაიწერა ვ. თოფურიას შესახებ მონოგრაფიული ხსიათის გამოკვლევა: „ვარლამ თოფურია (ცხოვრება და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა)“ (ა. კიზირია, მ. ქალდანი, 1968).

10. გამოიცა ვ. თოფურიას „შრომების“ I და III ტომი (1967, 1979)<sup>8</sup>, გაითხოვ რექტორის „ქართული ლრამატიკა“ (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ელენე ნიკოლაიშვილმა, 1970) და სხვ.

11. ქართველურ ენათა განყოფილების თანამშრომელთა მიერ გამოქვეყნებულია მრავალი მეტად მნიშვნელოვანი სტატია. ამათგან არ შეიძლება არ აღინიშნოს ისეთი გზის გამკაფავი გამოკვლევები, როგორიცაა „რედუქცია ქართველურ ენებში“ (ვ. თოფურია, იკე, I, 1946) და „ხმოვანთა კომპლექსურულში“ (შ. ძიძიგური, იქვე) და სხვ.

პირველში საფუძვლითად არის შესწავლილი და გაანალიზებული რედუქციის შემთხვევები ქართულში, სვანურსა და ზანურში. დადგენილია მათ შოურუადლებო დასკვნები. მეორეში ჩინებულად არის მიგნებული და ჩამოყალიბებული ხმოვანთა კომპლექსების ცვლის (ასიმილაციისა და დისიმილაციის) წესები ქართულ კილოებსა და ზანურში (მეგრულ-ჭანურში).

დიდი ყურადღების ღირსია აგრეთვე ვ. თოფურიას სტატიების სერიები:

<sup>8</sup> ამ ტომების გამოცემაში მონაცემლებას ლებულობდნენ ქართველურ ენათა განყოფილების თანამშრომლებიც (ივ. ჭავთარაძე, მ. ქალდანი და სხვ.).

„ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში“, „ქართველურ ენაზა ტყველმოებიდან“ და სხვ.

აქვე შეიძლება დავასახელოთ „Сванский язык“ (ვ. თოფურია), და კიბერიული კიბერიული ენების ზოგადი დახასიათება. გამოქვეყნებულია კრებულში „Языки народов СССР“ (т. IV, „Иберийско-кавказские языки“, 1967) და სხვ.

12. პარალელურად მიმღინარეობდა სალექსიკონო მუშაობა, სახელდობრ, სვანურ დოკუმენტურ ლექსიკონები (ა. შანიძე, ვ. თოფურია, არ. ონიანი, ალ. დავითიანი, სპ. ტვილიანი, მ. გუჭეგიანი, მ. ქალდანი) და ქართული ენის დიალექტურ ლექსიკონებზე.

გამოქვეყნდა: „გურული, ზემოიმერული და ლეჩუმური ლექსიკონები“ ვუკ. ბერიძის რედაქციით (გ. შარაშიძე, ბ. წერეთელი, მ. ალავიძე, 1938); „ქიზიური ლექსიკონი“ ვ. თოფურიას რედაქციით (სტ. მენოშაშვილი, 1943); „ინგილოური ლექსიკონი“ (ნ. როსტიაშვილი, 1978).

ლექსიკონები ერთვის გამოქვეყნებულ დიალექტოლოგიურ ტექსტებსაც. გამოვიდა „ქართული დიალექტოლოგიის ბიბლიოგრაფია“ (გრ. იმანაიშვილი, 1969).

იბეჭდება სვანური ლექსიკონი.

13. განყოფილების თემატიკაში შედიოდა აგრეთვე ძველი ქართული ენის სტრუქტურის კვლევა. გამოსაცემად მზადდებოდა ძველი ხელნაწერი ძეგლები და წარმოებდა მათი ყოველმხრივი შესწავლა. გამოიცა „ჭილეტრატის იადგარი“ (გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს ა. შანიძემ, არ. მარტიროსოვმა და ალ. გიშიაშვილმა, ა. შანიძის რედაქციით, 1977).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ იმთავითვე მიმღინარეობდა „ვეფუბისტყაოსნის“ ტექსტისა და ენის კვლევა. გამოქვეყნდა „ვეფუბისტყაოსნის საკითხები“, I (ა. შანიძე, 1966); „გამოკვლევები „ვეფუბისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ“ (ივ. გიგინეიშვილი, 1975) და სხვ.

III. 1950—1955 წლებში ქართველურ ენათა განყოფილება მონაწილეობდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ III და IV ტომების სარეაქციოდ მომზადებაში (III ტომის რედაქტორია ვ. თოფურია).

IV. 1961 წლიდან განყოფილებამ დაიწყო მუშაობა მრავალტომიანი „ქართული ენის სისტემატური კურსის“ შესაქმნელად არნ. ჩიქობავას საერთო ხელმძღვანელობით.

თავდაპირველი მოსამართებელი სამუშაოები გულისხმობდა, ერთი მხრით, ძველ გრამატიკოსთა შრომების გაანალიზებას და, მეორე მხრით, საილუსტრაციო მასალების მოპოვებას მხატვრულ ნაწარმოებებში, პუბლიცისტურ ნაწერებსა და პრესის ენაში.

1976 წლიდან დაიწყო მუშაობა „კურსის“ პირველ ტომშე („ქართული ენის შესწავლის ისტორიაზე“) ივ. ქავთარაძის ხელმძღვანელობით. ახლა მას ხელმძღვანელობს თ. უთურგაიძე.

„ქართული ენის შესწავლის ისტორიასთან“ დაკავშირებით საჭირო შეიქნა შემდგარიყო ვრცელი ბიბლიოგრაფია, რომელსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობაც ქვეს. მასზე მუშაობა ამჟამადაც მიმღინარეობს.

9 ამის შესახებ დაწვრილებით: არნ. ჩიქობავა, „ქართული ენა“, მისი აგებულება-შედენილობის ზოგადი საკითხები. — იქ, ტ. XIV, თბ., 1964, გვ. 31—49.

1981 წლიდან მუშაობას შეუდგა ქართული ენის მორფოლოგიის კურსის  
დამწერთა ჯგუფი ბ. ჯორბენაძის ხელმძღვანელობით და სინტაქსისა — წრ. ჭ.

ეროვნული

ზირიას მეთაურობით.

„ქართული ენის სისტემატური კურსისათვის“ ბევრი მეტად მნიშვნელოვანია  
ვანი პრობლემური საკითხი დამუშავდა ქართული ენის სტრუქტურისა და ის-  
ტორიის შესახებ. მათგან უკვე გმოქვეყნდა მასალების სახით „ქართული ენის  
მორფების მოდალური ელემენტების ლექსიკონი“ (ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე,  
მ. ბერიძე, 1988) და „ქართული ენის ზმური ფუნქციების ლექსიკონი“ (გ. გო-  
გოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგალია, 1989) და აგრეთვე ცალკეული  
სტატიები ინსტიტუტის ორგანოებში.

„ქართული ენის სისტემატური კურსი“ ითვალისწინებს „ქართული ენის  
დიალექტოლოგიასაც“. ამას მიეძღვნა მრავალი გმოქვლევა, მათ შორის —  
მონოგრაფიული ხასიათის მქონე შრომებიც. ახლა გაჩაღებულია მუშაობა ქარ-  
თული დიალექტოლოგიური ატლასის შესადგენად (ხელმძღვ. თ. უთურგაიძე).  
ეწყობა ექსპედიციები და მუშავდება მოპოვებული მასალები.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა ქვე აღინიშნოს, რომ ქართველურ ენათა  
განყოფილებაში ინახება დიდალი დიალექტოლოგიური ტექსტები, რომლებიც  
ჩაწერილია ადგილებზე განყოფილების თანამშრომელთა მიერ სხვადასხვა  
დროს. მართალია, საკითხების კვლევის დროს ასე თუ ისე ხდება მათი გამო-  
ყენება, მაგრამ მიზანშეწონილია გამოქვეყნება, რომ ყველასათვის ხელმისაწ-  
ვდოში გახდეს.

V. „კურსის“ სამუშაოების პარალელურად გაცხარებული კვლევა-ძება  
არის გაჩაღებული განყოფილებაში სვანურ-ზანური ენებისა და მათი დიალექ-  
ტების შესასწავლად. ჩამოყალიბებულია ჯგუფები, რომლებიც იყვლევინ ამ  
ენების ფონეტიკურ სისტემას, გრამატიკულ წყობასა და ლექსიკის დიალექტუ-  
ბის მიხედვით. ამ ხაზითაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოქვეყნებულია სა-  
ურადლებო მონოგრაფიები და სტატიები. იბეჭდება სვანურ-ქართული ლექსი-  
კონი და სხვ.

VI. ქართველურ ენათა განყოფილების გამგის (ვ. თოფურიას) ინციატო-  
რობით დაარსდა ქართველურ ენათა განყოფილების კრებული „ქართველურ  
ენათა სტრუქტურის საკითხების“ სახელშოდებით, რომელშიც ძარითადად  
იბეჭდებოდა განყოფილების წევრთა გამოკვლევები. მასი პირველი ტომი გა-  
მოვიდა 1959 წელს, ხოლო მეხუთე (მოლო) ტომი — 1981 წელს.

VII. განყოფილების თანამშრომლები სისტემატურად აქვეყნებდნენ სტა-  
ტიებს: ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (ენიმ-  
კის), „მოამბეში“ (ტ. I, 1937; ტ. XIV, 1944); „იბერიულ-კავკასიური ენათმეც-  
ნიერებაში“ (იქე-ში, ტ. I, 1946; ტ. XXVIII, 1989); „იბერიულ-კავკასიურ  
ენათმეცნიერების წელიწდეულში“ (იქე-ში, ტ. I, 1974; ტ. XV, 1988); „ქარ-  
თული სტუცის კულტურის საკითხებში“ (წიგნი I, 1972; წიგნი VIII, 1988);  
„საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ პეცნიერებათა  
განყოფილების „მოამბეში“; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაც-  
ნეში“ (ენისა და ლიტ. სერია); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
„მოამბეში“ და აგრეთვე ერთდროულ კრებულებში: „მეტყველების ანალიზის,  
სინთეზისა და სტატისტიკის საკითხებში“ (1967); „მეტყველების ანალიზის სა-  
კითხებში“ (1969); „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“  
(1970); „ახალგაზრდა მეცნიერ მუშავთა შრომების კრებულში“ (1970); „ზო-  
03

გადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხებში” (1978); „ნიკ-კვევში იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიდან” (1980); „ახალი კავკასიური ენათმეცნიერების მასალებში” (1980); „დიალექტოლოგიურ კრებულში” (1988, 1989); „ეტიმოლოგიურ ძეგბანში” (1987, 1988, 1989) და სხვა რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო ორგანოებში.

VIII. ქართველურ ენათა განყოფილების თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და ივ. ჯვარიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხაზით ჩატარებულ სამეცნიერო სესიებში, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში.

ამავე განყოფილების მეთაურობით ყოველწლიურად ტარდებოდა და ტარდება რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ქართული ენის დიალექტოლოგიური ატლასის შედგენის პრინციპებისა და დიალექტოლოგიისა და ენის ისტორიის ზოგადი საკითხებისადმი (ჩატარდა თერთმეტჯერ. დაბეჭდილია მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები).

განყოფილების წევრები მონაწილეობდნენ ენათმეცნიერთა საკავშირო და საერთაშორისო კონგრესებში, სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აკად. შანიძემ, ილია აბულაძესთან ერთად, როგორც ეს აღნიშნულია სათანადო ლიტერატურაში, გაამდიდრა მსოფლიო მეცნიერება კავკასიის ალბანელების ანბანის აღმოჩენითა და შესწავლით<sup>10</sup>.

გრ. იმანიშვილი

<sup>10</sup> О. К. Жордания, Институт истории, археологии и этнографии им. акад. И. А. Джавахишвили АН ГССР, Тб., 1988, გვ. 51.

სიურ ენათა ჩვენში შესწავლის მდგომარეობის შესახებ 1942 წლის ანგარიშში მიუთითებდა (ენიმკის მოამბე, ტ. XII, 1942, გვ. 285), ერთიანი სამეცნიერო გეგმით მუშაობდა და ერთმანეთის მუშაობას ავსებდა. ძირითად პრობლემული დასახული იყო ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა, „რომელიც კავკასიურ ენათა ბრუნებისა და ულვლილების საკვანძო საკითხებს მოიცავს და კავკასიურ ენათა აგებულების ისტორიის ცენტრალურ პრობლემადაა მიჩნეული (მასთან ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც აქტუალური მნიშვნელობისაა). ფონეტიკისა და ლექსიკის საკითხების ძიება ამ ძირითად მიზანდასაჭულობასთანაა დაკავშირებული“ — წერდა არნ. ჩიქობავა (იქვე).

უკვე 1937 წლის ენიმკი-ს კავკასიურ ენათა განყოფილებას სპეციალისტები ჰყავდა კავკასიური ენების ყველა ჯგუფისათვის: აფხაზურისათვის — ს. განაშია, ქ. ლომთათიძე, აღილეურისათვის — გ. როგავა, ხუნძურისათვის (ავარიულისათვის) — არნ. ჩიქობავა, ლაკურისათვის — ვ. თოფურია, უდურისათვის — ვლ. ფანჩიძე, ქისტურისათვის — თ. გონიაშვილი, სტ. ჩხერიშვილი, ბაცბურისათვის — აკ. შანიძე. ამავე განყოფილებაში წარმოდგენილი იყო, როგორც ს. განაშია წერდა (ენიმკის მოამბე, ტ. I, გვ. XVI), ისეთი „გავავკასიებული“ ენები, როგორიცაა სომხური და ოსური (გ. ახვლედიანი).

სულ მალე, რამდენიმე წლის შემდეგ შესასწავლ ენათა არეალი გაფართოვდა. ზემოთ დასახელებულ მკვლევრებს ახალგაზრდა სპეციალისტები შეემატენ: დ. იმნაიშვილი (ინგუშური ენა) და შ. გაფრინდაშვილი (დარგული ენა). სულ მალე მათ გვერდში ამოუდგნენ: რ. გაგუა (ბაცბური ენა), ელ. ლომთაძე (კაბუჭური ენა), ევგ. ჭეირანიშვილი (უდური ენა), ილ. ცერცვაძე (ანდიური ენა) და ქ. მიქელაძე (ყაბარდოული ენა. სამწუხაროდ, იგი აღრევე, 1949 წელს გარდაიცვალა).

დიდი როლი ითამაშა ადგილობრივი კადრების მომზადების საქმეში ასპირანტურამ კავკასიურ ენებში, რომელიც იმთავითვე ჰქონდა როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ისე ენიმკი-ს.

პირველი საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც კავკასიურ ენებში მომზადდა, იყო ქ. ლომთათიძის ნაშრომი — „ძირითად დროთა წარმოებისათვის აფხაზურში“ (დაცვა: თსუ, 1938 წლის 9 ივნისს). ასევე პირველი იყო ქ. ლომთათიძის სალოქტორო დისერტაცია — „აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი (ტექსტებითურთ)“ (დაცვა — ნ. მარის სახ. ენის ინსტ., 1945 წლის 25 დეკემბერს).

ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა შემდგომი თაობაა ის თაობა, რომელიც დიდი სამამულო ომის დამთვრების შემდეგ ჩაება საკვლევაძიებო მუშაობაში. ესენი არიან ტ. გუდავა (ხუნძური, ანდიური ენები), ო. კახაძე (არჩიბული — ლეზიგური ენები), ზ. მაჟომედბეკოვა (ხუნძური ენა, ანდიური ენები), ალ. მაჟომეტოვი (დარგული, თაბასარანული, ალულური — ლეზიგური ენები).

მართალია, ერგატიული კონსტრუქცია ძირითადი სამუშაო პრობლემა იყო კავკასიური ენების შესწავლისას ჩვენში, მაგრამ იგი მაინც ნაწილი იყო არნ. ჩიქობავას მიერვე შემუშავებული ზოგადი კონცეფციისა, რომელიც ემყარებოდა იმ ამოცანებს, რომლებიც ივ. გავახიშვილმა იმთავითვე დაუსახა ახლად დაარსებულ უნივერსიტეტს ქართველოლოგიის დარგში.

ქ. ლომთათიძე წერს: „ივ. გავახიშვილმა უნივერსიტეტის დაარსებისთანავე ფართოდ მოხაზა ქართველოლოგიის ამოცანები და საკვლევაძიებო სფერო. კერძოდ, ქართული ენის ბუნებისა და ისტორიის ძიებისს იგი უდილებელი იყო და მასთან ერთად დაუსახა ახლად დაარსებულ უნივერსიტეტს ქართველოლოგიის დარგში.“

## მთის იჩვრიულ-კავკასიურ ენათა განყოფილება

1935 წლის 23 მარტს დაარსდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი. მის შემადგენლობაში შევიდა აღრე არსებული აკად. ნ. მარის სახ. კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტი, რომელიც იყო მემკვიდრე კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტისა (ეს უკანასკნელი დაარსდა 1917 წლის 1 ივნისს). ამ ინსტიტუტს დღიდან დაარსებისა სხვადასხვა რეორგანიზაციების შედეგად ბევრჯერ შეეცვალა სახელი. საბოლოოდ კი საქართველოს ფილიალის პრეზიდიუმის 1936 წლის 21 ივნისის დადგენილებით ინსტიტუტმა მიიღო სახელწოდება — „აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი“ (შემოკლებით — ენიმკი). მისი სტრუქტურა ასეთი იყო:

1. ქართველურ ენათა განყოფილება
2. კავკასიურ ენათა განყოფილება
3. ლექსიკოლოგიის განყოფილება
4. ისტორიის განყოფილება
5. არქეოლოგიის, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის განყოფილება
6. მახლობელი აღმოსავლეთის ენათა განყოფილება
7. ტერმინოლოგიის განყოფილება
8. ფონეტიკის კაბინეტი
9. ნ. მარის კაბინეტი

კავკასიურ ენათა შემსწავლელი სამეცნიერო დანაყოფი იმთავითვე იყო ენიმკის შემადგენლობაში. მის შექმნას წინ უსწრებდა კავკასიურ ენათა კათედრის დაარსება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კათედრა დაარსდა 1933 წლის თებერვალში. ამ კათედრის ინიციატივით ფილოლოგიის ფაზულტეტზე 1933/34 სასწავლო წელსვე ჩამოყალიბდა „კავკასიურ ენათა განყოფილება“, რომლის მიზანი იყო ლინგვისტ-კავკასიისმცოდნეთა, ენათმეცნიერთა მომზადება კავკასიურ ენათა მასალაზე.

თავდაპირველად კათედრაზე სულ სამი წევრი იყო: არნ. ჩიქობავა (ცუნძური ენა), ს. განაშია (აფხაზური ენა), ვ. თოფურია (ლაგური ენა). კავკასიურ ენათა განყოფილებას უკვე 1937 წელს ორი გამოშვება ჰქონდა: პირველი იანვარში — 5 კაცი (მათ შორის შ. გაფრინდაშვილი), ხოლო მეორე ივნისში — 11 კაცი (მათ შორის დ. იმნაიშვილი).

როგორც თსუ კავკასიურ ენათა კათედრა, ისე ენიმკის კავკასიურ ენათა განყოფილება დაარსებული იყო არნ. ჩიქობავის ინიციატივითა და მისი უშუალო ხელმძღვანელობით. ამან მნიშვნელოვნად განაპირობა ის ვითარება, რომ ორივე სამეცნიერო უჯრედი, როგორც ამას თვით არნ. ჩიქობავა მთის კავკა-32



ლად თვლიდა არა მარტო ქართველურ ენათა შესწავლის, არამედ ქართველურ კავკასიის ხალხების ენათა შესწავლის ისტორიულ-შედარებითი ჰქონისარმარცვანით, წინა აზის მკვდარ ენათა კვლევას ქართველურ-კავკასიურ ენებთან გენეტური ურთიერთობის თვალსაზრისით და სხვ.“ („მაცნე“, 1977, № 3, გვ. 7). ამ ზოგადი თვალსაზრისის რეალიზაცია გვაქვს თვით ივ. ჭავახიშვილის ისეთ უუნდამენტურ გამოკვლევაში, რომორიცაა „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ (1937).

ჯერ კიდევ 1924 წელს „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეულის“ I-II ტომის წინასიტყვაობაში არნ. ჩიქობავა დეტალურად განიხილავდა საკითხს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მთის კავკასიურ ენათა შესწავლა, რა კონკრეტული ამოცანები დგას ამ მხრივ და რა მეთოდებია მიზან-შეწონილი ამ ენათა შესასწავლად (იხ. „წელიწდეული“, 1924, გვ. 16—21). ამ წინასიტყვაობაში, რომელსაც საპროგრამო ხასიათი აქვს, შემდეგი დებულებებია წამოყენებული:

„ა) ქართულის გარდა მთის კავკასიურ ენათა ანალიზი უნდა იყოს ჩვენი ყურადღების ცენტრში.

ბ) ამ ენათა ისტორია უნდა ვიკელიოთ ისტორიულ-შედარებითი მეთოდით, რომელიც ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში გამომუშავდა.

გ) რაც შეეხება იბერ.-კავკასიურ ენათა „აღწერით ანალიზს“, ყოველთვის როდი გამოვგადგება ის ცნებები, რომლებიც ინდოევროპულ ენათა გრამატიკებს შეუქმნიათ; ამიტომ არ უნდა დავერიდოთ ალსაჭერი სინამდვილის შესაბამისი ახალი ცნებების ჩამოყალიბებასა და სათანადო ახალი ტერმინების შექმნას.

დ) იბერ.-კავკასიურ ენათაგან მხოლოდ ქართულია ძველი მწერლობის მქონე ენა. ამიტომ იბერ.-კავკასიურ ენათა ისტორიის შესწავლისას დიალექტთა ჩვენება სრულად უნდა აღირიცხოს („დესკრიფციული მომენტი პირველ ყოვლისა“); ენის ისტორიის ენის გეოგრაფია უნდა შეეშველოს.

ე) იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლა მეცნიერულად მნიშვნელოვანია, ჯერ ერთი, ამ ენათა „ბუნებისა და ურთიერთობის“ თვალსაზრისით და, მერე, ზოგადი ენათმეცნიერული თვალსაზრისით.“

ეს დებულებები უდევს საფუძვლად დღესაც განყოფილების<sup>2</sup> მუშაობას. ამ ენათა შესწავლა განყოფილებაში ორი ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობდა (და დღესაც ასეა):

1. მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა აღწერითი (დესკრიფციული) შესწავლა, რაც გულისხმობს ცალკეული ენების (დიალექტების) სისტემატურ ანალიზს; ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკის ცალკეული საკითხების დამუშავებას დიალექტურ მონაცემთა რაც შეიძლება სრული გათვალისწინებით.

2. ამ ენათა ისტორიული (დიაქრონიული) და ისტორიულ-შედარებითი შესწავლა და ამ ენათა გენეტური ურთიერთობების, მათი არამონათესავე ენებთან კონტაქტების კვლევა.

დღემდე განყოფილების თანამშრომლებმა ამ ენათა შესახებ რამდენიმე ათეული მონოგრაფიული გამოკვლევა გამოაქვეყნეს:

<sup>1</sup> ქვემომოყვანილი სახით დებულებებია შემდეგაა ფორმულირებული არნ. ჩიქობავასვე მიერ (იხ. ივგ, XVII, 1970, გვ. 10-11).

<sup>2</sup> 1946 წლიდან — მას შემდეგ, რაც შემოღებულ იქნა ტერმინი „მდგრისულ-კავკასიური ენები“ — განყოფილებას ეწოდება „მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილება“.

ა) დაიბეჭდა გამოკვლევები, რომელშიც ცალქაული ენის (დიალექტის) მთლიანი ანალიზია მოცემული: ქ. ლომთათიძე, აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი (1944); ქ. ლომთათიძე, აშხარული დიალექტი და მისი აღვიჩეული აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის (1954); არნ. ჩიქობავა, ოლ. ცერცვაძე, ხუნძური ენა (თსუ, 1962); ტ. გუდავა, ბოთლიხური ენა (1963); ა. მაპომეტოვი, კუბაჩური ენა (1963, რუს. ენ.); დ. იმნაიშვილი, დიდოური ენა ჰინუხურთან და ხვარშიულთან შედარებით (1963, რუს. ენ.); ე. ლომთაძე, დიდოური ენის ჰინუხური დიალექტი (1963, რუს. ენ.); ილ. ცერცვაძე, ანდიური ენა (1965); ა. მაპომეტოვი, თაბასარანული ენა (1965, რუს. ენ.); გ. როგავა, ზ. კერაშევა, ადილეური ენის გრამატიკა (კრასნოდარი-მაკობი, 1966, აღიღეს სამეცნ.-კვლ. ინსტ. ერთად); ზ. მაპომედბეკოვა, ახვახური ენა (1967, რუს. ენ.); ა. მაპომეტოვი, ალულური ენა (1970, რუს. ენ.); ევგ. ჯერანიშვილი, უდიური ენა (თსუ, 1971); ზ. მაპომედბეკოვა, კარატული ენა (1971, რუს. ენ.); ტ. გუდავა, ბაგვალური ენა (1971); ვლ. ფანხივიძე, უდურის გრამატიკული ანალიზი (1974); ო. კახაძე, არჩიბული ენა და მისი ადგილი დალესტნის მონათესავე ენათა შორის (1979); პ. უსლარი, კავკასიის ეთნოგრაფია. ენათმეცნიერება. VII. თაბასარანული ენა. გამოსაცემად მოამზადა ოლ. მაპომეტოვმა (1979, რუს. ენ.); ვვგ. ჯერანიშვილი, წახური და მუხალური ენები, I—II (1783—84); ა. მაპომეტოვი, დარგული ენის მეცებური დიალექტი (1982, რუს. ენ.).

ბ) ფონეტიკის, გრამატიკული სტრუქტურის, სინტაქსისა და ლექსიკის, შესწავლის ისტორიის ცალკეულ საკითხებს მიეკლვნა მონოგრაფიები, წიგნები: ფონეტიკური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია, I (1937), II (1940); არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I (1948), II (1961); გ. როგავა, სახელის ფუძის აგებულებისა და გრამატიკული კლასების ისტორიისათვის აღიღურ (ჩერქეზულ) ენებში (1956, რუს. ენ.); გ. თოფურია, ლეზგიური ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეగორიები (1959); არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია (1965); შ. გაფრინდაშვილი, დარგული ენის ფონეტიკა (1966, რუს. ენ.); ლ. ლვინჭილია, არსებით სახელთა მრავლობითის წარმოება დარგულისა და ლაკურში (1979); ა. მაპომეტოვი, პ. უსლარი — დალესტნურ ენათა მკვლევარი (მაპაჩყალა, 1979); ქ. ლომთათიძე, ლოკალურ პრევერბთა ძირითადი სახეობანი და მათი გაფორმება აფხაზურსა და აბაზურში (1981); ელ. ლომთაძე, სიტყვათმახვილი დიდოურ ენაში (1984); დ. ქადაგიძე, ნ. ქადაგიძე, წოვა-თუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი (1984); ზ. კერაშევა, ფინიტური და ინფონიტური ზმნებიანი წინადადებანი აღიღურ ენებში (1984, რუს. ენ., აღიღეს პედ. ინსტ. ერთად); ო. კახაძე, პურეულის ლექსიკა ქართულში (1987).

გამოიცა ს. ჯანაშიას შრომების III (1959) და IV (1968) ტომები, რომლებშიც ს. ჯანაშიას კავკასიონლოგიური ნაშრომებია შეტანილი.

გ) გამოქვეყნებულია რამდენიმე შემახამებელი, განმაზოგადებელი ნაშრომი, რომლებიც მთის კავკასიურ ენათა ცალკეული გვერდების თუ ქვეგზუფების ფონეტიკისა და მორფოლოგის ისტორიულ-შედარებით შესწავლას ეძღვნება: ტ. გუდავა, ზმნურ ფუძეთა შედარებითი ანალიზი ხუნძურსა და ანდიურ ენებში (მაპაჩყალა, 1959); ტ. გუდავა, ანდიურ ენათა კონსონანტიზმი (1964, რუს. ენ.); ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. 1. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები (1976); დ. იმნაიშვილი, ნახურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი

ანალიზი (1977, რუს. ენ.); ტ. გუდავა, დიდოურ ენათა კონსონანტური ტორიულ-შედარებითი ანალიზი (1979, რუს. ენ.); ო. კახაძე, გრამატიკული კლასები ლეზგიურ ენებში (1985). აქვე უნდა დავისახელოთ: არქ. ჩიქოვანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი (თსუ, 1979).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1970 წლის 31 დეკემბრის დადგენილებით, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს ბიუროს 1970 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებითა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების ბიუროს 1970 წლის 8 დეკემბრის დადგენილებით 1974 წლიდან გამოდის „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწლეული“ — საკავშირო კავკასიონლოგიური ორგანო, რომელიც იბერიული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გრიფით. გამოცემის საყრდენ ბაზას წარმოადგენს არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილება. „წელიწლეულის“ დამაარსებელი და მისი მთავარი რედაქტორი იყო არნ. ჩიქობავა. 1990 წელს გამოვიდა XVII ტომი.

დღეს განყოფილებაში 23 თანამშრომელია, მათ შორის: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი — 8 (აკად. ქ. ლომთათიძე, გ. ბურჟულაძე, გ. თოფურია, ო. კახაძე, ზ. მაპომელბეკოვა, ა. მაპომეტოვი, ილ. ცერცვაძე, კ. ჭრელაშვილი), ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი — 13 (თ. გვარულაძე, ლ. ზვიადაშვილი, ვლ. კიკილაშვილი, ნ. მაჭავარიანი, ლ. სანიკიძე, ტ. სიხარულაძე, ნ. სტურუა, რ. ფარეულიძე, ლ. ლვანჯიშვილი, ბ. შავხელიშვილი, კ. შენგელია, მ. ჩუხუა, რ. განაშია); მეცნიერი თანამშრომელი — 2 (ლ. მარგარიანი, თ. შარმანაშვილი).

განყოფილების უცვლელი ხელმძღვანელი გარდაცვალებამდე (1985 წლის 5 ნოემბრამდე) იყო არნ. ჩიქობავა. შემდეგ განყოფილებას ხელმძღვანელობდა ქ. ლომთათიძე (1987 წლის 1 ნოემბრამდე). დღეს განყოფილების გამგეა გ. თოფურია.

გ. თოფურია

## ლექსიკოლოგის განყოფილება

ლექსიკოლოგის განყოფილება დაარსდა ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში (ენამე) 1936 წლის მაისში. გამგედ დაინიშნა ვარლამ თოფურია. განყოფილებაში მაშინ ორი შტატის თანამშრომელი იყო: მერი გუჯეჭიანი და არისტარხ ცხადაძე. ხელშეკრულებით მუშაობდა 15 თანამშრომელი.

განყოფილების გეგმაში იყო: მასალების ამოწერა ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ლექსიკონისათვის, ეტიმოლოგიების ამოწერა საენათმეცნიერო და საინტორიო ლიტერატურიდან, მასალების ამოწერა სხვადასხვა ლიტერატურული ნაწარმოებიდან ქართული განმარტებითი ლექსიკონისათვის...

მოკლე ხანში გამოიცა: არნოლდ ჩიქობავას „ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“ (1938), ვ. თოფურიას და სიმონ ყაუხეჩიშვილის — „რუსულ-ქართული ლექსიკონი (სასკოლო)“ (იმავე 1938), გიგო შარაშიძის — გურული, ბაბო ვასილის ა. წერეთლის — ზემომერული, მიხეილ ალავიძის — ლექსუმური ლექსიკონები (ერთ წიგნად) საერთო სათაურით: ქართველურ ენა-თა ლექსიკა, I (1939).

გამზადდა დასაბეჭდად:

1. ქართველურ ენათა ლექსიკა, II:

- ა) შოთა ძიძიგურისა და პავლე ხუბუტიას — ქართლური ლექსიკონი.
- ბ) სტეფანე მენოვაშვილის — ქიზიური ლექსიკონი (გამოიცა 1943 წ.).

2. გიორგი ახვლედიანისა და ვ. თოფურიას — ქართულ-რუსული ლექსიკონი (გამოიცა 1950 წ.).

3. ორთოგრაფიული ლექსიკონი (სასკოლო). შემოგენლები — ვ. თოფურია და ივანე გიგინეიშვილი (გამოიცა 1941, 1946 და 1949 წლებში).

მზადდებოდა გამოსაცემად (რედაქციის გადიოდა) თედო სახოვასის — ხატოვან სიტყვა-თქმათა ლექსიკონი [გამოიცა მხოლოდ 1950—55 წლებში (სამ წიგნად) და 1979 წელს (უკვე ერთ წიგნად)].

1941 წელს დამთავრდა ქართული განმარტებითი ლექსიკონისათვის სიტყვანის შედგენა (სულ 260.000 ბარათი).

\* \* \*

1945 წლის ივლისში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის კომისია, რომელსაც დაევალა რვატომიანი განმარტებითი ლექსიკონის შედგენის ხელმძღვანელი.

<sup>1</sup> ეს ლექსიკონი სტამბურად დაიბეჭდა მხოლოდ ვ. შ. მინაკვეთი (ნუო კეცხოველის, შ. ძიძიგურისა და ვ. ხუბუტიას ივტორიობით 1942 წ.); არ გამოცემულა.



ლობა; კომისიის თავმჯდომარე — არნ. ჩიქობავა, წევრები: გიორგი ახოურუფაშვილი ვუკოლ ბერიძე, სიმონ ვაჩაძე, ვარლამ თოფურია, თამარ ლომოუაშვილებელა წერეთელი, სიმონ ჯანაშია, სწავლული მდივანი — ბიძინა ფოჩხუა (1945), სტ. შენთეშაშვილი (1946-1951), შიხეილ ჭაბაშვილი (1951-1958).

განმარტებითი ლექსიკონის კომისიის განკარგულებაში იყო სიტყვანი, შედგენილი ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების მიერ წინა (1936-1941) წერებში.

სიტყვანის რეცენზენტებად კომისიამ მოიწვია მწერლები იოსებ გრიშაშვილი, ილია ზურაბიშვილი, დავით ქასრაძე და თ. სახოკია. მათ განიხილეს მთელი სიტყვანი.

1946 წლის გაზაფხულიდან ჩამოყალიბდა ოთხი სარედაქციო კომისია განმარტებული მასალის განსახილველად (თავმჯდომარები: გ. წერეთელი, ვ. ბერიძე, ს. ვაჩაძე, სოლომონ იორდანიშვილი). 1947 წლის შემოდგომიდან დამატებით შეიქმნა ახალი კომისია გ. ახვლედავანის, ხოლო 1948 წლიდან — ქეთევან ლომთათიძის თავმჯდომარეობით. ამ კომისიებში ენათმეცნიერთა გარდა აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მწერლები: ი. ზურაბიშვილი, თ. სახოკია, გერონტი ქიქოძე, ისტორიკოსი თ. ლომოური, ბოტანიკოსი ალექსანდრე მაყაშვილი.

ქეგლის სამუშაო პარატს წარმოადგენდა ენის (1950 წლიდან — ენათმეცნიერების) ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილება, რომელიც ახლად დაკომპლექტდა შემდეგი თანამშრომლებით: რუსუდან გაგუა, ს. ვაჩაძე, ს. იორდანიშვილი, სტ. მენთეშაშვილი, ევგენი ჭეირანიშვილი, ნადეჟდა საბაშვილი, ნინო საყვარელიძე და ბაბო ივანეს ასული წერეთელი.

1949 წლის ოქტომბერში შეიქმნა ლექსიკონის მთავარი რედაქცია ასეთი შემადგენლობით: არნ. ჩიქობავა (თოვარი რედაქტორი), ე. ახვლედავანი, ს. ვაჩაძე, ვ. თოფურია, ვიქტორ კუპრაძე, თ. ლომოური, გ. წერეთელი. 1951 წელს შასში შეყვანილ იქნენ: ი. გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე, სტ. მენთეშაშვილი, 1953 წელს — სწავლული მდივანი ივ. გიგინეიშვილი, ვასილ ეგნატაშვილი, ნიკო კეცხოველი და ქ. ლომთათიძე, 1955 წელს — ნიკოლოზ მუსხელიშვილი.

ქეგლის I ტომში (ა — ბ) შესული სიტყვების განმარტებაში მონაწილეობდნენ ლექსიკოლოგიის განყოფილების თანამშრომლები: რ. გაგუა, პოლი-ეგეტ ვაჩეჩილაძე, ს. ვაჩაძე, სტ. მენთეშაშვილი, ნ. საბაშვილი, ნ. საყვარელიძე, ბ. ი. წერეთელი, მ. ჭაბაშვილი, ე. ჭეირანიშვილი, მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების თანამშრომელი შოთა გაფრინდაშვილი, მოწვეულ პირთაგან — ბ. ვ. წერეთელი.

I ტომის რედაქტორისათვის მასალის შემზადებაში (პირველი რედაქციაში) მონაწილეობას იღებდნენ ლექსიკოლოგიის განყოფილების თანამშრომლები: მ. ჭაბაშვილმა და ე. ჭეირანიშვილი, სხვა განყოფილებებიდან: შ. გაფრინდაშვილი, ივ. გიგინეიშვილი და ილია ცერცვაძე, მოწვეულ პირთაგან — იოსებ ტატიშვილი.

მთელი ტომის დედანი წაიკითხეს და რეცენზია წარმოადგინეს მთავარი რედაქციის წევრმა ვ. კუპრაძემ, ლექსიკოლოგიის განყოფილების თანამშრომელმა მ. ჭაბაშვილმა, მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებიდან — ვლადიმერ ფანჩიძემ, აგრეთვე ივ. გიგინეიშვილმა და შ. გაფრინდაშვილმა.

ქეგლის I ტომი გამოვიდა 1950 წელს (ტომის რედაქტორი — არნ. ჩიქობავა).



II ტომის (ვ. ასოჩე) ძირითადი სიტყვანის მასალა განმარტეს ლექსიკონის განყოფილების თანამშრომლებმა: რ. გაგუამ, ს. იორდანიშვილმა, ნ. საბაშვილმა, ნ. საყვარელიძემ, ბ. წერეთელმა, ე. ჭეირანიშვილმა, სხვა განყოფილებათა თანამშრომლებმა: თამარ სალარიძემ, მზია ინდრონიკაშვილმა, ალექსი ლეკიაშვილმა, კონსტანტინე წერეთელმა.

დამატებით გამოვლენილი სიტყვები განმარტეს: ლექსიკოლოგის განყოფილებიდან — პ. გახეჩილაძემ, ოტია კახაძემ, მაია კახიძემ, ლია ლეჭავაძემ, სტ. მენოვაშვილმა, ბეგატრისა საბაშვილმა, ვენერა ხაინდრავაძემ, ახლო აღმოსავლეთის ენების განყოფილებიდან — ვლადიმერ ახვლედიანმა.

ტომის რედაქტორისათვის სიტყვები შეამზადეს: ირინე ასათიანმა, ლილი ასათიანმა, რ. გაგუამ, პ. გახეჩილაძემ, სტ. მენოვაშვილმა, ბ. საბაშვილმა, ე. ჭეირანიშვილმა, ა. ლეკიაშვილმა, კ. წერეთელმა.

მთელი ტექსტის დედანი წაიკითხა და რეცენზია დაურთო მ. ჭაბაშვილმა, მასალის ნაწილი წაიკითხა და აკრეთვე რეცენზია წარმოადგინა ე. ჭეირანიშვილმა.

ტომის რედაქტორისათვის შემზადების მიზნით მასალას რეცენზია გაუკეთეს ი. ზურაბიშვილმა, თ. ლომოურმა და შ. გაფრინდაშვილმა.

სასტამბოდ გამზადებული მასალა მთლიანად წაიკითხა ვ. კუპრაძემ. დედანი და საკონტროლო კორექტურა მთელი ტექსტისა წაიკითხეს და რეცენზია დაურთოს: თამარ ყიასაშვილმა, ი. გიგინეიშვილმა, ა. ლეკიაშვილმა და მ. ჭაბაშვილმა, მასალის ნაწილი წაიკითხეს აკრეთვე ვლ. ფანჩევიძემ და ე. ჭეირანიშვილმა.

II ტომი გამოიცა 1951 წელს (ტომის რედაქტორი — ვ. წერეთელი).

III ტომის (დ — ე) ძირითადი სიტყვანის მასალის განმარტებაში მონაშილეობდნენ: რ. გაგუამ, პ. გახეჩილაძე, სტ. მენოვაშვილი, ნ. საბაშვილი, ნ. საყვარელიძე, ბ. ი. წერეთელი, მ. ჭაბაშვილი, ე. ჭეირანიშვილი, შ. გაფრინდაშვილი და ბ. ვ. წერეთელი; დაბატებით გამოვლენილი სიტყვები განმარტეს: ი. ასათიანმა, ო. კახიძემ, მ. კახიძემ, ბ. საბაშვილმა.

რედაქტორისათვის მასალის შემზადებაზე მუშაობდნენ: ი. ასათიანი, ლ. ასათიანი, სტ. მენოვაშვილი, ნ. საყვარელიძე, ნათელა ცეტიშვილი, ე. ჭეირანიშვილი, ქართველურ ენათა განყოფილების თანამშრომლები: გრიგოლ იმნაიშვილი, ანტონ კიზირია, ლ. ლეჭავა, არამ მარტიროსოვი, ივანე ქავთარაძე, მაქსიმე ქალდანი.

ამ სახით შემზადებული მასალის ნაწილს წინასწარი რედაქცია გაუკეთეს თ. ყიასაშვილმა და მ. ჭაბაშვილმა.

განმარტებულ მასალაზე რეცენზიები წარმოადგინეს თ. ლომოურმა და ი. ზურაბიშვილმა.

მთელი ტექსტი წაიკითხა ვ. კუპრაძემ, ნაწილი — ნ. კეცხოველმა.

სასტამბოდ გამზადებული მასალის სხვადასხვა მონაკვეთი წაიკითხეს და შენიშვნები დაურთოს: ი. გიგინეიშვილმა, თ. ყიასაშვილმა, სტ. მენოვაშვილმა, ა. მარტიროსოვმა, შ. გაფრინდაშვილმა, ხოლო მთელი ტექსტი — მ. ჭაბაშვილმა.

III ტომი გამოვიდა 1953 წელს (რედაქტორი — ვ. თოფურია).

IV ტომის (ვ—ლ) ძირითადი სიტყვანის მასალის განმარტებაში მონაშილეობდნენ: ს. ვაჩაძე, ს. იორდანიშვილი, მ. კახიძე, მ. ჭაბაშვილი, შ. გაფრინდაშვილი, დავით იმნაიშვილი, თ. სალარიძე; მოწვეულ პირთაგან — ილია

ბაკურაძე, ნუცა ლოლობერიძე, ქრისტინე შარაშვილე, ონოფრე შუმანია, დავით გურიაშვილი  
ჭერიაშვილი, გიორგი განმარტეს: ი. ასათიანმა, რ. გაგუამ, პ. გა-  
ხეჩილაძემ, ო. კახაძემ, სტ. მენთეშვილმა, ბ. საბაშვილმა, ნ. საბაშვილმა,  
ნ. საყვარელიძემ, ბ. წერეთელმა, ვ. ხაინდრავამ, ე. ჭეირანიშვილმა.

ტომის რედაქტორებისათვის სიტყვები განმარტეს: ი. ასა-  
თიანი, ლ. ასათიანი, პ. გახეჩილაძე, ო. კახაძე, ბ. საბაშვილი, ნ. საყვარელიძე,  
ბ. წერეთელი, რ. გაგუა, ე. ჭეირანიშვილი, სხვა განყოფილებიდან — გრ.  
ომნაიშვილი, ა. კიზირია, ა. მარტიროსოვი, თ. შარაძენიძე, ი. ცერცვაძე.

განმარტებული მასალა წაიკითხეს და რეცენზია დაურთეს: ი. ზურა-  
ბიშვილმა, თ. ლომოცურმა და ი. ტატიშვილმა.

სასტამბოდ გადაწერილი სიტყვების ნაწილი წაიკითხეს და რეცენზია და-  
ურთეს: ი. ასათიანმა, რ. გაგუამ, პ. გახეჩილაძემ, ბ. საბაშვილმა, ნ. საყვარე-  
ლიძემ, მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებიდან — ტოგო გუდაუამ  
და ელიზბარ ლომთაძემ, მოწვეულ პირთაგან — თ. ყიასაშვილმა.

ტექსტი (კორექტურაში) წაიკითხა და რედაქტორებს შენიშვნები მიაწოდა  
სტ. მენთეშვილმა.

IV ტომი გამოვიდა 1955 წელს (რედაქტორები — არნ. ჩიქობავა, მ. ჭა-  
ბაშვილი).

V ტომის (მ—ნ) ძირითადი სიტყვანის მასალა განმარტეს: რ. გაგუამ,  
ს. ვაჩაძემ, მ. კახაძემ, ნ. საბაშვილმა, ნ. საყვარელიძემ, ბ. წერეთელმა, მ. ჭა-  
ბაშვილმა, ე. ჭეირანიშვილმა, შ. გაფრინდაშვილმა, თ. სალარიძემ, მოწვეულ  
პირთაგან: ქეთევან დათიკაშვილმა, ი. ტატიშვილმა, ნ. ლოლობერიძემ, ბ. ვ. წე-  
რეთელმა, ღ. ჭყონიამ, ნათელა ჭავახიშვილმა, დამატებით გამოვლენილი სიტყ-  
ვები — ი. ასათიანმა, მაყვალა გალდავაძემ, პ. გახეჩილაძემ, ო. კახაძემ, ლ. ლე-  
შავაძემ, ბ. საბაშვილმა, ნ. ცეიტიშვილმა, ვ. ხაინდრავამ.

სიტყვები სარედაქციოდ შეამზადეს: რ. გაგუამ, ო. კახაძემ, მერი მესხი-  
შვილმა, ბ. საბაშვილმა, ნ. საბაშვილმა, ბ. წერეთელმა, თ. შარაძენიძემ და  
ი. ცერცვაძემ.

მთელი მასალის დედანი წაიკითხა და რეცენზია დაურთო მ. ჭაბაშვილმა.  
დედნის ერთი ნაწილის რეცენზია წარმოადგინა ლამარა ნოზაძემ.

განმარტებული მასალა წაიკითხეს და რეცენზია დაურთეს: თ. ლომო-  
ცურმა, ი. ტატიშვილმა, ი. ზურაბიშვილმა, ე. ლომთაძემ და ტ. გუდაუამ.

მი- და მო-პრევერბიანი ზმნების განმარტებანი ერთმანეთს შეუთანხმა.  
მ. გალდავაძემ.

აწყობილი ტექსტი წაიკითხა და შენიშვნები მოგვაწოდა ნ. კეცხოველმა.  
მასალის ერთი ნაწილის წინასწარ რედაქციაში ტომის რედაქტორებს და-  
ეხმარენ თ. შარაძენიძე და მ. მესხიშვილი.

V ტომი გამოვიდა 1958 წელს (რედაქტორები — ს. ვაჩაძე, მ. კახაძე).

VI ტომში შესული სიტყვების (ო—უ ასოებზე) განმარტებაში მონაწი-  
ლეობდნენ: ი. ასათიანი, ლ. ასათიანი, რ. გაგუა, პ. გახეჩილაძე, ო. კახაძე,  
მ. კახიძე, ლ. ლეშავა, მ. მესხიშვილი, ბ. საბაშვილი, ნ. საბაშვილი, ნ. საყვარე-  
ლიძე, ბ. ი. წერეთელი, ვ. ხაინდრავა, ე. ჭეირანიშვილი, შ. გაფრინდაშვილი,  
ღ. იმნაიშვილი, თ. სალარიძე, ქ. დათიკაშვილი, ი. ტატიშვილი, ნ. ლოლობერი-  
ძე, ვ. წერეთელი, კ. წერეთელი, ღ. ჭყონია.



იმავე თანამშრომლებმა შეამზადეს სიტყვები ტომის რედაქტორებისა—  
თვის.

განმარტებული მასალა წაიკითხეს და რეცენზია დაურთეს: ი. ზურაბი-  
შვილმა, თ. ლომოურმა და ნ. ლოლობერიძემ.

რედაქტორებული მასალის რეცენზია წარმოადგინეს ბ. ფოჩხუამ და მ. ჭა-  
პაშვილმა.

მთელი ტექსტი კორექტურაში წაიკითხეს და რედაქტორებს შენიშვნები  
მასში დასახურდეს: ნ. კეცხველმა, მ. ჭაბაშვილმა, სტ. მენთეშაშვილმა და პ. გაჩეჩი-  
ლაძემ.

VII ტომი გამოვიდა 1960 წელს (რედაქტორები — თ. შარაძენიძე, მ. მეს-  
ხიშვილი).

VIII ტომის (ფ—ჟ) ძირითადი სიტყვანის მასალის განმარტებაში მონაწი-  
ლეობდნენ: ი. კახაძე, მ. კახიძე, ლ. ლეჭავა, ბ. საბაშვილი, ნ. საბაშვილი,  
ბ. წერეთელი, ე. ჯეირანიშვილი, შ. გაფრინდაშვილი, დ. იმნაიშვილი, დ. ჭყო-  
ნია.

ახლად გამოვლენილი სიტყვები განმარტებს და მთელი მასალა ტომის რე-  
დაქტორებისათვის შეამზადეს: ი. ასათიანმა, ლ. ასათიანმა, თამარ ბერიძა-  
შვილმა, რ. გაგუამ, პ. გაჩეჩილაძემ, სტ. მენთეშაშვილმა, მ. მესხიშვილმა,  
ნ. საყარაულიძემ, ნ. ცქიტიშვილმა, ვ. ხაინდრავამ.

განმარტებული მასალა წაიკითხეს და რეცენზია დაურთეს: ი. ზურაბი-  
შვილმა, თ. ლომოურმა, ნ. ლოლობერიძემ.

ჩამოყალიბების მომენტში განყოფილება (გამგის გარდა) 8 თანამშრომლისგან შედგებოდა. აქედან 5 თანამშრომელი სხვა განყოფილებებიდან იქნენ გადმოყვანილი. ესენია ფილოლოგის მეცნ. კანდიდატები ნინო საყვარელიძე და რუსულან გაგუა; უმცროსი მეცნ. თანამშრომლები ნინო ვაჩაძე, ლია კარშაური და მარიამ ნედოსპასოვა. სამი თანამშრომელი სპეციალური კონკურსის გავლით იქნენ მიღებული: ფილოლოგის მეცნ. კანდიდატი ლატავრა ლვალაძე, მაკა დგებუაძე და მზია მრევლიშვილი. განყოფილების გამგედ (კონკურსის გავლით) თბილისის უნივერსიტეტის რუსული ენის კათედრიდან გადმოყვანილი იქნა ფილოლოგის მეცნ. კანდიდატი ალექსანდრე კობახიძე.

ახლადშექმნილი განყოფილების თანამშრომლები ჩაებნენ ზემოხსენებული რუსულ-ქართული ლექსიკონის II და III ტომების კორექტურის სწორებაში (ლექსიკონის II ტომი გამოვიდა 1958 წ., ხოლო III ტომი — 1959 წ.). ამის შემდეგ დაისახა განყოფილების მუშაობის ახლობელი და პერსპექტიული გეგმები.

ლექსიკოგრაფიული მუშაობის ჩვევების გამომუშავების მიზნით ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ქ. ლომთათიძე, თუ შეიძლება ითქვას, შეფობას

უწევდა ახლადშექმნილი თარგმნითი ლექსიკონების განყოფილების მუშაობას, განსაკუთრებით ძნელად სათარგმნი სიტყვების გაღმოცემაში, რომელიც უკრაინული ეროვნული რეალიების ამსახველი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, კვების პოლიტები და მისთ. ამგვარი ძნელად სათარგმნი სიტყვების შემცველი სია მთლიანად განყოფილების სხდომებზე იქნა დამუშავებული პროფ. ქ. ლომთათიძის ხელმძღვანელობით. განმარტებითი და ეტიმოლოგიური ლექსიკონების გარდა, მოშველიებული იყო დიალექტების მონაცემები (დიალექტური ლექსიკონები), ძველი ქართულის ლექსიკა, სულხან-საბას ლექსიკონი, ნ. და დ. ჩუბინაშვილების ლექსიკონები, შინამრეწველობის მასალები და სხვ.

უახლესი მომავლისათვის განყოფილებას დაევალა რუსულ-ქართული სამტომეული ლექსიკონის ბაზაზე (სამტომეული ლექსიკონი 64.683 სიტყვას შეიცავს) დაემუშავებინა და შეეღინა ერთომეული რუსულ-ქართული ლექსიკონი, დაახლოებით 50 ათასი სიტყვის შემცველი.

რუსულ-ქართული ერთომეული ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიაში შევიდნენ აკად. ქ. ლომთათიძე (სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე), ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატი ალ. კობახიძე (თავმჯდომარის მოადგილე), ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატები რ. გაგუა, ნ. გაჩინაძე, ლ. კაშაური, მ. მრევლიშვილი, ნ. საყვარელიძე. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ განიხილა და დამტკიცა ლექსიკონის შედეგების ინსტრუქცია.

განყოფილება აღრევე შეუძვა რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონების საილუსტრაციო ფონდების შექმნას. ამ ფონდების მასალა ამოწერილია 1) რუს მწერალთა თხზულებებიდან და ამ თხზულებათა ქართული თარგმანებიდან და 2) ქართველ მწერალთა თხზულებებიდან და მათი რუსული თარგმანებიდან. დღეისათვის ამოწერილია 900.000-შედე ბარათი. ფონდების შევსება გრძელდება (წელიწადში დაახლოებით 25 ათასი ბარათით). ეს ფონდები დიდ დახმარებას უწევს ლექსიკონის შემდგენლებს.

გარდა ამისა, განყოფილებამ შებრუნებით ამოწერა ცალკე ბარათებზე თბილისის უნივერსიტეტის მიერ 1937 წ. გამოცემული რუსულ-ქართული ლექსიკონის მთელი მასალა. ასევე შებრუნებული სახით ცალკე ამოწერილია ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ გამოცემული სამტომეული რუსულ-ქართული ლექსიკონი.

მოსამართებელი სამუშაოების შესრულების შემდეგ განყოფილება შეუდგა რუსულ-ქართული ლექსიკონის (ერთომეულის) შედეგენას. ზოგიერთი ძნელად სათარგმნი სიტყვა. რისი თარგმნაც განყოფილებაში ვერ მოხერხდა, განყოფილებას სათანადო მასალითურთ გამოკვენდა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე განსახილველად. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აკად. ქ. ლომთათიძის მუდმივი და უანგარო დახმარება ლექსიკონის შედეგენაში და საერთოდ განყოფილების მუშაობის ნორმალურად წარმართვაში.

დათქმულ ვადაზე ერთგვარი დაგვიანებით, მაგრამ განყოფილებამ დაასრულა რუსულ-ქართული ლექსიკონის ერთომეულზე მუშაობა. ლექსიკონი გადაეცა „საბჭოთა საქართველოს“ გამომცემლობას 1976 წ. სტამბისა და გამომცემლობის სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური მიზეზებით ლექსიკონი მხოლოდ 1983 წელს გამოვიდა.

ერთომეული რუსულ-ქართული ლექსიკონის შედეგენისთანავე დაიწყო სამზადისი ქართულ-რუსული ლექსიკონის შესაღენად. თავდაპირველად ივარაუდებოდა ქართულ-რუსული ლექსიკონის სამტომეულის შედეგენა. ინსტი-



ტუტის სამეცნიერო საბჭომ იმსჯელა ამ საკითხზე და მიზანშეწონილად ჩითავაული ლა ჭერ ერთ ტომად შემდგარიყო ქართულ-რუსული ლექსიკონი. დაუშესრულებული თანადო ინსტრუქცია და ჩამოყალიბდა გვითავი, რომელსაც დაევალა ამ ლექსიკონის შედგენა. ამ გვითავი შედიოდნენ განყოფილების მაშინდელი ჩემადგენ-ლობიდან ნ. ვაჩნაძე, ნ. გვარამაძე, ლ. კაიშაური, ა. კობახიძე, ც. ლორთქიფა-ნიძე, ნ. მირიანაშვილი, მ. მრევლიშვილი, ნ. საყვარელიძე და ღ. შაბალინა. ლექსიკონის შედგენის ინსტრუქცია განიხილა და დამტკიცა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ.

ქართულ-რუსული ლექსიკონის შედგენა დამთავრებულია. ამჟამად ხდება მისი სასტამბოდ გამზადება.

ქართულ-რუსული ლექსიკონის შედგენასთან ერთად განყოფილებაში გა-იშალა მუშაობა ვრცელი რუსულ-ქართული ლექსიკონის შესადგენად. ნავა-რაუდევია ლექსიკონი (დაახლოებით 100.000 სიტყვა-სტატიის შემცველი) 4 ტომად გამოვიდეს. ამ ლექსიკონის შედგენაზე მუშაობა ძირითადად დამთავრებულია. დაიწყო მისი რედაქტირება.

თუმცა განყოფილების თანამშრომელთა საქმიანობის ძირითადი დრო ლე-ქსიკონების შედგენას ხმარდება, ისინი (განყოფილების თანამშრომლები) მაინც ახერხებენ თავისუფალ დროს საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებაზე მუშა-ობას. ნაწილმა შეძლო კიდევაც სამეცნიერო სტატიების თუ მონოგრაფიების გამოქვეყნება და სამეცნიერო ხარისხის დაცვა. კერძოდ, განყოფილების ხუთ-მა თანამშრომელმა — ნ. ვაჩნაძემ, ლ. კაიშაურმა, ნ. მირიანაშვილმა, მ. მრევ-ლიშვილმა და ღ. შაბალინამ დაიცვა დისერტაცია ფილოლოგის მეცნ. კანდი-დატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

გამოაქვეყნეს მონოგრაფიები თანამშრომლებმა: ლ. კაიშაურმა „მთიულუ-რის დარგობრივი ლექსიკა“, „მეცნიერება“, 1967; მანე „მთიულური ტექსტე-ბი“, „მეცნიერება“, 1978; ნ. ვაჩნაძემ „ზოგიერთი რუსული პრეცერბიანი ზმინის ქართულად გადმოცემის საშუალებანი (რუსულ-ქართული ლექსიკონების მიხედ-ვით)“, „მეცნიერება“, 1980; ნ. მირიანაშვილმა „ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულსა და რუსულ ენებში“, „მეცნიერება“, 1986; ალ. კობახიძემ „რაჭუ-ლი დიალექტის ლექსიკონი (მასალები)“, „მეცნიერება“, 1987.

განყოფილებაში გაიარა ასპირანტურის კურსი ერთმა პირმა — გ. ბერდუ-ქიძემ და დაიცვა დისერტაცია ფილოლოგის მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

თავის დროზე განყოფილების თანამშრომლები მონაწილეობას ღებულობ-დნენ ინსტიტუტის მიერ შედგენილი ქართული ენის ინვერსიული ლექსიკონის შედგენაში.

განყოფილების თანამშრომლებს ხშირად უხდებათ ინსტიტუტის დირექ-ციის დავალებით (ზოგჯერ სხვა დაწესებულებათა თხოვნით) სხვადასხვა სახის ერთდროული სამუშაოს შესრულება (ტერმინთა შესატყვისების მოძებნა თუ დაზუსტება, ოფიციალური თუ არაოფიციალური მასალის თარგმნა და სხვ.), რაც ზოგჯერ დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს.

წლების მანძილზე განყოფილების თანამშრომელთა შემადგენლობა იც-ვლებოდა. გარდა ამისა, განყოფილებამ დაკარგა ორი თავისი ძირითადი თანა-მშრომელი — ლია კაიშაური და ლიდა შაბალინა.



ახლა განცოფილებაში სულ 13 თანამშრომელია: განცოფილების გამგე ფინანსოლოგის მეცნ. კანდიდატი, უფროსი მეცნ. თანამშრომელი ალ. კობახიძე და უილოლოგის მეცნ. დოქტორი, წამყვანი მეცნ. თანამშრომელი გ. ხუსტონის მეცნ. ფილოლოგის მეცნ. კანდიდატები, უფრ. მეცნ. თანამშრომლები ნ. ვაჩინაძე, ო. ლაბარტყუავა, ნ. მირიან შვილი, მ. მრევლიშვილი და ნ. საყვარელიძე; უმცროსი მეცნ. თანამშრომლები ც. ლორთქიფანიძე და ლ. ყაზაიშვილი; უფროსი ლაბორანტები თ. მაჭავარიანი, მ. ცომაია, თ. მღებრიშვილი და ე. საბანაძე.

ალ. კობახიძე

## ქართული მეტყველების კულტურის განვითარება განცოდილება

ქართული მეტყველების კულტურის განვითარება ენათმეცნიერების ინსტიტუტში არსებობს 1953 წლიდან და 1966 წლამდე მას ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა განვითარება ერქვა.

ამ უჯრედის შექმნა უშუალოდ უკავშირდება საქართველოში მიმღინარე მუშაობას ქართული სალიტერატურო ენის უნიფიკაციის მიმართულებით. და თუ XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხების განხილვის ასპარეზად ჯერ კიდევ მხოლოდ ქართული პრესა გვევლინება, 1920-იანი წლებიდან, ერთი მხრივ, ქართული უნივერსიტეტის შექმნამ (1918), ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს გასაბჭოებასთან (1921) დაკავშირებულმა საზოგადოებრივმა ძერებმა სრულიად აუცილებელი და გარდაუვალი გახადა ორგანიზებული მუშაობა ამ მიმართულებით, რათა მოელს ამ საქმიანობას სისტემატური და გეგმაზომიერი ხასიათი მისცემოდა. ჩანასახის სახით ამგვარ მუშაობას აწარმოებდა ჯერ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, შემდეგ კი — ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება, მაგრამ სასურველი შედეგი ვერც ამ მუშაობამ გამოიღო: ჯერ ერთი, არ არსებობდა ნორმათა დადგენის პრინციპები; მეორეც, ამ დიდ საქმეს აკლდა ისეთი მზრუნველი, რომელსაც ხელეწიფებოდა კომისიის მიერ მიღებული წესის სავალდებულო კანონად გამოცხადება. ეს კი მოხერხდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სალიტერატურო ენის მოვლა სახელმწიფო იყისრა. ქვემოთ წარმოდგენილია იმ ღონისძიებათა მოკლე ნუსხა, რომლებიც წინ უსწრებდა ამ ფაქტს.

1921 წ. განათლების სახალხო კომისარიატმა გამოსცა „სალიტერატურო ქართულისათვის“, რომელიც წარმოადგენდა ქართული ორთოგრაფიის სადაც საკითხების მოსაწესრიგებლად მოწოდებულ პროექტს, შემუშავებულს „ენის მცოდნეთა კონფერენციის“ მასალების საფუძველზე საორგანიზაციო კომისიისა (ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, ს. გორგაძე და ვუკ. ბერიძე) და სასწავლო კომიტეტის მიერ.

იმავე 1921 წელს განასახომთან დაარსდა სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო, რომელსაც დაევალა ტერმინოლოგიური თუ სხვა ენობრივი საკითხების მოვლა (თავ-რე ივ. გავახიშვილი). საბჭოს მუშაობის საფუძველზე 1925 წ. სახალხო კომისართა საბჭოსთან ჩამოყალიბდა ცენტრალური სამეცნიერო სატერმინო-ლოგიო კომისია (თავ-რე ვუკ. ბერიძე), რომელიც ტერმინოლოგიურ მუშა-

<sup>1</sup> ამ მხრივ დამახასიათებელია სილ. ხუნდაძის მოხსენება, რომელშიც ავტორი აღწმუნებდა სახალხო განათლების მინისტრს, რომ ერთადერთი გამოსავალი მთავრობის ინიციატივა იყო: ლიტერატურული ნორმების დაქანონება მხოლოდ მისი განკარგულებით უნდა მოხდეს (გაზ. „სახალხო საქმე“, 1919. 25. XI, № 688).



ობასთან ერთად ზრუნავდა ენის სიწმინდის საკითხებზედაც. 1926 წ. საქ. სსრ ცენტრალურმა ოღმასრულებელმა კომიტეტმა შექმნა მთავარი სატერმინო კულტურული განვითარების გონი კომიტეტი.

ამ საქმიანობაში აქტიურად ებმებიან ქართველი მწერლები, რომლებიც აყენებენ საკითხს (საქართველოს მწერალთა II ყრილობაზე 1928 წ., ენის სიწმინდის საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირზე 1934 წ.) ქართული სიტყვის ინსტიტუტის, აკადემიური ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიის, სატერმინო ლოგოთ კომისიის, მართლწერის შემუშავებელი კომისიის შექმნის შესახებ და სხვ.

სერიოზული პრაქტიკული ნაბიჯი ამ მიმართულებით გადაიღვა 1932 წელს, როდესაც სატერმინოლოგიო კომისიამ და სახულმწიფო გამომცემლობაში ჩედაქტორების. ავტორებისა და მთარგმნელებისათვის მოაწყვეს სამთვარი კონფერენცია. რომლის მასალებიც 1932—33 წლებში გამოქვეყნდა ათ ნაკვეთად საერთო სახელწოდებით „ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენისათვის“ (ავტორები: ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ს. ჭანაშვილი, ს. ყაუხებიშვილი, ს. იორდანიშვილი). სწორედ ეს მასალები დაედო საფუძვლად ნორმათა პირველ კრებულს (1936).

1933 წ. თბილისის უნივერსიტეტში დაარსდა ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი („ელხი“), რომელსაც დაევალა ენის საკითხების დოკუმენტურად შესწავლა, რის შემდეგაც სათანადო მასალები, სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომისიის მიერ დამუშავებულ მასალასთან ერთად, განსახილებულად უნდა წარდგენიდა სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს, ხოლო საბოლოოდ დასამტკიცებლად — ცაკ-ის პრეზიდიუმს.

იმავე წელს გაზ. „კომუნისტში“ (17. XI) გამოქვეყნებულ წერილში — „ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისათვის“ ჩამოთვლილი იყო იმ დროისათვის თორქმის ყველა მოსაგვარებელი საკითხი.

1934 წელს განსახოობან შეიქმნა ენის ნორმათა დამდგენი რესპუბლიკური კომისია (თავ-რე მ. ტოროშელიძე, მდივანი ვ. თოფურია), რომელმაც იარსება 1936 წლამდე (თუმცა თავის მუშაობას უფი 1938—39 წლებშიც განვითარდა). 1935 წელს კი უნივერსიტეტში შოთა რუსთაველის სახ. ინსტიტუტთან ჩამოყალიბდა ნორმათა დამდგენი სამუშაო კომისია (თავ-რე ა. შანიძე, მთადგ. ვ. თოფურია), რომლის მიზანი იყო სადაცვო საკითხების დასმა, თეზისებისა და პროექტების შეღვენა და რესპუბლიკური კომისიისათვის წარდგენა. ეს კომისია შეიქმნა 1935 წელს საქ. სსრ კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილების საფუძველზე და მან არნ. ჩიქობავის მოხსენების მიხედვით შეიმუშავა ძირითადი პრინციპები ქართული სალიტერატურო ენის სადაცვო საკითხების მოსაწესრიგებლად და ნორმების დასაღენად. კომისიის მიერ მიღებული პრინციპებიცა და ნორმებიც დაამტკიცა საქ. სსრ განსახოობა, რის შემდეგაც 1936 წ. გამოქვეყნდა „ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“, I (84 გვ.), როგორც „სავალდებულო სახელმძღვანელო ყველა სახის სასწავლებლისა, გამომცემლობებისა და პერიოდული გამოცემებისათვის“. ამ წიგნაკში წარმოდგენილია ნორმათა დადგენის პრინციპები და თვით ნორმები 13 სადაცვო საკითხთან დაკავშირებით.

1936 წელსვე საკავშირო აკადემიის ახალდაარსებულ საქართველოს ფილიალში ჰუმანიტარული პროფესიის ინსტიტუტის „ენიმქის“ (ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის) შექმნასთან დაკავშირებით

უნივერსიტეტის ენის განყოფილებასთან ერთად შევიდა სამეცნიერო სატერ-  
მინოლოგით განყოფილებად; გარდა ემნილი სატერმინოლოგით კომისია. 1937 წ.  
ენიმკის ქართველურ ენათა სექტორთან ჩამოყალიბდა ახალი სამუშავი გარე-  
(თავ-რე ა. შანიძე), რომლის მიერ მიღებული დასკვნების გამოქვეყნება უერ-  
ლებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ დამტკიცებდა განათლების სახალხო  
კომისარიატი.

1946—48 წლებში ჩესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან  
მუშაობდა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი  
სახელმწიფო კომისია (თავ-რე ს. ჯანაშია, მისი გარდაცვალების შემდეგ —  
ა. შანიძე, მდივანი ივ. გიგინეიშვილი).

1953 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოთან  
დაარსდა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი  
მუშაობით სახელმწიფო კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს მინისტრთა საბ-  
ჭოს თავმჯდომარე. ამ კომისიის სამუშაო ბაზა გახდა ენათმეცნიერების ინს-  
ტიტუტში საგანგებოდ შექმნილი უჯრედი ქართული სალიტერატურო ენის  
ნორმათა განყოფილების სახით, რომელიც 1966 წ. გარდაიქმნა ქართული მე-  
ტყვილების კულტურის განყოფილებად. ამ განყოფილების მიერ მომზადებუ-  
ლი ნორმათა პროექტები განსახილველად წარედგინება ინსტიტუტის სამეც-  
ნიერო რო საბჭოს, რომელიც მოწონების შემთხვევაში მათ დასამტკიცებ-  
ლად გადასცემს სამთავრობო კომისიის. მასში, გარდა ენათმეცნიერებისა, შე-  
დიან მეცნიერების სხვა დარგების თვალსაჩინო წარმომადგენლები, მწერლე-  
ბი, უურნალისტები... სახელმწიფო კომისიის მიერ მიღებულ ნორმას კანონის  
ძალა ენიშება და იგი საგალდებულო ხდება ქართული სალიტერატურო ენის  
ყველა მომხმარებლისათვის ჩესპუბლიკაში.

განყოფილების უცვლელი ხელმძღვანელი დოიდან მისი დაარსებისა იყო  
ივანე გიგინეიშვილი (საქ. სსრ მეცნ. აკად. წ.-კორ. 1979-დან). მისი გარდა-  
ცვალების შემდეგ (1982) განყოფილების ხელმძღვანელობა დაეკისრა შექია  
აფრიდონიძეს.

ნორმათა განყოფილება თავდაპირველად შეიქმნა სამი თანამშრომლის —  
გიორგი შალამბერიძის (მეცნ. კანდ. 1952, დოქტ. 1966; გარდაიცვალა 1989 წ.),  
ლია ლეუავას და ნინო აბესაძის (მეცნ. კანდ. 1960; გარდაიცვალა 1973 წ.)  
შემადგენლობით.

ამჟამად განყოფილებაში 12 თანამშრომელია: ხელმძღვანელი — დოკ.  
შექია აფრიდონიძე (განყოფილებაში მუშაობს 1977-დან), წამყვანი მეცნ. თა-  
ნამშრ. ლია ლეუავა (1953-დან), უფრ. მეცნ. თანამშრომლები: თამარ ზურა-  
ბიშვილი (1966-დან), ცირა კალაძე (1968-დან), მერი შინგიაშვილი (1966-დან),  
ნელი ცხიტიშვილი (1973-დან), თინა ლვინაძე (1963-დან), ვიოლა კალანდაძე  
(1966-დან), ასმათ ბაბიძე (1973-დან), ყველა — ფილოლ. მეცნ. კანდიდატი;  
მეცნ. თანამშრ. მანანა ტაბიძე (1983-დან), უმცრ. მეცნ. თანამშრომლები: თა-  
მარ გვერდწითელი (1966-დან) და მანანა შალამბერიძე (1966-დან). 1966—  
1973 წლებში განყოფილებაში მუშაობდა კლარა გაგუა (ფილოლ. მეცნ. კანდ.  
1958), 1973—85 წლებში — ვახტანგ მალრაძე (მეცნ. კანდ. 1986).

ნორმათა დამდგენი სამთავრობო კომისიის მიერ დამტკიცებული ნორმები  
შესულია 1970 წ. ვამოქვეყნებულ კრებულში „თანამედროვე ქართული სალი-  
ტერატურო ენის ნორმები“; I. (გვ. XV+301), რომელშიც წარმოდგენალია 40  
ძირითადი საკითხი ქართული სალიტერატურო ენისა. დიდი ნაწილი ამ ნორ-



მებისა მომზადებულია კრებულის რედაქტორისა და განყოფილების ხელმძღვანელი გენერალური იურიდიკულის მიერ.

მოვციანებით დამტკიცებული ნორმები თანდათან ქვეყნდება სპეციალურ ბიულეტენებში (№№ 1—2, 1985; № 3, 1987), რომელიც საფუძვლად დაედება „ნორმების“ II კრებულს. ბიულეტენებში შესული ნორმათა პროექტები დაამზადეს: ივ. გიგინეიშვილმა (2), ლ. ლეჟავამ (3), თ. ზურაბიშვილმა (3), შ. აფრიდონიძემ (3), ვ. კალანდაძემ (3), ც. კალაძემ (1), თ. ლვინაძემ (!), ლ. კაიშაურმა (1).

ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი ნორმების დამკვიდრებას დიდად შეუწყო ხელი ვ. თოფურიასა და ივ. გიგინეიშვილის მიერ შედგენილი ქართული ენის ვრცელი ორთოგრაფიული ლექსიკონის გამოცემამ (1968, გვ. 024+1094), რომელსაც წინ უსწრებდა ამავე ავტორების მიერ შედგენილი სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონის სამი გამოცემა (1941, 1946, 1949). ამავად იძეჭდება ვრცელი ლექსიკონის ახალი, შევსებული და შესწორებული გამოცემა, რომლის მოცულობა თითქმის სამჯერ აღმატება იდრინდელისას.

თავისი სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობის გასაშლელად, სალიტერატურო ქართულში უნითიცირებული ნორმების დანერგვის დაჩქარებისა და შეტყველების კულტურის ამაღლების მიზნით განყოფილებამ გაიჩინა საკუთარი ბეჭდვითი ორგანო „ქართული სიტყვის კულტურის სკონხების“ სახელშოდებით (გამოცემათა ეს სერია დაარსდა საღირექტივო ორგანოების დაუკანილებით). ივარაუდებოდა, რომ ამ კრებულში დაბეჭდილი წერილები შემდგომში საფუძვლად დაედებოდა ნორმათა პროექტებს.

დღემდე გამოქვეყნებულია კრებულის ცხრა წიგნი: 1—5 გამოვდა ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, 6—9 — შ. აფრიდონიძის რედაქციით. სარედაქციო კოლეგიის თავდაპირველი შემადგენლობა ასეთი იყო: ივ. გიგინეიშვილი (რედაქტორი), ლ. ლეჟავა (მდივანი), ქ. ლომთათიძე, რ. ლამბაშიძე, არნ. ჩიქობაძე, მ. ჭაბაშვილი. ამჟამად კრებულის სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან: შ. აფრიდონიძე (რედაქტორი), თ. ზურაბიშვილი, ა. კალანდაძე, ალ. კობახიძე, ლ. ლეჟავა (მდივანი), ქ. ლომთათიძე, რ. ლამბაშიძე, მ. ჭაბაშვილი, ბ. ჭორბენაძე.

კრებულის ავტორთა კოლექტივის ძირითად პირთვს, ცხადია, განყოფილების თანამშრომლები შეადგენენ, თუმცა მისი აქტიური მონაწილენი არიან ინსტიტუტის სხვა, განსაკუთრებით, ლექსიკოლოგის, სამეცნიერო ტერმინოლოგის, თარგმნითი ლექსიკონებისა და ქართველურ ენათა განყოფილებების თანამშრომლებიც, აგრეთვე სხვა სამეცნიერო თუ პედაგოგიური სასწავლებლების მეცნიერი მუშაკები.

კრებულის რამდენიმე წიგნი თემატური ხსიათისაა. ასე, მაგალითად, მე-სამე წიგნი მთლიანად დაეთმო თანამედროვე ქართული პრესის ენობრივ მიმოხილვას, ხოლო მეხუთე წიგნი — ძირითადად ქართული საშუალო სკოლის სახელმძღვანელოების (ორგანალურისა და თარგმნილის) მიმოხილვას ნორმათა დაცვის თვალსაზრისით, — ჩვეულებრივ, სათანადო რეკომენდაციებითურთ. ცალკე აღნიშვნის ღირსია კრებულის მეშვიდე წიგნი, რომელიც შეიცავს სტილისტიკურ დარღვევათა ლექსიკონს (400-მდე სალექსიკონო ერთეულის მოცულობით). ამ სახის ლექსიკონი („სიტყვა და კონტექსტი“) პირველია ქართულ ლექსიკოგრაფიულ პრაქტიკაში. იგი დამუშავებულია ივ. გიგინეიშვილის

ხელმძღვანელობით, ხოლო სიტყვა-სტატიები შედგენილია მისივე სანიშვნო /  
სტატიის მიხედვით.

როდესაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ესათხეც-  
ნიერების ინსტიტუტს დაევალა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ლიტერა-  
ტურული კონტროლის სამეცნიერო რედაქციასთან ერთად ენციკლოპედიაში  
შემავალი საკუთარი სახელების დაწერილობათა შემუშავება, სატრანსკრიფციო  
ჯგუფს (მიხ. ჭაბაშვილისა და კონა გიგინეიშვილის შემადგენლობით) სათვეში  
ჩაუდგა ივანე გიგინეიშვილი. ამ ჯგუფმა შეიმუშავა ორქართულ სახელთა ქარ-  
თულად გადმოცემის წესები და ამის მიხედვით გამართა საბჭოთა კავშირისა  
და სახლვარგარეთის გეოგრაფიული სახელები თუ გმოჩენილ პირთა სახელ-  
გეარები. ონიშნული მასალის საფუძველზე შესაძლებელი გახდა სათანადო  
ორთოგრაფიული ლექსიკონების შედგენაც, რაც რესპუბლიკის მთავრობის  
1970 წლის დადგენილებით იყო ნავარაუდევი. ესენა: საქართველოს სსრ გე-  
ოგრაფიულ სახელთა ლექსიკონი (ივ. გიგინეიშვილის თანავტორობით, 1987),  
კ. გიგინეიშვილის მიერ შედგენილი ბერძნული და რომაული სახელების ლე-  
ქსიკონი (ივ. გიგინეიშვილის თანარედაქტორობით, 1985), სსრკ გეოგრაფიული  
სახელების ლექსიკონი (მ. აფრიდონიძისა და თ. ზურაბიშვილის რედაქტორო-  
ბით, 1987). ჩამოთვლილთა მსგავსად, მომდევნო ლექსიკონებიც — უცხოურა  
გეოგრაფიული სახელებისა და პირთა სახელ-გვარებისა (რედაქტორები მ. ჭა-  
ბაშვილი და ალ. კობახიძე, 1989) ივ. გიგინეიშვილის ხელმძღვანელობით შე-  
მუშავებულ სატრანსკრიფციო წესებს ემყარება.

მაგრამ განყოფილების საქმიანობა არ ამოიწურება ოდენ სამეცნიერო მუ-  
შაობით. მას ორგანულად ეხამება მრავალფეროვანი პრაქტიკული საქმიანობა.

განსაკუთრებით აღსანიშნვია განყოფილების მიერ გაწეული მუშაობა  
სკოლის დასახმარებლად. გარდა იმისა, რომ განყოფილების თანამშრომლები  
რეგულარულად ექვეყნებენ სამეცნიერო-მეთოდიურ წერილებს უურნ. „სკო-  
ლა და ცხოვრების“ ყოველდღიურ დამატებაში „ქართული ენა და ლი-  
ტერატურა სკოლაში“, ისინი პრაქტიკულ დახმარებასაც უწევენ სკოლას, კერ-  
ძოდ:

რედაქცია გაუკეთდა სხვადასხვა სასკოლო სახელმძღვანელოს: ფიზიკის (ნ. ცენტრიშვილი, თ. ლეინაძე), ბუნებისმეტყველებისას (თ. ზურაბიშვილი), ქვე-  
ლი მსოფლიოს ისტორიისას (ლ. ლევავა), ქიმიის (მ. შინგაშვილი), პოლიტიკ-  
ნიკუმის სახელმძღვანელოს „ტრაქტორს“ (ნ. ცენტრიშვილი). მათემატიკის (I—  
X კლ.) სახელმძღვანელოს ენობრივი მიმოხილვა (ც. კალანდაძე) რეკომენდე-  
ბული იყო განათლების სამინისტროს მიერ გამომცემლობისათვის გასათვალის-  
წინებლად. მეტად შრომატევადი მუშაობა იქნა გაწეული ნ. ბასილაშვილის ქართუ-  
ლი ენის პრაქტიკული სტილისტიკის სახელმძღვანელოს რედაქტორებისათვის (თ. ზურაბიშვილი და ც. კალაძე).

სხვადასხვა დროს ივ. გიგინეიშვილი უკითხავდა ლექციებს და უტარებდა  
კონსულტაციებს საშუალო სკოლის მასწავლებლებს ქართული ენის საჭირო-  
როტო საკითხებზე. ამჟამად განყოფილება კვლავაც აგრძელებს ამ საქმიანო-  
ბას მასწავლებლთა დახელოვნების ინსტიტუტში, კვალიფიკაციის ამაღლების  
კურსებზე (ო. ლეინაძე, შ. აფრიდონიძე).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია განყოფილების თანამშრომლობა  
მოსწავლეთა და პიონერთა რესპუბლიკური სასახლის ქართული ენის კაბინეტ-  
თან, კერძოდ, საკრებულოსთან „ქართული ენის საუნდე“, რომელსაც ხან-



გრძლივი დროის განმეოლობაში ხელმძღვანელობდა ოც. გიგინეაშვილი. განყოფილების თანამშრომლები (შ. აფრიდონიძე, თ. ლვინაძე, მ. ტაბიძე, ნ. ცეკვიშვილი შვილი, ა. პაპიძე) აქტუურ მონაწილეობას იღებენ მოსწავლეთა ცოვალის მეცნიერება, განხილვა-შეფასებაში (მონაწილეობათა რეცენზირება, განხილვა-შეფასებაში მონაწილეობა), მომავალი სამუშაო გეგმის შემუშავებაში და სხვ.

ქართული ენის სახელმწიფო პროგრამასთან დაკავშირებით გაიზარდა მოთხოვნილება ქართული ენის დაუფლებაზე. სხვადასხვა დაწესებულება-ორგანიზაციაში ჩამოყალიბდა ქართული ენის შემსწავლელი კურსები, რომლებზედაც მასწავლებლებად მიავლინეს განყოფილების რამდენიმე თანამშრომელი (თ. ზურაბიშვილი, თ. ლვინაძე, ნ. ცეკვიშვილი, ა. პაპიძე).

განყოფილების თანამშრომელები ეწეოდნენ და ეწევიან პედაგოგიურ მოღვაწეობასაც სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელსა და საშუალო სკოლაში: თბილისის უნივერსიტეტში (ივ. გიგინეაშვილი, გ. შალამბერიძე, შ. აფრიდონიძე), სამედიცინო ინსტიტუტში (ლ. ლეჟავა, მ. შინჯიაშვილი, თ. გვერდწოლი, მ. ტაბიძე), სულხან-საბა ირბელიანის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში (ა. პაპიძე, მ. ტაბიძე), სახ. კონსერვატორიაში (მ. ტაბიძე), საშუალო სკოლაში (მ. ტაბიძე, მ. შალამბერიძე). სკოლის დასახმარებლად განსაკუთრებით დიდი მუშაობა გასწია თ. ლვინაძემ.

ცალკე უნდა ღინიშნოს განყოფილების პროპაგანდისტული მუშაობა სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვა-დანერგვის მიმართულებათ.

1979—86 წლებში რაღოოთი გადაიცემოდა საუბრების ციკლი „ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის“, რომელსაც უძღვებოდა ოც. ვიგინეი-შვილი (მონაწილენი: ლ. ლეჟავა, თ. ზურაბიშვილი, ც. კალაძე, თ. ლვინაძე, შ. აფრიდონიძე, ნ. ცეკვიშვილი, მ. შინჯიაშვილი, ა. პაპიძე, ვ. კალანდაძე).

საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით რეგულარულად იკითხება ლექციები ქირთული ენის სიწმინდის საკითხებზე (შ. აფრიდონიძე, ნ. ცეკვიტიშვილი, ც. კალაძე, თ. ზურაბიშვილი, მ. ტაბიძე, განსაკუთრებით — თ. ლვინაძე).

უურნალ-გაზეთებისა და გამომცემლობათა რედაქციების დასახმარებლად სხვადასხვა დროს ტარდებოდა ლექციები (ივ. გიგინეაშვილი) ან პერიოდული სემინარები (შ. აფრიდონიძე, თ. ლვინაძე), რომელზედაც განიხილებოდა დაბეჭდილი მასალა და მუშავდებოდა რეკომენდაციები.

განყოფილებამ დამუშავა 1 წლის ტელეგადაცემათა ტექსტები ენობრივ-სტილისტიკური თვალსაზრისით და ანალიზის შედეგები მოსხენდა რაღოომაუწყებლობის და ტელევიზიის სახ. კომიტეტის კოლეგიის გაფართოებულ სხდომას.

განყოფილების თანამშრომელი ფართოდ არიან ჩატმულნი საინსტიტუტო თემების დამუშავებაში. ლ. ლეჟავას ხელმძღვანელობით მუშავდება ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორიის საკითხები. კურსისათვის „ქართული ენის შესწავლის ისტორია“ განყოფილებაში დამუშავდა გარკვეული მონაქვეთები (ლ. ლეჟავა, თ. ლვინაძე, მ. შინჯიაშვილი). რამდენიმე თანამშრომელი მონაწილეობას იღებს ქართული ენის გრამატიკის აკადემიური კურსის შექმნაში (ა. პაპიძე, ვ. კალანდაძე, თ. ლვინაძე, შ. აფრიდონიძე). მიმდინარეობს მუშაობა სასკოლო ორთოგრაფიული ლექციონის ახალი შევსებული გამოცემის მოსამზადებლად. ნ. ცეკვიტიშვილის ხელმძღვანელობით მასალა შეამზადეს. ვ. მარაბაძემ და მ. შალამბერიძემ). დაწყებულია მუშა-

ობა ნორმების სასკოლო ვარიანტის შესაქმნელად (თ. ზურაბიშვილი და ც. ვა-ლაძე).

განყოფილების პერმანენტულ საქმიანობას წარმოადგენ ჩეკისტულ ტე-  
მუშაობა რესპუბლიკის სხვადასხვა დაწესებულება-ორგანიზაციებსა თუ ცალ-  
კეულ პირებთან. ინსტიტუტის ზოგიერთ სხვა განყოფილებასთან თანამშრომ-  
ლობით მუშავდება რეკომენდაციები სხვადასხვა საქმიან ქაღალდების, ტრა-  
ფარეტებისა და მისთ. სალიტერატურო ქართულით გასამართავად.

განყოფილების თანამშრომლებს მონაწილეობას აქვთ მიღებული არაერთი-  
სამეცნიერო სესიისა თუ კონფერენციის, მათ შორის, საერთაშორისო და სა-  
კავშირო კონფერენციების მუშაობაში (ივ. გიგინეიშვილი, შ. აფრიდონიძე,  
ლ. ლექავა, თ. ზურაბიშვილი, ც. კალაძე, მ. ტაბიძე).

ნაბეჭდი პროდუქცია.

ივ. გიგინეიშვილი: 60 ნაშრომი; ცალკე წიგნებად:

1. ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი (1968; ვ. თოფურიასთან  
ერთად); 2. სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი (1941, 1946, 1949; ვ. თო-  
ფურიასთან ერთად); 3. რუსუდანიანი (1957; ტექსტი გამოსაცემად მომზადა  
ი. აბულაძესთან ერთად, გამოკვლევა და ლექსიკონი ივ. გიგინეიშვილისა); 4.  
ქართული დიალექტოლოგია, I (1961; ვ. თოფურიასა და ივ. ქვეთარაძესთან  
ერთად); 5. გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენის და ტექსტის კრიტიკის  
საკითხების შესახებ (1975); 6. საქართველოს სსრ გეოგრაფიული სარელების  
ორთოგრაფიული ლექსიკონი (1987); 7. ქართული ენის განმარტებითი  
ლექსიკონი, VIII (1964; ბ. ფოჩხუას თანარედაქტორობით); 8. კონა გიგინეი-  
შვილის „ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლე-  
ქსიკონი“ (1985; თანარედაქტორი); 9. ქართული სიტყვის კულტურის საკითხე-  
ბი (I—1972; II—1979; III—1980; IV—1981; V—1983; რედ.); 10. თანამედ-  
როვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I (1970; რედაქტორი).

გ. შალაშბერიძე: 197 ნაშრომი; ცალკე წიგნებად:

1. ილია ჭავჭავაძის ენის შესწავლა სკოლაში (1957); 2. ქართული მართლ-  
წერა (1958, 1961, 1965, 1984); 3. უტკბესი და უმწარესი (1958); 4. მეტყვე-  
ლების კულტურის საკითხები (1964); 5. ილია ჭავჭავაძის ენა (1966); 6. ქარ-  
თული ენის პრაქტიკული სტილისტიკა (1974); რ. გაბერიავასთან ერთად); 7.  
ქართული სწორმეტყველების სწავლების ზოგიერთი საკითხი (1980); 8. ქარ-  
თული ენის სწავლების საკითხები სკოლაში (1982); 9. პედაგოგიკის ძირითად  
ცნებათა მოკლე განმარტებანი (1987); 10. პედაგოგიკის ტერმინოლოგია (1988;  
ა. მიშველაძესთან ერთად); 11. მწერლის ენაზე დაკვირვება სკოლაში (1990).

ლ. ლექავა: 33 ნაშრომი; ცალკე წიგნად:

ივანე გიგინეიშვილი (1986).

ნ. აბესაძე: 13 ნაშრომი; ცალკე წიგნად:

გრამატიკის საკითხები XXI საუკუნის ქართულ პერიოდულ გამოცემებ-  
ში (1960).

შ. აფრიდონიძე: 71 ნაშრომი; ცალკე წიგნებად:

1. სიტყვათვანლაგება ახალ ქართულში (1986); 2. საქართველოს სსრ ტო-  
პონიმია, I. ზემო იმერეთი (1987; ი. ბაქრაძესა და ვ. ჭობუასთან ერთად);  
3. საბჭოთა კავშირის გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიული ლექსიკონი  
(1987; თ. ზურაბიშვილთან ერთად); რედაქცია: 4. ქართული სიტყვის კულტუ-  
რის საკითხები (VI—1985; VII—1987; VIII—1988; IX—1989); 5. თანამედ-



როვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები: ბიულეტენი №№ 1—2 (1985) № 3 (1987); 6. პ. ცხადაის „ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ურთიერთების კონი“ (1988); 7. თ. ლვინაძის „ქართული ზმნის ვნებითი გვარის ფორმის შემცირება სტილისტიკა“ (1989).

**თ. ზურაბიშვილი:** 22 ნაშრომი; ცალკე წიგნად:

საბჭოთა კავშირის ეკოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიული ლექსიკონი (1987; შ. აფრიდონიძესთან ერთად).

**ც. კალაძე:** 11 ნაშრომი; ცალკე წიგნებად:

1—2. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. I II (1961); ტ. III (1964), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ც. კალაძემ. 3. ლ. არდაშვილი, თხზულებანი (1964); 4. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი ათ ტომად, ტ. IV (1968); 5. გ. ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. III (1966; თანაშემდგენელი).

**ნ. ცქითაშვილი:** 24 ნაშრომი; ცალკე წიგნებად:

1. კრებ. „აურის ხალხური პოეზია“, I (1969; თანაშემდგენელი); 2. კრებ. ქართული (აჭარული) ზღაპრები (ბათუმი, 1973; თანაშემდგენელი).

**თ. ლვინაძე:** 19 ნაშრომი; ცალკე წიგნად:

ქართული ზმნის ვნებითი გვარის ფორმათა სტილისტიკა (1989).

**მ. შინგაშვილი:** 9 ნაშრომი; ცალკე წიგნად (იძეჭლება):

ათანასი ალექსანდრიელის „ანტონის ცხოვრება“ (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო).

**ვ. კალანდაძე:** 14 ნაშრომი; ცალკე წიგნად (გადაცემულია დასაბეჭდად): თანდებულთა სტილისტიკური ფუნქციები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში.

**ა. პაპიძე:** 20 ნაშრომი; ცალკე წიგნად (გადაცემულია დასაბეჭდად): კალოს კატეგორია და კავშირებითის ნაკვთთა ფუნქციები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში.

**მ. ტაბიძე:** 7 ნაშრომი.

**ვ. მალრაძე:** 5 ნაშრომი.

**თ. გვერდწითელი:** 1 ნაშრომი.

მეტყველების კულტურის პრობლემები ამოუწურვით. განყოფილება ამჟამად ამუშავებს ფუნქციონალური სტილისტიკის საკითხებს (სამეცნიერო ლიტერატურის ენა, საქმიანი ქაღალდების ენა, მხატვრული ლიტერატურის ენა...); აქტიურ მონაწილეობას იღებს სახელმწიფო სტანდარტების რედაქტირებაში. ჩნდება ახალი საკითხები, დასმასა და გადაწყვეტას რომ ელიან მომავალი თაობებისაგან. მაგრამ ისიც კი, რაც უკვე გაკეთებულია ამ მიმართულებით, გარკვეულად ასახავს ქართული სალიტერატურო ენის განვითარებას და ერთგვარად მაინც შეეფერება მის სახელმწიფოებრივ სტატუსს — არა მარტო კონსტიტუციურად დაკანონებულს, არამედ აგრეთვე ბუნებრივად, ისტორიულ-კულტურული ტრადიციებით მინიჭებულს.

ლია ლეჭავა  
შუქია აფრიდონიძე

## მჩსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორია დამოუკიდებელი განყოფილების სახით 1959 წელს ჩამოყალიბდა. მანამდე ფონეტიკური კვლევა მიმდინარეობდა ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებისთვის შექმნილ ფონეტიკის კაბინეტში, რომლისთვისაც ინსტიტუტის შექმნილი პრონდა სპეციალური ჩამწერი პარატურა (რამდენიმე კამოგრაფი). ახალშექმნილი ლაბორატორიის ხელმძღვანელობა დაევალა პროფ. შ. გაფრინდაშვილს და იგი გარდაცვალებამდე მისი უცვლელი გამგე იყო.

დაზისების დოიდანვე ლაბორატორიის ამოცანად დასახული იყო ქართული, ქართველური და მთის კავკასიური ენების ბერითი წყობის შესწავლა: ამ ენებზე მეტყველების ჩაწერა და ექსპერიმენტულ-ფონეტიკური კვლევა. ლაბორატორიას, აგრეთვე, ევალებოდა და ევალება საჭირო შემთხვევებში ინსტიტუტის სხვა განყოფილებების თანამშრომელებისათვის ფონეტიკურ სამუშაოებში დამარტინების აღმოჩენა. შემდგრმში ლაბორატორიის მუშაობაში დადი ადგილი ეთმობა ზოგადი ფონეტიკის თეორიულ საკითხებს, ექსპერიმენტულ-ფონეტიკური კვლევის მეთოდების სრულყოფას, გამოყენებითი ლინგვისტიკის საკითხებს, რომელიც ფონეტიკურ კვლევა-ძიებას უკავშირდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლაბორატორიაში შეისწავლება ენათა ბერითი წყობის ისეთი შხარეები, რომელიც პარატურულ ანალიზს არ საჭიროებენ: ფონეტიკური ერთეულების ვანაჭილების (ურთიერთმეზობლობის) წესები, ამ ერთეულთა გამოყენების სიხშირეები, მათი ე. წ. „ფუნქციონალური დატვირთულობა“ და ა. შ.

გეროვანი ექსპერიმენტულ-ფონეტიკური კვლევა ლაბორატორიის სათანადო პარატურულ აღჭურვას საჭიროებდა. ფონეტიკის კაბინეტს საჭირო ხელ-საწყოები, არსებოთად, არც ჰქონდა, — შესაძლებელი იყო მეტყველების მხოლოდ მექანიკური (კიმოგრაფიული) ჩაწერა. ლაბორატორიის აყვანა თანამედროვე მეცნიერების შესაფერის დონეზე მრავალი სინელის გადაღებვას მოითხოვდა და ვადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ, თუ ეს ამოცას გადაწყდა, ეს, ძირითადად, შ. გაფრინდაშვილის მიერ გაწეული დიდი შრომის შედეგად გახდა შესაძლებელი. მან სრულყო კლასიკური ექსპერიმენტულ-ფონეტიკური კვლევის ხერხები, აითვისა და დანერგა ლაბორატორიაში ახალი პარატურა და მეთოდები. კერძოდ, კლასიკური პალატოგრაფია მან გამდიდრა ახალი საშუალებებით, ისე გარდაქმნა იგი, რომ შესაძლებელი გახდა წარმოთქმისას ენის შეხების კვალის აღბეჭდვა არა მხოლოდ მაგარ სასაზე, არამედ რბილ სასაზე და კბილებზეც, დაამუშავა უნიფიცირებულ შაბლონზე ენის ანაბეჭდების გადატანის ხერხი, რაც საშუალებას იძლევა გავაერთიანოთ სხვადასხვა ცდისპირთა მონაცემები, დაამკვიდრა წარმოთქმის რენტგენოგრაფიული, შემდგომ კი, სამედიცინო დაწესებულებებთან თანამშრომლობით, კინორენტგენოგრაფიული შესწავლა, გადაიყვანა მუშაობა კვლევის ელექტრო-აუსტიკურ

მეთოდებზე, დანერგა ბგერათა ოსცილოგრაფია, სპექტროგრაფია, ხელი უწყო ლაბორატორიაში კვლევის ახალ მიმდინარეობათა განვითარებას კულტურული ძოდ, ქართული ენის ბგერათა სინთეზისა და ავტომატური გამოცნობების კულტურული ველების ელექტრომიოგრაფიის (სამეტყველო ორგანოთა ბიოდენების ასახვის) დარგში...

ცალკე უნდა აღინიშნოს შ. გაფრინდაშვილის ისეთ ნაშრომთა მნიშვნელობა, რომლებშიც ასახა ფონეტიკის ამოცანათა ახლებური გაგება, იმგვარი გავება, რომლითაც უახლესი ფონეტიკა (ფონოლოგია) უპირისპირდება კლასიკურ ფონეტიკასა და ფონოლოგიას. ესაა ექსპერიმენტულ-ფონეტიკური გამოკვლევები საანალიზო ბგერათა გამიზნული ცვლით (დამახიჯებით). თუ ტრადიციული ფონეტიკა-ფონოლოგიისათვის შესასწავლი ბგერები ხელშეუხებელი კერპებია, რომლებიც მცვლევარმა შეძლებისდაგვარად ზუსტად უნდა აღწეროს, თანამედროვე ფონოლოგიაში სულ უფრო და უფრო იკვალავს გზას საკითხის სხვაგვარი გაგება: ფონეტიკური ერთეული გაიაზრება როგორც მისი რეალიზაციების გაფანტვის არე, მისი აღწერის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად კი მიიჩნევა იმ საზღვრების დადგენა, რომლებშიც შეიძლება იცვლებოდეს მისი ფიზიკური მახასიათებლები ისე, რომ ენობრივი სმენისათვის ეს ერთეული ამავე ერთეულად რჩებოდეს. ამ საზღვრების დაღვენას ემსახურება სწორედ ბგერათა ფიზიკური მახასიათებლების მიზანდასახული ცვლა და ამ ცვლით მსმენელთა რეაქციაში გამოწვეულ გადახრებზე დაკვირვება. ამგვარი ანალიზის ერთ-ერთი პირველი ნიმუში იყო შ. გაფრინდაშვილის მიერ ნაპრალოვან ბგერათა აღქმის შესწავლა მათი სპექტრის „ჩამოცურების“ პირობებში: მაგნიტოფონური ჩანაწერის შენელებით მიიღწეოდა ბგერათა ფორმანტული სტრუქტურის თანდათანობითი ჩამოწევა რხევათა სიხშირეების ღერძები. ამას მოჰყვებოდა აღქმის ცვლა: რხევათა დადაბლებას თან სდევდა აღქმაში ს თანხმოვნის შეცვლა ჟ-თი, შემდეგ — ხ-თი და ა. შ. მიღებულმა მონაცემებმა საშუალება მისცა ავტორს დადგინა ის ფარგლები, რომლებშიც სისინა სპირანტები და აფრიკატები რჩებოდნენ სისინებად, შეიძინა სპირანტები და აფრიკატები — შიშინებად და ა. შ. ქართული ფონეტმატური სმენისათვის.

ამგვარმა ექსპერიმენტებმა საფუძველი შეუმზადა ლაბორატორიაში ფონეტიკურ ერთეულთა აღქმის სპეციალურ შესწავლას, რამაც, თავის მხრივ, შედეგობ აქ ფონეტიკის ახალი დარგის — პერცეფციული ფონეტიკის — დაფუძნება შეაპირობა. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ ენათმეცნიერების ინსტიტუტის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიის დღევნდელი სახე, ამ წარმოებული მუშაობა და კვლევის მეთოდები, როთაც იგი სხვა ანალოგიური ცენტრებისაგან განსხვავდება, ძირითადად შეაზრადა კვლევის მიზანთა იმგვარმა გაგებამ და მუშაობის იმ მიმართულებამ, რომელიც ამ ლაბორატორიისთვის იყო დამახასიათებელი მისი არსებობის პირველსავე წლებში.

ლაბორატორიაში, როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი, შეისწავლება როგორც ცალკეულ ენათა. ისე ზოგადი ფონეტიკის საკითხები. ამ მეორე სფეროში გასარჩევია, ერთის მხრივ, ექსპერიმენტული კვლევის მეთოდების დახვეწადამუშავება, მეორეს მხრივ კი — არა მეთოდები, არამედ ამ მეთოდებით საკვლევი ზოგადი პრობლემატიკა. ქვემოთ მოქლედ ასახულია ამ სფეროებში ჩატარებული თუ მიმღინარე მუშაობა.

1. ცალკეულ ენათა ფონეტიკები. ამ მიმართულებით კვლევა, ძირითადად, ქართული, სხვა ქართველური, მთის კავკასიური ენების ბგერითი წყობის საკითხების შესწავლაში გამოიხატა.



აქ, პირველ რიგში, ალსანიშნავია ქართული ენის აკადემიური გრამატიკული („ქართული ენის სისტემური კურსის“) ფონეტიკის ტომის მომზადებულებული წარმოადგენს თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის ბერძით მიმდინარეობას. აღნიშნული გმოკვლევა ლაბორატორიის თანა-შპრომელთა კოლექტიური ნაშრომია. ტომი შეიცავს სეგმენტურ და ზესეგმენტურ ერთეულთა სისტემების, დისტრიბუციული მიმართებებისა და მორფონოლოგის მონაკვეთებს (ტექსტის ავტორები — ზ. ჯაფარიძე, ა. ონიანი, ნ. უთურგაძე). ნაშრომი გადაცემულია სისტემური კურსის სარედაქციო ჯგუფისათვის. საბოლოო რედაქცია ივარაუდება კურსის სხვა მონაკვეთების დასრულების შემდეგ.

შესრულდა რიგი სამუშაო სალიტერატურო ქართულ ტექსტში ბკერათა სიხშირის, ქართული დიალექტების ინტონაციური სტრუქტურების შესახებ (გ. ცოცანიძე, ნ. იმნაძე, ლ. ბაბლუანი, ა. ონიანი, ლ. ვაშაკიძე, თ. აბრამიშვილი). სალიტერატურო ქართულის ინტონაციურ ქარგებს მიეძღვნა ნ. კიჩირიას მონოგრაფია. ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა და მისი კავშირი ფონემათა განაწილებასთან განიხილება თ. უთურგაძის მონოგრაფიაში.

მონოგრაფიულად იქნა შესწავლილი მეგრულისა და ჭანურის ბერძითი შედგენილობაც (ნ. იმნაძისა და ნ. კიჩირიას ნაშრომებში). სპეციალური გამოკვლევა მიეძღვნა სვანური ენის ფონემათა განაწილებას (ავტორი — ლ. ბაბლუანი), მიმდინარეობს ამ ენის ინტონაციური ქარგების შესწავლა (რ. სულაკაური).

დღიდ ადგილი ეთმობა მთის კავკასიური ენების ფონეტიკური სისტემების შესწავლას. მონოგრაფიულად არის აღწერილი დარგული ენის ფონეტიკა (შ. გაფრინდაშვილი), სიტყვათმახვილი დიდოურ ენებში (ე. ლომთაძე), დიდოურ ენათა ვოკალიზმის დიაქრონიკული ცვლილებები (ე. ლომთაძე). მთის კავკასიურ ენათა ბერძითი სისტემების ცალკეულ მხარეებს ეხება ი. გუდავას, თ. ქეცბას, ზ. ჯაფარიძის ნაშრომები. ამ ენათა სპეციფიკური ბერძები (აბრუ-პტივები და ე. წ. გემინატები) იყო შესწავლილი ლაბორატორიის თანამშრომელთა ორ კოლექტიურ ნაშრომში. ამავე დროს, საჭირო შემთხვევებში ტარდებოდა ექსპერიმენტული გამოკვლევები ინსტიტუტის სხვა განცოდვებების თანამშრომლებისა თუ სხვა სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენელთა მომართვის შესაბამისად.

გარდა ზემოთ აღნიშნული მონათესავე ენების ბერძითი წყობისა, შეისწავლებოდა რიგი სხვა ენის ფონეტიკის საკითხები. მონოგრაფიულად იქნა გამოკვლეული სპარსული ენის ფონეტიკა (შ. გაფრინდაშვილი ჭ. გიუნაშვილთან თანავტორობით). ექსპერიმენტულად იქნა შესწავლილი რუსული, ოსერი, ფრანგული... ენების კერძო საკითხები (შ. გაფრინდაშვილი, ლ. ბელოშერვა, ზ. ჯაფარიძე, ნ. ახრახაძე...).

სავალე პირობებსა თუ ინსტიტუტში მოპოვებული საანალიზო მასალა ინახება ლაბორატორიის ფონოთეკაში, რენტგენოთეკასა და ოსცილოთეკაში.

2. ექსპერიმენტული კვლევის შეთოდები. ქვემოთ მოყლედ შევეხებით ექსპერიმენტული კვლევის მხოლოდ იმ მეთოდებს, რომლებითაც ჩვენი ლაბორატორია განსხვავდება სხვა (ტიპობრივი, ტრადიციული) ლაბორატორიებისაგან.

ა) ქართული მეტყველების ელემენტის ელემენტი სინთეზი. 1963 წლიდან ლაბორატორიაში მიმდინარეობს მუშაობა ქართული მეტყველების სინთეზზე (ტექსტის მანქანურ „წარმომქმაზე“). ამ მხრივ კვლევა თავდაპირველად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ავტორების ინსტი-

ტუტში (დღევანდელ მართვის სისტემების ინსტიტუტში) გიმდინარეობდა. სან-  
თეზს თავის მიერვე დამუშავებულ და აგებულ სინთეზატორზე ახორციელებდა  
ინჟინერი ლ. ბელოზეროვა, რომელიც შემდგომ ენათმეცნიერებისა და იურიული მატე-  
მატიკის ინსტიტუტების შეთანხმებით გადმოყვანილ იქნა ენათმეცნიერების  
ინსტიტუტში. აქ შეტყველების სინთეზზე მუშაობა დღესაც გრძელდება და  
ადრე დასახულ მიზნებთან ერთად ახალი ამოცანების გადაწყვეტასაც ემსახუ-  
რება. კერძოდ, სინთეზი ემსახურება არა მარტო პრაქტიკული საკითხის გადაჭ-  
რას — მანქანის ამეტყველებას, არამედ თეორიული საკითხების კვლევასაც —  
სამეტყველო ბგერების ამა თუ იმ ფიზიკური მახასიათებლების ინფორმაცი-  
ულობის დადგენას ადამიანის ენობრივი სმენისათვის.

ეს სამუშაო ქართული ენის ბგერათა სინთეზის პირველი ცდა იყო, მაგრამ  
მისი მნიშვნელობა მხოლოდ ამით არ ამოიწურება. პრინციპული მნიშვნელობა  
აქვს სინთეზატორში გამოყენებულ ხერხს: ბგერათა სინთეზს მათი სპექტრის  
სერი მახასიათებლებით, რომელსაც პირობითად „სტატიკურები“ შეიძლება  
უწოდოთ. აქ იგულისხმება ბგერათა ფორმანტული სტრუქტურა, რომელიც  
ყოველ ბგერას საკუთარი აქვს იმისდა მიხედვით, თუ რა მდგომარეობაში  
არიან მისი წარმოთქმისას სამეტყველო ორგანოები. ბუნებრივი მეტყველები-  
სას ეს მდგომარეობა, როგორც ცნობილია, მუდამ იცვლება და შესაბამისად  
იცვლება ბგერათა ფორმანტული სტრუქტურა. განსაკუთრებით დიდაც ცვლი-  
ლებები ხშულ ბგერებში და ბგერიდან ბგერაზე გადასვლისას, როცა ე. წ.  
„ფორმანტული გადასვლები“ იჩენს თავს. გაბატონებულია თვალსაზრისით,  
ხშულ ბგერათა აღქმისათვის სწორედ ეს ფორმანტული გადასვლებია ყველაზე  
მეტად ინფორმაციული და, ამავე დროს, საქმარისიც კი. „ფორმანტული გადას-  
ვლები“, ცხადია, მეტად ინფორმაციულებია, მაგრამ აღქმისათვის აუცილებელ-  
ნი არ არიან (უფრო ზუსტად — შესაძლებელი ყოფილა მათი შეცვლა სხვა მა-  
ხასიათებლებით).

ფონეტიკურ ერთეულთა აღნიშნული გზით სინთეზისას გამოიყენება ხე-  
ლოვნური ბგერითი წყაროები (აპარატურული გზით მიღებული პერიოდული  
რხევები და ე. წ. „თეთრი ხმაური“). ბგერითი რხევების ამ შენაზავიდან გარ-  
კვეული პროცესების გამოყენებით მკვლევარი ტოვებს იმ კომპონენტებს, რომ-  
ლებიც ამა თუ იმ ბგერისთვისაა საკირო, და მათი გრძლივობისა და ძალის რე-  
გულაციით იღებს ამ ბგერისათვის დამახასიათებელ ჟღერადობას. ამდენად,  
სინთეზის ეს გზა ბგერათა სხვადასხვა მახასიათებლის ინფორმაციულობის გა-  
მოვლენის მოსახერხებელი მეთოდია და ლაბორატორიისათვის იგი ექსპერიმენ-  
ტულ-ფონეტიკური კვლევის ეფექტურ მეთოდად იქცა. იგი საშუალებას იძლე-  
ვა შევაფასოთ არა მხოლოდ ცალკეული ბგერების, არამედ მახვილისა და ინტო-  
ნაციის მახასიათებლები. სწორედ ამ წესით იქნა დადგენილი, მაგ., რუსული  
ენის მახვილის სხვადასხვა მახასიათებლების სხვადასხვა ინფორმაციულობა,  
მათი სხვადასხვა საკომპისაციის ძალა, „წონა“.

ბ) ქართული მეტყველების ფონემური კომპილაციური სინთეზი არ ი-  
სინთეზი. ამ ამოცანასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობა  
ლაბორატორიაში დაიწყო 1987 წლიდან, მას შემდეგ, რაც ჩვენი აკადემიის  
მართვის სისტემებისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტების შეთანხმებით ლა-  
ბორატორია ჩაერთო მუშაობაში ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის ზე-  
პირსიტყვიერი პასუხის ორგანიზაციაზე. შემდგომში ეს მუშაობა გადაიზარდა  
უფრო დიდი ამოცანის — ადამიანისა და მანქანის ზეპირსიტყვიერი დიალო-  
გის — ორგანიზაციაში.

ამ ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვდა, რომ ელექტრონულ-გამომფულება მანქანის გამოსასვლელზე გვქონდა ტექსტის წარმოთქმის საშუალება და მომდევ საჭირო ტექსტის სინთეზი. გადაწყვეტილ იქნა განხორციელებული ყონებური მონაცემების ბაზაზე. სპეციალისტების უმეტესობის მიერ ამგვარი სინთეზის განხორციელება პრაქტიკულად გადაუჭრელ ამოცანად მიიჩნევა. სიძნელეს ქმნის მრავალი ფაქტორი, რომელთაგან ერთ-ერთი მთავარია ის, რომ ფონებური კომპიუტერი სინთეზის დროს ადამიანის მიერ წარმოთქმული ტექსტიდან ამოცევთილ ყოველ ფონებას, ახალ ბგერით გარემოცვაში ჩასმულს, თან ახლავს ძველი გარემოცვიდან გაღმოყოლილი, მეზობელი ბგერებისაგან მიღებული შეფერილობა. ეს შეფერილობა ახალ ბგერით გარემოცვაში აჩენს „პარაზიტულ“ ბგერებს, წარმოქმნის უჩვეულ უდერადობას, ანელებს და ძალიან ხშირად შეუძლებლად ხდის კომპილირებული სიტყვის გავრცებასა და ცნობას.

თუ ამ „კონფლიქტური ბგერათმეზობლობის“ თავიდან ასაცილებლად გადავწყვეტთ ბუნებრივი გარემოცვიდან ამოვჭრათ ქართული ფონების ყოველი ტიპის პოზიციური ვარიანტი, მაშინ მხოლოდ უშუალოდ მოსაზღვრე ბგერათა შეფერილობის ასასახვად დაგვჭირდება 40000-მდე ბგერითი მონაცევთი ( $33 \times 33 \times 33$ ), ხოლო საზღვრების საჭირო გაფართოება კი ასტრონომიულ ციონირებამდე მიგვიყვანს. ეს მართლაც შეუძლებლად ხდის ამგვარ კომპილაციურ სინთეზს. მაგრამ მოიძებნა კომპილაციური ფონებური სინთეზის შესაძლო, პრინციპულად განსხვავებული გზა. ეს, ერთი შეხედვით პარადოქსული გზა იმაში მდგომარეობს, რომ კომპილაციისათვის გამოიყენება არა მეზობელ ბგერათა შესაბამისი შეფერილობის მქონე ვარიანტები, არამედ მათთან არშეგუებული, „მშობლიური“ შეფერილობის მქონენი. მაგ., წინაენისმიერ ტ-ს. ამოჭრილს წინაენისმიერი ხმოვნების მეზობლობილან (ეტე), ვსვამთ ნებისმიერ სხვა ბგერით გარემოცვაში. ბგერის წინაენისმიერი შეფერილობა „კონფლიქტს“ არ ქმნის ახალ მეზობელ ბგერებთან: წინაენისმიერი ტ-ს წინაენისმიერი შეფერილობა ისევე შეუმჩნეველი ჩემბა სმენისათვის, როგორც წითელ კედელზე მოწითალო ლაქა — თვალისათვის. ვარიანტთა ამ წესით შერჩევამ საშუალება მოგვცა დავკმაყოფილებულიყვათ ყოველი ფონებისათვის, როგორც წესი. თითო ვარიანტთ (ხმოვნები წარმოდგენილია სხვადასხვა მუსიკალური სიმაღლის გარიანტებით, რაც ინტიმური სინთეზმა მოითხოვა).

მართვის სისტემების ინსტრუმენტი, პროფ. გ. რამიშვილის განყოფილებაში, კომპილაციურ სინთეზზე მუშაობდნენ განყოფილების თანამშრომელი ა. თუ-შიშვილი თა ჩეგნი ლაბორატორიიდან ზ. ჯაფარიძე. ლაბორატორიაში ჩატარებულ წინასწარ ექსპერიმენტებში მონაწილეობდა ლ. ვაშაკიძე.

გ) ბაგრათ ავტომატური გამოცნობა. სამეტყველო ბგერების მანქანური გარჩევა-ასმოცნობა, ისევე როგორც ბგერათსინაზეზი, ასევე ბითად. გამოიყენებითი ლინგვისტიკის ამოცანაა, თუმცა მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს ექსპერიმენტული ფონეტიკისთვისაც.

ლაბორატორიაში ამ პრობლემაზე მუშაობს ინჟინერი ი. სტრელნიკოვი. მის მიერვეა აგებული დანადგარი, რომელზეც საჭირო პერაციები ჩორციელდება. ი. სტრელნიკოვის ეს მოწყობილობა, ასევე ბითად, წარმოადგენს ოცდაათარხიან სპექტრომეტრს (საანალიზო დიაპაზონი — 0—6000 ჰერცი), რომელშიც შეიძლება შეფანცლ იქნას ბგერითი ეტალონის მნიშვნელობები ყოველი ცალკეული არხისათვის. გამოსაცნობი ბგერების მახასიათებლები უდარდება

ეტალონს თითოეულ არხში, სიდიდეებში სხვაობა ურთიანდება და მოწყობა-  
ლობის გამოსავლელზე ვიღებთ ბგერის საერთო დაშორებას ეტალონიდან.

ეტალონთან მისი გაიგვებისათვის საკმარის ან არასაკმარის სიდიდეს. ცარიცხული  
გაიგვებისათვის საკმარის ან არასაკმარის სიდიდეს. გიგლიორი

დანადგარში განხორციელებულია ეტალონთან შედარების ორიგინალური  
ხერხი, რომელიც იმის საშუალებას იძლევა, რომ ეტალონთან შედარებისას ში-  
ლებული დაშორების სიდიდე არ იყოს დამოკიდებული შესაღარებელი ბგერის  
წარმოთქმის ინტენსივობაზე ან ბგერითი ჩანაწერის სიძლიერე-სისუსტეზე.

ფონეტიკურ ექსპერიმენტებში ეს მოწყობილობა გამოიყენება არა მხო-  
ლოდ როგორც ეტალონისაგან ბგერის დაშორების დასადგენი ხელსწყო, არა-  
მედ, აგრეთვე, როგორც ბგერის ამა თუ იმ სპექტრული უბნის ინფორმაცი-  
ულობის გამოსავლენი საშუალება (რამდენადაც მისი მეშვეობით შესაძლებე-  
ლი ხდება მსმენელს ბგერა მოვასმენინოთ ამა თუ იმ სპექტრული უბნის გა-  
მორიცხვით).

დ) ს ე გ მ ე ნ ტ ა ც ი ა დ ა ბ გ ე რ ა თ ა გ ა მ ი ზ ნ უ ლ ი ც ვ ლ ა. ლა-  
ბორატორიაში ლამუშავებული და გამართული იქნა ორი მოწყობილობა ბგე-  
რათა ყლექტრონული სეგმენტაციისა და მათი დროითი და ინტენსივობითი მა-  
ხსასიათებლების საცვლელად. ამათგან პირველი (ი. სტრელნიკოვისა და ზ. ჯა-  
ფარიძისა) შედგომი გაუმჯობესებულ იქნა ლ. ვაშაკიძის მიერ.

ამ ხელსაწყოთა მეშვეობით შესაძლებელია ბგერითი გარემოცვიდან სიტყ-  
ვისა თუ მისი შემადგენელი ბგერების ნებისმიერი მონაკვეთის ამოღება შექ-  
მნილი პაუზის შენარჩუნებითა თუ მოსპობით, ნებისმიერი მონაკვეთის გაგრ-  
ძელება ან შემოკლება (მისი ნაწილების განმეორებითა და ამოცლი). შერ-  
ჩეულ ბგერით გარემოცვაში სხვა ბგერითი მონაკვეთის ჩასმა, სხვადასხვა ბგე-  
რათა ფაზების ურთიერთჩანაცვლება, მათი ინტენსივობის დაგეგმილი ცვლა...

ამგვარი პერაციები საშუალებას იძლევა შემოწმდეს ბგერათა სხვადასხვა  
შემადგენელი ნაწილებისა და მათი ფიზიკური მახსასიათებლების შეტ-ნაკლები  
მნიშვნელოვნება ამ ბგერათა ყლერჩდობის აღმისათვის, რაც გამოიყენებულ  
იქნა ექსპერიმენტულ გამოკვლევაში.

ე) ა რ ტ ი კ უ ლ ა ც ი ი ს ე ლ ე ქ ტ რ ო მ ი ი გ რ ა ფ ი ი უ ლ ი შ ე ს წ ა ვ-  
ლ ა. სამეტყველო ორგანოების ბიოდენების ჩაწერა არტიკულაციის შესწავლის  
განსაკუთრებით საინტერესო, შეუცვლელი მეთოდია, რადგან იგი საშუალება,  
იძლევა აცსახოთ ამ ორგანოთა აქტივობა მათი აღვნებისთანავე, გერ კიდევ მა-  
შინ. როცა სხვა მეთოდებისათვის მათი წარმოთქმაში მონაწილეობა შეუმტკე-  
ველია (როგორც ცნობილია, ექსპერიმენტული ფონეტიკის ტრადიციული მე-  
თოდები ან მოძრაობათა შედეგად მიღებულ კვალს „ამჩნევენ“, ანდა უხევ-  
ძევთრად გამოხატულ მოძრაობებს).

ექსპერიმენტულ-ფონეტიკური მიზნით სამეტყველო ორგანოების ელექ-  
ტრომიოგრაფია პირველად განხორციელდა 1960 წელს ჩვენი აკადემიის ფიზი-  
ოლოგიის ინსტიტუტში პროფ. ნ. ძიძიშვილის ლაბორატორიის თანამშრომლე-  
ბის (ამჟამად აკადემიკოსების) თ. ონიანისა და თ. იოსელიანის დახმარებით.  
ლაბორატორიიდან სამუშაოში მონაწილეობდა ზ. ჯაფარიძე. შემდეგ მეთოდი  
დაინერგა ენათმეცნიერების ინსტიტუტში.

არტიკულაციის ელექტრომიოგრაფიული შესწავლით გამოვლინდა ზოგადი  
და ექსპერიმენტული ფონეტიკისათვის საინტერესო რიგი მოვლენა. თვალსა-  
ჩინოდ იქნა ნაჩვენები, რომ ბგერათა შემართვა შეიძლება დაიწყოს არათუ  
უშუალოდ წინამავალი ბგერის ფარგლებში, არამედ უფრო ადრეც. ასეთი

„გამჭიოლი“ არტიკულაცია იქნა ასახული, მაგ., სიტყვაში სტუმარი რომელი უ-სთვის საჭირო ბაგეთა აქტივობა დაიწყო (ელექტრომიოგრამაში ისეჭიდებოდა ტყვის თავიდანვე, ჯერ კიდევ ს-ს წარმოთქმისას.)

გიგლიორის გამარტინი

3. ზოგადი ფონეტიკის საკითხები. ამ სფეროში ლაბორატორიის მუშაობა, ძირითადად, უკავშირდება საკითხთა ორ ჯგუფს: პერცეფციული ფონეტიკისა და ადამიანში ენობრივი (ფონეტიკური) სისტემის ჩამოყალიბების აღრეული ეტაპების პრობლემატიკას. ახალი ლინგვისტური დისციპლინის — პერცეფციული ფონეტიკის --- დაფუძნება, მისი ცნებითი აპარატის დამუშავება, საშეტყველო ბეგრათა აღქმისას ცნობიერ და ქვეცნობიერ დონეზე მიმღინარე პროცესების წარმოჩენა და განხილვა მოცემულია ზ. ჯაფარიძის ორ წიგნსა და რიგ შრომაში. ქართულ ბეგრათა აღქმის საკითხებს ეძღვნება 6. იმნაძის მონოგრაფია.

თბილისის უნივერსიტეტის თანამშრომლები თ. მიქაელ და გ. უფარავე ლაბორატორიაში იკვლევენ ქართველ ბავშვთა მიერ ქართული ფონეტიკური ერთეულების ათვისების კანონზომიერებებს, ალგენენ ქართული ბეგრებისა და ინტონაციური კონტურების ჩამოყალიბების თანმიმდევრობას.

ლაბორატორიის თანამშრომლების (ზ. ჯაფარიძე, ი. სტრელნიკოვა, ი. მამალაძე) ექსპერიმენტების შედეგად გაირკვა, რომ სხვადასხვა ეროვნების (ქართველ და რუს) ახალშობილთა ტირილი განსხვავდება ერთმანეთისაგან ისეთი ნიშნებით, რომლებიც ამ ბავშვთა მშობლების დედა ენათა ფონეტიკას შეიძლება დავუკავშიროთ. აღნიშნული სხვაობა სტატისტიკურად სანდოა და ეჭვს არ იწვევს იმ სპეციალისტებშიც კი, რომლებსაც არ სჯერათ მისი დაკავშირების უცსაძლებლობა მშობელთა ენის ბეგრით წყობასთან და რომლებიც თვლიან, რომ ახალშობილთა ტირილში დადასტურებული განსხვავებანი ამ ბავშვთა ანატომიურ განსხვავებებს (პირისა და ცხვირის ღრუების სხვადასხვა მოყვანილობას) შეიძლება დავუკავშიროთ. ლაბორატორიაში მიღებული ძველი და ახალი მონაცემების გათვალისწინებით, ეს ბოლო ვარაუდი სარწმუნო არ ჩანს. დადგენილ სხვაობასთან დაკავშირებულ მრავალ საკითხში გასაჩვევევად აქ შემუშავებული გეგმის შესაბამისად იმულება მუშაობა სხვა სამეცნიერო ცენტრებშიც სხვადასხვა ეროვნების (რუს, ქართველ, აზერბაიჯანელ, გერმანელ...) ახალშობილებზე დაკვირვებით, ნორმალურ და ყრუ-მუნჯ მშობელთა შვილებზე დაკვირვებით.

დაწვრილებითი ცნობები ზემოხსენებულ სამუშაოებზე მოცემულია ავტორთა სამეცნიერო პუბლიკაციებში. სულ ლაბორატორიის თანამშრომლებს დაბეჭდილი აქვთ 370 ნაშრომი, მათ შორის 17 — მონოგრაფია. გამოცემულია ლაბორატორიაში შედგენილი 6 კრებული, სადაც ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკის, მეტყველების ანალიზის, სინთეზისა და სტატისტიკის საკითხებია განხილული.

მუსამაღ ლაბორატორიაში 14 თანამშრომელი მუშაობს. აქედან 12 ენათმეცნიერია (ნ. ახრახაძე, ლ. ბაბლუანი, ი. გუდავა, ლაბორატორიის სტავლული მდივანი ნ. იმნაძე, ნ. კიზირია, ე. ლომთაძე, ი. მამალაძე, ა. ონიანი, რ. სულაკაური, თ. ქეცა, გ. ცოლანიძე, ლაბორატორიის გამგე ზ. ჯაფარიძე), 2 კი — ინუინერი (ლ. ვაშაკიძე, ი. სტრელნიკოვი).

სტავადასხვა წლებში ლაბორატორიაში მუშაობდნენ: თ. აბრამიშვილი, ლ. ბელოზეროვა, ნ. გიორგობიანი, გ. დოლიძე, ი. თევდორაძე, თ. უთურგაიძე.

6. იმნაძე, ზ. ჯაფარიძე

## ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის ლაპორატორია

ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის ლაპორატორია დაარსდა 1990 წლის მარტში. ლაბორატორიის დაარსების საფუძველი გახდა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1990 წლის 8 თებერვლის დადგენილება, სადაც ნათქვამია: 1. 1990—2000 წლებში მომზადდეს და გამოიცეს ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი; 2. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნას ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის სარედაქციო საბჭო (თავმჯდომარე ქ. ლომთათიძე); 3. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ბაზზე შეიქმნას ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის საპრობლემო ლაპორატორია.

ლაბორატორია დაკომპლექტდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების რამდენიმე თანამშრომლითა და მოწვეული სპეციალისტებით: ი. ქერქაძე (ლაბორატორიის სწავლული მდივანი), ნ. ჭოხონელიძე, ე. ოსიძე, შ. გაბესკირია, ნ. მახარაძე, ნ. კილაძე, მ. არეშიძე, ნ. ბაღათურია, ნ. მაისურაძე, ქ. პეტრიაშვილი, ლ. ქაროსანიძე, მ. ჩუხუა (ლაბორატორიის გამგე).

ლაბორატორიის მუშაობაში დასაქმებულია აგრეთვე ხელშეკრულებით მომუშავე სპეციალისტები, რომლებიც ინტენსიურად ამუშავებენ საეტიმოლოგიო ლიტერატურას.

ქართველურ ენათა გენეტური ნათესაობის დადგენა სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებთან იმთავითვე გულისხმობდა ეტიმოლოგიურ კვლევასაც. ამიტომაც საეტიმოლოგიო მუშაობა ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაარსებიდანვე ფართოდ გაიშალა. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, ს. ჭანაშიას, ქ. ლომთათიძის, გ. როგავას, ი. ცერცვაძის, ტ. გულავას, თ. შარაძენიძის, თ. გონიაშვილის, ო. კახაძის და სხვათა სპეციალური ნაშრომები.

ამჟამად ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის მომზადების მიზნით გრძელდება საენათმეცნიერო ლიტერატურის დამუშავება. სამუშაოს შესრულების პირველ ეტაპზე ხტიმოლოგიზებულ ძირ-ფუძეთა ამოწერა სპეციალური, წინასწარ შემუშავებული წესების მიხედვით (წესები ეტიმოლოგიებისათვის შედგენილია ა. არაბულის მიერ).

როგორი მასალა მოიყრის თავს ეტიმოლოგიზებულ ძირ-ფუძეთა ლექსიკონში?

1. ძირითად, მეთაურ ერთეულს წარმოადგენს ქართული ფუძე (ძირი), კონკრეტული ეტიმოლოგიური ანალიზის ის საფუძველი, რომელიც ქართულის

მიხედვით რეალური ოდენობაა. მოკლედ აისახება ყველა ძირითად შესახვა/რისაირებელი ლექსიკური ერთეული, მათი ფორმობრივი დანაწევრება ძირის არქეტიპი, ძირითადი მნიშვნელობები, სემანტიკური გადახრებული კონტენტი.

2. ყოველი ენობრივი ერთეული (ფუძე), მასალობრივად დაკავშირებული ძირითად სალექსიკონო ერთეულთან, გამოტანილი იქნება ცალკე სალექსიკონო ერთეულად და ანალიზის დეტალების გარეშე გაიგზავნება ძირითად სალექსიკონო ერთეულზე.

3. თუ ეტიმოლოგიური კვლევა ჩატარებულია ქართველური მასალის შეპირისპირებით, მაშინ გამოტანილი იქნება ცალკეულ ქართველურ ენათა რეალური ფუძე-ერთეულები.

4. ცალკე ერთეულად შევა ლექსიკონში პრაფორმად ნავარაუდევი (აღ-დგენილი) ფორმები (ეტიმონი, არქეტიპი) და გაიგზავნება რეალურად დადასტურებულ ქართულ ერთეულზე.

5. თუ ზანურ ან სვანურ საეტიმოლოგიო ერთეულს ქართულიდან შესული მასალა (ნასესხები) უდევს საფუძვლად, მაშინ ძირითად ერთეულად გამოტანილი იქნება ზანურ-სვანური ფორმა, ხოლო ქართული — გაგზავნილ ერთეულად.

6. სემანტიკური მონაცემები ძირ-ფუძეთა ლექსიკონში აისახება მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში: а) თუ არქეტიპის სემანტიკა ისტორიულად ცვლილა, ნაჩვენები იქნება მისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობა (მაგ. \*წერ-„ჭრა“), ბ) საანალიზო ენობრივი მასალა (ზანურ-სვანურის, აგრეთვე ძვ. ქართულისა და დიალექტების) წარმოდგენილი იქნება შესაბამისი სემანტიკის მითითებით, თუ ეს მასალა ზუსტად არ ინარჩუნებს ძირითადი ქართული ერთეულის მნიშვნელობას (მაგ.: კაც-: კოჩ-: ჭუშ „ქმარი“).

7. ძირეულ მორფემთა მსგავსად ამოიწერება ეტიმოლოგიზებული აფიქ-სური მასალაც.

ეტიმოლოგიზებულ ძირ-ფუძეთა ლექსიკონის (ინდექსის) გამოცემა გან-ზრახულია 1994 წელს. ხოლო შემდგომი ეტაპი გულისხმობს საკუთრივ ქარ-თული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიურ ლექსიკონზე მუშაობას.

ზოგი რამ ტერმინ ისტორიულ-ეტიმოლოგიურის შესახებ.

ტერმინი ისტორიულ-ეტიმოლოგიური უფრო მარჯვეა სხვა ტერმინებთან — ისტორიულ ან ეტიმოლოგიურ — შედარებით. რადგანაც სიტყვის ეტიმოლოგია ყოველთვის გულისხმობს სიტყვის ისტორიას, ხოლო ე. წ. ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში ფაქტიურად არ არის წარმოდგენილი ყველა სალექსიკონო ერთეულის ეტიმოლოგია, ამიტომაც უპრიანია ვიხმაროთ ტერმინი ისტორიულ-ეტიმოლოგიური, რაც უშუალოდ მიუთითებს იმაზე, რომ ამგვარ ლექსიკონებში წარმოდგენილი იქნება, შესაძლებლობის მიხედვით, ან სიტყვის ისტორია ან ეტიმოლოგია, ზოგჯერ კი — ორივე ერთად. სიტყვის ისტორია უნდა განიხილებოდეს საგნის (აღსანიშნის) ისტორიასთან ერთად (კულტურის ისტორია). ამგვარი მიღვომის აუცილებლობაზე მიუთითებდა არნ. ჩიქობავა თავის წერილში „К вопросу о взаимоотношении этимологического и сравнительного словарей.—Лексикографический сборник, VI, М., 1963.

ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ცალკე ერთეულად შევა ყველა სხვა ენებიდან ნასესხები მასალა და აუცილებლად მიეთი-



თება სესხების დროც — რომელი საუკუნიდან დასტურდება ესა თუ ის სიტყ-  
ვა ქართულ წერილობით ძეგლებში და სად არის პირველად ფიქსირებული, მარცხელი  
ასევე ყველა შესაძლო შემთხვევაში წარმოდგენილი იქნება ქართულ-ქართველ-იმპერიუმის  
ლური ენებიდან სხვა ენებში შესული სიტყვების გავრცელების არეალი.

ლექსიკონში განსაკუთრებულ ადგილს დაიჭირს ქართულ ტოპონიმთა და  
ეთნონიმთა ისტორიულ-ეტიმოლოგიური ანალიზი.

მ. ჩუხუა

თუ კარგი სამეცნიერო კვლევის კომპიუტორიზაცია  
 და მიმღები მუშაობაში მათემატიკური მეთოდებისა და ელექტროგამოძოვების მანქანების გამოყენება ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაიწყო ჯერ ქიდევ 60-იანი წლებიდან, მაგრამ ტექნიკურმა სირთულეებმა რამდენიმე წლით შეაფერხა ეს სამუშაოები.

## რეზუმე სამეცნიერო კვლევის კომპიუტერიზაცია

სამეცნიერო მუშაობაში მათემატიკური მეთოდებისა და ელექტროგამოძოვების გამოყენება ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაიწყო ჯერ ქიდევ 60-იანი წლებიდან, მაგრამ ტექნიკურმა სირთულეებმა რამდენიმე წლით შეაფერხა ეს სამუშაოები.

1987 წლიდან სამეცნიერო კვლევის კომპიუტერიზაციის მხრივ მუშაობა განახლდა.

დღეისათვის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ამ თვალსაზრისით მუშაობა მიმდინარეობს ძირითადად სამი მიმართულებით: ა) ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ჯგუფი, რომლის მიზანია იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური ანალიზის წარმართვა კომპიუტერების საშუალებით, ბ) იქმნება ქართული ენის ლექსიკის კომპიუტერული ბანკი, გ) ინსტიტუტი ფართოდ იყენებს კომპიუტერებს საგამომცემლო სამუშაოებისათვის.

სამეცნიერო მუშაობაში კომპიუტერების გამოყენების გარკვეული გამოცდილება აქვს ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიას, რაც ასახულია ლაბორატორიის თანამშრომელთა პუბლიკაციებში.

კომპიუტერების გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იბერიულ-კავკასიური ენების შესწავლასთან დაკავშირებული ზოგი პრობლემის გადასაჭრელად. ამჟამად ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებებში იქმნება თეორიული წინამდღვრები ამ ენათა ფონოლოგიურა, მორფოლოგიური თუ სინტაქსური სტრუქტურების მანქანური ანალიზისათვის.

ქართველურ ენათა განყოფილებაში იქმნება ესკიპური პროექტი ქართული ენის მორფემათა ფონემატური შედეგისაღლობის და მათი რანგობრივი განწილების კომპიუტერული დამუშავებისათვის. მორფემათა სინტაგმატური მიმართებების ანალიზი და მათი სემანტიკური თვალსაზრისით დაკვირვებების პრინციპების დამუშავება ხდება „ქართული ენის მორფემებისა და მრადალური ელემენტების ლექსიკონის“ მიხედვით.

ქართული ენის სინტაქსური კოდირების თეორიის პრინციპები მუშავდება ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებაში.

ლექსიკოლოგიური კვლევის მიზნით კომპიუტერის გამოყენება გულისხმობს ქართული ენის ძირ-ფუძეთა ლექსიკონის, ქართველ მწერალთა თხზულებების სიმფონია-ლექსიკონების, აგრეთვე პრობლემურ-დარგობრივი ბიბლიოგრაფიების შედგენას.

ივარაუდება კომპიუტერის ფართოდ გამოყენება თარგმნით ლექსიკონებშე მუშაობისას.

მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს აგრეთვე ქართული ენის დერივა-

ციული მოდელების დამუშავება კომპიუტერების საშუალებით, რაც აუცილებელია სამეცნიერო ტერმინოლოგიის უნიფიკაციისა და სტანდარტიზაციისათვის.

განზრახულია კომპიუტერზე დამუშავდეს ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის, ნორმებისა და სიწმინდის დაცვის საკითხებზე შექმნილი ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია, შედგეს ქართული ენის ორთოგრაფიული და სინტაგმების ლექსიკონები, აგრეთვე საკუთარ სახელთა ლექსიკონი.

ბ. გორგენაძე

## იბერიულ-კავკასიური ენათა შესწავლას ჩვენში დიდი ხნის ტრადიცია აქვს.

აქ სამი საკვანძო მომენტია გამოსაყოფი:

1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარსებისთანავე ივ. ჯავახიშვილმა ქართველ ენათმეცნიერებს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაუსახა ქართველურ ენებთა ერთად მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლა. ამ მხრივ პირველი ნაბიჯებიც გადაიდგა, ცალკე უნდა ითქვას, რომ 1937 წელს გამოვიდა ივ. ჯავახიშვილის ფუნდამენტური მონოგრაფია „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“.

2. ან. ჩიქობავას ინიციატივით 1933 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა კავკასიურ ენათა კათედრა და 1936 წელს ენის, ლიტერატურისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში — მთის კავკასიურ ენათა განყოფილება. ამ დროიდან იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევასა და სათანადო სამეცნიერო კაღრების მომზადებას გეგმაზომიერი და სისტემატური ხასიათი მიეცა. დაიბეჭდა მრავალი მონოგრაფია და წერილი, მომზადება ასობით სპეციალისტი.

თბილისი იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის წამყვან ცენტრად იქცა.

3. 1965 წლიდან ორ წელიწადში ერთხელ კავკასიის სხვადასხვა ქალაქში ტარდება იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემისა და ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი რეკონალური სამეცნიერო სესიები. დღემდე ჩატარდა 13 ასეთი სესია. სესიებს ატარებს მუდმივი საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც 1985 წლამდე სათავეში ეღგა არნ. ჩიქობავა. 1985 წლიდან საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეა ქ. ლომთათიძე.

1967 წელს თბილისში ჩატარდა II რეკონალური სამეცნიერო სესია, რომელმაც საჭიროდ მიიჩნია დაარსებულიყო ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა საკუთხირო ორგანო.

არნ. ჩიქობავას სამეცნიერო ავტორიტეტისა და სამი წლის დაუღალვი მოღვაწეობის, დიდი ძალისხმევის წყალობით 1970 წლის 18 ივნისს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, ხოლო ლიტერატურისა და ენის განყოფილებამ 1970 წლის 8 დეკემბერს დადგენილება პერიოდული ორგანოს „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადების“ დაარსების შესახებ, რომლის გამოცემა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაეკისრა.

1970 წლის 31 დეკემბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად მიიჩნია „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადების“ დაარსება (მოცულობა 25 ნაბეჭდი თაბაზი, ტირაუი 2000). მთავარი რედაქტორობა არნ. ჩიქობავას დაევალა. დამტკიცდა სარედაქციო კოლეგია



17 პირის შემადგენლობით: ვ. აბაევი (მოსკოვი), შ. არისთავა (სოხუმი), ბერებულიშვილი ყაროვი (ნალჩიკი), ს. ბარხუდაროვი (მოსკოვი), რ. გაიდაროვი (მაჰაჩიქი), ი. დეშერიევი (მოსკოვი), გ. თოფურია (თბილისი), ზ. კერაშევა (მაიკოპი), მ. კუმახოვი (მოსკოვი), ქ. ლომთათიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე, თბილისი), ა. მაკომეტოვი (სწავლული მდივანი, თბილისი), უ. მეილანცავა (მაჰაჩიქი), ჰ. მურყელინსკი (მაჰაჩიქი), ი. ოზდოევი (გროზნო), გ. როგავა (თბილისი), არნ. ჩიქობავა (მთავარი რედაქტორი, თბილისი).

სარედაქციო კოლეგის მუშაობის პრინციპები განსაზღვრული იყო „წელიწდეულის“ I ტომში გამოქვეყნებულ არნ. ჩიქობავის საპროგრამო წერილში „წელიწდეული, მისი მიზანი და ზოგადლინგვისტური საფუძვლები“<sup>1</sup>.

არნ. ჩიქობავის რედაქტორობით გამოვიდა I-XIV ტომები. XVI ტომიდან მთავარი რედაქტორია ქ. ლომთათიძე.

„წელიწდეულის“ სარედაქციო კოლეგის შემადგენლობაში მისი არსებობის მანძილზე რიგი ცვლილება მოხდა. ამჟამად მის შემადგენლობაში 25 სპეციალისტია: ვ. აბაევი (მოსკოვი), შ. არისთავა (სოხუმი), შ. აფრიდონიძე (თბილისი), ბ. ბალყაროვი (ნალჩიკი), ჰ. ბალოვი (ნალჩიკი), გ. ბურჭულაძე (თბილისი), რ. გაიდაროვი (მაჰაჩიქი), ი. დეშერიევი (მთავარი რედაქტორის მოადგილე, მოსკოვი), ა. თიმაევი (გროზნო), გ. თოფურია (თბილისი), რ. კახაძე (თბილისი), ზ. კერაშევა (მაიკოპი), გ. კვარაცხელია (თბილისი), რ. კლიჩევა (კარჩაევესკა), მ. კუმახოვი (მოსკოვი), ქ. ლომთათიძე (მთავარი რედაქტორი, თბილისი), ა. მაკომეტოვი (მთავარი რედაქტორის მოადგილე, თბილისი), უ. მეილანცავა (მაჰაჩიქი), ჰ. მურყელინსკი (მაჰაჩიქი), გ. როგავა (თბილისი), ლ. სანიკოძე (თბილისი), ვ. შენგელია (სწავლული მდივანი, თბილისი), შ. ძიძოგური (თბილისი), ლ. ჭავჭავა (სოხუმი), ბ. ჯორბენაძე (თბილისი).

ენათმეცნიერების ინსტიტუტში არსებობს „წელიწდეულის“ რედაქცია, სადაც ამჟამად 5 პირი მუშაობს: მ. აბალავი, ი. გორდიაშვილი, ნ. სტურუა, ე. ქადაგიძე, ნ. ქიათარაძე. მათ გარდა რედაქციაში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: დ. აბულაძე, გ. ბურჭულაძე, ნ. ზარდიაშვილი, ვ. კიკილაშვილი, მ. ტაბიძე.

1974-1990 წლებში გამოიცა „წელიწდეულის“ 17 ტომი, რომელშიც გამოქვეყნდა 400-ზე მეტი წერილი იძერიულ-კავკასიურ ენათა ფონოლოგიური სისტემის, გრამატიკული სტრუქტურისა და ლექსიკის საკითხებზე. გამოკვლევათა ავტორები არიან როგორც საქართველოში მცხოვრები სპეციალისტები. ისე ენათმეცნიერები ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრიდან, მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნიდან. წერილები დაიბეჭდა ქართულ, რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე. ყოველ წერილს ერთვის რეზიუმე: ქართულ ტექსტს — რუსულ და ინგლისურ ენებზე, რუსულ ტექსტს — ქართულ და ინგლისურ ენებზე, ინგლისურ (ერმანულ) ტექსტს — ქართულ და რუსულ ენებზე.

<sup>1</sup> ალანიშვილია, რომ 1923 წელს გამოვიდა „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული“, რომელშიც დაბეჭდილია წერილი „ზოგადი თვალსაზრისისათვეის“ და რედაქტორის წინასიტყვაობა; ამ პუბლიკაციებში მათი ავტორი, საზოგადოების სწავლული მდივანი, მაშინ ახალგაზრდა მეცნიერი არნ. ჩიქობავა წარმოგვიღებუნს პრინციპულ დებულებებს, ლინგვისტიკის თეორიულ პრობლემებზე და ჩვენში საენათმეცნიერო კვლევის საკითხებზე. ეს დებულებები არსებოთ მომენტებში ემთხვევა იმავე ავტორის მიერ ამ ახალ „წელიწდეულში“ გამოთქმულ თვალსაზრისს.



„წელიწდეულის“ სხვადასხვა ტომში დაბეჭდილია 90-მდე ერთულზეთა ჩვენში და უცხოეთში იბერიულ-კავკასიურ ენათა შესახებ გამოქვეყნებულებას ნაშრომების თაობაზე.

I-V ტომებში წარმოდგენილია „წელიწდეულში“ გამოყენებული ლათინური და ქართული ტრანსკრიფციების, მათი მოქმედ ანბანებთან შეფარდების ტაბულები, I და II ტომებში — იბერიულ-კავკასიურ ენათა აღსანიშნავად სხვადასხვა ენაში გამოყენებული ტერმინების ნუსხა.

„წელიწდეულში“ სისტემატურად ქვეყნდება, აგრეთვე, სხვადასხვა სამეცნიერო ინფორმაციები: იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემისა და ისტორიის საკითხებისათვის მიძღვნილ რეგიონალურ სამეცნიერო სესიათა შესახებ, ამ ენათა შესასწავლად კავკასიის სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა და უმაღლეს სასწავლებელში ჩატარებულ მუშაობაზე, ბასკოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმების თაობაზე...

იბერიულ-კავკასიური ენების გამოჩენილ მკვლევართა საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით „წელიწდეულის“ სხვადასხვა ტომში დაიბეჭდა სპეციალური წერილები. წარმოდგენილია, აგრეთვე, რამდენიმე ნეკროლოგი.

„წელიწდეულის“ II ტომი მიეძღვნა ივანე ჯავახიშვილის ხსოვნას, XV ტომი — არნ. ჩიქობავას ხსოვნას.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ დაარსებასა და სხვადასხვა ტომის გამოსვლასთან დაკავშირებით საქართველოში, აგრეთვე, მოსკოვში, ბერლინში, პარიზში... დაიბეჭდა გამოხმაურებები, რომელთა ავტორებმა მაღალი შეფასება მისცეს ამ სამეცნიერო ორგანოს.

## ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა

1941 წლიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დარსებასთან დაკავშირებით, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბდა ორი ინსტიტუტი — ენისა და ისტორიისა.

გაყოფის შემდეგაც ორივე ინსტიტუტს ერთხანს შეტანა ერთიანი ხელმძღვანელობა, სამეცნიერო საბჭო, დირექცია და ბიბლიოთეკა.

1950 წლის 17 ივნისიდან ენის ინსტიტუტს ეწოდა ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა დამოუკიდებლად არსებობს 1959 წლიდან. თავდაპირველად ბიბლიოთეკაში ორი თანამშრომელი იყო — გამგე და უფროსი ბიბლიოთეკარი. შემდგომ დაემატა რამდენიმე საშტატო ერთეული.

დღეისათვის ენათმეცნიერების ინსტიტუტის წიგნადი ფონდი შეიცავს 81.000-მდე ერთეულს.

ბიბლიოთეკაში ინახება ინსტიტუტში დაცული 253 საღოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია.

ლიტერატურის შექნა ხდება აკადემიური წიგნის მაღაზიიდან, ბიბკოლექტორიდან, საქმივნის სხვადასხვა მაღაზიებიდან. მუშავდება თვმატური გეგმები და შეკვეთები იგზავნება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში უცრნალ-გაზეთების გამოწერა ხდება „სოუზპეჩატის“ საშუალებით.

უცხოური ლიტერატურის შექნა ხდება ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის უცხოური განყოფილების საშუალებით.

ბიბლიოთეკაში სისტემატურად დგება ბიბლიოგრაფია ინსტიტუტის მიერ გამოცემულ ნაშრომებზე, როგორიცაა, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, „იბერიულ-კავკასიური მეცნიერების წელიწლეული“, „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“, „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, „თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები“, „მეტყველების ანალიზის, სინთეზისა და სტატისტიკის საკითხები“.

ბიბლიოთეკის სტენდებზე სისტემატურად არის ექსპონირებული ახალი საენათმეცნიერო ლიტერატურა.

ბიბლიოთეკა აწყობს თემატურ გამოფენებს, რომლებიც ეძღვნება ცნობილ მეცნიერებს, ღირსშესანიშნავ თარიღებს. საინფორმაციო სიები დგება ახალშემოსული ლიტერატურის შესახებ.

ბიბლიოთეკის მკითხველთა მოთხოვნების უკეთ დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბიბლიოთეკათშორისო აბონემენტი, რომლის ხაშუალებითაც ხდება ლიტერატურის გამოწერა საქართველოს მეცნიერე-



ბათა აკადემიის სისტემაში შემავალი ინსტიტუტების ბიბლიოთეკებიდან, განვითარებულ თვეულოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკიდან, აგრეთვე მოსკოვის, ლენინგრადის და სხვა ქალაქების ბიბლიოთეკებიდან.

დროებითი სარგებლობისათვის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული ლიტერატურა იგზავნება მოთხოვნისამებრ. ბიბლიოთეკას უშუალო კონტაქტი აქვს დამყარებული უცხოელ ქართველობის მიმღებთან, რომელთაც სისტემატურად ეგზავნება ინსტიტუტის გამოცემები გაცვლითი და სარეზერვო ფონდებიდან.

ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იშვიათ გამოცემებს.

მ. მდინარაძე

## არ. ჩიქოგავა

რით არის ზარდომის მრავლობითის სახელობითი  
 დასული მორცოლობიური ობიექტი ძველს ჩართულში?

1. მორფოლოგიური ობიექტი<sup>1</sup> ძველს ჭართულში შეიძლება იყოს მიცემითია და სახელობითის ბრუნვაში: ჰ-კლავ-ს იგი მას; კლა მან იგი... გ-კლავ-ს იგი შენ; გ-კლა მან შენ... მ-კლავ-ს იგი მე; მ-კლა მან მე... თუ MO<sup>2</sup> მესამე პირისაა და მიცემითშია, ზმნას უჩნდება პრეფიქსი: ხ; ჰ; ჰ||ს||შ. ეს პრეფიქსი თანაბრად აღნიშნავს მხოლობითის მიცემითსაც და მრავლობითისასაც: MO-ის რიცხვს მნიშვნელობა არა აქვს.

თუ MO-ი მესამე პირია სახელობითის ბრუნვისა, მხოლობითს რიცხვში იგი პრეფიქსით (ან სხვა რაიმე ფორმანტით) არ აღინიშვნება<sup>3</sup>: კლა მან იგი... ბოვა მან იგი... მაგრამ თუ ეს MO-ი მრავლობითში დაგვით, ზმნაში გარკვეული ფორმანტი ჩნდება: კლ-ნ-ა მან იგინი... პოვ-ნ-ა მან იგინი... ყვ-ნ-ა მან იგინი... ჰ-კლ-ენ შენ იგინი... ჰ-ყვ-ენ შენ იგინი... ვ-კლ-ენ მე იგინი... ვ-პოვ-ენ მე იგინი... ვ-ყვ-ენ მე იგინი... აქ MO-ი ყველან მესამე პირისა იყო: თუ მეორისა და პირველის პირისას ავიღებთ, იგივე ფორმანტი მოგვევლინება: კლ-ნ-ა მან იგინი; გ-კლ-ნ-ა მან თქუენ; მ-კლ-ნ-ა (გუ-კლ-ნ-ა) მან ჩუენ... ჰ-კლ-ენ შენ იგინი; მ-კლ-ენ (გუ-კლ-ენ) შენ ჩუენ... ვ-კლ-ენ მე იგინი; გ-კლ-ენ მე თქუენ...

ეს საშუალებას იძლევა დავასკვნათ: მრავლობითის რიცხვის სახელობითს ბრუნვაში დასმული MO-ი, რომელი პირისაც უნდა იყოს იგი, თანაბრად აღნიშვნება -ენ-||-ნ- ფორმანტით; პირის განსხვავებას მნიშვნელობა არა აქვს; ანუ. -ენ-||-ნ- არის (MO-ის) მრავლობითობის აღმნიშვნელი ფორმანტი.

\* პირველად გამოქვეყნდა კრებულში „ტსუ მოამბე“, IX, ტფ., 1929.

წაკითხულია მოხსენებად ჭართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაში 1925 წლის 22 დეკემბერს.

<sup>2</sup> ცნება MO-ისა და MS-ის ჩევნ მეტ განსაზღვრულია ნაკვევში: მარტივი წინადაღების 3 რობლება და რეზილი გართულში: 1. ჭვემდებარისა და დამატების საკითხების დროს ჭართულში, გვ. 168—179.

<sup>3</sup> ი. ე. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ჭართულს ზნებში. ტფილ., 1920, გვ. 20, 83...

<sup>4</sup> შესაძლებელია ეს იმით იყოს გამოწვეული, რომ მესამე პირის ნაცვალსახელს (მან) სახელობითი ბრუნვა არ გააჩნია (ესე, ეგ, იგი ხომ ჩვენებითი ნაცვალსახელებია; მესამე პირის ნაცვალსახელს სახელობით ბრუნვად ისინი ენაშ გამოიყენა მას შემდეგ, რაც სახელობითი ბრუნვა ჩამოყალიბდა). ეს იმით უფრო საფუძრებელია, რომ პირველისა და მეორე პირის MO-ი ზმნაში იღინიშვნება პრეფიქსით, იმისდაზისუხდავად მიცემითშია იგი თუ სახელობითში ზმნაში იღინიშვნება პრეფიქსით, მიცემითშია იგი თუ სახელობითში ზმნაში იღინიშვნება გ-კლავ-ს — გ-კლა; მ-კლა). აღბათ იმიტომ, რომ ამ პირთა ნაცვალსახელებს (მე. გ-კლავ-ს; მ-კლავ-ს — გ-კლა; მ-კლა). აღბათ იმიტომ, რომ ამ პირთა ნაცვალსახელებს (მე. გ-კლავ-ს; მ-კლავ-ს — გ-კლა; მ-კლა).



2. ეს ფორმანტი სუფიქსია ნამყო ძირითადის პირველსა და ვერტიკალურად ამავე დროის მესამე პირში მხოლოდითის რიცხვისა, მრავლობითის სამსავე პირში, მთელს ნამყო ჩვეულებითში და კონფუნქტივს მეორეში — ინფიქსს წარმოადგენს. კონფუნქტივს მეორეში ამ ინფიქსის ჩართვა იშვევს მომდევნო და ო ფორმანტების ე'დ ცვლას; ო ფორმანტი კი უცვლელად რჩება.

მოგვყავს სათანადო ფორმები ჭრ განცალკევებით, შემდეგ ტექსტებში:

### ნამყო ძირითადი

1. იგი:	იგინი:	2. იგი:	იგინი:
ყო მან	ყვ-ნ-ა მან	კლ-ა მან	კლ-ნ-ა მან
ჰ-ყავ შენ	ჰ-ყვ-ენ შენ	ჰ-კლ-ენ შენ	ჰ-კლ-ენ შენ
ვ-ყავ მე	ვ-ყვ-ენ მე	ვ-კლ მე	ვ-კლ-ენ მე
ყვ-ეს მათ	ყვ-ნ-ეს მათ	კლ-ეს მათ	კლ-ნ-ეს მათ
ჰ-ყავ-თ თქუენ	ჰ-ყვ-ენ-(ი)-თ	ჰ-კლ-თ	ჰ-კლ-ენ-(ი)-თ
	თქუენ	თქუენ	თქუენ
ვ-ყავ-თ ჩუენ	ვ-ყვ-ენ-(ი)-თ	ვ-კლ-თ	ვ-კლ-ენ-(ი)-თ
	ჩუენ	ჩუენ	ჩუენ

### 3. მას იგი:

მას იგინი:
მი-ს-ც-ა მან
მი-ეც შენ
მი-ვ-ეც მე
მი-ს-ც-ეს მათ
მი-ეც-(ი)-თ თქუენ
მი-ვ-ეც-(ი)-თ ჩუენ

### მას იგინი:

მი-ს-ც-ნ-ა მან
მი-ს-ც-ენ შენ
მი-ვ-ს-ც-ენ მე
მი-ს-ც-ნ-ეს მათ
მი-ს-ც-ენ-(ი)-თ თქუენ
მი-ვ-ს-ც-ენ-(ი)-თ ჩუენ

### ნამყო ჩვეულებითი

1. იგი:	იგინი:	2. იგი:	იგინი:
ყვ-ი-ს მან	ყვ-ნ-ი-ს მან	კლ-ი-ს მან	კლ-ნ-ი-ს მან
ჰ-ყვ-ი შენ	ჰ-ყვ-ნ-ი შენ	ჰ-კლ-ი შენ	ჰ-კლ-ნ-ი შენ
ვ-ყვ-ი მე	ვ-ყვ-ნ-ი მე	ვ-კლ-ი მე	ვ-კლ-ნ-ი მე
ყვ-ი-ან მათ	ყვ-ნ-ი-ან მათ	კლ-ი-ან მათ	კლ-ნ-ი-ან მათ
ჰ-ყვ-ი-თ თქუენ	ჰ-ყვ-ნ-ი-თ	ჰ-კლ-ი-თ	ჰ-კლ-ნ-ი-თ
	თქუენ	თქუენ	თქუენ
ვ-ყვ-ი-თ ჩუენ	ვ-ყვ-ნ-ი-თ	ვ-კლ-ი-თ	ვ-კლ-ნ-ი-თ
	ჩუენ	ჩუენ	ჩუენ

### 3. მას იგი:

მას იგინი:
მი-ს-ც-ი-ს
მი-ს-ც-ი შენ
მი-ვ-ს-ც-ი მე
მი-ს-ც-ი-ან მათ
მი-ს-ც-ი-თ თქუენ
მი-ვ-ს-ც-ი-თ ჩუენ

### მას იგინი:

მი-ს-ც-ნ-ი-ს მან
მი-ს-ც-ნ-ი შენ
მი-ვ-ს-ც-ნ-ი მე
მი-ს-ც-ნ-ი-ან მათ
მი-ს-ც-ნ-ი-თ თქუენ
მი-ვ-ს-ც-ნ-ი-თ ჩუენ

<sup>5</sup> აქაც, და სხვაგანაც ქვემოთ, გამოსავალია MSის პირი.

# კონცუნქტივი მეორე



1. იგი:	იგინი:	2. იგი:	იგინი:
ყ-ო-ს მან	ყვ-ნ-ე-ს მან	კლ-ა-ს მან	კლ-ნ-ე-ს მან
ჰ-ყ-ო შენ	ჰ-ყვ-ნ-ე შენ	ჰ-კლ-ა შენ	ჰ-კლ-ნ-ე შენ
ვ-ყ-ო მე	ვ-ყვ-ნ-ე მე	ვ-კლ-ა მე	ვ-კლ-ნ-ე მე
ყ-ო-ნ მათ	ყვ-ნ-ე-ნ მათ	კლ-ა-ნ მათ	კლ-ნ-ე-ნ მათ
ჰ-ყ-ო-თ ოქუენ	ჰ-ყვ-ნ-ე-თ ოქუენ	ჰ-კლ-ა-თ ოქუენ	ჰ-კლ-ნ-ე-თ ოქუენ
ვ-ყ-ო-თ ჩუენ	ვ-ყვ-ნ-ე-თ ჩუენ	ვ-კლ-ა-თ ჩუენ	ვ-კლ-ნ-ე-თ ჩუენ

## 3. იგი:

მი-ს-ც-ე-ს მან	:	მი-ს-ც-ე-ს მან
მი-ს-ც-ე შენ	:	მი-ს-ც-ნ-ე შენ
მი-ვ-ს-ც-ე მე	:	მი-ვ-ს-ც-ნ-ე მე
მი-ს-ც-ე-ნ მათ	:	მი-ს-ც-ნ-ე-ნ მათ
მი-ს-ც-ე-თ ოქუენ	:	მი-ს-ც-ნ-ე-თ ოქუენ
მი-ვ-ს-ც-ე-თ ოქუენ	:	მი-ვ-ს-ც-ნ-ე-თ ოქუენ

მან — იგი

დაპბალა

დააბნელა

განზომა

შეკრიბა

აკურთხა

მოიკითხა

განამტკიცა

პოვა

აღასრულა

განუტევა

დაფარა

შეიწყნარა

მან — იგინი

: დაპბალ-ნ-ა:

: დააბნელ-ნ-ა:

: განზომ-ნ-ა:

: შეკრიბ-ნ-ა:

: აკურთხ-ნ-ა

: მოიკითხ-ნ-ა:

: განამტკიც-ნ-ა:

: პოვ-ნ-ა:

: აღასრულ-ნ-ა:

: განუტევ-ნ-ა:

: დაფარ-ნ-ა

: შეიწყნარ-ნ-ა:

## იგინი:

მი-ს-ც-ე-ს მან	:	მი-ს-ც-ე-ს მან
მი-ს-ც-ე შენ	:	მი-ს-ც-ნ-ე შენ
მი-ვ-ს-ც-ე მე	:	მი-ვ-ს-ც-ნ-ე მე
მი-ს-ც-ე-ნ მათ	:	მი-ს-ც-ნ-ე-ნ მათ
მი-ს-ც-ე-თ ოქუენ	:	მი-ს-ც-ნ-ე-თ ოქუენ
მი-ვ-ს-ც-ე-თ ოქუენ	:	მი-ვ-ს-ც-ნ-ე-თ ოქუენ

რომელმან სიბრძნით დაპბალნა ცანი მა-

ღამნი ს ა ს. პ თ ე ზ. ს ხ გ 26

დააბნელნა სამყაროსა მნაობნი ს ა ს.

პ თ ე ზ. ტ ბ 11.

რომელმან განზომნა ცანი მტკავლითა

თვისითა კ ი მ. 182<sub>24</sub>.

და ვითარცა წარემართებოდა გზასა

თვისისა, შეკრიბნა ყოვლნი მორწმუნენა

ს ა ბ ა 201.

და სხუანი იგი თითოვეულად აკურ-

თხნა ს ა ხ ი ს მ ე ტ ყ. 2<sub>26</sub>.

და წმინდანი მამანი მოიკითხნა ა თ ო ნ

კ რ. 293.

ამცნო მათ და განამტკიცნა იგინი კ ი მ.

195<sub>19</sub>.

და პოვნა გუამნი იგი წმიდათანი კ ი მ.

113<sub>19</sub>.

ამას სულიერსა ცხოვრებასა შინა ალ-

სრულნა დღენი თვისნი ა თ ო ნ. კ რ.

16<sub>16</sub>.

და ვითარცა განუტევნა იგინი მთავარ-

მან მან კ ი მ. 56<sub>20</sub>.

ლელვამან მისმან დაფარნა წინააღ-

მდგომნი ს ა ს. პ თ ე ზ. ს უ ბ 14.

და შეიწყნარნა მის თანა ათნი ძმანი

კ ი მ. 152<sub>5</sub>.

მოწყვდა	: მოწყვდ-ნ-ა:	→ რახთამცა ყრმანი იგი მის წინა მოწყვდნა კი მ. 47 <sub>31</sub> .
აღწერა	: აღწერ-ნ-ა:	ესე ოდენნი წიგნი ერთმანეთუროვობისა აღწერნა ათ ო ნ. კ რ. 310 <sub>29</sub> .
იხილა	: იხილ-ნ-ა:	იხილნა ორნი ნავნი მდგომარენი კიდე- სა ჰაე მ ე ტ. ტ ე ქ. 382 <sub>5</sub> .
განბანა	: განბან-ნ-ა:	სულნი ქორცთა თანა განბანნა კი მ. 10 <sub>29</sub> .
წარგზავნა	: წარგზავნ-ნ-ა:	და წარგზავნნა ცრემლითა ალსავსენი ც ხ ო რ. ს ე რ ა პ. 30 <sub>11</sub> .
წარპერაგნა	: წარპერაგნ-ნ-ა:	და წარპერაგნნა იგინი ტილოსა წმიდა- სა კი მ. 113 <sub>24</sub> .
აღადგინა	: აღადგინ-ნ-ა:	აღადგინნა დაცემულნი ს ა ს. 3 თ ე ზ. ტ პ. 12.
თარგმნა	: თარგმნ-ნ-ა:	რაოდენნიმე წერილნი ქართულისაგან თარგმნნა ბერძნულად ათ ო ნ. კ რ. 42 <sub>4</sub> .
მოითმინა	: მოითმინ-ნ-ა:	მხიარულებით რად მოითმინნა მრავალ- ფერნი სატანჯველნი გ რ. ხ ა ნ ძ თ. ი ე ვ.
დათრგუნა	: დათრგუნ-ნ-ა:	და დათრგუნნა ყოველნი ძალნი მჯდო- მისანი ი. ბ თ ლ. 5 <sub>2</sub> .
განკურნა	: განკურნ-ნ-ა:	და მრავალნი მათგანნი განკურნნა ღმერთმან კი მ. 32 <sub>22</sub> .
განარინა	: განარინ-ნ-ა:	რომელნი იგი ღმერთმან... განარინნა მონებისაგან ფარაონსა ს ა ბ ა 11 <sub>2</sub> .
ქმნა	: ქმნ-ნ-ა:	მღდელთ მავარმან ზაქარია ესც სას- წაულნი ქმნნა გ რ. ხ ა ნ ძ თ. ა ე 18.
დაიღრჭინა	: დაიღრჭინ-ნ-ა:	დაიღრჭინნა კბილნი მისნი კი მ. 146 <sub>8</sub> .
აღმოიყვანა	: აღმოიყვან-ნ-ა:	რომელმან ბნელსა შინა მსხდომარენი ნათლად აღმოიყვანნა ს ა ს. 3 თ ე ზ. ი ზ. 26.
განაშუენა	: განაშუენ-ნ-ა:	ცრთმან... განაშუცნნა დღესასწაულნი მისნი ათ ო ნ. კ რ. 348 <sub>7</sub> .
განაბნია	: განაბნი-ნ-ა:	ყო ძლიერებად მკლავითა თვესითა, გა- ნაბნინა ამპარტავანნი ა დ ი შ. 104 <sub>1</sub> .
დასთხია	: დასთხი-ნ-ა:	მოუდრიკა მახვლსა ქედი და დასთხინა სისხლნი თვესი ს ა ს. 3 თ ე ზ. ჩ უ 2.
გამოირჩია	: გამოირჩი-ნ-ა:	რომელმან გამოირჩინა მონანი თვესი და შეიტყნარნა კი მ. 44 <sub>1</sub> .
დააქცია	: დააქცი-ნ-ა:	და ბაგინნი მათნი დააქცინა და დაამ- კუნა კ ო ნ ს ტ ა ნ. ჭ ს ნ ა 43 <sub>20</sub> .
აღიპყრა	: აღიპყრ-ნ-ა:	კელნი აღიპყრნა ზეცად და ჰმადლობდა ღმერთსა კი მ. 162 <sub>16</sub> .
ყო	: ყვ-ნ-ა:	შთავიდა და სრულ ყვნა იგინი სქემი- თა ათ ო ნ. კ რ. 54 <sub>20</sub> .
შვა	: შვ-ნ ა:	შვნა რად სამნი ესე ნაშობნი ც ხ ო რ. ს ე რ ა პ. 4 <sub>24</sub> .



მან-იგი მას	მან-იგინი მას	
დაპკრა „ :	დაპკრ-ნ-ა: „	ათნივე თითნი ნებთა მისთა ზედა ერთობენ კრნა გ. ჩ. ხან ძ. ნ ე16.
მისცა „ :	მისც-ნ-ა „	მეფემან ზემონი ქუეყანანი დავით კუ- რაპალატსა მისცნა ათ თ. 6.
მოხვა „ :	მოხვ-ნ-ა „	განუტევა იშხანს და ორნი მოწაფე- ნი მისცნა მას გ. ჩ. ხან ძ. კ10.
შეამქევ შენ იგი: შეამქვ-ენ შენ იგინი:		მიერადა მისცნა და მოხვნა კელნი კი მ. 1557, კ. 622.
მოპკალთ თქუენ იგი: მოპკლ-ენ-ით თქუენ		მნათობად რად სოფლისა გამო- გაჩინა ქრისტემან... შეამქვენ ეკ- ლესიანი ს. ა. პო ზ. რ ლ ა9.
შეუკართ „ „ (მას): შეუკრ-ენ-ით თქუენ იგინი (მას):		მამანო. ვნებანი მოპკლენით მარ- ხვითა და წყურილით ს. ა. ს. პო ზ. რ მ ბ18.
შეიპყართ „ „ : შეიპყრ-ენ-ით თქუენ იგინი:		შეუკრენით მაგისნი ფერვნი და კელნი ად იშ. 47b1.
გარდაართხ შენ იგი: გარდაართხენ შენ	იგინი:	წერილ არს შეიპყრენით მელნა მცბიერნი ს. ა. ხ ი ს მ ე ტ ყ. 245.
შეპქმენ შენ იგი: შეპქმ-ნ-ენ შენ იგინი:		შენ გარდაართხენ ცანი ბრძანე- ბით ს. ა. პო ზ. კ ბ11.
(პ)ყავ „ „ : (პ)ყვ-ენ-(ბრძ.) შენ	იგინი:	აღმოსცენდი ნერგი უბიშოდ და განირთხენ შენ რტონი ს. ა. ს. პო ზ. რ კ დ18.
ყავთ თქუენ იგი: ყვ-ენ-ით თქუენ იგინი:		შენ რომელმან... შეპქმენ წყალ- ნი ს. ა. პო ზ. ს ე ბ23.
ჰშევ შენ იგი: ჰშვ-ენ შენ იგინი:		ყვენ სულნი მიცვალებულთანი წიალთა აბრაკამისთა ს. ა. პო- ე ზ. კ22.
მიეც „ „ : მისც-ენ „ „ :		რომელმან სრულ ჰყვენ მმანი ჩემ- ნი კი მ. 59 <sub>26</sub> .
		ძუალნი ჩუენი ღირს ყვენით დასხმად წმიდათა თანა ძუალთა თქუენთა გ. ჩ. ხან ძ. ი დ15.
		კრულებათა მათ შინა ჰშვენ კრე- ბულნი მოწაფეთა ქრისტესთანი ს. ა. პო ზ. რ კ ზ25.
		რომელმან წყრილსა მას სიტყუ- ანი შენი მისცენ კი მ. 200 <sub>14</sub> .



დაეცით თქუენ იგი. დასც-ენ-ით თქუენ

იგინი:

და მღლელნი იგი სტრუქტურული  
დასცენით მსგავსად ჰურუმზა გადა  
ალისათა სას. პოეზ. ც ე 11.

აცუ შენ იგი: აცუ-ენ შენ იგინი:

შრომითა კორცნი ჯუარს აცუენ  
სას. პოეზ. რ ი ვ 18.

მოვიდრიკე მე იგი: მოვიდრიკ-ენ მე იგინი:

მოვიდრიკენ მუკლნი ჩემნი თა-  
ყუნისცემად წარტყ. ი ე რ.  
ი დ 9.

დავივიწყე „ „ : დავივიწყ-ენ „ „

რაძმეთუ ცნებანი შენნი მე არად  
დავივიწყენ ი. ბ ო ლ. 28 16.

მოვილოცე „ „ მოვილოც-ენ „ „

მივედ ელიად და მოვილოცენ  
წმიდანი ადგილნი კი მ. 28 16.

განვიპყარ „ „ განვიპყრ-ენ „ „

განვიპყრენ შენდამი კელნი ჩემნა  
ა ბ ო 4 1 3.

მოვსარ „ „ მოვსარ-ენ „ „

მბრძოლთა თანა მოვსრენ მრა-  
ვალნი სულნი რ ა ვ ა ხ. 9 7 1 2.

დავყავ „ „ დავყვ-ენ „ „

დავყვენ მუნ მცირელნი დლენი  
კი მ. 28 2 3.

ვპოვე „ „ ვპოვ-ენ „ „

და ვპოვენ იგინი ყოველნი კი მ.  
4 2 3.

ვპოვეთ ჩუენ იგი: ვპოვ-ენ-ით ჩუენ იგინი:

პირველ ყოველთასა ვპოვენით  
ამის ნეტარისა თვსნი ა თ ო ნ.  
კ რ. 3 2 6 9.

დავპჰალთ „ „ დავპჰლ-ენ-ით „ „

და დავპჰლენით იგინი წარტყ.  
ი ე რ. ვ 1 7.

შევწირეთ „ „ შევწირ-ენ-ით „ „

განთენდა რად შევწირენით ლოც-  
ვანი ცხორ. ს ე რ ა პ. 2 1 2 1.

### ნ ა მ ყ ო ჩ ვ ე უ ლ ე ბ ი თ ი

ალადგინის მან იგი: ალადგინ-ნ-ის მან იგინი: და ალადგინნის ლეკუნი იგი ს ა-  
ხ ი ს მ ე ტ ყ. 4 1 4.

გარდავლის „ „ გარდავლ-ნ-ის „ „ :

ნეტარმან მამამან გრიგოლ თავად-  
ნი დიდნი მარხვანი გარდავლნის  
მცირელითა კალნაბითა უმბგვრი-  
თა გ რ. ხ ნ დ თ. კ ა 3 6.

ალივსის „ „ ალივს-ნ-ის „ „ :

მივიღის ირემი იგი და ალივსნის  
ფერდნი თვსნი წყლითა ს ა ხ ი ს-  
მ ე ტ ყ. 4 2 1 3.

შეიკრიბის „ „ შეიკრიბ-ნ-ის „ „

ვითარცა ქათამმან შეიკრიბნის  
მართვენი ქუეშე ფრთეთა ა დ ი შ.  
5 1 2 2.

მოიკუეთის „ „ მოიკუეთ-ნ-ის „ „

თაკუმან მან მოიკუეთნის საურ-  
ველნი იგი ს ა ხ ი ს მ ე ტ ყ. 3 4 1 1.



განკურნის	"	განკურნ-ნ-ის-	"	"	რომელმან განტეხილნი განკურნ- ნის კი მ. 140 <sub>33</sub> . გვ. 140-141.
აღმართის	"	აღმართ-ნ-ის	"	"	და აღმართნის დაცემულნი ი. ბოლ. 5 <sub>19</sub> .
დამტკიცის	"	დამტკიც-ნ-ის	"	"	კურთხევამან მამისამან და დედი- სამან დამტკიცინის სახლნი უკუ- ნისამდე გრ. ხ ძთ. ლ ლ 35.
დაუტევის	"	დაუტევ-ნ-ის	"	"	ვითარცა იხილის მგელი მომავა- ლი დაუტევნის საცხოვარნი ა დ ი შ. 176 <sub>b2</sub> .
მოიტაცის	"	მოიტაც-ნ-ის	"	"	ესროლ ტყუცილით მოიტაცნის იგინი სახის მეტყ. 23 <sub>20</sub> .
დაიყვის	"	დაიყვ-ნ-ის	"	"	ვითარცა დაშურის, დაიყვნის ფრთხინი სახის მეტყ. 74.
შვის	"	შვ-ნ-ის	"	"	რაჟუამს შვნის ძუმან ლომმან ლე- კუნი მცუდარნი სახის მეტყ. 4 <sub>8</sub> .
წარსცის	"	(მას): წარსც-ნ-ის მან იგინი: (მას):	"	"	და მრავალნი წიგნნი წარსცნის წინაშე დავით კურაპალატსა ათონ. კრ. 27 <sub>2</sub> .
ყვის	"	ყვ-ნ-ის	"	"	ღმრთისა შიშმან უშიშ ყვნის მო- შიშნი სას. პოეზ. კდ 25.

### კონცუნქტივი მეორე

წარავლინოს	მან	იგი: წარავლინ-ნ-ე-ს	მან	იგინი:
განაქარვოს	"	განაქარვ-ნ-ე-ს	მან	იგინი:
დააკლოს	"	მას: დააკლ-ნ-ე-ს	მან	იგინი მას:
ყოს	"	ყვ-ნ-ე-ს	"	"
აღაშენოს	"	აღაშენ-ნ-ე-ს	მან	იგინი:

ეტყოდა მას რამთა მის მიერ გან-  
სწავლულნი იგი მოწაფენი მყის  
წარავლინნეს ქუეყნად სამცხესა  
ც ხორ. ს ე რ ა პ. 6<sub>26</sub>.

ევედრებოდე... რამთა სრულიად  
განაქარვნეს მზაკუვარებანი მტერ-  
თა ჩუენთანი სას. პოეზ. რ დ გ 6.

და მოსწრაფე იყო რამთა დააკლ-  
ნეს ყოველნი მსახურებასა კი მ.  
118<sub>II</sub>.

და იავარ ყვნეს სიმჯნენი შენნი  
სახის მეტყ. 28<sub>I</sub>.

ჩვეულებად აქვს, რამთა წმიდათა  
მათ უდაბნოთა მონასტერნი...  
აღაშენნეს გრ. ხ ძთ. კ დ 32.



წარწყმიდოს „ „	წარწყმიდ-ნ-ე-ს მან	იგინი:	ღმერთმან წარწყმიდ-ნ-ე-ს ვალნი მოქმედნი უშკულლებელსა-ნი წარტყ. იერ. ნ თ25.
იქსნას „ „	იქსნ-ნ-ე-ს მან	იგინი:	რამთა იქსნნეს შეცომილნი ნა-თესავნი კაცთანი სახის მეტყ.

შეიძლება დავკმაყოფილდეთ ამ საილუსტრაციო მასალითაც. MS-ისა და MO-ის სხვა პირებს აქ არ გამოვუდებოთ: მსურველს საშუალება ექნება სა-ამისო მასალები საკმაო ოდენობით მოიძიოს ხსენებულს ნარკვევში:

„მარტივი წინადაღების პრობლემა ქართულში“ I, გვ. 235—256.

3. სახელობითს ბრუნვაში დასმული MO-ის მრავლობითობის მაჩვენებელი ფორმანტი არის -ენ- და არა -ნ; როგორც ეს სათანადო ლიტერატურაში არის ნაჩვენები (იხ. მაგ. აკად. გ. მარის: Граммат ქრისტიანულ ენაზე. ლენინგრად, 1925, § 145, 3, გვ. 119); მართალია, ეს ფორმანტი -ნს სა-ხითაც გვევლინება და -ენ-ის, მაგრამ პირვანდელი, ნამდვილი სახე მოცემულია -ენ-ში, რაღაცაც: 1) ენ-ზე დაყრდნობით ადვილი ასახსნელია, როგორ მივი-ღეთ მეორე სახეობა -ნ-; და 2) გასაგები ხდება ის ცვლილებანიც, რომელთაც ფურე მასთან დაკავშირებით ხშირად განიცდის. წინაუკმო შემთხვევაში, ე. ი. თუ ნ-დან გამოვალთ, ვერც იმ ცვლილებებში გავერკვევით, რომელთაც ფუ-ძეში აქვს ადგილი და ვერც -ენ- სახეობის გამოვლენას მოვუძებნით დამაკმა-ყოფილებელ ახსნას.

ფუძის რა ცვლილებებზეა ლაპარაკი? ჩვენ წინ არის რიგი ფუძეშეკუმ-შულ ზმნათა:

მო-ვ-კალ, მო-ჰ-კალ, მაგრამ: მო-კლ-ა მან; მო-კლ-ეს მათ... მო-კლი-ს მან; მო-კლ-ი-ან მათ... მო-კლ-ა-ს მან; მო-კლ-ან. მათ... შე-ვ-კარ, შე-ჰ-კარ, მავ-რამ: შე-კრ-ა მან; შე-კრ-ეს მათ... შე-კრ-ი-ს მან; შე-კრ-ი-ან მათ... შე-კრ-ა-ს მან; შე-კრ-ა-ნ მათ. შე-ვ-ამკევ; შე-ამკევ, მაგრამ შე-ამკო (← შე-ამკ-ა); შე-ამკ-ეს მათ... შე-ამკ-ი-ს მან; შე-ამკ-ი-ან მათ... შე-ამკ-ო-ს (← შე-ამკ-ა-ს) მან; შე-ამკ-ო-ნ (← შე-ამკ-ა-ნ) მათ. შე-ვ-ქმენ, შე-ჰ-ქმენ, მაგრამ: შე-ქმნ-ა მან; შე-ქმნ-ეს მათ... შე-ქმნ-ი-ს მან; შე-ქმნ-ი-ა-ნ მათ... შე-ქმნ-ა-ს მან; შე-ქმნ-ა-ნ მათ. ვ-ყავ, ჰ-ყავ, მაგრამ ყო (← ყვ-ა) მან; ყვ-ეს მათ... ყვ-ი-ს მან; ყვ-ი-ან მათ... ყო-ს (← ყვ-ა-ს) მან; ყ-ო-ნ (← ყვ-ა-ნ მათ) ვ-შევ, ჰ-შევ, მაგრამ შვ-ა მან; შვ-ეს მათ... შვ-ი-ს მან; შვ-ი-ან მათ... შვ-ა-ს მან; შვ-ა-ნ მათ. და-ვ-ეც, და-ეც, მაგრამ და-ს-ც-ან მან; და-ს-ც-ეს მათ... და-ს-ც-ი-ს მან; და-ს-ც-ი-ან მათ; და-ს-ც-ე-ს მან; და-ს-ც-ე-ნ მათ... და-ვ-ჭერ, და-ს-ჭერ, მაგრამ: და-ჭრ-ა მან; და-ჭრ-ეს მათ... და-ჭრ-ი-ს მან; და-ჭრ-ი-ან ვათ... და-ჭრ-ა-ს მან; და-ჭრ-ა-ნ მათ, გან-ვ-კსენ, გან-ჰ-კსენ, მაგრამ: გან-ქს-ნ-ა მან; გან-ქსნ-ეს მათ... გან-ქსნ-ი-ს მან; გან-ქსნ-ი-ან მათ... გან-ქსნ-ა-ს მან; ვან-ქსნ-ა-ნ მათ.

ფუძის შეკუმშვა ამ ზმნებში სრულიად ბუნებრივია: ხმოვნით დაწყებული სუფიქსის ზეგავლენით იკარგება ფუძისეული ხმოვანი (ა, ე ჩვენს შემთხვევა-

<sup>6</sup> ფუძისეული ეს დაკარგვის შემდეგ ზმნას პრეფიქსი უჩნდება; ეს წან, საერთო წესით, პრეფიქსი ვერა ძლებს... ასე რომ, ამ ზმნას პირველსა და მეორე პირში კი არ უჩნდება „ე“, არამედ მესამეში ეკარგება იგი ა სუფიქსის ზეგავლენით.



ში). მაგრამ რად შეიკუმშა ზმნის ფუძე მრავლობითობის - ნ- ფორმანტის წინ? რატომ მივიღეთ ფორმები: კლ-ნა, შე-კრ-ნა, შე-მქვ-ნ-ა; შე-ქმხ-ხა, ყვნ-ა, შე-ნ-ა, და-ს-ც-ნ-ა, და-ჭრ-ნ-ა, გან-ჯსნ-ნ-ა (მან იგინი)? იმიტომ, რატომ გვაქვს შეიკუმშული ფუძეები ნამყო ძირითადის პირველსა და მეორე პირში ამ ფორმანტის წინ: ცკლ-ენ; პ-კლ-ენ; შე-ვ-კრ-ენ, შე-პ-კრ-ენ; შე-ვ-ამქვ-ენ; შე-ვ-ქმნ-ენ, შე-ქმნ-ენ; ვ-ყვ-ენ; პ-ყვ-ენ; და-ვ-სც-ენ, და-ს-ც-ენ; და-ვ-ჭრ-ენ; და-ს-ჭრ--ენ; გან-ვ-ჯსნ-ენ, გან-პ-ჯსნ-ენ (მე, შენ-იგინი): მესამე პირ შინს წინ ფუძე იმიტომ შეიკუმშა, რომ ფუძეს აქ მოსდევ-და -ენ- ფორმანტი ისევე, როგორც პირველსა და მეორე პირში.

ამრიგად, ფუძის შეკუმშა მესამე პირში - ნ- ფორმანტის წინ გამოწვეულია იმით, რომ ეს ფორმანტი ნამდვილად -ენ არის, და საერთო წესით შესაძლებლობა ჩნდება მისი ზეგავლენით ფუძისეული ხმოვანი დაიყარგოს.

რად ეცვალა სახე ამ ფორმანტს და რად მოგვეჩვენა იგი -ნ-'ს სახით? იმავე ფონეტიკური მოვლენის გამო, რომლითაც აიხსნება ფუძის შეკუმშება; მომდევნო ხმოვნის ზეგავლენით -ენ'მა დაკარგა ე და წარმოგვიდგა -ნ-'ს სახით. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ეს ფორმანტი -ნ-'ს სახეს არასოდეს არ იღებს, თუ სუფიქსია, და ყოველთვის იღებს, როცა ინფიქსია და შემდეგ ხმოვნით დაწყებული ფორმანტი მოსდევს (იხ. ზემოთ — გვ. 108-9; კლა, ყო და მისცა ზმნების უღვლილების პარადიგმები).

ერთად ერთ გამონაკლისს შეაღგენს ნამყო ძირითადის პირველი და მეორე პირი მრავლობითის რიცხვისა: აქ ეს ფორმანტი ინფიქსია, მაგრამ -ენ'-ის სახით გვევლინება და არა ნ'-ის, როგორც ეს მოსალოდნელი იყო: მოვ-კლ-ენ-ი-თ; მო-პ-კლ-ენ-ი-თ; ვ-ყვ-ენ-ი-თ, პ-ყვ-ენ-ი-თ, მო-ვ-ს-ც-ე-ნ-ი-თ; მო-ს-ც-ენ-ი-თ... ეს აიხსნება, იმით, რომ მომდევნო -ი- არ არის მორფოლოგიური ელემენტი (შდრ. ნამყო ჩვეულებითის -ი- ფორმანტი, რომელიც იწვევს ფუძისეულ ხმოვნის დაკარგვას), არამედ ფონეტიკურად ხელსაყრელ გარემოში ანალოგიურად განვითარებული ია. სათანადო პროცესი ჩვენ ასე წარმოგვიდგენია: ზოგიერთ ზმნებს ნამყო ძირითადში (მაგალ. ვიდა, კუდა...), ხოლო ნამყო უსრულში ყველა ზმნებს მრავლობით რიცხვის პირველსა და მეორე პირში -თ' დაბოლოების წინ დ' მოუდიოდა: მო-ვ-ვედ — მო-ვ-ვედ-თ; მო-ხ-უედ — მო-ხ-უედ-თ; მო-ვ-კუედ — მო-ვ-კუედ-თ; მო-პ-კუედ — მო-პ-კუედ-თ... ვ-აკე-თებ-დ — ვ-აკეთებ-დ-თ; ვ-ასრულებ-დ — ვ-ასრულებ-დ-თ. ასეთ კონტექსტში და თს ერთად თავის მოყრა ფონეტიკურად უტანელი იყო. იმავე დროს პერმანისული -ი- ამავე პირებისათვის ანალოგიურ წარმოებას ხელს უწყობდა. ამიტომაც გაუგებარი არ უნდა იყოს, რატომ გაჩნდა ასეთ პირობებში ი: მო-ვ-კუედ-ი-თ; მო-ვ-ვედ-ი-თ... ვ-აკეთებ-დ-ი-თ... ვ-ასრულებ-დ-ი-თ...

მრავლობითის მეორე და პირველი პირიდან -ი- მხოლობითშიც გადმოვიდა: მო-ვ-კალ-ი; ვ-ყავ-ი... ძველს ქართულში, თუმც იშვიათად, მაგრამ მაინც არის ასეთი ი'ანი პირველი და მეორე პირი — ყოველ შემთხვევაში საგულისხმო ის არის, რომ მის ზეგავლენით ფუძე ხმოვანს არ კარგავს: ვ-კალ-ი-თ, ვ-ყავ-ი-თ და სხვ. და თუ ეს -ი- ფუძეს ვერ უკარგავს ხმოვანს, რა გასაკირია, თუ ის უძლური აღმოჩნდება დაუკარგოს -ენ' ფორმანტს ე. საკმარისია შევადაროთ ნამყო ძირითადის მრავლობითის პირველი და მეორე პირი ნამყო ჩვეულებითის იმავე პირებს, რომ ნათელი გახდეს ის განსხვავება, რომელსაც ადგილი აქვს ამ ფორმათა ი'ებს შორის:

## ნამყო ძირითადი: ნამყო ჩვეულებითი:

- |                        |                         |
|------------------------|-------------------------|
| ვ-ყვ-ენ-ი-თ ჩუენ იგინი | : ვ-ყვ-ნ-ი-თ ჩუენ იგინი |
| ჰ-ყვ-ენ-ი-თ ოქუენ „    | ჰ-ყვ-ნ-ი-თ ოქუენ „      |
| ვ-შვ-ენ-ი-თ ჩუენ „     | ვ-შვ-ნ-ი-თ ჩუენ „       |
| ჰ-შვ-ენ-ი-თ ოქუენ „    | ჰ-შვ-ნ-ი-თ ოქუენ „      |

: ნამყო ძირითადის  
-ი- ვერ ვევენ  
-ენ-ის ჟეჭრუზუაშ  
გვას, ჰუმურურუკუ  
ულებითისა კი უქ-  
არგავს წინა მარ-  
ცვალს ეს.

ასე რომ: ნამყო ძირითადის მრავლობითის პირველისა და მეორე პირის  
გამოკლებით, ყველგან, სადაც -ენ- ფორმანტი ინფიქსია, შესაძლოა, მთელი  
ფორმა ორი ხმოვნის დაკარგვით იყოს მიღებული: ენ'მა ამოაგდოს ფუძისე-  
ული ხმოვანი, სუფიქსის ხმოვანმა კიდევ -ენ'ს მოაცალოს ე და ნ'ს ანაბარა  
დატოვოს:

## ნამყო ძირითადი:

- |                                 |   |
|---------------------------------|---|
| ვ-შვ-ენ-ე-ვ-შევ-ენ              | იგინი ვ-შვ-ნ-ი-ვ-შვ-ენ-ი-ვ-შევ-ენ-ი (იგინი) |
| ჰ-შვ-ენ-ე-შევ-ენ                | „ ჰ-შვ-ნ-ი-ჰ-შვ-ენ-ი-ჰ-შევ-ენ-ი „           |
| შვ-ნ-ა-შვ-ენ-ა-შევ-ენ-ა         | „ შვ-ნ-ი-ს-შვ-ენ-ი-ს-შევ-ენ-ი-ს „           |
| ვ-შვ-ენ-ი-თ-ვ-შევ-ენ-ი-თ        | „ ვ-შვ-ნ-ი-თ-ვ-შვ-ენ-ი-თ-ვ-შევ-ენ-ი-თ „     |
| ჰ-შვ-ენ-ი-თ-ჰ-შევ-ენ-ი-თ        | „ ჰ-შვ-ნ-ი-თ-ჰ-შვ-ენ-ი-თ-ჰ-შევ-ენ-ი-თ „     |
| შვ-ნ-ე-ს-შვ-ენ-ე-ს-შევ-ენ-ე-ს „ | „ შვ-ნ-ი-ან-შვ-ენ-ი-ან-შევ-ენ-ი-ან „        |

## ნამყო ჩვეულებითი:

- |                                     |         |
|-------------------------------------|---------|
| ვ-შვ-ნ-ე-ვ-შვ-ენ-ე-ვ-შევ-ენ-ე?      | (იგინი) |
| ჰ-შვ-ნ-ე-ჰ-შვ-ენ-ე-ჰ-შევ-ენ-ე       | „       |
| შვ-ნ-ე-ს-შვ-ენ-ე-ს-შევ-ენ-ე-ს       | „       |
| ვ-შვ-ნ-ე-თ-ვ-შვ-ენ-ე-თ-ვ-შევ-ენ-ე-თ | „       |
| ჰ-შვ-ნ-ე-თ-ჰ-შვ-ენ-ე-თ-ჰ-შევ-ენ-ე-თ | „       |
| შვ-ნ-ე-ნ-შვ-ენ-ე-ნ-შევ-ენ-ე-ნ       | „       |

თუ მრავლობითობის მაჩვენებლად -ნ'ს დაგსახვდით, ვწერე, ვპო-  
ვე<sup>7</sup> ტიპის ზმნების ფორმების უმეტესობა აღვილად ახსნებოდა, რადგანაც  
ამათ პირველსა და მეორე პირში ე ისედაც აქვთ (ეს ე და ენ'ის ე ერთურთს  
ერთვიანი)<sup>8</sup>, და ვწერე ნ'ში მხოლოდ -ნ- შეგვეძლო ჩაგვეთვალა მრავლო-  
ბითობის ფორმანტად; ამას გარდა: რაკი ეს ზმნები ფუძე შეუკუმშავნი არიან  
ენ'ის ზეგავლენა ფუძეზე არსადა ჩანს. იმავე დროს სუფიქსის ხმოვანი ენ'ის  
ეს კარგავს (წერ-ნ-ა-წერ-ენ-ა) და ნ-ლა გვრჩება, ასევე — ნამყო ჩვეულე-  
ბითისა და კონლუნქტივს მეორეში. მაინც რჩება ორი შემთხვევა, როცა ენ'  
ასეთ ზმნებშიაც იჩენს თავს, სახელდობრ, ნამყო ძირითადის მრავლობითის  
ბირველსა და მეორე პირში: ვ-წერ-ენ-ი-თ; ს-წერ-ენ-ი-თ... ამის ახსნა შეუძ-  
ლებელია -ნ'ზე მეთითებით. ამას გარდა, -ნ- ვერას გვშველის ვ-ყვ-ენ... ვ-თქუ-  
ენ... ვ-აცუ-ენ და მაგვარ ზმნებში -ენ'ის ახსნისას; აგრეთვე: ვ-ყვ-ენ- ყვ-ნ-ა,  
შვ-ენ — შვ-ნ-ა-ს ფუძისეულ ა და ეს დაკარგვის მიზეზებს სრულიადაც ვერ

<sup>7</sup> ე ფორმანტის შესახებ იხ. ქვემოთ.

<sup>8</sup> ღიად ვტოვებთ საკითხს ვწერ-ე-ს ეს შესახებ: იგი საგანგებო ძიებას მოითხოვს.



გაგვითვალისწინებს. ყოველივე ნათქვამიდან გამომდინარეობს: სახე ლიტერატურული ბითს ბრუნვაში დასმულ MOის მრავლობითობის აღმჭერით გამოიყენება ნიშნავად ძველს ქართულში გვაქვს -ენ (II→6).

4. არის შემთხვევები, როცა MOი მრავლობითის სახელობითშია, მაგრამ ზმნაში არ არის იგი აღნიშნული ენ (II→6) ფორმანტით და პირიქით: MOი არ არის მრავლობითში, ზმნაში კი ფორმანტი მოიპოვა; მაგალ: განიმზადეს თავნი მათნი... კიმ. 41<sub>18</sub>... მისცა ადგილი შუცნიერი... ათონ, კრ. 320<sub>14</sub>... გამოუცხადა მას ბრძოლანი თკსნი... ათონ. 323<sub>1</sub>... რომელმან უწყის დაფარულნი... კიმ. 35<sub>16</sub>... წარპერაგნეს კორცნი... კიმ. 42<sub>26</sub>... დასდვი ჭველი და განკურნა ივინი. აღიშ. 111<sub>b1</sub>... განკურნა მრავალნი სნეულნი... აღიშ. 66<sub>b2</sub>... ქმნა მუნ შინა-სასწაულნი... კიმ. 193<sub>20</sub>... და ევედრებოდეს მას ლმობიერად: რახთა... იქსნეს იგინი... საბა 20<sub>9</sub>... ევედრებოდეს რახთა განკურნეს ვნებანი მათნი... საბა 187... განხეთქის ღუნთმან თხიერნი იგი... აღიშ. 68<sub>b1</sub>. ამ წაგალითებში არის MOი მრავლობითში, არ არის სათანადო ფორმანტი ზმნაში.

შემდეგს მაგალითებში:... დაწერნა წიგნი პატრიაქისა თანა... ათონ. კრ. 317<sub>35</sub>... წიგნი დაწერნის საკურთხეველსა ქუცეშე დასხნის... ათონ. 317<sub>30</sub>... განკურნა სასტრალნები მარცხნისა ჭველისა მისისად... კიმ. 194<sub>12</sub>... — მრავლობითობის ფორმანტი ზმნაში არის, MOი კი მხოლობითში ჩანს.

ამ მაგალითების განსამარტებლად შემდეგს ვიტყვით: ამ ხუთმეტიოდე მაგალითში საქმაოდ მოიპოვა ისეთები, სადაც ნ(-ენ) არა ჩანს ნს შემდეგ: წარპერაგნეს, განკურნა, ქმნა, იქსნეს, ასეთივე ა „წიგნი“ (შეორე ჯგუფში); აქ ფუძისეული ნს წყალობით უნდა ვამორჩენოდა მწერალს თუ გადამშერს ფორმანტი -ნ; დანარჩენი მაგალითები უბრალო ლაფ-სუსი ზეიძლება იყოს. საერთოდ, ამ ხუთმეტიოდე უმართებულო ფორმას, რაკი ისინი შემთხვევითი ჩანან, ვერ გაეწევა ანგარიში მაშინ, როდესაც რამწლდენიმე ასეული მაგალითი, რომელიც ჩვენს განკარგულებაშია და რომლიდანაც მხოლოდ სილუსტრაციოდ რამოდენიმე ათეული ზემოთ მოვიყვანეთ, სრულიად გარკვეულს დასკვნებს გვავალებს.

5. თუ მრავლობითის სახელობითი ებ'ით-არის ნაწარმოები, MOი ზმნაში არ აღინიშნება; ობიექტობა აქ არაფერს შუაშია: MS<sub>01</sub>, მრავლობითის სახელობითში თუ ებია, ზმნის ფორმანტებში ცვლილებას ვერ იწვევს (სათანადო მაგალითებისათვის იხ.: მარტივი წიგნადადების პრობლემა ქართულში: I: „ქვემდებარე-დამატების სეკონდ ქველს ქართულში“, გვ. 251—256). ეს გარემოება ეჭვმიუტანლად მოწმობს. რომ ენ (II→6) ფორმანტი ზმნაში და -ნ- ფორმანტი სახელისა მრავლობ. რაც კვში გენეტურად მჭიდროდ უკავშირდება ერთურთს; მეტსაც ვიტყვით: ეს ერთი და იგივე ფორმანტია, თავის პირვანდელ, სრულ სახით (-ეფლ-ენ) ზმნახული ზმნაში და და (→თ)ისა და ნის სახით წარმოდგენილი სახელთა ბრუნებაში (მხედველობაში გვაქვს თ-ა და ნ-ი მრავლობითის რიცხვისა).

6. აიღო, დადვა ადას ვა ზმნები არსებით ცვლილებას განიცდიან, თუ მრავლობითობის აღმნიშვნელი ენ (II→6) ფორმანტი დაერთვისთ. რამდენადაც თვით ეს ფაქტი ცნობილია (იხ. ა. შანიძე: პრეცესები ქართულს



ზმნებში, გვ. 34, შენ. 2 და გვ. 36 შენ. 2), ხოლო ახსნა ჩვენს მუნიციპალური უამიად არ შედის, შეიძლება აქ ამას გვერდი ავუაროთ.

7. მრავლობითობის ენ(||→6) ფორმანტის ზეგავლენით აღდგება ნამყო ძირითადის მესამე პირის -ა დაბოლოება, რომელიც ფონეტიკურ მიზეზთა გამო თუ ანალოგიის წყალობით ოთხი იყო შეცვლილი: ასე მაგალითად:

მან იგი:	მან იგინი:
განაგო	: განაგ-ნ-ა
განვლო	: განვლ-ნ-ა
ალავსო	: ალავს-ნ-ა
დაალტო	: დაალტვ-ნ-ა
შეამკო	: შეამკვ-ნ-ა
დაამჯო/უა <sup>9</sup>	: დაამჯუ-ნ-ა
განაპო	: განაპ-ნ-ა
დაპროთო მას:	დაპრთ-ნ-ა ჩას :
მოსპო	: მოსპ-ნ-ა
შეიტკბო	: შეიტკბ-ნ-ა
ყო	: ყვ-ნ-ა
დაიწყო	: დაიწყვ-ნ-ა
	:
	:
	:
	:
	:
	:
	:
	:
	:

8. ნამყო ძირითადის მესამე პირის ა დაბოლოების აღდგენა ასეთს შემთხვევაში განსაკუთრებით ძვირფასია; იშლება ნ(←-ენ)'ს შემდეგ თ და აღდგება წინანდელი ა. ზემოთ ჩენ უკვე გვქონდა ლაპარაკი, რომ ამ ნ'ს შემდეგ კონდუნქტივ მეორეში ა და ო'ს ნაცვლად ე ჩნდება: ვ-პოვ-ო იგი ვ-პოვ-ნ-ე ი გ ი-ნ ი... ვ-კლ-ა იგი: ვ-კლ-ნ-ე იგინი... ე კი უცვლელად რჩება (მი-ვ-ს-ც-ე მე იგი მას: მი-ვ-ს-ც-ნ-ე მე იგინი მას), სწორედ ისევე, როგორც უცვლელად რჩება ნამყო ძირითადის ა ნ'ს შემდეგ (კლ-ნ-ა მან იგინი). ეს გვაფიქრებინებს, რომ ეს აღდგენილი ე კონცუნქტივ მეორის პირვენი და ფერქნი თვალი და შეისუენა კი მ. 34<sub>30</sub>.

თუ ამჟამად ძირითადი ფორმანტი აქ ა არის (ო ან წინამდებარ ვ'სთან შერ-

<sup>9</sup> დაამჯუა... და დაამჯუა იგი ზრ იატაკსა მას... კიმ. 135.



თულ ა'სგან არის მიღებული ან ანალოგით)<sup>10</sup>, წინადა ე უნდა უოფილიყო; ქმან  
მოწმობს: 1. ღ||ნ'ით ნაწარმოებ ვნებითთა კონცუნქტივი მეორე, ე'თი ნაწარმოების  
მოები: გან მ დ ი დ რ-დ-ე ს, ა ღ მ ა ღ ლ-დ-ე-ს... გან კა ც-ნ-ე-ს, გ ა ჟა ჟა ჟა ჟა ჟა  
ს პუ კ-ნ-ე-ს... ასეთი ვნებითი უძველესის ფორმაციისაა და მისი ჩვენებაც სა-  
თანადო წონის მქონეა; 2. კონცუნქტივი პირველის -ე- ფორმანტით წარმოება  
უველა ზმნებში: პლებ-დ-ეს; მდიდრ-დ-ე-ბ-ოდ-ე-ს... და სხვ. კონცუნქტივს პირ-  
ველში ჩვენ უნდა გვქონდეს შენახული კონცუნქტივი მეორის პირვანდელი და-  
ბოლოება, ისევე როგორც ნამყო უსრულში გვაკვს ნამყო ძირითადისა და ნამ-  
ყო ჩვეულებითის დაბოლოებანი; 3. ზმნა გ ი ს ც ა ახლაც ე'თი აწარმოებს კო-  
ნცუნქტივ მეორეს; ამას გარდა, ზოგიერთ ზმნებს, რომელთაც ამჟამად უკვი-  
ა- აქვსთ ჩვეულებრივად, შემოუნხავსთ ე'ნიანი ფორმებიც; ჩვენ ძევლი ქარ-  
თულის ნორმების მიხედვით ვიტყოდით: შვას, იჯსნას, ქმნას... მაგრამ  
ტექსტებში ე'იან ფორმებსაც წავაწყდებით; აი მაგალითად:

შთაეგზნეს:

ესმეს, გესმეს:

ვქმნე, ვქმნეთ,  
ჰქმნეთ, გექმნე:

შვე, შვეს, გიშვეს:

დავიცვეთ....

ვიქსნე, იქსნე,  
განკვენე, იქსნე...  
და სხვ.

თივაა რომელი დღეს არს; და ხვალე თორნესა შთაე-  
გზნეს ა დ ი შ. 131a<sub>2</sub>.

ყოველსა რომელსა ესმეს მამისაგან... მოვიდეს ჩემდა  
ა დ ი შ. 168b<sub>1</sub>.

რამეთუ არარა სხუად გესმეს ჩუენგან თვინიერ ამისა  
კი მ. 110<sub>23</sub>.

მოძლუარ ქველის მოქმედ რამ კეთილ ვქმნე რამთა მა-  
ქუნდეს ცხორებად საუკუნო ა დ ი შ. 41a<sub>3</sub>.

უფალო კეთილ არს აქა ჩუენდა ყოფად გნებავს ვქმნეთ  
აქა სამ ტალავარ ჰაემეტ. 369<sub>45</sub>, ა დ ი შ. 123b<sub>2</sub>.

არამე იცია რამ ჰქმნე რამთა ცხორებად საუკუნო და-  
იმკვდრო ი. ბ ო ლ. 59<sub>15</sub>.

გაქუნდეს თუ სარწმუნოება... არა ხოლო ამის ლელვსა  
ჰქმნეთ ა დ ი შ. 45a<sub>2</sub>.

მე თავსმდებ გექმნე ქრისტის მიმართ გრ. ხ ა ნ ძ თ.  
ნ ვ 37-ნზ<sub>1</sub>.

ხოლო რომელმან არა იცოდის და ქმნეს რამე ლირსი  
ტანგვისა ა დ ი შ. 132a<sub>2</sub>-b<sub>1</sub>.

და აპა მიუღე და შვე ძე... აღიშ. 103a<sub>1</sub>... ეტყოდა აპა  
ესერა შვე ყრმად წული ათონ. კ რ. 286<sub>21</sub>.

აპა ქალწული მიუღეს და შვეს ძც. ოთხთავი 326.  
ცოლიან შენმან ელისაბედ გიშვეს შენ ძეც ა დ ი შ.  
102a<sub>1</sub>.

განზრახვათა გან გახრწნადთა განვეშორნეთ და ესრეთ  
დავიცვეთ ბეჭედი ნათლისა ს ა ს. პ ო ე ზ. მ ა 11.

არა მოვედ ვითარმცა დაგსაჯე სოფელი არამედ რამთა  
ვიქსნე სოფელი ა დ ი შ. 182b<sub>2</sub>.

რამთა იქსნე ხრწნილებისაგან ბუნებად კაცობრივი ს ა ს.  
პ ო ე ზ. რ ი ბ 31.

რამთა მან იქსნეს ერთი თვესი ცოდვათა მათთავან ოთხ-  
თავი პ 0 320.

<sup>10</sup> შდრ. აქად. 6. მარის გრამმატ. древне-грузин. литератур. яз., § 194, АВ, ვ3. 161.



რომელი განკვენე ქუეყანასა ზედა ქსნილ იყოფილი შინა ი. ბოლ. 86<sub>14</sub>.

მან მხოლომან უფალმან მიქსნეს ჩუენ სატანჯუელისა ამისგან წარტყმა — ი. რ. მთ 27.

რაა სარგებელ ჟურნალის ქრისტი იგი შენი ანუ ვინ გივსნეს ქელთაგან ჩუენთა აბო 26<sub>3</sub>.

ნუ გეშინინ... რათა... გამოვიკსნე გელყოფად ესე შენ გან კიმ. 140<sub>13</sub>.

9. იმ გარემოებას, რომ MOის მრავლობითობას -ენ- აღნიშნავს დიდი პრიციპული მნიშვნელობაც აქვს. ღროთა პირველს ჯგუფში -ენ- MSის მრავლობითობას აღნიშნავს, მაგალ. აწმუნში, — ჩვეულებრივ გარდამავალ ზენებთან; ნამყო ძირითადის ჯგუფში კი — კონცენტივს მეორეში, და თვით ნამყო ძირითადშიაც, რომელსაც მრავლობ. მესამე პირის ბრძანებითისათვის -ედ-აქვს გამოყენებული; ეს -ედ კი ენ'ის პარალელი ჩანს. რას ნიშნავს ეს? მხოლოდ იმას, რომ -ენ- ფორმანტს ძველს ქართულში შეეძლო აღნიშნა MOის მრავლობითობაც და MSისაც. ეს არის ნაშთი იმ მდგრამარეობისა, როდესაც MSისა და MOის ფორმანტები არ განირჩეონ, ერთისა და იმავე ფორმანტით შეიძლებოდა აღნიშნულიყო, როგორც ერთი, ისე მეორე.

აღსანიშნავია შემდეგი მოვლენაც: -ენ- აღნიშნავს სამივე პირის მრავლობითობას თუ MO'ს ეხება საქმე (მან კლნა, გვლნა, მკლნა) და მხოლოდ მესამე პირის მრავლობითობას თუ MSს, ამ უამად ძნელი სათქმელია -ენ- თავდაპირველად აღნიშნავდა მხოლოდ მესამე პირის MOის მრავლობითობას და შემდეგ გაიფართვა ასპარეზი თუ პირიქით: თავდაპირველად MSის სამივე პირის მრავლობითობა -ენ- (ან -ედ)'ით აღნიშნებოდა და მხოლოდ შემდევ განეკუთვნა -ენ- ლდენ MSის მესამე პირს, პირველსა და მეორის მრავლობითობის აღნიშვნა კი თ' (-დ)ს დაეკისდა. არა ერთი მოსაზრების მოყვანა შეიძლებოდა, როგორც ერთის, ისე მეორე შესაძლებლობის სასარგებლოდ. აქ მათს განხილვას არ შევუდგებით; ვიტყვით მხოლოდ, რომ თუ პირველ შესაძლებლობის ნიადაგზე დავდგებოდით, — ე. ი. თუ ვიგარაუდებდით, რომ -ენ- თავდაპირველად სამივე პირის მრავლობითობას კი არ აღნიშნავდა, არამედ მხოლოდ მესამისას, გაუგებარი და უჩვეულო არაფერი იქნებოდა, რომ შემდეგში მას მეორე და პირველ პირის მრავლობითობის აღნიშვნაც დაკისრებოდა. ქართველური ენები უცილობლად მოწმობენ, რომ სრულიად შესაძლებელი იარისათვეს და პირუკუ: სვანურსა და მეგრულ-ჭანურში მესამე პირის ფორმანტი -ხ, ან'ია გამოყენებული მეორე (და პირველ) პირისათვის, ქართულში პირიქით — პირველისა და მეორე პირის -თ — მესამეში გადადის; შდრ.

### სვანური

### მეგრული

### ახ. ქართული

ეჭიპრს	კუთირა-ხ	თინენს	უჭარუნ-ნ-ან	მათ	უწერიათ
სგა	ჯირა-ხ	თქურა	გიჭარუ-ნ-ან	თქვენ	გიჭერიათ
ნაი	{ ნირა გურია	ჩქი	მიჭარუ-ნ-ან	ჩუენ	გვიჭერია



სვანურსა და ქართულში პირველ პირში MOის მრავლობითობას თავისუფლივობით  
თი ორნიშნავს, ამიტომაც -თ, -ხ არ დაერთვის; მეგრულს ეს არა აქვს; ამიტო-  
მაც მესამე პირის -ან მეორეშიც გადმოვიდა და პირველშიც.

მართალია, ეს ახალი მოვლენაა, მაგრამ მაინც ნათელს ფენს იმ შესაძლებ-  
ლობათ, რომელნიც ქართველურ ენათა მორფოლოგიაშია ჩამარხული.

### შერიღვები ნახსენებ ძეგლების შემოკლებულ სახელწოდებათა განმარტება

**ა ბ ო:** წმიდა მოწამე აბო ტფილელი, გამოც. საეკლ. მუზეუმისა, ტფილ., 1899.

**ა დ ი შ:** ადიშის ოთხთავის ტაბულები, ფოტოტიპიურად გამოცემული. მა-  
териалы по археологии Кавказа. Вып. XIV, 1916.

**ა თ თ ხ. კ რ.:** ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით,  
გამოც. საეკლეს. მუზეუმისა, ტფილ., 1901.

**გ რ. ხ ა ნ დ თ.** Георгий Мерчул. Житие св. Григория Хандзтийского грузин.

აკად. ნ. მარის მიერ: Тексты и разискания по армяно-грузинской фи-  
лологии, Кн. VII. СПб., 1911

**ა ბ ო ლ.:** იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, საეკლ. მუზეუმის გამო-  
ცემა. ტფილ., 1911.

**ი ო ს. ა რ ი ძ.:** Иосиф Ариамфейский грузин. აკად. ნ. მარის მიერ. Тексты и  
разиска. по арм.-гр. фил., кн. II, СПб., 1900.

**კ ი მ ე ნ ი.:** კიმენი, გამოც. პროფ. კ. კეკელიძის მიერ, ტფილ., 1918.

**კ ო ნ ს ტ. კ ს ნ ა:** ღვთისმშობლისა მიერ სასწაულებრივი კსნა კონსტანტინო-  
ბოლისა... საეკლ. მუზეუმ. გამოც. ტფილ., 1903.

**ო თ ხ თ ა ვ ი:** სახარებად ოთხთავი, გამოც. პროფ. ვლად. ბენეშევიჩის მიერ:  
СПБ, 1909.

**რ ა ვ ა ხ.:** ცხოვრებად: და წამებად: წმიდისა ანტონი: რავახისი... გამოც.  
ი. ყიფშიძის მიერ: Хр. Вост. т II, вып. I, СПб., 1913.

**ს ა ბ ა:** ცხორებად საბა ასურისად გამოც. სვ. ჭანაშიას მიერ, „არილი“, ტფილ.,  
1925.

**ს ა ს. პ ო ე ზ.:** ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, წიგ. I, გამოც. პ. ინგო-  
როვას მიერ, ტფილ., 1913.

**ს ა ხ ი ს მ ე ტ ყ.:** მჯეცთათვს: სახისა: სიტყუად:... გამოც. აკად. ნ. მარის მიერ:  
Тексты и разыск. по арм. груз. фил. кн. VI, СПб., 1904.

**ც ხ ო რ. ს ე რ ა პ.:** ცხორებად და მოქალაქობად... სერაპიონისი, გამოც. მ. კა-  
ნაშვილის მიერ: ქართული მწერლობა, წიგ. II, ტფ., 1909.

**წ ა რ ტ ყ. ი ე რ.:** წარტყუენვად იერუსალემისად, გამოც. აკად. ნ. მარის მიერ:  
Тексты и разыск. кн. IX, СПб., 1909.

**ჰ ა ე მ ე ტ. ტ ე ქ.:** ჰაემეტი ტექსტები, გამოც. პროფ. ა. შანიძის მიერ: ტფილ.  
უნივ. მოამბე, ტ. III.

პირველი ციფრი მიუთითებს გვერდს, მეორე — სტრიქონს, ზემოდან ნა-



ანგარიშებს; ადიშიდან ციტატებში პირველ ციფრით აღინიშნება მუნიკულური  
ა'თი ზედა ორი გვერდი, ხ'თი ქვედა; ამის შემდეგ: 1 — მარცხენა და 2 — მარცხენა  
გვენა ნაწილს.

ქარაგმები ყველგან გავხსენით, რადგანაც რედაქციაშ საჭიროდ მიიჩნია  
ციტატები პეტიტით აწყობილიყო, ქარაგმის ნიშნები კი ამ შრიფტისათვის  
სტამბას არ გააჩნდა.

### 3. ოოფურია

#### ზონის აღნაგობა ლაპურ ენაში!

##### I

§ 1. ლაპური ენის გრამატიკაში ზმნა ერთ-ერთ რთულს, მაგრამ საინტერესო თავს წარმოადგენს. სირთულე გამოწვეულია იმით, რომ ერთპირიან, ე. ი. უობიექტო, გარდაუვალ, საშუალ ზმნაში სუბიექტის პირისა და რიცხვის გამომხატველ ნიშნებთან — ბოლოსართებთან ერთად თავს იჩენს ხმოვნით დაწყებულ ზმნაში სუბიექტისავე ე. წ. სქეს-კატეგორიის, უფრო ზუსტად კლას-კატეგორიის ელემენტი — თავსართი, ხოლო ნამყო წყვეტილის სერიაში (ნამყო წყვეტილსა და ნამყო წინარეწარსულში) იმავე კლას-კატეგორიის ნიშნი — ინფიქსიც. პირდაპირობიექტიან, ჩვენებური გაგებით გარდამავალ ზმნებში კი ხან სუბიექტის პირისა და რიცხვის ნიშნები — სუფიქსები ჩანს და ხან (შეიძლება ითქვას უფრო ხშირად!) ობიექტის პირის, რიცხვისა და კლას-კატეგორიის ელემენტი — ინფიქსი და ხმოვნითდაწყებულებში — პრეფიქსიც ჩნდება ხოლმე. უკანასკნელ შემთხვევაში რეალური სუბიექტი ინდიფერენტულ განწყობილებაშია ჩნდესთან. თუ ამას დავსძენთ ზმნის ფუძის ცვლას დროთა სამსავე სერიაში, მეშველი ზმნის ელემენტების დართვას ზმნის ფუძეზე და სრულს ასიმილაციას დართული ელემენტის თანხმოვნისას ფუძის ბოლოვიდურ თანხმოვანთან, ნათელი გახდება, სირთულესთან ერთად თუ რატომ არის საინტერესო ლაპური ზმნა.

##### II

საჭირო აპარატიდან აუცილებელია გავიხსენოთ პირი, რიცხვი, კლას-კატეგორია, დრო, მეშველი ზმნა, ნაწილაკები და ზმნის ფუძე.

§ 2. პირი აქაც სამია: პირველი, მეორე და მესამე. I და II პ. სახელები ცვალებადია რიცხვის მიხედვით, მაგრამ უცვლელია სქეს-კატეგორიის თვალსაზრისით და ერთსადამავე ბრუნვაში დგას, სუბიექტია იგი, თუ პირდაპირი ობიექტი. მესამე პირის სახელი კი ამათ კონტრასტს წარმოადგენს — რიცხვთან ერთად ის იცვლება კლასისა და ბრუნვის მიხედვით: გარდამავალ ზმნებ-

<sup>1</sup> ნაშრომი დაუმთავრებელია. ფაქტიურად იგი წარმოადგენს მომავალი გამოკვლევის კონსპექტს. იბეჭდება რედაქტორული ცვლილების გარეშე. შეცვლილია მხოლოდ მაშინ არსებული ლათინური ტრანსკრიფცია დღევანდველი ქართული ტრანსკრიფციით (ჩედ.).



თან როგორც რეალური სუბიექტი, ის დგას ნათესაობითს ბრუნვაში და მართვაში.

მხოლ. რ.	მრავლ. რ.
I ნა	უ
II ინა	ზუ
III თა (ვა, კა, გაა .)	თად (ვად...)
ნათ. თანალ (—),	თანალ
თანილ (ბ, დ)	თანნულ

§ 3. რიცხვი ჩევულებრივია: მხოლობითი და მრავლობითი. ესენი ერთ-მანეთისაგან განსხვავდებიან I და II პირში, III პირში კი ყოველთვის ერთ-გვარობაა.

§ 4. კლას-კატეგორია მარტო ლაგურის მიხედვით იქნება აღებული, თუ სხვა კავკასიურ ენებთან (ხუნძურთან, ჩანსურთან, არჭულთან...) ერთად, ცალკე მოითხოვს განხილვას. აქ დავგმაყოფილდებით მხოლოდ დასახელებით. სულ სამი კლასია; ჩევულებრივი ტერმინები რომ ვიხმაროთ: მამრობითი, დედრობითი და საშუალო, ანუ უკეთ: I კლას-კატეგორია, II კლას-კატეგორია და III კლას-კატეგორია.

პირველი კლასისაა ღმერთი, ანგელოზი და მამრობითი სქესის ადამიანი: ადიმინა „მამაკაცი“, ლს „ქმარი“, უსუ „ქმა“, ჰალმაჩხუ „ახანავი“, პრე „ბავშვი, ბიჭი“ (მცუცულში როცაა, II კლასის გამოღის) და სხვა. მისი ნიშანია ხმოვნითდაწყებულ ზმნათა თავში ნული, ზმნასა და სახელში/ზმნისართში ინფიქსი ვ, რიცხვში ე, ზედსართავსახელსა და მიმღეობაში -მა. მრავლობით რიცხვში პრეფიქსად გვევლინება ბ.

მეორე კლასისაა დედრობითი სქესის ადამიანი გათხოვებამდის: დუშ „ქალშვილი“, სუ „და“; ცხოველები, ფრინველები (უმეტესობა), მცენარეები და სხვა არაცოცხალი ბუნებიდან: აჯ „ბოსტანი“, ბარლ „მზე“, ბარზ „მთვარე“, ჭირა „კედელი“, ბაკ „თავი“, მაზ „ენა“ და სხვა მრავალი. მისი ნიშანია პრე-ფიქსი ბ, ინფიქსი ზმნასა და რიცხვში ვ, ადიექტივში ე, მიმღეობაში ბოლოს მურ და სახელში/ზმნისართში რდ, მრავლ. რიცხვში პრეფიქსად ისევ ჟ რჩება, რომელ დედრობითი სქესის ადამიანები მრავლ. რიცხვში II კლასის ბ პრე-ფიქსს იჩენენ:

ნინუ დურ	—	ნინუკლუ ბურ
შაარსა დურ	—	ჟამი ბურ... და ამიტომ

3. უსლარმა ესენი ცალკე კატეგორიად მიიჩნია და სამი კლასის ნაცვლად ოთხი მიიღო.

<sup>2</sup> ქორწილიდან პატარძლის მოსაყვანად წავიდენ სასიძოს თამაღა, ამხანავები, ნათესავები და მე ვიყითხე ისე, რომ პატარძალი II კლასისად გამოიყვანე, შაშინვე გამისწორეს III კლასისად: აწი არ შეიძლება II კლასისად მივიჩნიოთ.

I	კლ.	—	3	ვ?	—	მა	3
II		ბ	3	3	ბ	მურ	ფა
III		დ/რ	რ	რ	ნ	მურ	რდ
I		ბ	3			მი	ფა
II		ბ	3			მი	ფა
III		დ	რ			მი	ფა

Pl.

ჩვენთვის საინტერესოა:

I	—	3	ბ	3
II	ბ	3	ბ	3
III	დ	რ	ბ/დ	რ

დაწვრილებით კი ცალკე.

§ 5. დღო არის ექვსი: აწმყო, ნამყო უწყვეტელი, ნამყო წყვეტილი, ნამყო წინარეწარსული, მყოფადი და პირობითი. ფუძეთა მიხედვით ყველა ეს დღო იყოფა სამ სერიად:

I. აწმყოს სერია: მასში შედის აწმყო და ნამყო უწყვეტელი.

II. ნამყოს სერია: მასში შედის ნამყო წყვეტილი და ნამყო წინარეწარსული, ხოლო

III. მყოფადის სერიისა მყოფადი და პირობითი. მნიშვნელობა ამ დროებისა ჩვეულებრივია. ასპექტის გამომხატველად არავითარი პრეცერბი არ მოიპოვება, მის ფუნქციას ასრულებს ნაწილაკი სა, ტი (იხ. ქვევით).

§ 6. ზმის ფუძე სხვადასხვაა დროთა წარმოებისას: პირველი სერიისათვის გამოყენებულია აწმყოს აბსოლუტივი, ე. წ. აწმყოს დეეპრიჩასტიუ, II სერიისათვის ნამყოს დეეპრიჩასტიუ და მესამისათვის — მასდარი (უკეთ ინფინიტივი). ზმის მნიშვნელობის ცვლა დროსთან დაკავშირებით მთლიანად ზმის ფუძისაგან გამომდინარეობს.

§ 7. მეშველი ზმის ლაქურში საქმაოდ ბლომადაა. უშიერა (ძირია უ) „მყოფობა, არსობა“; იქან „მყოფობა, დარჩენა“; ხუნ, კანან, შვან „გადაქცევა, გახდომა“; დასრულდება; werden; ან „ქმნა“... ამათვან საინტერესოა უმთავრესად პირველი: მისი ელემენტები დართული აქვს როგორც ნორმალურ ზმებს, ისე სხვა მეშველ ზმებსაც. გააჩნია მხოლოდ I სერიის დროები: აწმყო და ნამყო უწყვეტელი.

### აწმყო

I	ნა ურა ბურა	დურა
II	ინა ურა ბურა	დურა
III	თა ურ ბურ	დურ
I	ჟუ ბურუ	დურუ
II	ზუ ბურუ	დურუ
III	თად ბურ	დურ

ალსანიშნავია შემდეგი: 1. სამივე კლასის ფორმაა წარმოდგენილი ზევით გაცნობილი ელემენტებით (—, ბ, დ), 2. I და II პირი ერთნაირია ცალკე მხოლოდითში და ცალკე მრავლობითში, 3. III პ. ორივე რიცხვში განურჩევენ.

ლია, 4. III პ. ფორმა შეკვეცილადაა ხმარებული დღეს სალიტერატურო ქნაციაში, ღუმუქურ (ყუმუხურ) დიალექტში; სრული სახე ური, ბური, დური; მრავალ გურიაში და გურიაში ცოცხალია ვიცხურ კილოში, ომელიც უსლუგულის მართვა კვლევ აბიექტს წარმოადგენდა და ეს ფორმები მის ცნობილ „ლაკესკი იაზიკ“-ში ყველან დაცულია, და იგი შემონახულია ოფიციალური კილოს კითხვითს წინადადებებშიც: ურივ, ბურივ, დურივ. ძირია უ; რა, რი, რუ კი ელემენტებია. ეს მტკიცდება: 1. უზივუ (მყოფობა) სახელით, 2. სხა ნაწილაკის ჩართვით:

1,2.	უსარა	ბუსარა	დუსარა
3.	უსარ	ბუსარ	დუსარ
1,2.	ბუსარუ	ბუსარუ	დუსარუ
3.	ბუსარ	ბუსარ	დუსარ

სადაც სხა უ ძირს გამოჰყოფს რა, რი, რუ ელემენტებისაგან და მნიშვნელობა-ში შეაქვეს დამაჯერებლობა, დამტკიცება (ვარ, ხარ უკვე...), და 3. რაც მთავარია, უწყებული ელემენტები თავისუფლად დაერთვიან სახელებს და მე-შველზმნიანი წინადადებითლა ითარგმნებიან:

1.	შარსარა	„ქალი ვარ“	თრჭრა	„ბიჭი ვარ“
2.	შარსარა		თრჭრა	
3.	შარსარ		თრჭრი	
1.	კამირუ		თრჭრურუ	
2.	კამირუ		თრჭრურუ	
3.	კამირ		თრჭრურ	

III 3. ბოლოხმოვნიანს რ ელემენტი გააჩნია, ბოლოთანხმოვნიანს კი ძველი რი. სხა ნაწილაკი ამგვარ შემთხვევებშიც იჩენს თავს:

- 1, 2. ლრჭსარა  
3. ლრჭსარ

შეუძლებელია უგულებელყოფილ იქნეს ჩვენთვის ქვევით გამოსადევი ფონეტიკური მოვლენები:

a) რა, რი, რუ ელემენტთა რ სრულებით ემსგავსება სახელის ბოლოკიდურ ნ-სა და ლ-ს, ხოლო

b) რ თანხმოვნის მეზობლად იქცევა დ-დ:

- |   |                |
|---|----------------|
| 1. ასლანნა „ლომი ვარ“                   | შდრ. ასლანსარა |
| 2. ასლანნა ( $\leftarrow$ *ასლანრა)     | „              |
| 3. ასლანნი ( $\rightarrow$ *ასლანრი)    | ასლანსარ       |
| 1. 2. ასლანნუ ( $\rightarrow$ *ასლანრუ) |                |

და ასე: ცუქუნნა, ცუქუნნი; ჭინნა, ჭინნი და სხ.

1. შაილლა „ვისი ვარ“  
2. შაილლა ( $\leftarrow$ \*შაილ + რა)  
3. შაილლი ( $\leftarrow$ \*შაილ + რი)

და ასე: ზიალლა „ღმერთი ვარ“ (ზიალ „ღმერთი“), ზიალლი...

1. დირექტორდა ( $\leftarrow$ \* დირექტორ + რა);
2. დირექტორდა
3. დირექტორდი

სექტემბერდა  
 ”  
 სექტემბერდი

ამჟამად საჭიროა დავიმახსოვროთ პირველი — ნ და რ-ს ასიმილაცია: შინინი „წყალია“, შინი „წელია“ და სხვა. ვიცხურში კი რ გადაიქცევა ნ და ლ-ს შეზობლადაც დ-დ: ასლანდა, ასლანდი, შინდი და სხვა; შინლა „ვისი ხარ“, ზალდი „ლმერთია“...

### ნამყოფწყვეტილი

I.	იმავ	ბიმავ	ღიმავ	„ვიყავი“
II.	იმავ	ბიმავ	ღიმავ	
III.	იმა	ბიმა	ღიმა	
I.	ბიმავ		ღიმავ	
II.	ბიმავ		ღიმავ	
III.	ბიმა		ღიმა	

სა ნაწილაკის დართვით უ ძირი გაჩნდება ხოლმე, ოლონდ ოფიციალურ ენაში ა ელემენტი სა ნაწილაკისა მოკვეცილია:

I, II	უსიმავ	ბუსიმავ	ღუსიმავ
III	უსიმა	ბუსიმა	ღუსიმა
I, II	ბუსიმავ		ღუსიმავ
III	ბუსიმა		ღუსიმა

ვიცხურში კი სა ხელუხლებლად გვხვდება:

I, II	უსავ	ბუსავ	ღუსავ
III	უსაძა	ბუსაძა	ღუსაძა

საგულისხმო ის არის, რომ გვაქვს იმავ, იმა და ხავ, ხა ფორმები. ორივე გვევლინება სახელთან და ითარგმნება სახელი + ნამყოს მეშველი ზმნა:

კინძავ  კინსიძავ	„კარგი ვიყავ“
კინძა  კინსიძა	
რრჭავ	„ბიჭი ვიყავ“
რრჭა	დუშხავ  დუშიძავ
	„გოგო ვიყავ“
	დუშხა  დუშიძა

რით ავხსნათ ეს? საფიქრებელია, რომ (ე)ავ, (ე)ა ნამყო, ხოლო წინა ინას ასიმილაცევია უ ძირისა მომდევნო ჯსთან. ამაში გვაჭერებს უსლარის ვიცხური ფორმები, სადაც არის:

უძავ, ბუძავ, ღუძავ	რაც იქცა: იმავ, ბ/ღიმავ,
უძა, ბუძა, ღუძა	იმა, ბ/ღიმა, ღ

ის წარმოშობა-ფუნქციის მივიწყების შემდეგ იგი შერჩა, როგორც ელემენტი, და ამიტომ შეიძლება ვთქვათ: უსიძავ და სხ.

ამგვარად, მეშველი ზმნა შეკვეცილი სახით — ელემენტებით წარმოვიდგება სახელებთან ერთად.

## ერთიც კიდევ:

ს 8. ონფინიტივის დაბოლოება არის 5, რომლის წინ შეიძლება იყოს ლაპარაკული არსებული ცველა ხმოვანი ა, ი, უ:

იყან, ბ, დ, -	„ყოფნა“	ტიტინ	„გაღება“	ხუნ	„ქცევა“
შაშან	„ხარშვა“	ჩიჩინ	„წერა“	უღვნ	„მიცემა“
ათან, ბ, დ, -	„ცემა“	ბუქინინ	„კითხვა“	ზუნ	„მუშაობა“
ჭალან	„ხედვა“	ლაქინ	„კეტვა“	პტუნ	„ტირილი“
ჰაჭან	„სმა“	შოშინ	„რეცხვა“	ლასუნ	„წალება“
იზან, ბ, დ, -	„ადგომა“	წუხინინ	„შეკითხვა“		და სხ.
ბუქიან, დ	„ჭამა“	რ/დუტინ	„სხმა“		
ლახან	„ჩაცმა“	თაიზინ	„წველა“		

ინფინიტივი, მიმღეობა-დეპრიჩასტიკ და ღროები შეიძლება იყვნენ ერთგზითი, მრავალგზითი და ხანგმოშვებითი, ხანდახანითი. მრავალგზითისათვის საჭიროა ერთგზითს ჩაერთოს ლ ელემენტი, ხოლო ხანგმოშვებითისათვის სვ, მაგ.: ჩიჩინ „წერა“, ჩიჩლან „წერა ჩვეულებრივ“, ჩიჩვან „ხანდახან წერა“...

დროთა I სერიაში ინფინიტივის მრავალგზითი ერთგზითად არის გაგებული და ერთგზითი კი, პირიქით, მრავალგზითად (იხ. ქვევით).

გადავიდეთ ჯერ უობიექტო, საშუალ ზმნაზე.

ს 9. იზან „встать“, იზლან „вставать“, იზხვან „иногда вставать“, ინფინიტივი და მასგან ნაწარმოები სხვა ფორმები ხმოვნით იწყება, მაშასადამე, (რამდენიმე ზმნის, მაგ., უჩინ „ოქმა“... გამოკლებით), იცვლება კლასის მიხედვით:

იზან,	ბიზან,	ღიზან
იზლან,	ბიზლან,	ღიზლან
იზხვან,	ბიზხვან,	ღიზხვან

უღლილებაშიც კლასის ნიშნები გვექნება. ყველა ღროში პარალელური ფორმები გვაქვს სთა ნაწილაკიანი და უმისოდ.

განსამარტივია შემდეგი: 1. მრავალგზითის მასდარის ფუძის მქონე აწმყოს სერიის ზმნები ერთგზითია (იზლაზ ურა „ახლა ვდგები“), ხოლო ერთგზითის ინფინიტივის ფუძიანი აწმყოს სერია მრავალგზითია: იზხრა „ვდგები ხოლმე“. III სერიაში კი ასე არ არის.

2. აწმყოს, ნამყო წყვეტილსა და მყოფალს რა, რი, რუ ელემენტები უჩნდება აწმყოსა და ნამყოს დეპრიჩასტიტესთან და მასდართან სათანადო ფონეტიკური ცვლილებებით:

იზხრა—იზავ+ურა  
იზხა იზავ

მესამე პირში უნდა გვქონოდა იზავ+რი, რაც შემონახულია კითხვაში: იზავრი-ვ?

ნამყო წყვეტილში ნამყოს მიმღეობა-დეპრიჩასტიკ კლასის ელემენტიანია: ივზ, ბივზ, დირზ+რა, რუ ელემენტები, ოღონდ II და III პირში,

ზოგჯერ I პ. აღებულია დეკრიტის და ერთვის იგივე რა, რუ, რი რომელ  
 ლიც ასიმილაციის ძალით იქცევა ნა, ნუ, ნი'ღ:

ივზრა||ივზუნნა  
 ივზუნნა  
 ივზუნნი და სხვ.

კითხვითში მიმღეობის ფორმებია დაცული:

ივზრავ?  
 ივზრივ?

მყოფაღში რა უშუალოდ ინფინიტივს დაერთვის I პირში და ხდება ასი-  
 მილაცია: იზანნა, ბიზანნუ სხვა პირებში (და I-შიც) ჩაერთვის საა: იზანსარა  
 და სხ., დამაჯერებლობა-დამტკიცებისათვის ტი ნაწილაკიც გვევლინება:

იზანტისარა „სწორედ ავდგები, უკვე ავდგები“  
 იზანტისარ

3. ნამყო უწყვეტელს, ნამყო წინარე წარსულსა და პირობითს საა ნაწი-  
 ლაკის გამოყენებისას ერთვის მეშველი ზმნის ნ. უწყვეტელის ფორმები,  
 ოღონდ საა→სა:

იზაჲსაიძავ	ივზსიძავ	იზანსაიძავ
იზაჲსიძა	ივზსიძა	იზანსიძა

ეს სა+იძავ, სა+იძა ერთვის ზემოდასახელებულ დეკრიტის-ინფინი-  
 ტივთ.

მაგრამ საა ნაწილაკის გარეშე გვევლინება ვავ, ვა (ნ. უწყვ.), ავ, ა (ნ.  
 წ. წ.), ვიძავ (ვირ.). აქ ბევრი რამ არის გასარკვევი, სახელდობრ: ავ, ა ნაწი-  
 ლაკია დროისა, რაღაა წინა ვ, მით უფრო ვიძ?

§ 10. გარდამავალი ზმნა ობიექტს ყოველთვის სახელობითში იჩენს, სუ-  
 ბიექტი III პ. ნათეს. ბრუნვაშია. ზმნის დალაგება ევროპული ენების მიხედ-  
 ვით ფრიად უგულებელს ჰყოფს პირს, რიცხვს როგორც სუბ., ისე ობიექტისას.

ნა	ჩიჩასაიძა	„მე ვწერდი“
ინა		„“
თანალ		„“
ჟუ		„“
ზუ		„“
თანალ		„“

ჩიჩასაიძა უცვლელია იმიტომ, რომ ობიექტი იგია. საჭიროა პირთა შო-  
 რის ისეთი მიმართება დავამყაროთ, როგორც ეს წართულშია და ბევრი რამ  
 ნათელი გახდება. ყურადღება უნდა მიექცეს საა ელემენტიანს და უმისოს.

1. საა ელემენტიან ზმნაში პირის, რიცხვისა და კლასის ნიშნები წარმოდ-  
 გენილია რეალური ობიექტისა, რეალური სუბიექტი ამ შემთხვევაში სრულე-  
 ბით უგულებელყოფილია.

2. საა უელემენტო ფორმები ნაირ-ნაირად წარმოგვიდგება:

8. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXX



a) აწმყოში I და II სუბიექტია, თუ ობიექტი, ყოველთვის სუბიექტია ფორმით (პირის, რიცხვის) გვევლინება რეალური ობიექტი I, ესიჭურაშია ფორმით, სუბიექტია III რეალურ სუბიექტთან, მათვე შეუძლიათ კლასის ნიშნის გაჩენა და ზმნის ფუძის შეცვლა რიცხვის მიხედვით.

b) ნამყო უწყვეტელში RO ცვლის ზმნას ყოველმხრივ: ფუძეს, კლასს, დაბოლოებას, ოღონდ ნა და უც RS-თან ვა არ იხმარება.

c) pF-ში I კ. RS აჩენს პირისა და რიცხვის ნიშანს, კლასის ელემენტი არ აქვს. ზმნის ფუძეში ჩნდება ობიექტის სქესისა და რიცხვის ნიშანი:

ნა ავ, ბავ, დავ

ნა ივჭავ თა — აქ ვ კლასის ნიშანია ფუძის მი-

ნა ლიტავ თაჲ ხედვით და არა დროის მიხედვით

II და III RS-თან კლასის, რიცხვის, პირის ნიშნებს აჩენენ I, II და III RO'ები.

d) Plusquamf-ში I პ. RS-თან არ არის უნა, ზმნას ყოველმხრივ ცვლის RO I, II და III პ.

e) მყოფადში I პ. RS ძალაშია პირისა და რიცხვის ფორმებში, ობიექტი კლასებში.

I, II, III RO ძალაშია ყოველმხრივ I, II და III RS-თან (სა ელემენტია!).

f) პირობითშიც RS I პ. აჩენს პირისა და რიცხვის ნიშნებს, I, II, III RO ძალაშია ყოველმხრივ II და III პ. (სა ელემენტია I პ.).

ამგვარად, RO გაბატონებულია 6. უწყვეტელსა და ნამყო წინარე წარსულში, RS I პ. ითანხმებს ზმნას პირსა და რიცხვში ნამყო წყვეტილში, მყოფადსა და პირობითში, აწმყოში კი ძალაშია I და II პ., სხვა შემთხვევებში ობიექტია გაბატონებული, მასზეა დამოკიდებული კლასი და ფუძით რიცხვის გამოხატვა. ჩანს, RO-ს უპირატესობა ენიჭება სუბიექტთან შედარებით. თუ ანგარიშს გავუწევთ III პ. სუბ. ნათესაობითს ბრუნვაში ხმარებას, მაშინ კითხვა დაისმის ზმნის გარდამავლობის შესახებ. ამაზე და სხვა საკითხებზე სხვა დროს. ისე კი გარდამავალ ზმნებთან ობიექტი უნდა ყოფილიყო ყველგან გაბატონებული. სუბ. პირი ჩნდება აწმყოში, ნამყოსა და მყოფადში. ესაა როლების შეცვლა და ამდენად მეტად საგულისხმო.

### 3. თოვლის

მრთი სიციაქსური პონსტრუქციისათვის ჩართულია:

(„ვინც უნდა იყოს“ თუ „ვინც არ უნდა იყოს?..“)

ქართულში ორმაგი უარყოფის გენეზისის გამორკვევის<sup>1</sup> შემდეგ ბუნებრივად დაისვა საკითხი საერთოდ უარყოფითი წინადაღებისა და, კერძოდ, ზოგიერთი უარყოფითობის აღმნიშვნელი ნაწილაკის უმართებულოდ გამოყენების შესახებ. უარყოფითი ნაწილაკების ეტიმოლოგია და ხმარება, დროთა სრბოლაში ენის ცვალებადობით გამოწვეული მათი სახისა და ფუნქციის შეცვლა და სხვა მასთან დაკავშირებული საკითხები წარმოადგენენ უარყოფითი წინადაღებისა თუ სინტაქსური კონსტრუქციის გამოსარკვევად ისტორიული სინტაქსის ერთ-ერთ საინტერესო თავთაგანს...

ამ მრავალთაგან ჩვენ აქ მხოლოდ ერთი საკითხი გვექნება განხილული, — იგი სათაურშია ნავულისხმევი, და ეხება: „ვინც უნდა იყოს“ თუ „ვინც არ უნდა იყოს?“ („რაც, რამდენიც..., რომელიც..., სადაც... უნდა იყოს“ თუ „რაც..., რამდენიც..., რომელიც..., სადაც..., არ უნდა იყოს?“) და მრავალ ამათმაგარ კონსტრუქციებს. ეს თავისებური შესიტყვება წარმოადგენს შემდეგ მეტყველების ნაწილთა შეხამებას: ე. წ. ნაცვალსახელი ან ზმნისართი + გინდა, უნდა ზმნა+მე-II ან ბირველ კონცუნქტივში დაყენებული ზმნა, მაგ.: რაც უნდა ქნას მის ოჯახში (ჭ. ლომთათიძე, ტ. I, 484), ვინც უნდა იყოს ის, როგორიც უნდა იყოს. მაინც სწყინს (იგივე, ტ. II, 296 13–14). რანაირი სამუშაოც უნდა იყოს (შ. არაგვისბ., „გრდემლი“, 34).

დღევანდელს სალიტერატურო ენას რომ თვალი გადავავლოთ, ხშირად წავაწყდებით ზემოდასახელებულ სინტაქსურ ორგანიზაციის როგორც დადებითას, ისე უარყოფით ფორმაში. უკანასკნელი (უარყოფითი) სახე, თუ სტატისტიკას მოვიშველიებთ და პროცენტებით მათს (დადებითისა და უარყოფითის) მიმართებას გამოვითანგარიშებთ, გაცილებით მეტი აღმოჩნდება ე. წ. უურნალისტიკის ენაში. ეგ მოვლენა არც ისე გასაკვირია! გაგებისა და აზრის მხრით, მიუხედავად უარყოფითი არ ნაწილაკის ხმარებისა, მაგ.: ვინც არ უნდა იყოს, — დადებითია, და ნიშნავს იმასვე, რასაც ვინც უნდა იყოს (ქალა თუ კაცი, დიდი თუ პატარა...., სულ ერთია, — ისე როგორც: სადაც უნდა იყვნენ, სასახლის კარზე, საქრისტიანოში თუ საურჩულოში, მაინც არა უშავთ რა (აკ. წერეთელი, ბაში-აჩუკი, 110<sub>15–18</sub>)... ამ შემთხვევაში არ ნაწილაკი, რო-

1 იხ. „ქართული საენაომეცნიერო საზოგადოების წელიწეული“, 1923—1924, I—II (ოქმ № 20).

2 „წელიწეული“, გვ. 74—116.

ვორც უარყოფითობის გამომხატველი, თავისი ლექსიკური თუ გრამატიკული ფუნქციისაგან გამოფიტულია და ჩართულია თითქოს მნიშვნელობების შემთხვევაში ბული. აღბათ ამით აიხსნება მისი უჩიოთიროდ ხშირი ხმარება, უურნალ-გაზე-თებს რომ თავი დავანებოთ, ქართულის მცოდნე ჩვენს მეცნიერთა წერილებ-შიც, რომელთა დასახელება საჭირო არ არის.

მაგრამ ენის ფაქტის აღნიშვნა და, თუ გნებავთ, დეტალი აღწერაც, რა-საკვირველია, არ გულისხმობს ძირითადი კითხვების ვერდის ახვევას, როგო-რიცაა მაგ.: რას უნდა მიეწეროს ამ უარყოფითი არ ნაწილაკის ჩართვა ზემო-მოყვანილ კონსტრუქციებში: არის ეს ენის ისტორიის ნაწყალობევი (ცვალე-ბადობით გამოწვეული), ე. ი. ქართულს ნიადაგზე აღმოცენებული, თუ ქარ-თველურ ენათა დამახასიათებელი იყო თავიდანვე? ანდა: ხომ არა აქვს აქ რომელიმე უცხო ენის გაულენს ადგილი? კითხვების გარკვეული და საბუ-თიანი პასუხის გასაცემად, რასაკვირველია, მხედველობაში არ მიიღება არც ვისიმე ავტორიტეტი და არც პრინციპად აღიარებული „კეთილხმოვნება“, არამედ უშუალოდ უნდა მივმართოთ ენის უტყუარ საბუთებს — ძეგლებს და ვნახოთ: თუ როგორ იყენებდა ამ კონსტრუქციას ძველი და საშუალი ქარ-თული ახალთან შედარებით? ამის გამორკვევას ორგვარი მნიშვნელობა აქვს: ერთი — თავისთავადი: წმინდა ენობრივი და მეორე — პრაქტიკული: ორთო-გრაფიული.

ძველი ქართული მე-XI საუკუნემდე არსებული სამწერლობო ენის შეკ-ცეველი და ჩვენამდე ხელნაწერებისა და წარწერების სახით მოღწეული, ამ-გვარ შესიტყვებას, შეიძლება ითქვას, ძალიან იშვიათად მიმართავს<sup>3</sup>. ჩაც არის, ყველა დადებითი ფორმითა გადმოცემული.

რაც შეეხება საშუალ-ქართულს, მე-XI—XVIII ს. ენას, იგი ამ კონს-ტრუქციას უფრო ხშირად იყენებს, ოღონდ ახალთან შედარებით განსხვავე-ბულია: ზოგჯერ აკლია „გინდა, უნდა“ ზმა. მუდამ დადებითია. მაგ.: სხვა გინ-და რა უპატობა დაგემართოს, დაიდევით ესე სიგელი (საქართვ. სიძეველენი, ტ. II, 146—7); ვინ გინდა ვინ კარით ჩუენით წარვლინებულნი მოსაქმენი იყუ-ნეთ — იმ რიგად გაუთავეთ (ib., 46<sub>19</sub>—20); ვინ გინდა ვინ იყვნეთ და ანუ ვინ გინდა ვინ იქნებოდეთ დღეის წალმა... თქვენცა ასე გაუთავეთ (ib., 49<sub>9</sub>—10, 47<sub>31</sub>, 64<sub>17</sub>, 67<sub>22</sub>; საქ. სიძვ., ტ. III, 70<sub>28</sub>, 74<sub>20</sub>, 103, 121, 131); გიბრძანებოთ ვინ გინ-და ვინ... მებალახენი იყუნეთ და ანუ ვინ გინდა ვინ იქნებოდეთ (ს. კაკაბაძე, ისტ. საბუთები, IV, გვ. 4); და ან სხვაგნიდამ, საიდამაც იყოს, ერთი ცხენი რომ არ უშოვნო არ იქნება (საქ. სიძვ. ტ. III, 90<sub>5</sub>—6), რაც უნდა იდვას... (სი-

<sup>3</sup> ასეთი კატეგორიული განცხადება დამყარებულია ჩვენ მიერ გადაკითხულ ხელნაწერ-თუ გამოცემულ ძეგლთა ენაზე, რომელთა ნაწილი დასახელებულია „შელაწლეული“—ს 84—85 გვ. შენიშვნაში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ძეველსქართულში ხმარებული ზოგიერთი სიტყვათა შეხამება, როგორიცაა მაგ.: „და ვითარცა ახა მეუფე ყოველთა ზედა კაცი განაჩინა შემოქმედმანი ჩუ-ენმან რა ვ დ ე ნ ნ ი ც ა დ ა პ ბ დ ნ ა მან ქუეყანასა ზედა“ და რომელსაც აკად. ნ. მარი თარგმნის: ცარем над всеми сколько **их ни создал** на земле, творец наш назначил человека (Агиогр. мат. по груз. рукоп. Ивера, II, СПб, 1901, 110<sub>8</sub>—12; (ხაზი ჩვენაა — ვ. თ.), შეიძლება პირდაპირ (сколько их создал) გავიგოთ. ხოლო „რათა გალობდენ სიტყუათა სუ-ლიერითა ყოველსა დაგილსა ს ა დ ა ც ა ი ყ ც ნ ე ნ გ ი ნ ა გ ზ ა ვ ნ ა ს ა გინა ნივსა შინა ანუ თუ ყოველსა დაგილსა“ (საისტ. საზ. მუხეუმის ხ. № 2124, გვ. 81) კარგად ულვება ჩვენ-თვის საინტერესო შაგალითებს. სამწუხაროდ, ასეთები ძლიერ მცირე რიცვით. მოგვეპოვება.

<sup>4</sup> ბრძნე-სიცრუე, 69); ვინ გინდა ვინ  
თქმუნა ასრე დაუმტკიცეთ, და სხ.

ყველა ეს შაგალითი და სხვა მრავალი, რომელიც ქ აღილის ეკონომიკური სათვის არ არის მოყვანილი, დაახლოებით ჰფარავს დღევანდველ ვინც უნდა იყოს და მისმაგაროთ. მაშასადამე, დასკვნა ასეთი გამოიტანება: სინტაქსურიკუნსტრუქცია ვინც უნდა იყოს და მსგავსნი მისნი ტელსა და საშუალებართულში ახალთან შედარებით საქმაოდ შეცვლილი სახით იხმარება; ძველში ძალიან იშვიათად ვხვდებით, საშუალში უფრო ხშირად. მუდამ დადებითი ფორმით არის წარმოდგენილი.

ახლა გავითვალისწინოთ ახალი სალიტერატურო ენა და ვნახოთ, თუ როგორ წარმოგვიდგენენ მას ჩვენი კლასიკი მწერლები:

ვინც უნდა იყოს (მოძღვ. 490<sub>12</sub>; ეგნ. ნინოშვ., II, 190<sub>25</sub>); ვინც უნდა იყო (მოძღვ., 489<sub>15</sub>; გლახის ნაამბობი, 135g); ვინც უნდა შამოგვედეს (6. მელანია, 43<sub>10</sub>); ვინც უნდა იყოს ის, მტერი თუ მოყვარე (ჭ. ლომთათიძე, II, 91)...

რაც უნდა კარგ გუნებაზე იყო, რაც უნდა ლრმათ სძინავდეს გულში გრძნობას შიშისას..., რაც უნდა უშიშრათ გრძნობდე თავს..., რაც უნდა ხევ-რი ამხანაგი... გყავდეს... (ჭოლა, II, 68); რა ტალახიც უნდა ყოფილიყო (ბერელო, 8); რაც უნდა ეცადო (ვაჟა, 372); რაც უნდა იყოს, ეს მაინც ადამიანური რამეა (ალი, 21); რაც უნდა ექნა (ეგ. ნინოშვ. II, 144); კაცის კვლა, რაც უნდა იყოს, მაინც ცოდვაა (გლ. ნაამბობი, 130); რაც უნდა მითხრა, მაინც ვერ დაშაგერებ (ან. ერისთავ-ხოშტ., 242); რაც უნდა ნახო, არ გაიკვირვო (ბაში-აჩუქი, 158)...

როგორც უნდა მიეშვრებოდეს (მოძღვ., 474); როგორ ვიწრო კვალიც უნდა იყოს (ზელო, 48); რამდენიც უნდა ისარგებლოს (რუხი მეტო, 19); რამდენიც უნდა გაეყიდნა (ზელო, 62); სადაც უნდა ვიყო, როგორც უნდა ვიყო (მოძღვ., 581); საით მხარესაც უნდა მოქმედოდი, მაინც თვალს გადევნებდა (ვ. ბარნოვი, 145); საიდამაც უნდა იყოს, სულ ერთია (ბაში-აჩუკი, 87)...

კვარა მაგალითები! მე-XIX საუკუნის მწერალთა საგანგებოდ გადათვალიერებულ ნაწარმოებებში ერთი მაგალითიც ვერ ვიპოვეთ ჩვენთვის საინტერესო შესიტყვების უარყოფითი სახისა. ყველა დადებითია. ამ მხრით როგორც აღმოსავლელი, ასე დასავლელი მწერლები ერთგვარობას იცავენ. მაგრამ ამას ხომ ვერ ვიტყვით უახლესი სალიტერატურო ენისა და მით უმეტეს უურნალგაზეთების ენის შესახებ, საღაც უარყოფითი კონსტრუქცია ჩვეულებრივ მოვლენად ჭრაული! იბადება კითხვა: რამ გამოიწვია ასე მოკლე ხანში დადებითის უარყოფითი შეცვლა? ნუ თუ თვით ენაში მოხდა ასეთი გარდატეხა? ან ეგვიპტის მეზობელი ენის გაღონებას ჰქონდეს აღგილი? განვიხილოთ ცალკ-ცალკე.

ქართულის პირვანდელი მოვლენა რომ არ არის ეს, ამას ცხადად ამტკაცებს ერთის შესრულებული მისი მოძმე მეაგრეობი (შანული) ენა<sup>6</sup>, და, მეორეს მხრით,

<sup>4</sup> საშუალი ქართული ისტორია გადასინჯულია: „ვებსტარმანი“ (207 გვ.), „ამირანდარეგანიანი“ (120 გვ.), „საბრძნებიცრუე“, ს. კავაბაძის მიერ გამოცემული „ისტორიული საბუჟები“-ს (I და IV) რამდენიმე სიგველ-გუგარი, „საქართველოს სიცელენი“, ტ. II (132 გვ.), ტ. III (150 გვ.), ტ. აორდანიას გამოც. „შიო-მღვიმის მონასტერი. საბუჟები“ და სხ.

5 зоңғыңдауын қтобы ни был, всякая всячина (л. ჩუბინვი [sic], ქართ.-რუს. ული  
ლოվსიკონ).

**୬ ସମ୍ବାନ୍ଧରୁ ଏହି ମିଶରଣର ଫେର୍ଦ୍ଦୀରେ ଗାମଲସାରକୁ ପ୍ରୟୋଗ**



თვით ქართული ენის ისტორია; მაშასადამე, ხსენებულ კონსტრუქციაზე უარი ყოფითი არ ნაწილაკი მოსალოდნელი არ ყოფილა, და აკი არც იჭირა ლიკონიცა ეს განხილულმა ტექსტებმა გვიჩვენეს. მაშ საიდან გაჩნდა?

დაუშვეთ, რომ თვით ქართულს ნიადაგზე იღმოცენდა: ენამ საჭიროდ დაინახა აზრის გასაინტენსივებლად უარყოფითი არ ნაწილაკის გამოყენება, ან შეიძლება იგი ანალოგით სხვა კონსტრუქციიდან გადმობარგდა! მაგრამ თუ ეს მოხდებოდა, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა მას ცოცხალ, ხალხურ ენაში, დიალექტებში, უნდა მისცემოდა დასაბამი, რადგანაც, როგორც ცნობილია, სალიტერატურო ენა გარკვეულ გრამატიკულს ჩარჩოებშია მომწყვდეული და ამდენად ცვალებადობისათვის ნაკლები შესაძლებლობის მქონეა, ხოლო ხალხური ენა, თავისუფალი გრამატიკული ართახებისაგან, ლალობს და ამიტომ არის, რომ მასში მრავალი ახალი მოვლენა საჭიროს. ისიც ცნობილია, რომ სალიტერატურო ენის ცხოველ წყაროს, სყრდენ ფუძეს, დიალექტი წარმოადგენს და რამდენადაც სამწერლობო ენა არ კონსერვატიულობს და მჭიდრო ურთიერთობას იჭერს დიალექტთან, იმდენად უკანასკნელის „კეთილშენაძენს“, ახლად აღმოცენებულ მოვლენას, მალე ამკიდრებს თავის სამეცნიეროში. ამ მხრით ქართული ენა, ცხადია, არაა მორიცებული და ჩვენი მწერალთა წყალობით საქმაო დიდი დოზა დიალექტურ თავისებურებათა აქვს შესრუტული. ასეთ შემთხვევაში გასაკვირი, რასაკვირველია, არ იქნებოდა, რომ უარყოფით ვინც არ უნდა იყოს... შესიტყვებას მალე ამოყყო თავი სალიტერატურო ენაში და ძველი, მისი წინამოადგილე, დადგებითი ფორმა შეესუსტებინა, თუ კი ეს უარყოფითი კონსტრუქცია დიალექტების შემონაქმედები, მათში აღმოცენებული არის.

### მართლა დიალექტების კუთვნილება?

ჩვენს განკარგულებაში მყოფი საქმიან დიდი მასალა (ადგილობრივ უშუალოდ ჩაწერილი) აღმოსავლურ-დასავლური დიალექტებისა საშუალებას გვაძლევს დავსკვნათ: 1. დიალექტები იშვიათად იყენებენ ამ შესიტყვებას; 2. ივი უმთავრესად გვხვდება ლექსებში: მას აქეთ დაწყევლილია, საცა უნდა იყვენ დვდელი (ქართლური); რაც უნდა მაგალითი თქვა, არავის მეეწონება (იქვე); საითაც რო გავიხდოთ, უველგან არის ჩვენი მტერი (იქვე); რა გინდა მძიმე აგად ვიყო, შენი ნახვა არ მინდოდა (შიგნიკახური). რომ ლექსთწყობას არ დავაბრალოთ ამათი დადებითი სახით წარმოდგენა, პროზასაც მივხედოთ: ის იცისო, რომ რაც უნდა თავმოჭრილი კაცი მიხვიდეო, მოუსვი... (მთიულური); რაც გინდა ბევრ მიხვიდეო, სუ თავებ დასჭრისო (იქვე); სადა გინდა საჭმეზე ნამყოფ გაიგებად კმლის ამაწევას, სხონაირად გაჯდებოდ (ჯეოსურ. მასალები, 158<sup>24</sup>)... და 3. ყველა მხოლოდ დადებითია. მაშიადმე, ჩვენს სალიტერატურო ენაში ხმარებული უარყოფითი ვინც არ უნდა იყოს და მისმაგვარი არ ყოფილა: 1. ქართველურ ენათა პრიმარი (პირვანდელი) მოვლენა და 2. არც ქართულს ნიადაგზე აღმოცენებული. პირველს დებულებას ვამყარებთ მეგრულ-ჭანურსა და ქართული (ძველი, საშუალი და ახალი) ენის ძეგლებზე: ხოლო მეორე, იმანენტურად რომ არ არის განვითარებული, დიალექტების მასალათა მიხედვით გახლავთ წარმოყენებული.

მაშ სად ვეძიოთ მისი დასაბამი?

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, უარყოფითი სახე ამ შესიტყვებისა უმოავ-  
რესად უურნალისტიყის ენაში გვევლინება, რომელიც სრულებით არა რა-  
ზლვეული რუსული ენის გავლენისაგან. შემთხვევითი მთარგმნელები გრძელებული  
დაცვასთან ერთად ნებით თუ უნებლიერ უცხო ენის კონსტრუქციასაც ამყნო-  
და ბენ ქართულს ენას, რის არაერთი და ორი მაგალითი გვცემათ თვალში ჩვენი  
ბენ ქართულს ენას, რის არაერთი და ორი მაგალითი გვცემათ თვალში ჩვენი

ჩვენი დასკვნა ასეთია:

1. „ვინც არ უნდა იყოს“ ასეთი უარყოფითი შესიტყვება ქართველურ  
ენათა პირვანდელი დამახასიათებელი არ არის;

2. იგი იმანენტურად არ განვითარებულა, მაშასადამე, სპეციფიკური მოვ-  
ლენა ქართულისა არ არის;

3. უცხო ენიდან — რუსულიდანაა — გადმორგული.

პარალელები:

რუსული:

Кто бы то ни был  
Что бы то ни было  
Где бы то ни было  
сколько бы то ни было

ქართული:

ვინც არ უნდა იყოს  
რაც არ უნდა იყოს  
სადაც „ „ „  
რამდენიც „ „ „

წმიდა ქართული:

ვინც უნდა იყოს  
რაც „ „ „  
სადაც „ „ „  
რამდენიც „ „ „  
და სხ.

პრაქტიკული დასკვნა:

ქართული ენის ბუნებრივი კონსტრუქცია თუ გვინდა დავიცვათ, ვიხმა-  
როთ მხოლოდ დადებითი სახით: ვინც უნდა იყოს, რაც უნდა იყოს და სხ.

შენიშვნა I. თვით რუსულის კი ბი თ ნი ბილ, გდ ბი თ ნი ი ბი და ი ბი და სხვაში ნაწილაკი ნი-ს ჩართვა მერმინდევლი მოვლენაა. იგი არა აქვთ გამოყე-  
ნებული სხვა ინდოებრობულ ქნებს. ა. პეტ्रოვსკით (Русский синтаксис, 23.  
339) „Отрицание забрело сюда, очевидно, из соседнего отрицательного  
предложения...“ საკითხის ისტორიულ განხილვას შეიძლებოდა სხვა ფაქტორიც  
დაქახელებინა.

შენიშვნა II. რუსულის მსგავსად ჩვენ შეუძლებლად არ მიგვაჩნია ქარ-  
თულშიაც ამ შესიტყვების უარყოფითი სახის აღმოცენება (რა თქმა უნდა ჭერ  
დიალექტში და შემდეგ დიალექტიდან სალიტერატურო ენაში მისი შეჭრა); ან  
ეგების ლიმონჩინებს რომელიმე ძეგლი, ან ცოცხალი დიალექტი, სადაც მას აღ-  
გილი კიდეც ჰქონდეს; მაგრამ თუნდაც რომ აღმოჩნდეს ასეთი დიალექტი, ჩვე-  
ნი დებულება რუსულის გავლენისათვის მაინც ძალაში დარჩება, რადგანაც  
უარყოფითი სახით ამ შესიტყვების ხშირი ხმარება რუსული გავლენის ქვეშ  
მყოფი პრესის ენაში მხოლოდ რუსულისკენ მიგვითოთებს; ამჟამად კი ჩვენ  
არ ვიცით არც ღიალექტი და არც ძველი ძეგლი, რომელმაც ეს მოსაზრება  
უარგვაყოფინოს.

შენიშვნა III. ეს წერილი დამუშავებულია ჯერ კიდევ 1920 წ. პოლუ-  
აკ. შანიძის წინადაღებით. შემდეგში იგი მასალებით შევავსეთ. დაზუტად უძვე-  
ველთვის ერთი მივიღეთ. აქ იბეჭდება შემოკლებით<sup>1</sup>. აღვილის მომურსებულები—  
სათვის არ ვასახელებ აგრეთვე იმ წყაროთა სათაურებს, რომელნიც აქ არიან  
გამოყენებული (მათ შესახებ ცნობები იხ. „წელიწდეული“, გვ. 92, ხოლო  
დიალექტებისათვის გვ. 96—98 შენიშვნებში. ხევსურული მასალები დაბეჭ-  
დილია იმავე „წელიწდეულში“, 119 გვერდიდან). დიდი ციფრი გვერდისა და  
ჰატარა სტრიქონის აღმნიშვნელია.

1. IV. 1924

ტფილისი

ლომინაძის (იზმაილოვის)

შესახევი № 4

---

1 წერილი არ დაბეჭდილა (ჩედ.).

### თ. შარაძემიძე

## სპანურ-ქართულ-ზანური შესატყვისობის ზოგიერთი საპირის

იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის ქართველური ენები ისტორიულ-შე-დარებითი მეთოდით ყველაზე უკეთ არის შესწავლილი. ძირითადი ბეგრათშე-სატყვისობანიც დადგენილია. მა მხრივ განსაკუთრებით კარგი მდგომარეობაა ქართულისა და ზანურის ურთიერთობის შესწავლის მხრივ. სვანურის ვითარება უფრო რთულია.

სვანური ენის შესწავლა ისტორიულ-შედარებითი მეთოდით შეტ სიძნელეებს ხვდება, ვიდრე ზანურისა და ქართულის ურთიერთობის გარკვევა. ეს სიძნელე პირველყოვლისა ვლინდება იმ შესატყვისობებში, რომელიც ქართველურ ენებს შორის არსებობს. ქართულისა და ზანურის შესატყვისობები ბევრად უფრო ნათელია, ვიდრე სვანურის. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ სვანურში შესატყვისობებს არა აქვთ ისეთი რეგულარური ხსნა-ათი, როგორც ეს ქართულ-ზანურს შორის დასტურდება. სანამ სპეციალურ საკითხთა განხილვაზე გადავიდოდეთ, ჯერ აღნიშვნოთ ის შესატყვისობაზე, რომლებიც დადგენილია ქართულ-ზანურ-სვანურს შორის. ვინაიდან ჩვენ სვანურის საკითხე გვაინტერესებს, ამიტომ მხოლოდ იმ შესატყვისობებზე შევჩერდებით, რომლებიც მნიშვნელოვანია ამ ენის თვალსაზრისით.

სვანური ენის ფონეტიკური შესატყვისობები სხვა ქართველურ ენებთან ძირითადად ნ. მარმა დაადგინა. შემდეგდროინდელმა სპეციალისტებმა (ვ. თოფურია, ა. შანიძე, გ. როგავა, არნ. ჩიქობავა) დააზუსტეს ეს შესატყვისობანი. გამდიდრეს ისინი ახალი ნიმუშებით და გარკვეული ინტერპრეტაცია მისცეს მათ. თავი რომ მოვუყაროთ ყველა იმ შესატყვისობას, რომელიც შენიშნულია სვანურისა და სხვა ქართველურ ენებს შორის, ასეთ სურათი მივიღებთ:

### 1. ქართ. ც: ზან. ჩ: სვ. შ

ქართ. კაცი

ქართ. კვარცხ(ლბერქი) (ა. შანიძე)  
მ-კვრცხლ (ა. ჩიქობავა)

მეგრ. კოჩი

მეგრ. კუჩხ-ი

სვან. ჭეჭ (ნ. მარი)

სვან. ჯოჭ (ნ. მარი)

ქართ. რეც-ვა

ქართ. ხუცესი

მეგრ. რჩ-აფა

მეგრ. უჩაში

სვან. ლი-რშ-ი (<რაშ> (ნ. მარი)

სვან. ხოშა (ნ. მარი)

ქართ. ცემ-ა

—

მეგრ. ჩამ-ა 'ჭმევა'

სვან. ლი-შმ-ე 'საკრავის დაკვრა' (ვ. თოფურია)

ქართ. აღმო-ცენ-ება  
 მეგრ. ჩან-აფა  
 სვან. ლი-შნ-ე ზილის მოსხა' შნ-შენ-ე (ვ. თოფურია)

ქართ. ვაც-ი  
 მეგრ. ოჩ-ი  
 სვან. ლ-ვაშ 'ჭიხვი' (მამალი) (ვ. თოფურია)<sup>1</sup>  
 ქართ. ცე-ცხ-ლი (<სე-ცხ-ლი), სი-ცხე, ცხ-ელი. ცხ-ობა...  
 მეგრ. და-ჩხ-ირი, სი-ნ-ჩხ-ე...  
 სვან. ლი-შხ-ი, შიხ (ვ. თოფურია)

2. ქართ. ც: ზან. ჩ: სვან. ჩ:

ქართ. ცხრა  
 ზან. ჩხორო  
 სვან. ჩხარა

3. ქართ. ძ. ზან. ჯ: სვან. ჟ:

ქართ. ძაღლი	ქართ. ძლ-ოლა
მეგრ. ჭოლორი	სვან. ლი-ჟოლ
სვან. ჟეღ	
ქართ. სი-ძ-ე	
მეგრ. სი-ნჯ-ა, ჭან. სი-ჯ-ა (ა. ჩიქობავა)	
სვან. ჩი-ჟ-ე	

ქართ. ძ-ინ  
 მეგრ. ო-ნჯ-უ-ა ჭ. ლუ-მჯ-უ//ლუ-მჯ-ი//ლი-მჯ-ი 'სალამო' (ა. ჩიქობავა)  
 სვან. უ-ჟ

4. ქართ. შ: ზან. შქ//სქ, სვან. სგ//შგ.

შქ//სქ

ქართ. ვაშლი	ქართ. შენი
მეგრ. უშქური (ჭან. ოშქური)	მეგრ. სქანი
სვან. ვისგვ (<ზსგვ)	სვან. ი-სგუ
ქართ. შუბლი	ქართ. შეიდი
მეგრ. —	მეგრ. შქვითი
სვან. სგობინ	სვან. ი-შგვიდ
ქართ. შუა	ქართ. შვილი
მეგრ. შქა	მეგრ. სქი- ჭან. <-სქირი
სვან. ი-სგა	სვან. სგედ

5. ქართ. ს: ზან. შ: სვან. ჟ:

ქართ. ასი	ქართ. ასე
მეგრ. ოში	მეგრ. აში//თ-აში
სვან. აშირ	სვან. აშ

<sup>1</sup> მოგვყავს ვ. თოფურიას წერილის მიხედვით: ქართველურ ენათა სიტყვაშარმოებიდან, III. უნავერსიტეტის შრომები, 1940, XV.

ქართ. სივება  
მეგრ. შინაფა  
სვან. ლი-შიე

ქართ. მისუამს  
მეგრ. მიშუმე  
სვან. მიშვა

ქართ. სვანი  
მეგრ. შონი  
სვან. მგ-შრან

ქართ. -ის (ნათესაობითი ბრუნვის)

ზან. -იშ

სვან. -იშ

იმავე რიგის არის

ქართ. ქვისლი  
ზან. —  
სვან. მე-ქვშ-ილ

6. ქართ. ძ: ზან. ჯ: სვან. ჯ:

ქართ. ძუ  
ზან. —  
სვან. ჭუა

ქართ. ძმა  
მეგრ. ჭიმა

სვან. ჭგმილ

ქართ. ძველი  
მეგრ. ჭვეში

სვან. ჭვინელ

ქართ. ძ-ძე//ს-ძე  
მეგრ. ბ-ჟა (<-ბ-ჟ-ალ),  
ზან. მ-ჯა//მ-ჟა  
სვან. ლ-ჭე

7. ქართ. გ: ზან. გ: სვან. გ:

ქართ. იგი  
ზან. —  
სვან. ეჯა

ქართ. რგვა

ქართ. გმობა, გბოლვა  
მეგრ. გიბუა  
სვან. ლი-ჭბ

ქართ. ჰგავს

ქართ. გველი  
მეგრ. გვერი  
სვან. ვიჯ

ქართ. ქსოვა  
(<\*გვსოვა)  
მეგრ. —  
სვან. ლი-ჭიშ

მეგრ. რგუაფა  
სვან. ლი-ლჭენი

მეგრ. გუ...  
სვან. ხაჭეშ (ლი-ჭონე)

ქართ. გ- (II ობიექტური პირის ნიშანი)

ზან. გ-

სვან. გ-

შესაძლებელია ამ რიგისა იყოს ლი-ბგრჩე „ამოთხრა“, თუ ის მომდინარეობს სიტყვისაგან ბერგ „თოხი“ შდრ. ჭან. ბერგი//ბერგი. მაშ, ლი-ბგრ-გე→ლიბგრჩე (თოხნა→თხრა).

ამავე კონტექსტში ყურადღებას იქცევს სვანური სიტყვა ყ უ რ მ შ ნ გ, რაც ყრუს ალნიშნავს. ვფიქრობთ, ეს სიტყვა იშლება ყ უ რ- მ ა ნ გ. პირველი წევრია ყურ. ალსანიშნავია, რომ ყურის ალსანიშნავად ამჟამად სვანურში, სრულიად სხვა სიტყვა (შ დ ი მ), რომელიც არ შეესატყვისება ქართულ-ზანურს. როგორც ჩანს, დასახელებულ კომპოზიტს შემოუნახავს უძველესი ქართველური ფუ-

ძე<sup>2</sup>. რაც შეეხება მან ჭ-ს, ვფიქრობთ, რომ ის მან კ-ისგან მომდინარეობს, მაგ/ ყურ-მ-შ-ნ ჭ-ყურ მან კიანი. ოღონდ დაბრკოლებას ის ქმნის, ეროვნული ჭ-უნდა მოეცა და არა ჭ.



8. ქართ. ჭ: ზან. ჭ: სვან. ჭ:

ქართ. კაცი მეგრ. კოჩი	ქართ. მ-კუირცხ-ლ მეგრ. კუჩხ-ი	ქართ. კედ-ელი მეგრ. კიდა, ჭან. ჭან-კოდა
სვან. ჭაშ სვან. ჭიშხ	სვან. ჭიშხ	სვან. ჭვად (← *ჭოდ)

9. ქართ. ჭ: ზან. : სვან. ჩ:

ქართ. ჭვი ზან.	ქართ. ჭმა (← ქამ-ენ-ა) ზან.
სვან. ჩუ	სვან. ჩვემინ (← ჩომ-ინ)

10. ქართ. ჰ: ზან. ჰ: სვან. ჩ:

ქართ. ზლუა მეგრ. ზლვა სვან. ძულვა
---

11. ქართ. ს: ზან. ს: სვან. ც:

ქართ. მ-სხ-ალი მეგრ. სხული, ჭან. მ-ცხ-ული სვან. ი-ცხ
--

ბოლოს მოყვანილი სამი შემთხვევა ქართ. გ: ზან. გ: სვან ჭ, ქართ. კ: ზან. კ: სვან. ჭ, ქართ. ჭ: ზან. : სვან. ჩ (აგრეთვე ქართ. ჰ. ზან. ჰ: სვან. ძ, ქართ. ს: ზან. ს: სვან. ც) ჩვეულებრივ შესატყვისობებში არ შეაქვთ. მართლაც, ანალოგიური პროცესები სხვა ქართველურ ენებშიაც დასტურდება. მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, სხვა ქართველურ ენებთან სვანურის მიმართების გათვალისწინებისათვის აუცილებელია ამ მაგალითების გათვალისწინებაც. ქართულ-ზანურთან შედარებით ეს პროცესი სვანურში ბევრად უფრო ფართო გავრცელებისაა და უფრო ძველიც ჩანს. იგი თავს იჩენს ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვებში (მაგ. ნაცვალსახ. ე ჭ ა) და თვით აფიქსებშიც კი, მაშინ როდესაც აფიქსები მეტწილად ქართველურ ენებში იგივეობრივია (შრლ. II ობიექტური პირის ნიშანი ქართ. გ: სვან. ჭ). თუ ავიღებთ სიტყვებს ქართ. კაცი: ზან. კოჩი: სვან. ჭაშ ან ქართ. კუჩხც: ზან. კუჩხი: სვან. ჭიშხ, აქ თანხმოვნებში ორ-ორი შესატყვისობა გვაქვს: ქართ. ც: ზან. ჩ: სვან. ჟ და ქართ. ჭ: ზან. ჭ: სვან. ჭ. გავრცელების მიხედვით, მეორე რიგის შემთხვევები არანაკლებ ხშირია, ვიდრე პირველი რიგისა. ამასთან უკანასკნელები არ წარმოადგენს კომბინაციურ ბგერათცვლილებათა შედეგს. ისინი ყველა პოზიცია

<sup>2</sup> ყურ ფუძე უნდა გვექნდეს აგრეთვე მეორე ნაწარმოებ სიტყვაში: ყ ვ ი რ-ჟ=ე ლ ა-ე. ამ ჩამებ თვისტების მქონებლობას იღნიშნავს (მაგ. გვან ვ ჟ=ტ ი რ ი ა). ყ ვ ი რ < ყ უ რ (?). აქ ეს ფუძე თვალს იღნიშნავს და არა ყურს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ზმაში ყურება, „ყ უ რ“ თვალის მოქმედებაზე მიუთოთებს და არა ყურისაზე, მაშინ იქნებ ასეთი სემატიკური გადასვლა უცნაურად არ მოგვეჩენოს.



აში დასტურდებიან სიტყვის ბოლოსაც (ვიჯ), თავშიაც, შუაშიაც, სხვაფენტერული ხმოვნისა და თანხმოვნის წინ (მაგ., II ობიექტური პირის ნიშანი ჭ). გვიპლიორისკა

12. ქართ. ა. მეგრ. ო. სვან. ა:

ქართ. ცხრა	ქართ. დათვი
მეგრ. ჩხორო	ზან. თუ-ნთ-ი
სვან. ჩხარა	სვან. ღმშდვ
ქართ. ასი	ქართ. კაცი
მეგრ. ოში	მეგრ. კოჩი
სვან. აშირ	სვან. ჭიშ

13. ქართ. უ: ზან. უ: სვან. ო:

ქართ. ხუცესი
მეგრ. უჩაში
სვან. ხოშა

14. ქართ. ო: ზან. ო. სვ. შდ.

ქართ. თავი	ქართ. თხილი	ქართ. დათვი
ზან. თუგი	მეგრ. თხირი	მეგრ. თუნთი
სვან. შდუგვ	სვან. შდინ	სვან. ღმშდვ
ქართ. *თუ	ქართ. ოთი	ქართ. ხუთი
ზან. თი ’თავი’	მეგრ. ვითი	მეგრ. ხუთი
სვან. შდა „თავთავი“	სუათ. ეჟშდეაშდ	სვან. ვრხვიშდ
ქართ. თიბეგ	ქართ. თოცს	ქართ. ოთხი
მეგრ. თიფუა	მეგრ. თუნს,	მეგრ.
სვან. ლიშდგბ	სვან. შდუვე	სვან. ვრმშხვ <ვრმშხვ (→ ვრმშდხვ)

ქართ. თთუე<\* დუთე  
მეგრ. თუთა<\* დუთა  
სვან. დოშდულ

15. ქართ. ს: ზან. შ: სვან. ჭ:

ქართ. სული
ზან. შური
სვან. ჭუნ (ნ. მარი)

16. ქართ. ც: ზან. ჩ: სვან. ქ:

ქართ. ცოუნება	ქართ. ცრემლი
ზან. ჩილათა	ზან. ჩილამური
სვან. ლი-ქვდენი	სვან. ქიმრ

17. ქართ. ნ: ზან. : სვან. ლ:

ქართ.	ქართ. ნე-(პრეფიქსი)	ქართ. ნა (პრეფიქსი)
მეგრ. ენა		
სვან. ალა	სვან. ლე-	სვან. ლა-

ქართ. ნ (მესამე პირის ნიშანი)  
 მეგრ.  
 სვან. ლ

ქართ. ნი-(პრეფიქსი)  
 მეგრ.  
 სვან. ლ-

გარდა ზემოხსენებულისა გ. როგორც რამდენიმე სხვა შესატყვისობასაც  
 გამოყოფს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელები ერთეულ მაგალი-  
 თებს ემყარებიან. ასეთია:

18. ქართ. ჩ: ზან. ჩქ: სვან. ჟგ.

ქართ. ჩემი  
 ზან. ჩქიმი  
 სვან. მიშგვი

19. ქართ. ჭ: ზან. ძ: სვან. ძ.

ქართ. ჭავარი  
 ზან. ძაგვარი  
 სვან. ძაგვ

20. ქართ. ჭ: ზან. ძგ: სვან. სგ.

ქართ. მარჭვენა  
 ზან. მარძგვანი  
 სვან. ლერსგვენ

21. ქართ. ჭ: ზან. ჭჭ: სვან. ჟკ.

ქართ. მ-ჭედელი  
 ზან. ჭკადუ  
 სვან. მგშკაჭ<sup>3</sup>

იმავე რიგისაა: ქართ. ჭიანჭველა

ზან. ჭკიჭიტია  
 სვან. მგრჭკ

22. ქართ. წ: ზან. ჭყ: სვან. ჟყ:

ქართ. მ-წყ-ერი  
 ზან. ჭყ-ორი  
 სვან. შყ-აუკ<sup>4</sup>  
 დასახელებულებს შეიძლება კიდევ დავუმატოთ რამდენიმე შემთხვევა:

23. ქართ. წყ: ზან. წყ/წქ: სვან. სყ

ქართ. მა-რ-წყ-ვ-ი	ქართ. რ-წყ-ილ-ი	ქართ. მო-წყ-ობ-ა //და-წყ-ობ-ა
-------------------	-----------------	----------------------------------

<sup>3</sup> გ. როგორაც ა. ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები: იბერ-კავკ. ენათმეცნ., 1953, ტ. IV, გვ. 47.

<sup>4</sup> ეს თრი შემთხვევა გ. როგორას ცალკე შესატყვისობის ფორმულით წარმოდგენილი არა აქვს, დასახ. შრ., გვ. 47.

ზან.

ზან. წყ-ირი

სვან. ბა-სყ

სვან. ჰგ-სყ

ზან.

სვან. ლი-სყ-ენ-ე  
(ადსყე-გაკეთა)

ქართ. წინდი

ზან. მა-რ-წქინდ-ი

სვან. მგსკად

24. ქართ. ჭ: ზან. ჭკ: სვან. ჭკ:

ქართ. ჭარ/ჭერ

მეგრ. ჭკირ

სვან. ლი-ჭკვრ-ე (ფუძეა: ჭკორ)

25. ქართ. ყ: ზან. სვან. ლ.

ქართ. ყვ-ავი

მეგრ. ყვ-არ-ია//ზან. ყვა-ოვი

სვან. ღვ-შმ-ალ

ქართ. ყვ-ავ-ილი

მეგრ.

სვან. მუ-ღვ-შხ

ქართ. მა-ყვ-ალ-ი

ზან.

სვან. ვილვ

26. ქართ. ძ: ზან. სვან. ჸ:

ქართ. ყურძენი

მეგრ. ყურძენი//ჭან. ყურძენი

სვან. ყუნზელ

ქართ. ნა-ძვ-ი

ზან.

სვან. ნე-ზ-რა (სოჭი)

სვანურ-ზანურ-ქართული შესატყვისობები რომ სქემის სახით წარმოვადგინოთ, ასეთ სურათს მივიღებთ:

1. ქართ. ც: ზან. ჩ: სვან. უ	14. ქართ. კ: ზან. კ: სვან. ჭ
2. " ძ: " გ: " ე: " ს	15. " ჭ: " გ: " ს
3. " შ: " შე/სე " სგ//შგ	16. " გ: " გ: " ს
	შე/სე
4. " ს: " შ: " უ	17. " ნ: " ნ: " ლ
5. " ძ: " გ: " ე: " ს	18. " ჩ: " ჩე " შგ
6. " ც: " ჩ: " ჩ: " ჩ	19. " გ: " ძ: " ძ
7. " თ: " თ: " უდ	20. " გ: " ძგ: " სგ
8. " ს: " შ: " ქ	21. " ტ: " ტკ: " შკ
9. " ც: " ჩ: " ქ: " ქ	22. " წ: " წყ: " შყ
10. " ა: " ო: " ა	23. " წყ: " — " სყ
11. " უ: " უ: " ო	24. " ტ: " ტპ: " პპ
12. " ზ: " ზ: " ძ	25. " ყ: " — " ღ
13. " ს: " ს: " ც	26. " ძ: " — " ზ

ზემომოყვანილი შესატყვისობანი ზოგიერთ განმარტებას საჭიროებენ: სვანურ-ქართულ-ზანურ შესატყვისობებში ჩვეულებრივ არ შეაქვთ გ:გ:გ; ჭ:ჭ:ჭ, ჭ:ჭ:ჩ (აგრეთვე ზ:ზ:ძ, ს:ს:ც). ვფიქრობთ, ეს არ არის გამართლებული. დასახელებულ შესატყვისობათა ნიმუშები არანაკლებ ხშირია (და ზოგჯერ უფრო ხშირიც), ვიდრე აშკარა შესატყვისობად ცნობილი ზოგი სხვა შემთხვევა.



ამასთან ისინი გვხვდება აშეარად ძირითადი ფონდის სიტყვებში და თვით აფიქსებშიც კი (ჯ მეორე ობიექტური პირისა). სხვა ძველისძველ შესატყვისობაა: ც-ჩ-შ და კ-ჩ-ჩ. ასევე სიტყვებში ქართ. \*კუა/ირცხ — ზან. კუჩხი — სვან. ჭიშ, საღაც თორი შესატყვისობაა: ც-ჩ-შ და კ-ჩ-ჩ. ასევე სიტყვებში ქართ. \*კუა/ირცხ — ზან. კუჩხი — სვან. ჭიშ.

აღსანიშნავია ისიც, რომ დასახელებული შესატყვისობები არ ტოვებენ შთაბეჭდილებას, თოთქოს ისინი კომბინაციური ხასიათის ბგერათცვლილების შედეგს წარმოადგენდნენ. ისინი გვხვდება ყველა პოზიციაში: სიტყვის ბოლოსაც (ვიჯ), თავშიაც, შუაშიაც, სხვადასხვა ხმოვნისა და თანხმოვნის წინ (ჯ მეორე ობიექტური პირისა).

ქართულ ნ-ს რომ სვანურში ლ შეესატყვისება რიგ აფიქსებში, ეს ფაქტი კარგად არის შესწავლილი, ლ-ნ-საგან მიღებულია ითვლებან, მაგრამ შესატყვისობებში, ჩვეულებრივ, არც ამას ისხსნიებენ, რატომ გაურკვეველია.

ხმოვანთა შესატყვისობიდან ქართ. ა: ზან. ო: სვან. ა. ჩვენ რამდენიმე უეჭველი ნიმუში მოვიყვანეთ, მაგრამ ამათ გვერდით დასტურდება შემთხვევები, როდესაც გვაქვს: ქართ. ა: ზან. ო: სვან. ე. მაგალითად, ქართ. ძაღლი: ზან. ჭოლორი: სვან. უღ, ქართ. სამი: ზან. სუმი (<სომი>): სვან. სენი. ასეთი შემთხვევების საფუძველზე ნ. მარმა შექმნა შესატყვისობის ფორმულა: ქართ. ა: ზან. ო: სვან. ე. ეს შესატყვისობა სპეციალურ ლიტერატურაში მიღებული იყო. გ. როგავა სპეციალურ მოხსენებაში შეეცადა სვანური ე ზანური თ-ს გვერანაცვლად მიეღო: თ-თ-ვე-ვე-ვე<sup>6</sup>.

ჩვენი აზრით, დასახელებულ მაგალითებში ე არ შეიძლება მივიჩნიოთ ქართ. ა-სა და ზან. ო-ს შესატყვისად, აქ იგვე ა გვაქვს, რაც ჩხარა-ში და სხვა მაგალითებში, ოლონდ იგი უმღაუტის წყალობით სახეცვლილია და ე-დ ქცეული. როგორც ცნობილია, უმღაუტი ხმოვანთა ნაწილობრივ ასიმილაციას წარმოადგენს, მომღვვნო ი, ე, რომღებიც ვიწრო ხმოვნებია, იწვევს წინამავალი ი, ო, უ-ს დავიწროვებას და გაპალატებას<sup>7</sup>. შენიშვნულია, რომ ა შესაძლებელია კიდევ უფრო დავიწროვდეს და ე-დ ქცეუს. ამ გზით არის მიღებული ლაშქურში ე, რომელიც სხვა დიალექტების პ-ს შეესატყვისება (ლაშხურს ამჟამად უმღაუტი აღარ აქვს), პროცესი ა-პ-ე ცოცხალი სახით დასტურდება სვანური ენის ბალსკვემოურ კილოში. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ცხუმარული, სადაც სხვადასხვა თაობის მეტყველებაში ერთმანეთის გვერდით გვაქვს პ და ე. სწორედ ასეთ პროცესს ვვარაუდობთ სიტყვებში: უ ე ღ და ს ე მ ი<sup>8</sup>. ორივე შემთხვევაში ფუძეში ამოსავალია ა, რომელიც სახელობითი ბრუნვის ნიშნის გაულენით ჯერ გაუმღაუტდა, შემდევ კი კი-

5 ვ. თოფურია, ნ და ს ფენებისათვის ქართველურ ენებში. საქ. სსრ მეცნ. აკად. მთამბე, 1941, ტ. II, № 1-2; ა. ჩიქობავა, სახელის ფუძის უდევესი აგებულება ქართველურ ენებში. 1942, მისივე ქართველი კართველების იურიდიული კავშირის შემთხვევაში ერთმანეთის გვერდით გვაქვს პ და ე. სწორედ ასეთ პროცესს ვვარაუდობთ სიტყვებში: უ ე ღ და ს ე მ ი<sup>8</sup>. ორივე შემთხვევაში ფუძეში ამოსავალია ა, რომელიც სახელობითი ბრუნვის ნიშნის გაულენით ჯერ გაუმღაუტდა, შემდევ კი კი-

6 გ. როგავა, ხმოვანთა შესატყვისობის ისტორიისათვის ქართველურ ენებში. ენის ინსტიტუტის II სამეცნიერო სესიის თემაზები, 1945, 28. XI.

7 ა. ზანი ძ ე, უმღაუტი სვანურში. არილი, 1925.

8 ამ საკითხის შესახებ უფრო დაწვრილებით მსჯელობა გვქონდა მოხსენებაში: „ორფურიანობის ერთი ტიპისათვის სვანურში“, რომელიც მოხსენდა ენის ინსტიტუტის სამეცნიერო სხდომას.

დევ უფრო დავიწროვდა და ე-დ იქცა. რომ ეს ვარაუდი უსაფუძვლო არაა, ეს იქადანაც ჩანს, რომ იმავე სახელებს მიცემით ბრუნვაში, სადაც მაუმღა-  
უტებელი ხმოვანი არასოდეს არ ყოფილა, აღუდგებათ ა. შდრ. სახელმწიფო  
ბითში: უელ, სემი, მაგრამ მიცემითში — უაღვ, სამ.

ა-ს ე-დ კცევის პროცესი სვანურში, რა თქმა უნდა, მხოლოდ ამ ორ  
სახელს არ შეგებია. არსებობს საკმაოდ დიდი ჯგუფი სახელებისა, რომელ-  
თაც ახასიათებს სახელობითის ფუძეში ე ხმოვანი, მიცემითისაში კი — ა. აქ  
გვხვდება, როგორც სხვა ქართველურ ენებთან შესატყვისი, ისე არა შესატყ-  
ვისი ფუძეები. ყველა შემთხვევაში (გარდა მცირეოდენი გამონაკლისისა, სა-  
დაც ა-ე ანალოგის გზით ჩანს მიღებული) ამოსავალია ა (თუმცა ის მიცე-  
მითის ფუძეში გვხვდება), ხოლო მეორეულია ე (მიუხედავად იმისა, რომ იგი  
სახელობითის ფუძეს აქვს).

ბ-ს ე-დ დავიწროება არც მხოლოდ სახელებით ამოიწურება. იგი თავს  
იჩენს სვანური ენის მთელს სისტემაში. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ  
მხრივ ზმნები, რომლებშიაც ავრეთვე სისტემატურად გვხვდება ა/შ-სა და ე-ს  
მონაცემება სხვადასხვა ფორმის წარმოებაში, ასეთ შემთხვევათა უმრავლე-  
სობაშიაც ირკვევა, რომ ე-ს — ა. მაშ წარმოშობით ყველგან წმიდა ფონეტი-  
კურ პროცესთან გვაქვს საქმე და მხოლოდ შემდეგ, სათანადო ფორმანტთა  
მოკვეცის შედეგად, დაკისრებია აღნიშნულ მონაცემებას სხვადასხვაგვარი  
მორფოლოგიური ფუნქცია (მაგალითად, სახელებთან ბრუნვათა ფუძეების (და  
ზოგჯერ თვით ბრუნვების) გარჩევა, ზმნებთან დროთა განსხვავება და ა. შ.).

ამგვარად, შესატყვისობა ქართ. ა: ზან. მ: სვან. ე არ დასტურდება, გვაქვს  
ქართ. ა: ზან. მ: სვან. ა.

ასეთია დღემდის ასე თუ ისე დადგენილი შესატყვისობანი სვანურისა და-  
ნარჩენ ქართველურ ენებთან. მაგრამ ამ შესატყვისობათა დადგენა სრულია-  
დაც არ არის საკმარისი ისტორიულ-შედარებითი კვლევის ფართოდ და ნა-  
ყოფიერად გაშლისათვის. ქართველური ენები საერთო მასალის დიფერენ-  
ციაციის შედეგად არიან წარმოშობილი, სწორედ ამაზე მიუთითებს მათ შო-  
რის არსებული შესატყვისობანი. საერთო წარმოშობის სიტყვები, აფიქსები  
თითოეულ ქართველურ ენაში სხვადასხვა მიმართულებით, სხვადასხვა შინა-  
განი კანონების მოქმედების შედეგად შეიცვალნენ. ფონეტიკური შესატყვი-  
სობანი ცალკეულ ბევრათა შორის არსებულ მიმართებებს გვიჩნებენ, ფონე-  
ტიკური კანონები კი, რომელთა მოქმედების შედეგს ისინი წარმოადგენენ,  
ჩვეულებრივ, უფრო ფართოა, ისინი ბევრათა გარკვეულ ჯგუფებს მოიცავენ.  
ამგვარად, იმის საკითხი, რა ზოგადი კანონშომიერებების გამოვლენას წარ-  
მოადგენს მონათესავე ენებს შორის არსებული რეგულარული შესატყვისობა-  
ნი? ზანურისა და ქართულის მიმართ არნ. ჩიქობავამ მიიჩნია, რომ ამ ენათა  
შორის დადასტურებული ძირითადი შესატყვისობები შედეგია ერთი ზოგადი  
პროცესისა, არტიკულაციის უკან გადაწევისა, რომელიც ზანურში განხორ-  
ციელებულა. ამ კანონშომიერებების გამოვლენაა, არა მხოლოდ ენაკბილისმიერ  
და ენანურისმიერ თანხმოვანთა შესატყვისობა (ქართ. ს: ზან. შ, ქართ. ზ: ზან.

9 თავის წერილში „ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის  
ძირითადი საკითხები“ (იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. IV, 1953) გ. როგავა და-  
საშეგად მიიჩნევს, რომ სემი-ში ე-ა, მაგრამ უელ-ში ე-ს მაინც თ-საგან წარმოშობილად  
თვლის.

ჭ, ქართ. ჭ: ზან. ჭ, ქართ. ჭ: ზან. ჭ, ქართ. ც: ზან. ჩ), არამედ აგრძელებული შესახული წარმოშობის მიერთა განვითარება ენანუნისმიერ თანხმოვანთა შემდეგ ქართული შესახული ზან. ჟე//სქ, ქართ. ჭ: ზან. ჭ, ქართ. ჭ: ზან. ჭ, ქართ. ჩ: ზან. ჩში შემოტკიცებული ნებში: ქართ. ა: ზან. ო.

სვანურის მიმართაც იდგა საკითხი სხვა ქართველურ ენებთან მისი მიმართების ახსნისა. მსჯელობის საგანს წარმოადგენდა ის შემთხვევები, როდესაც ქართულ-ზანურში იფრიყატები გვაქვს, სვანურში კი — სპირანტი (ქართ. ც: ზან. ჩ: სვან. ჟ, ქართ. ძ: ზან. ჭ, სვან. ჟ). ნ. მარი ვარაუდობდა, რომ ასეთ შემთხვევაში პირვანდელი ვითარება დაუცავს სვანურს, ე. ი. ამოსავალია სპირანტები ჟ, ჟ, უ, რომელთა აფრიყატიზაციის გზითაც მიღებულია ქართული ც, ძ და ზანური ჩ, გ<sup>10</sup>. უფრო მოგვიანებით გ. როგავამ აჩვენა, რომ შებრუნებულ პროცესიაც უნდა ჰქონდა ადგილი, ე. ი. არა მხოლოდ აფრიყატიზაციას, არამედ დეზაფრიკატიზაციას, რომელიც სვანურში განხორციელებულა, ამასთანავე სვანურისათვის ამოსავალი იყო ზანურის ვითარება ჟ—ჩ, ჟ—გ<sup>11</sup>.

ამ საკითხის ისტორია თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ შესატყვისობათა დაღვენა ბევრად უფრო ადგილია, ვიდრე იმის გარკვევა, თუ რა გზით მივიღეთ ისინი. ეს გასაგებიცაა, შესატყვისობათა გამოვლენა, რაოდენ დაჩრდილულიც არ უნდა იყვნენ ისინი ვეიანდელი ცვლილებებით, მაინც ფაქტის დაღვენას წარმოადგენს მხოლოდ, მათი გამომწვევი პროცესის გარკვევა კი ამ ფაქტის (უფრო ხშირად, არამდენიმე, პირველი შეხედვით სხვადასხვაგვარი ფაქტის) ახსნას, მათი საფუძვლის დაძებნას ვარაუდობს.

შესატყვისობათა ახსნას განსაკუთრებული მნიშვნელობა იმიტომაც ენიჭება, რომ იგი შესაძლებლობას გვაძლევს უფრო ღრმად შევიჭრათ მონათესავე ენათა ისტორიაში და დავადგინოთ მათში წარმოდგენილი საერთო წარმოშობის ფაქტთა შეფარდებითი ქრონოლოგია. რაკი სვან. ჟ—ჩ ეს იმას ნიშნავს, რომ სვანური სიტყვები, რომელგანაც ჟ შესატყვისება ზანურის ჩ-ს (მავ. სვან. ჭეშ: ზან. კოჩი), უფრო გვიანდელი ფორმით არიან ჩვენამდე მოღწეული, ვიდრე ზანურის სათანადო სიტყვები. მეორე მხრივ, როდესაც საქმე ეხება ზანურსა და ქართულს. რაკი არტიკულაციის გადაწევა ზანურში მომხდარა, ეს იმას მოასწავებს, რომ უფრო ძველი ვითარება ქართულში გვექნება და-იული.

მონათესავე ენათა შესატყვისობების ამგვარად ახსნას მივყავართ კიდევ უფრო ზოგადი საკითხის გარკვევისაკენ. იგი გვაძლევს შესაძლებლობას ზოგად ხაზებში მაინც გავარკვიოთ, როგორ მიმდინარეობდა მონათესავე ენათა დიფერენციაციის პროცესი, როგორია ისტორიული მიმართება ამ ენებს შორის. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ ქართული, ზანური და სვანური ერთბაშად არ გამოყოფიან ერთმანეთს. ჯერ ორი დამოუკიდებელი ერთეული წარმოიშვა. ერთი მათგანია ქართული, რომელსაც მნიშვნელოვანი გარდატეხა ფონეტიკური თვალსაზრისით არ განუცდია, არსებითი გარდატეხა მოხდა მეორე ერთეულში თანხმოვანთა გადაწევის სახით. ეს

<sup>10</sup> Н. Я. Марр, Тубал-кайинский вклад в сванском, ИАН, 1912, № 1092.

<sup>11</sup> გ. როგავა, მმოვანთა შესატყვისობის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, ენის ცნსტიტუტის II სამეცნიერო სესიის თემისები, 1945. უფრო ადრე იმავე ვეტორს ეს მოსაზრება გამოიტმული ჰქონია 1924 წ. ენის ინსტიტუტის კავკასიურ ენათა განყოფილების სხდომაზე წაკითხულ მოხსენებაში „ადილეური ფენა სვანურში“. რომელიც არ გამოქვეყნებულა.

ის ერთეულია, რომლის დიფერენციაციითაც ორი ენა მივიღეთ: ზანური და სვანური. ამასთან ზანურში თანმიმდევრულად განხორციელდა თანხმოვანთა გადაწევის პროცესი, სხვა არსებითი ცვლილებები ფონეტიკური ხასიათისა მას გადაწევის პროცესი, სხვანურის წარმოშობას კი სათავე მისცა ახალმა გარდატეხამზაპლიოზეკა დეზაფრიკატიზაციის პროცესმა (გ. როგოვა, არნ. ჩიქობავა).

ეს პროცესი პირველყოვლისა და უფრო თანმიმდევრულად შიშინა აფრიკურებს შეეხო (ჩ→შ, ჭ→ჟ), ე. ი. იმ ბერებს, რომლებიც ქართულის სისინა აფრიკატების შესატყვისებს წარმოადგენენ და რომლებიც დღემდის უცვლელად შემოუწახავს ზანურს.

საყურადღებოა, რომ სვან. შ. და უ-ს შესატყვისი გარდა ქართ. ც: ზან. ჩ და ქართ. ძ: ზან. ჯ-სი შესაძლებელია იყოს აგრეთვე: ქართ. ჩ: ზან. ჩე (შდრ. ზან. შე), ქართ. ჭ: ზან. ჭე (შდრ. სვან. შე). ამ უკანასკნელ მაგალითებში უურადღებას ისიც იპყრობს, რომ სვანურისათვის ამოსავალი მაინც ზანური ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ აფრიკატი ქართულ-ზანურში ერთი და იგივეა. ამაზე მიუთითებს აფრიკატის შემდეგ განვითარებული უკანასკნისმიერი, რომელიც ქართულს არა აქვს, ზანურსა და სვანურში კი დასტურდება.

როგორც ჩანს, დეზაფრიკატიზაციის პროცესი სვანურში სისინა აფრიკატებთანაც ყოფილა გავრცელებული. ამაზე მიუთითებს შესატყვისობა: ქართ. ჯ: ზან. ძე: სვან. სგ და ქართ. წყ: ზან. წყ/წქ: სვან. სყ. თუ მეორე მაგალითში ძნელია გარკვევა, რა არის სვანურისათვის ამოსავალი ქართული თუ ზანური, პირველში აშკარაა, რომ სვანური ისევ ზანურს ეკედლება.

სვანურ ენაში დეზაფრიკატიზაციის პროცესი თანმიმდევრულად გატარებული არ არის. როგორც შემთხვევაში სვანური პირდაპირ იმეორებს ზანურის შესატყვისობას ქართულთან. ეს ხდება იმავე შიშინა აფრიკატებთან, რომლებიც სხვა შემთხვევებში სპირანტების სახით არიან წარმოადგენილი. ასეთია: ქართ. ძ: ზან. ჯ: სვან. გ, ქართ. ც: ზან. ჩ: სვან. ჩ, ქართ. ჭ: ზან. ძ: სვან. ძ, ქართ. ჭ: ზან. ჭე: სვან. ჭე. ზანურის ვითარებას იმეორებს სვანური ზოგ სხვა შემთხვევაშიც. მხედველობაში გვაქვს ქართ. ს: ზან. შ: სვან. შ, ქართ. შ: ზან. შე//სქ: სვან. შგ//სგ(?).

დასახელებულ შესატყვისობებს თეორიულად ორგვარი ახსნა შეიძლება ჰქონდეს:

1) მეგრულ-სვანურის საერთო ვითარება იმ ეპოქის გადმონაშთია, როდესაც ეს ორი ენა გერ კიდევ არ იყო ერთმანეთისაგან გამოყოფილი და არსებობდა მხოლოდ ორი ქართველური ენა: ერთი ის, რომლის ვაგრძელებასაც თანამედროვე ქართული წარმოადგენს, ხოლო მეორე ის, რომლის დაფრიკატიაციაც შემდეგში ზანური და სვანური მოვცა.

2) შესაძლებელია მეგრულთან იგივეობრივ ბერებითა შემცველი სიტყვები და აფიქსები სვანურს მეგრულისგან ჰქონდეს შეთვისებული გვიან შერევის შედეგად (მეგრული ფენა სვანურში).

ჩვეულებრივ იქ. სადაც სვანურის შესატყვისობა ქართულთან ზანურს ემთხვევა, მეორე შემთხვევას ვარაუდობენ. ე. ი. ასეთი მასალა ზანურიდან ნასესხებად მიაჩინიათ. ვფიქრობთ, ეს ყოველთვის ასე არაა, თუმცა ხშირად ძნელია სხვადასხვა ისტორიული ეპოქის შემთხვევათა გამიჯვნა ერთმანეთისაგან.

ზანურთან საერთო, ე. ი. გაუდიფერეცირებული მასალა (და არა ზანურიდან გვიან ნასესხები) უნდა გვქონდეს მაგალითში მეგრ. ოში: სვან. აშირ. ამაზე მიუთითებს ხმოვანთა შესატყვისობა ძირებში (მეგრ. ო: სვან. ა), აგრე-



თვე ის, რომ სვანურში ძირს დეტერმინანტი სუფიქსი ერთვის, შეგროვები

ერთვის და მის უსუფიქსისა.

იმავე რიგისა ჩანს ქართ. ძველი: მეგრ. კვეში: სვან. ჯვინებულების უსუფიქსის მიუხედავად ძირთა დამთხვევისა, ფუძეები სხვადასხვაგვარად არიან აგებული ამ ენებში.

საერთო წარმოშობის მასალად მიგვაჩნია აგრეთვე: ზან. ჩხორო: სვან. ჩხარა, ზან. უშქ-ური: სვან. უსგ-ვ (აქაც ფუძეები სხვადასხვაგვარადაა გაფორმებული), მეგრ. სქანი: სვან. ი-სგუ.

უფრო რთულია ვითარება მეგრ. კიმა—ჭომ-ალ: სვან. კგმ-ილ (ქმა) შექმნებაში. აქ სუფიქსებში განსხვავება იმდენად უმნიშვნელოა, რომ იგი არ გამორიცხავს სესხების შესაძლებლობას<sup>12</sup>.

კიდევ უფრო ძნელი გადასაწყვეტია ნათესაობითი ბრუნვის სუფიქსის საყითხი. ეს სუფიქსი იშ/ეშ დაბოლოების სახით არის წარმოდგენილი მევრულშიაც და სვანურშიაც. არაფერი მიუთითებს იმაზე, საერთო წარმოშობისაა ეს დაბოლოება მეგრულ-სვანურში, თუ იგი სვანურს შეთვისებული აქვს მეგრულისაგან. ჩვეულებრივ, ნათესაობითის ნიშანი ნასესხებად ითვლება სვანურში, მაგრამ, ვთენ არც ის არის გამორიცხული რომ იქ დიფერენციალის გარეშე დარჩენილ მასალასთან გვქონდეს საქმე. ამ ორგვარი წარმოშობის ფენების გათიშვა სვანური ენის ისტორიის მართებული ანალიზისათვის აუცილებელია.

როგორც ჩანს, დეზაფრიკატიზაციის პროცესი უფრო ფართო მასშტაბით შეიძინარეობდა სვანურში. ამის მაჩვენებელი უნდა იყოს სისინა აფრიკატებიდან წ-ს დეზაფრიკატიზაცია სიტყვებში:

ქართ. რ-წყ-ილ-ი

მეგრ. წყ-ირ-ი

სვან. ზგ-სყ

ჭ→შ

მჭედელი-მგჟიდ

ქართ. წინდი

მეგრ. მა-რ-წყინდ-ი, ზან. მა-წყინდ-ი

სვან. მგსკად

ჭიანჭველა-მგრშკ

დეზაფრიკატიზაციის პროცესით არ ამოიწურება ის თავისებურებები, რომლებიც სვანურ ენას უპირისპირებს ქართულსა და ზანურს. შესატყვისობები: ქართ. გ: ზან. გ: სვან. ჭ; ქართ. კ: ზან. კ: სვან. ჭ; ქართ. ჭ: ზან. ჭ: სვან ჩ; ქართ. ჸ: ზან. ჸ? სვან. ძ; ქართ. ს: ზან. ს: სვან. ც, აგრეთვე ერთი ზოგადი კანონზომიერების გამოვლენას წარმოადგენს. ესაა აფრიკატიზაციის პროცესი, რომელიც, როგორც ვხედავთ, უკანაენის მიერებსაც ეხება და სპირალებსაც. განსხვავება ამ ორ შემთხვევას შორის ისაა, რომ დეზაფრიკატიზაციის განიცდის მეტწილად ქართულსა და ზანურში დიფერენცირებული ბევრები. რაც შესაძლებლობას იძლევა დადგენილ იქნეს, რომ სვანურისათვის ამოსავალი იყო ზანურის ვითარება, აფრიკატიზაცია კი ეხება ქართულსა და ზანურში დიფერენციაციის გარეშე დარჩენილ ბევრებს, ამიტომ აქ სვანური ერთგვარად უპირისპირდება ქართულსაც და ზანურსაც.

სვანურისათვის ამოსავლად ზანურის ვითარების მიჩნევა რა თქმა უნდა არ ნიშნავს იმას, რომ ამ ორი ენის გამოყოფის შემდეგ ზანურს არავითარი

<sup>12</sup> არნ. ჩიქობავას აზრით, ჭიშ სვანურში ზანური ფენის კუთვნილებას წარმოაღენს. ჭანურ-მეგრულ- ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 26.

ცვლილებები არ განუცდია. სვანურ-ზანურ-ქართულის შეპარისპირება გჭირდებოდა ენებს, რომ გარკვეულ შემთხვევებში სვანური ქართულს ემთხვევა და ზანუ-რისაგან განსხვავდება. ასეთ შემთხვევებში უძველესი ვითარება ქართულსა და სვანურშია დაცული, გაღახრა ზანურში მომხდარია. ასეთია პირველყოფლისა ხმოვანთა შესატყვისობიდან ქართ. ა: ზან. ო: სვან. ი. როგორც ჩანს, სვანურის დიფერენციაციის პროცესში ჯერ კიდევ არ იყო მომხდარი ზანურში ა-ს რ-დ გადახრაა<sup>13</sup>.

ენანუნისმიერ თანხმოვანთა შემდეგ უკანაენისმიერების განვითარების პროცესიც არ არის სვანურში სისტემატურად განხორციელებული. მხოლოდ ქართ. შ: ზან. სქ//შქ-ს შესაბამისად გვაქვს სვანურში სგ//შგ, ყველა სხვა შემთხვევაში (ქართ. ჯ: ზან. ჯგ, ქართ. ჭ: ზან. ჭკ, ქართ. ჩ: ზან. ჩქ) სვანური, როგორც წესი ქართულს ემთხვევა (თითო-ორიოდა სიტყვაში თუ გვხვდება ეს პროცესი). ეს იმას ნიშანვს, რომ უკანაენისმიერთა განვითარება, რაც თანხმოვანთა არტიკულაციის გადაწევის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს, უფრო გვიან დაწყებულა, ვიდრე ს-ე-შ, ზ-ე-ჟ და სხვ. შენაცვლება. ამასთან ეს პროცესი, როგორც ჩანს პირველად ს/შ ბეჭრის მიმართ განხორციელებული. სვანურის გამოყოფის მომენტში შ-შგ უკვე მომხდარი იყო, მაშინ როდესაც სხვა ბეჭრათა მიმართ იგი მხოლოდ ჩანასახურ მდგომარეობაში თუ იმყოფებოდა.

გვიან ჩანს ზანურში განხორციელებული აგრეთვე რ-ს ქცევა ჯ-დ. ვინაიდან ამ შემთხვევაშიაც სვანური ქართულს უჭერს მხარს (ქართ. რ: ზან. ჯ: სვან. რ).

როგორც ვნახეთ, სვანურ შესატყვისობათა ერთი ნაწილი აფრიკატიზაციის ან დეზაფრიკატიზაციის პროცესის გამოხატულებას წარმოადგენს. გარდა ამისა, გვრჩება გარკვეული შესატყვისობანი, რომლებიც ერთმანეთისაგან განცალკევებული არიან და ჯერჯერობით აუხსნელი რჩებიან. ასეთია: ქართ. ია: ზან. ო: სვან. შდ, ქართ. უ: ზან. უ: სვან. ო, ქართ. ნ: სვან. ლ, აგრეთვე ქართულ-ზანურ წინაენისმიერთა შესატყვისობა უკანა ენისმიერებთან (ქართ. ს: ზან. შ: სვან. ქ: ქართ. ც: ზან. ჩ: სვან. ქ).

ყველაზე ბუნდოვანი წინაენისმიერთა და უკანაენისმიერთა შესატყვისობის საკითხია, ვერჯერობით გამოვლენილი მასალის მიხედვით თვით ასეთი შესატყვისობის რეალურობაც დასაბუთებას საჭიროებს.

რაც შეეხება დანარჩენებს, ისინი არანაკლებ დამახასიათებელი არიან სვანურისათვის, ვიდრე ქართ. ც: ზან. ჩ: სვან. შ და ქართ. ძ: ზან. ჯ: სვან. უ: შეიძლება იოქვას, შესატყვისობა ქართ.-ზან. ო: სვან. შდ. ყველა სხვა შესატყვისობაზე თანმიმდევრულად არის გარკველებული, რაც შეეხება ქართ.-ზან. ნ: სვან. ლ-ს, აქ ყურადღებას იყრინობს მისი ფართოდ გამოვლენა აფიქსებში, მაშინ როდესაც საერთოდ ქართველურ ენებს აფიქსებში შესატყვისობანი ძლიერ იშვიათად ახასიათებს. აფიქსებშივე გვხვდება ხმოვანთა შესატყვისობაც: ქართ.-ზან. უ: სვან. ო.

13 რომ ხმოვანთა შესატყვისობა თანხმოვნებისაზე გვიანდელია, ამას აღნიშნავს არნ. ჩიქობავა „არტიკულაციის გადაწევა თანხმოვნებში დაწყებულა; ხმოვანთა შესატყვისობა შემდეგ არის აღმოცენებული“ („ქართულ-ზანურ ბგერათ-შესატყვისობათა ისტორიისათვის“, ენათმეცნიერების V (X) სამეცნიერო სესიის თეზისები, 1954 წ., 10—12 ივნისს, გვ. 12).

ვფიქრობთ, სვანურის სპეციფიკაზე მსჯელობის დროს ზედმეტი ყურადღება ეძღვა დეზაფრიკატიზაციის პროცესს და ყველა სხვა შესატყვევისობანი, მათ შორის კი განსაკუთრებით ბოლოს დასახელებული საქმაო ყურადღებით არ სარგებლობენ. ეს კი არაფრით არ არის გამართლებული. გასარკვევია საკითხი — რა გზით არის მიღებული აღნიშნული შესატყვევისობები და რა ადგილი უჭირავთ მათ სვანური ენის ფორმირების პროცესში?

1954. 28. XI

ივანე გიგინიშვილი

XVI—XVIII საუკუნეების ქართული პოეზიის ძირი  
 ლიტერატურის აღმზულებისათვის

(„დავითიანის“ ლექსიკონის მავალითზე)<sup>1</sup>

პირველ ყოვლისა ზოგიერთ ცნობილ ფაქტზე მოვიხდება საუბარი. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ მე-12 საუკუნიდან ქართულ სალიტერატურო ენაში დიდი ცვლილებები მოხდა. ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარმა ფრიად მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა, რაც იმაში გამოიხატა, რომ სახელმწიფოს პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა აღმოჩნდა დასავლეთიდან აღმოსავლეთში გადმოინაცვლეს, ცვლილებები გაკონტრიება დასავლეთიდან აღმოსავლეთში გადმოინაცვლეს, ცვლილებები გაკონტრიება ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაშიც და სალიტერატურო ენაშიც გარკვეული ძვრები მოხდა. წარმოიქმნა და აღორძინდა საერთო მშერლობა, როკვეული ძვრები მოხდა. წარმოიქმნა და აღორძინდა სალიტერატურო ენის ნორმების მელმაც არსებითად შეუწყო ხელი ძველი სალიტერატურო ენის შემოტანას და რღვევას და ახალი, სხვა საფუძველზე დამყარებული ნორმების შემოტანას და დამკვიდრებას სალიტერატურო ენაში. იწყება ახალი სალიტერატურო ქართულის წარმოქმნისა და განვითარების ხანა.

ამ ეპოქის ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი დამახასიათებელი ნიშან-თვისება ისაა, რომ იწყება ძველი ქართული სალიტერატურო ენის ტრადიციების რღვევა და ძველი ნორმების გადამუშავების პროცესი ქართლ-კალიციების არჩევა. ამ დიალექტების ლექსიკურ-გრამატიკული ინვენტარის ლექტიების არჩევამ. ამ დიალექტების ლექსიკურ-გრამატიკული ინვენტარის შეუძლება-შეხამებამ ძველი სამწერლობო ენის დიდი ხნის განმავლობაში მოქმედი და დიდი ტრადიციების მქონე ნორმებთან შედეგად ის მოგვცა, რომ დიმედი და დიდი ტრადიციების მქონე ნორმებთან შედეგად ის მოგვცა, რომლის ფუნქციებიც ქვეყნის დი ხნის განმავლობაში სალიტერატურო ენა, რომლის ფუნქციებიც ქვეყნის გარე-ანი თუ შინაგანი უბელურებების გამო სავრჩნობლად შეიზღუდა და ას-გარე-ანი თუ შინაგანი უბელურებების გამო სავრჩნობლად შეიზღუდა და ას-გარე-ანი მას მშერლობალა შერჩა, აღარ იყო ძველი ქართულის მსგავსად პარეზალ მას მშერლობალა შერჩა, აღარ იყო ძველი ქართულის მსგავსად მკაცრად ჩამოყალიბებულ ნორმათა მქონე. ფორმათა ნაირნაირობა, დიალექტების მიმღლავრება სალიტერატურო ენაზე დამახასიათებელი ნიშანია ამ პერიოდის სალიტერატურო მეტყველებისათვის. ეს ენა მოკლებულია დახვეწილობასა და მკაცრად ჩამოყალიბებულსა და უნიფიცირებულ ნორმებს, მონოლობასა და მკაცრად ჩამოყალიბებულსა და უნიფიცირებულ ნორმებს, მონოლითურობას, რაც საერთოდ დამახასიათებელია განვითარებული სალიტერატურო ენისათვის. სალიტერატურო ქართულს შეუსუსტდა მაუნიფიცირებელი

<sup>1</sup> შავითხულია მოხსენებად დიალექტოლოგიურ სესიაზე ქ. გორში 1980 წ.



ძალა, არსებითად დასუსტდა დაპირისპირება სალიტერატურო ნორვა უკრაინული ლექტური ფორმები, მეტად თვალსაჩინო გახდა დიალექტის გავლენით გაყიდვებისა ერება სალიტერატურო ენაში. ამისი მიზეზი, რა თქმა უნდა, ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში უნდა ვეძებოთ, კერძოდ იმ ფაქტში, რომ საქართველოს მთლიანი და პოლიტიკურად და ეკონომიკურად მძღვრი ფეოდალური სახელმწიფო, შექმნილი XII საუკუნეში, შემდგომ დაიშალა, დაიყო წვრილ სამეცნ-სამთავროებად, რომლებიც თავ-თავიანთი კარჩაკეტილი ცხოვრებით ცხოვრობდნენ და ვითარდებოდნენ, ხოლო ამ ფეოდალურმა კარჩაკეტილობამ გამოიწვია ის, რომ სალიტერატურო ენა ერთგვარად ვეღარ ვრცელდებოდა საქართველოს ყველა კუთხეში, სალიტერატურო ქართულის მაქვემდებარებელი ძალა შესუსტდა.

მეორე მხრით, როგორც უკვე ითქვა, სალიტერატურო ენას არსებითად ერთადერთ ასპარეზად მხატვრული მწერლობა, უპირატესად პოეზია, შემორჩი. მსატვრული მწერლობა, როგორც ნათარგმნი („შაპნამე“), ისე ორიგინალური (თეომურაზ I, არჩილი და სხვანი), ყოველ შემთხვევაში ფორმის მხრივ, „ვა-ფხისტყაოსნის“ მძღვრი გავლენას განიცდიდა. შოთას პოემის ენის მძღვრ გავლენას განიცდიდა საერთოდ მთელი სალიტერატურო ქართული მეტყველება ამ საუკუნეებისა. „ვეფხისტყაოსნი“ და მისი ენა მისაბამ მაგალითად გადაიქცა და უმძღვრესი ფაქტორი გახდა სალიტერატურო მეტყველების გავრცელებისა მთელ ქართველ ხალხში და ამ გათიშულობის ხანში არა მარტო სალიტერატურო ენის, არმედ მთელი ერისა და მისი ეროვნული შეგნების შემაკვეთირებელ. შემდუღაბებელ დიდ ძალად მოგვევლინა.

რაც შეეხება მხატვრულ მწერლობას, პოეზიას, „ვეფხისტყაოსნის“ შაორი ეტალონად იქცა და, როგორც ცნობილია, დიდი ხნის განმავლობაში იყი ერთადერთ გაბატონებულ ფორმას წარმოადგენდა ქართულ პოეზიაში. ამასთან, ხშირად უცვლელად მეორდებოდა რუსთველური რითმები, მეორდებოდა მთლიანი ტაქტები, რუსთველური ფრაზეოლოგიური გამოთქმები, რუსთველური ლექსიკა.

მაგრამ ამ ნათელს ბნელიც თან ახლდა, უარყოფითი შედეგებიც მოსდევდა. რუსთაველი მიუწვდომელი აღმოჩნდა და მიბაძვის სურვილი კი — დაუკებელი. მიმბაძველობის შედეგად პოეზიაში ძალიან გამრავლდა ხელოვნურად შეთხზული ფორმები, რომელთაც არც სალიტერატურო ენაში ჰქონდათ ნიადაგი, არც ძველი ქართული და არც კილოური წარმოშობისანი. საქმე ის იყო, რომ XVI—XVIII საუკუნეებში უკვე არც ძველი ქართულის ყველა ფორმა ესმოდათ ყოველთვის ზუსტად. ძველი ქართულის ცალკეულ სიტყვა-ფორმებს მრავალ შემთხვევაში მზამზარეულს იყენებდნენ, როგორც ერთგვარ სამეცნიერო, ხოლო მნიშვნელობა ნათელი არ იყო თვითონ ავტორისთვისაც. ამის გამო თავ-თავის ადგილას მათი მოხმარება და გამოყენება ყოველთვის ეკრანზე დაბლიუ. ერთი მხრივ, მიმბაძველობით, მეორე მხრივ, ლექსის ხომის დაცვისათვის და, განსაკუთრებით, რითმის საჭიროებისთვის მრავალ გაუმართლებელ ოპერაციას ახდენდნენ ჩვენი პოეტები და მთარგმნელები როგორც მორფოლოგიაში, ისე სინტაქსშიც კი, ხოლო სიტყვა-წარმოებაში — განსაკუთრებით.

ასე რომ, XVI—XVIII საუკუნეთა ენაში სალიტერატურო ქართულის ტრადიციულად მომდინარე კანონზომიერ ფორმათა გვერდით, ერთი მხრით.



გვხვდება დიალექტურიდან მომდინარე ფორმები, რომლებიც სტილისტიკურად გვხვდება დიალექტური ელემენტებს კი არ წარმოადგენენ მშერლის ენისას (სტილური ფორმების დამატებით მეტყველება დავაფასოთ), არამედ იმდროინდელი სალიტერატურო ენის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, ერთ-ერთ კომპონენტთაგანს; სალიტერატურო ენაა ასეთი, რომ დიალექტიდან მომდინარე ფორმების მოძღვაა მისთვის დამახასიათებელი. მეორე მხრივ კი, ამ ენაში მრავლადაა ხელოუნურად შეთხული ფორმები, რომელთაც ბუნებრივ სალიტერატურო მეტყველებაში, ვოქვათ, განათლებული წრეების ჩვეულებრივ სალიტერატურო მეტყველებაში, არ შეიძლებოდა ჰქონიდათ ადგილი. ამათგან არაერთი მისაბაძი ფორმის ვერგავების საფუძველზე წარმომადილი, დამანიჩება უცდინარობის შედეგია.

თქმა არ უნდა, ასეთი გამოვნილი ერთეულები ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ძირითადი ხაზის გარეთ დგანან, მათ ამ ენის შემდგიმს ბუნებრივ განვითარებაში არავითარი გავლენა არ მოუხდენიათ.

გარდა ამისა, ეს ეპოქა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა იმითაა აღსანიშხვი, რომ (უშუალო კონტაქტების როლიც რომ არ მივიღოთ მხედველობაში) ისრდონინდელი ჩვენი მწერლობა ირანული პოეზიის, კერძოდ ირანული ლიტერატურული თემატიკისა და მოტივების დიდი გავლენის ნიშნით ვითარდებოდა. თეიმურაზ პირველის ცნობილი სიტყვები სპარსული ენის ლირისებათა შესახებ მხოლოდ კოხტაობის მიზნით ნათქვამი არ ყოფილა: ირანული მწერლობით გატაცებას თან მოსდევდა ირანული ლექსიკის, გამოთქმების, ირანულ გამოთქმათა მიხედვით შექმნილი კალკების ფართოდ გავრცელება ქართულ სალიტერატურო ენაში. თუ მოვიგონებთ იმას, რომ ამ ეპოქაში გადმოქართულეს ჩვენმა წოეტებმა რამდენიმე ათასი სტრაფის შემცველი „მეფეთა წიგნი“, მაშინ რიგინად წარმოგვიდგება სურათი იმისა, თუ რამდენად საყურადღებოა ეს მომენტიც ამ საუკუნეთა სალიტერატურო ენის ლექსიკის შედგენილობის გასათვალისწინებლად.

\* \* \*

როდესაც XVI—XVIII საუკუნეების ქართული სალიტერატურო ენის შესახებ ვლაპარაკობთ, უნდა ყოველთვის მხედველობაში ვიქონიოთ ის ფაქტი, რომ ეს ენა ძირითადად პოეზიის ძეგლთა ენას წარმოადგენს და ამიტომაა, რომ მისი ის ნიშან-თვისებები, რომელთა შესახებაც ზემოთ იყო ბაასი, ლექსის ენის თვისებებია. ესაა თეიმურაზ პირველისა და თეიმურაზ მეორის, არჩილის, „შაპირეს“ ქართველი მთარგმნელების, იოსებ ტფილელის, ვახტანგ მეექვსისა და სხვათა ლექსის ენა. ქრონოლოგიური განსხვავებები არსებითს, პრინციპულ სხვაობას ვერ ქმნის. სამწერლობო ენის საღავეები პოეზიას ეჭირა ხელთ: პროზიდან არსებითი მნიშვნელობა მხოლოდ „რუსულანიანს“ აქვს, მაგრამ ეს შესანიშნავად დაწერილი თხზულება რატომდაც ჩრდილში იყო მოქცეული და იგი მხოლოდ მე-19 საუკუნეში მოიგონეს, მაშინ, როცა ანტონ კათალიკოსის მიმდევართა შორის თავიანთი მოძღვრის მაღალი სტილის მიმართ რევიზიონისტული განწყობილებები გაჩნდა. რაც შეეხება სულხან-საბა ორბელიანს და მის „სიბრძნე სიცრუის წიგნს“, სულხან-საბა მით უმეტეს განცალკევებით დგას და ახალი, თვისებრივად მაღალი და პრინციპულად განსხვავებით დგას და ახალი,

შული საფეხურის მაუწყებელია ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა და ისტორიაში.

დავით გურამიშვილი ქრონოლოგიურად ყველაზე ახალგაზრდაა ქართველ პოეტთა ზემოდასახელებულ პლეადაში. მთელი მისი შემოქმედება, კერძოდ მისი სალიტერატურო მეტყველება, სასიკეთოდ გამოიჩინება მის წინამორბედთა ენისაგან, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო იგი იმათ უფრო ეკედლება, ვიდრე იმ წაზს, რომელიც სულხან-საბა ორბელიანმა დაამკიდრა ჩვენს მწერლობაში. ამდენად, რაც ზემოთ ითქვა დავით გურამიშვილის წინამორბედი პოეზიის ენის შედეგნილობის შესახებ, მეტ-ნაკლებად იგივე ვრცელდება დ. გურამიშვილის პოეტურ ენაზედაც. პოეტის დიდი ტალანტის შესაფერად ამ ენაში უხვად გვხვდება ხელოვნური ფორმები, მაგრამ ნაკლებად გვხვდება მცდარი გაზრებანი ძველი სიტყვა-ფორმებისა, უხვადაა გმოყვნებული აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკაც. ძალიან მძღვან ფენადაა წარმოლდენილი დიალექტური ფორმები და ლექსიკა. სწორედ ამ უკანასკნელმა გარემოებაში განსახლება ამ მცირე შენიშვნის წარმოლგენა აქ, დიალექტური ლექსიკონების შედგენის პრინციპებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესაზე.

ამჟამად მიღებულია დებულება, რომ დ. გურამიშვილის „დედაკილა არა ვვის ხეობის ქართლური, რომლის შედეგნილობაში გარკვეული ადგილი უჭირავს მთიულურის (აგრეთვე კახური მეტყველების) ელემენტებს“ (შ. ძიძიგური). მხედველობაში აქვთ, ქართლური კილოს ლექსიკურ-ფონეტიკურ-მორფოლოგიური ოვრისებურებების გამოვლენის გვერდით, აგრეთვე ის საყოველთაოდევ ცნობილი ენობრივი მოვლენები, რომლებიც გურამიშვილის ენას აახლოებს მთის ქართულ კილოებთან, როგორიცაა, მაგალითად: 1. ვა ჯუფის ო-დ ქცევის შემთხვევები (მაყონა, აღმაყოვე, აყოებული, გამოქაბილი, გამწოდებული, დავარქო, დაეწო...); 2. ვერცად, არცად ტიპის ზმნისართები; 3. ვ-ს დაკარგვის შემთხვევები (ითხოა, სხიო, თაო...); 4. ზოგი ამჟამად ერთმარცვლიანი სიტყვის სრული ფუძით წარმოლგენა (ცრუვი, ღრძუვი); 5. კე სახეობა კენ თანდებულისა (რუსეთისაკე, ყიზლარისაკე...); 6. იარ-იალ სუფიქსები (გულმანკიარე, მოგანიარე, განიარი, მაგიარ... აქედან ნასახელარ ზმნებში: აგონიარეო, თვალიარეო, ალმობიარეო, ანებიარეო, აღონიარეო, აშვენიარეო...); 7. ვა, ვმ სუფიქსების ხმარება ზმნებში (დავირთევდი, გვწვევდა, ამაგრევდა, იბემდი, დამადგემდა, მისხემდეს...); 8. ვ-ს შენახვა ვა სუფიქსიანი ზმნების ნამყო ძირითადში (დაგვიჩივე, დავეხრწივე, დავიხვივე, ვემთხვივე, ვამცვრივე, დანახვივა...); 9. ხოლმეობითების ხმარება და სხვ.

ეს დებულება პრინციპულად დაგას არ იწვევს: ეს ფორმები დღევანდელ ქართლურს მეტყველებაშიც გვხვდება და დღევანდელს მთიულურშიც. ზოგი მოვლენა სხვა კილოებშიც შეიძლება დაადასტუროს კაცმა. ოლონდ მხედველობაშია მისამები ის ფაქტი, რომ ე. წ. „არაგვის ხეობის ქართლური“ არ წარმოადგენს დიალექტოლოგიურად მკვეთრად გამოკვეთილ ერთეულს. დღევანდელი მოსახლეობა მანდ გვიანდელი (მე-19 საუკუნის) დამკვიდრებულია, ხოლო გურამიშვილის დროს ამ რეგიონში მოსახლეობის სხვაგვარი დაკვიფება უნდა ყოფილიყო. ამდენად ქართლური კილოს ტერიტორიული განფენილობა შეიძლება სხვაგვარი ყოფილიყო და ლექსიკურ-გრამატიკულ ფორმათა შედგენილობის თვალსაზრისითაც სხვაგვარი. ამას თვით დავით გურამიშვილია ამბობს ერთ ლექსში:

წმინდა ოონე კახეთს ზედაძენს  
 სასწაულობით შეიტყირს ცრემლო ადენს;  
 ქართლს წმინდა შიო ღვიმეს ძელებს ავლენს, —  
 ორჩივ შვრებიან სასწაულს ამდენს —  
 ამ ორ მონასტერს მაქვნდა ალაგი,  
 სასაფლაო და ძვალო ზასალაგი.

თანაც, ყველა ეს თავისებურება, რომლებიც თითქოს მთის კილოებზე უნდა  
 მიუთითებდეს, გვხვდება XVI—XVIII საუკუნეთა ძეგლებში, მაგალითად „შაპ-  
 ნამეში“ და სხვაგანაც. კერძოდ, ხოლმეობითების ხმარება ლიტერატურული  
 ენისგან მომღინარე ჩანს და არა დიალექტური წარმოშობისა. ეს კი ალბათ  
 იმაზე უნდა შეტყველებდეს, რომ დღევანდელი ქართლური, რომელსაც შესა-  
 დარებლად ვიყვნებთ, ის აღარ არის, რაც იყო.

ლექსიკონის თვალსაზრისით დიალექტური კი ბევრი რამაა გურამიშვილის  
 „დავითიანში“, სადაურიც უნდა იყოს იგი. ესაა უწინარეს ყოვლისა აღმოსავ-  
 ლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი საგნებისა და ცნებების გამომ-  
 ხატველი ძირითადი ლექსიკა. გურამიშვილი შესანიშნავად იცნობს სულხან-  
 საბა ორბელიანის ლექსიკონს. ზოგჯერ ამ ლექსიკონის განმარტებასაც კი იყე-  
 ნებს მოლინად ლექსის სტრიქონებად (არ გამოადგებოდა თუ!): „თინათინა  
 სარეკითა თუ მისთანათა რათამე მზის შუქი კედელზე ციალებდეს“-ო, — წერს  
 სულხან-საბა; „საწუთოოს მზის თინათინი მოგითხრა რაცა ფერია: სარკის  
 მზის შუქით ციალსა უწოდენ ქართველთ ერია, ვერას კორციელს სულ-  
 დგმულსა ხელში ვერ დაუჭერია“-ო, — ლექსისა დაწყობს დავით გურამიშვილი.

აქ, რა თქმა უნდა, არაა აუცილებელი დეტალურად აღნუსხვა ყველა იმ  
 ფორმისა, რომელიც დიალექტიდან მომღინარეა, და ყველა იმ ფორმისა, რომ-  
 ლებიც ხელოვნურადაა შენათხზი პოეტის მიერ და რომლებიც პოეტის მიერ  
 გამოყენებულ ძირითად ლექსიკასთან ერთად უნდა შევიდეს და შეტანილიცაა  
 „დავითიანის“ ლექსიკონში. აღნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთს. ესენია: ზმანათა  
 პრევერბების ხმარება ქართული ენის აღმოსავლური დიალექტებისათვის დამა-  
 ხასიათებელი შა, მა, წამა, გადმა სახეობებით, თანდებულთა ნაირსახეობები,  
 თავისებურად ნაშარმოები მიმღობები (სმე, მჭმე, მცხე, მწე, მწადე...) და  
 მრავალი სხვა. მაგრამ მაინც ცალკე უნდა გამოიყოს პრევერბთა ერთი თავი-  
 სებური წყების საკითხი: ან: ანაგეს=ააგეს; დან: დანაბერებს=დააბერებს,  
 დანაბი=დააბი, დანაბნელებს=დააბნელებს, დანაბნიეს=დააბნიეს, დანაბ-  
 რმობს=დააბრმობს, დააბრმავებს, დანადეო=დაადეო, დანაკლებს=დააკლებს,  
 დანამარტეს=დაამარტეს, დანამკვიდრებს=დაამკვიდრებს, დანამტკიცეს=  
 =დაამტკიცეს, დანამჭლობს=დაამჭლობს, დანარტყა=დაარტყა, დანარღვიე=  
 =დაარღვიე, დანასველა=დაასველა, დანასვეს=დაასვეს, დანასწეულებს=და-  
 ასწეულებს, დანაჭკივა=დააჭკივა, დანაყვედრებ=დააყვედრებ, დანაყვირეს=  
 =დააყვირეს, დანაშვენა=დააშვენა, დანაშვენებდა=დააშვენებდა, დანაშვე-  
 ნებს=დააშვენებს, დანაშურე=დააშურე, დანაძგერებს=დააძგერებს, დანაძონ-  
 ბა=დაძონბა, დანაწვინა=დააწვინა, დანაწყებინა=დააწყებინა, დანაწყვეს=  
 დააწყვეს, დანაჭერინებს=დააჭერინებს, დანახევ=დაახევ, დანახივა=დაახივა,  
 დანაჯერებს=დააჯერებს; ჩან: ჩანაგდეო=ჩააგდეო, ჩანაგო=ჩააგო, ჩანაცეა,  
 ჩანაცვეს=ჩააცვა, ჩააცვეს, ჩანაწყო=ჩააწყო, ჩანიღვა=ჩაიღვა; წან: წანა-  
 გეს=წააგეს, წანასხეს=წაასხეს, წანაყენა=წააყენა, წანაყვირა=წააყვირა, წა-  
 ნაწყდეს=წააწყდეს, წანახდენს=წაახდენს.



თანამედროვე ქართული ენის დიალექტებში ასეთი ფორმები აზრულად შეიძლება. გურამიშვილამდელმა სალიტერატურო ენამაც ასეთი სახეობები პრევერბებისა არ იცის. ოჩება მესამე ახსნა, რომ ნარიანი ფორმები გან პრევერბის ანალოგითაა გაჩენილი, მაშასადამე, ხელოვნური ფორმებაა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნ ჩნდება ისეთ შემთხვევაში, როცა ა-ზე დასრულებულ პრევერბს ა-ნით დაწყებული ზმნა მოსდევს. ასევე, სხვათა შორის, იმ შემთხვევაშიც, როცა თითქოს გან პრევერბიანი ფორმები გვაქვს: განაკრეს, განაწიგნა, განახუთოს. სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევებშიც (ზოგჯერ მაინც) გან პრევერბის გამარტივებულ გა სახეობასთან გვქონდეს საქმე და ს ისევე იყოს ორ ნ-ს შორის ჩამატებული, როგორც, ვთქვათ, წანასხეს ფორმაში ჩ-ს ნ-თი შეცვლის შედეგად კი არ ჩანს მიღებული, არამედ წაასხეს ფორმაში ორ ანს შორის ჩასმულია ნ სხვა შემთხვევათა მსგავსად.

ასეთ ფორმათა საქმაოდ გავრცელებულობა „დავითიანში“ (ჩვენ ყველა შემთხვევა მოვიყვანეთ) გვაფიქრებინებს, რომ აქ ხელოვნურად ნაკეთები ფორმები შეიძლება არ გვქონდეს და იყოს პოეტის თუმცა მცდარი, მაგრამ შეგნებული დამოკიდებულების გამოვლინება სალიტერატურო ენაში სიტყვათა ერთი ჭვეფის მართლწერისადმი.

ხელოვნურად შეთხზული ფორმებიც არის „დავითიანში“. ასეთი ფორმები უმთავრესად ზმნებზე მოდის.

**მინიჩ-მიაბაროს:** „მიწას მიაბაროს, მინიჩ-მიაბაროს“ = ნიჩბითა და ბარით მიწა მიაყაროს, დამარხოს.

**მოღუქან-მობაზარობენ:** „მითვე ლაშქრობენ, ვაჭრობენ, მოღუქან-მობაზარობენ“ = დუქანს და ბაზარს აწყობენ, მართავენ; ვაჭრობენ.

**მიწუთე, მიწამე:** „დღე შემიმოკლე სიცოცხლის, უამი მიწუთე, მიწამე“ = წუთად მიქცი, წამად მიქცი.

**მისვეტ-მიბოძე:** „ვიძეცვი, ქვესკნეთს ვვარდები, მისვეტ-მიბოძეო“ = სვეტად და ბოძად მექმენ, სვეტად და ბოძად შემიდევ.

**გიღობს:** „ნუ მაინდომებ სამოყვროდ, არც გიმმობს, არცა გიღობსო“ = დობას გაგიწევს.

**დავლამდი, გავსთენდი:** „ვითა დავლამდი, ისევ გავსთენდი“ = ბნელი მომეფინა, სინათლე, ნათელი მომეფინა.

ასევე შეთხზულია გამიქართლოს, ვაპატარე, არაკოსანი („მივჰყევ საწუთოს ზღაპართა, შევიქნე არაკოსანი“) და ბევრი სხვა.

არც თოთო-ოროლა შემთხვევა, როცა ძველი ქართულის ფორმაა გამოყენებული უადგილოდ: მოვედინ: „შენი უხვი მოწყალება შორს ნუ წამგვარე, მარვედინ მოწყალებითა, ისევ შემყარეო!“ მესამე პირის ბრძანებითის ფორმაა გაგებული მეორე პირის ბრძანებითად. ასევე მესამე პირის ბრძანებითის ფორმა იყავნ მეორე პირის ბრძანებითად არის გაგებული შემდეგ შემთხვევებში: „მკნე იყავნ და განძლიერდი, დავითს რაც უთქვამს, სწორია!“ და: „წყეული იყავნ საქმეთა შენთა! ჭმუნვითა შჭამდე ყოველთა დღეთა თივასა ველისას, ნაოფლსა სველისას სჭამდე პურსა შენს“.

ასევე შეცდომითაა ნახმარი თანამდები თანანადების ნაცვლად: „გარდა-გიჯდიან შენ თანამდებსა“; „თანამდებთა გარდავიჯდით, მივსცემთ, რაცა გვძეო“. კველა ეს თავისებურება, რაც დ. გურამიშვილის ლექსიკას ახასიათებს. უნდა გათვალისწინებული ყოფილიყო „დავითიანის“ ლექსიკონის შედგენისას.

რა თქმა უნდა, გურამიშვილის ლექსიკას უაღრესად თავისთვალი, წმინდა მეცნიერული დანიშნულება აქვს. იგი XVIII საუკუნის ქართული პოეზიის ლექსიკის ძირითადი შემადგენელი ნაწილია; მეორე მხრივ, ისიც უნდა გათვალისწინებული, რომ ლექსის ენაში სიტყვების გამოყენებისას არაერთი, მხოლოდ ლექსის ენისათვის დამახასიათებელი თუ საჭირო ნიუანსები იჩენს თავს, პოეტს შეუძლია უარი თქვას რომელიმე სიტყვის ლიტერატურულ ფორმაზე და დიალექტური ფორმა ირჩიოს ან თუნდაც ხელოვნურად ცვლილიც ია. ასეთი მაგალითების დასახელება მრავლად შეიძლება. მოვიყვანთ ერთს შემთხვევას „დავითიანიდან“.

სიტყვა **მადლი**, რომელიც შედის გამოთქმაშიც — დვთის მადლსა — გურამიშვილთან სხვაგანაც იხმარება და მიცემით ბრუნვაშიც (ისევე როგორც ამ გამოთქმაში). მაგრამ ერთ ცნობილ სტროფში იხმარება ასეთი ფორმით: დვთის მაცა (მადლსა > მადლსა > მაცა), რაც უსათუოდ დიალექტიდან მომდინარე ფორმაა.

ვით, რა ბოძი წაიქცა, სახლ-კარი თავს დაგვექცაო!  
ლხინი, შვება და სიამე სულ ჭირად გადაგვექცაო,  
ჩენენ, ყმანი, დავრჩით, პატრონი წაევიდა, შორს გაგვექცაო,  
გაფთხილდა, შენც არ დაგვექცე, ლვოის მაცა, მაგრა დექ, ცალ!

ამ სტროფში ქც კომპლექსის შემცველი რითმები გვაქვს, ც-ს ალიტერაციაა წამყვანი. რაც მეოთხე ტაქტში ტაქტის შიგნითაც გაძლიერებულია კიდევ ახალი ც-თი (დაგვექცე). ეს პოეტმა გამოიყენა კიდევ ახალი შესაძლებლობა — ხალხური, დიალექტური ფორმა დვთის მაცა და უძლიერესად დაბოლოვა სტროფი: „დვთის მაცა, მაგრა დექ, ცალ!“

და მაინც: პოეზიის ძეგლის ლექსიკონის უპირველესი დანიშნულებაა დაეხმაროს მკითხველს — ამ შემთხვევაში ქართული პოეზიის მოყვარულ და თაუყვანის მცემელ ქართველ ინტელიგენტს — სხვადასხვა დარგის სპეციალისტს (ინჟინერს, ექიმს, მასწავლებელს..., სტუდენტს, მოსწავლეს...) სწორად, ადეკვატურად გაიგოს ავტორის მიერ გამოყენებული ლექსიკის, ფრაზეოლოგიური გამოთქმებისა და სიტყვა-ფორმების მნიშვნელობა, ლექსის თითოეული ტაქტის, თითოეული სტროფის მართალი შინაარსი.

რა ფორმით უნდა იქნეს შეტანილი ლექსიკონში ესა თუ ის სიტყვა ზემოთ განხილულ ვითარებისას, რა ფორმა უნდა იყოს გამოყენებული სალექსიკონო ერთეულად? სახელების შემთხვევაშიც კი, სადაც საკითხი უფრო მარტივად წყდება თითქოს, ისეთი კაზუსები ჩნდება, როგორიც მაცა-ს შემთხვევაში წარმოიშვა. ამ შემთხვევაში საშუალებით ფორმად სახელობითი ბრუნვის ფორმა რომ აგვერჩია და მაცა ფორმაც იქ განვერმარტა, იშვიათად თუ დაუწყებდა მაცა-ს მნიშვნელობით დაინტერესებული მკითხველი მას ძებნას მადლ-ერთეულთან, რომლის მნიშვნელობა არც საჭიროებდა განმარტებას. სხვა შემთხვევებში კიდევ (დიალექტური წარმოშობის სახელებში) განმარტებას სწორედ სიტყვის ფორმა საჭიროებს, ისევე როგორც ხელოვნური ფორმების შემთხვევებში.

უფრო რთულია ზმნის სალექსიკონი ერთეულის საკითხი ამ უკანასკნელ შემთხვევაში. ზმნა წარმოდგენილია ამა თუ იმ დრო-კილოს ფორმით, ამა თუ იმ პრევერბით, ამა თუ იმ ქცევისა თუ გვარის ფორმით და არ კი არის ცნობილი, აქვს ამ ზმნას მოცემულ კილში ის ფორმა, რომელიც სალექსი-

კონი ერთეულად გამოვიყენეთ, ან იხმარება იგი ამ პრევერბით თუ იმ პრე-  
ვერბით.

მაგალითად ავიღოთ ზმნა ითვალტვინოს, რომელიც გურამიშვილს ჟურნალის  
ჟურნალი აქვს „ქაცვია მწყემსში“: „იტყვის: ვაი თუ გაფრინდეს პშავების მისის  
თავისის ნებით მიეცეს ქორსა, იმან ითვალტვინოს, მე კი ამადრტვინოს მისის  
ნაღლითა!“ რა ფორმით უნდა იქნეს ეს ზმნა შეტანილი ლექსიკონში? ამ  
ფორმის გარდა სხვა ფორმები ამ ზმნისა ჩვენ არ ვიცით. სამწუხაროლ, არც  
ის ვიცით, გურამიშვილის დედაკილოში იგი ამჟამად მოიპოვება თუ არა,  
ერთადერთი, რაც ვიცით, ისაა, რომ მიმინო როცა მწყერს დაიჭერს, საშუ-  
ალებას მისცემენ, თვალები და ტვინი ამოსჭამოს და შემდეგ გამოართმევენ.  
ეს მიმინოს გაწვრთნის ერთი საფეხურია. ამას დათვალტვინება ჰქვია და და-  
ცულია დოკემდე გურიაში. ეს ცნობები ამ ზმნის სხვა ფორმათა შესახებ არა-  
ფერს გვეუბნება. სწორედ ამიტომ ერთადერთი შესაძლებლობა გვაქვს და ის  
უნდა გამოვიყენოთ: სალექსიკონო ერთეულად გავიტანოთ ის ფორმა, რომ-  
ლითაც იგი „დავითიანშია“ წარმოდგენილი.

რა თქმა უნდა, იდეალური ვითარება იქნებოდა, რომ ჩვენ გვცოდნოდა  
(უკეთ: რომ არსებულიყო) სრული პარადიგმები დაილექტური ზმნებისა, მაგ-  
რამ ასე არ არის. ამიტომ, რაც ცნობილია, მხოლოდ ის უნდა მივაწოდოთ მკი-  
თხელს.

ამგვარი გადაწყვეტილების ერთადერთი მიზანშეწონილობა კიდევ უფრო  
ნათელი ხდება იმ შემთხვევაში, როცა პოეტის მიერ ხელოვნურად შეთხზული  
ზმნების სალექსიკონო ერთეულის გამოყოფის საკითხი დგება.

როდესაც პოეტი ხელოვნურად თხზავს ზმნას, იგი თხზავს ზმნის ამა თუ  
იმ ფორმას სახელის ფუძისაგან ყველა იმ საშუალების გამოყენებით, რომე-  
ლიც კი ნასახელარი ზმნების წარმოების შემთხვევაში გვაქვს ენაში. იქმნება  
პირველი, შემორე ან მესამე პირის, მრავლობითი თუ მხოლოდითი რიცხვის,  
ერთპირიანი, ორპირიანი ან სამპირიანი, გარდამავალი თუ გარდაუგალი, მოქ-  
მედებითი, ვნებითი გვარის თუ სტატიკური, საარვისო, სათავისო თუ სასხვი-  
სო ქცევის ფორმა ამა თუ იმ დრო-კილოსი. თუ ენობრივი რამე დარღვევა  
იქნა დაშვებული, ეს იმას ნიშნავს, რომ სიტყვათმთხველობის წესი, დამკვიდ-  
რებული ენაში, დარღვეულია და შეთხზული ფორმაც გაუფასურებული. (ასე-  
თი სიტყვათმთხველობის ნიმუშები ქართულ პოზიციიც გვაქვს, მაგრამ ამ-  
ჯერად ასეთი შემთხვევების შესახებ არა ბაასი). როდესაც რუსთაველმა  
შეთხზა ტაეპი — „ფატმანს უხსნია ჩემი მზე, სდედებია და სდებია“, ზმნების  
ფორმები სდედებია და სდებია შექმნილია ახალი ქართული სალიტერატურო  
ენის ზმნის აგებულების ზუსტად დაცვით: სდებია ზუსტად ისევეა აგებული,  
როგორადაც სძმობია. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ სძმობია ფორმა მარტო  
არაა, მას გვერდით სხვა ფორმებიც მოეპოვება, იგი სალიტერატურო ენის  
ლექსიკის სრულუფლებიანი კუთვნილებაა — მაშინ, როცა სდედებია და სდე-  
ბია მხოლოდ ერთხელ იხმარა რუსთაველმა ამ სტროფში, რუსთაველის შემდეგ  
არავის უხმარია, არ დამკვიდრებულა სალიტერატურო ქართულის ლექსიკურ  
ფონდში. ისინი ერთხელაა ნახმარი ქართულში, მაგრამ ნახმარია გენეალურად  
და ცოდვაც იქნებოდა დამკვიდრებულიყო ლექსიკაში და ვისმე გაემეორებინა.  
ეს ფორმები ერთადერთია, სხვა ფორმები არ მოეპოვება და არ შეიძლება  
ლექსიკონში შეტანისას მათვის სალექსიკონო ერთეულების შექმნა: სდედე-  
ბია — დედება; სდებია — დება; სთმობია („მეც ვიცი, ჩემსა ხელმემნელსა



თმად ყორნის ბოლო სთმობია“) — თმობა; მიღია („ტარიელ ფატმანს უწინ-  
ძანა: მე თავი შენი მიღია“) — დება; მაღესა („აწ, თავმან ჩემმან მას მოვჰყუჩაზელები  
ჩემად დად ვინცა მაღესა“) — ისევ დება; იქედგოროსა („მათად საჭვრეტელულით ეკა  
მჰვრეტელმან, ხამს, თავი იქედგოროსა“) — ქედგორობა და ა. შ.

ყველა ამგვარი ზმნა მხოლოდ იმ ფორმით უნდა იქნეს შეტანილი პოეტის  
ლექსიკონში, როგორც იგი ლექსშია წარმოდგენილი.

ანალოგიური მაგალითებია „დავითიანიდან“: მისვეტ-მიბოძე, იყაცისმკვლე-  
ლა, ითვის-იტომა, მინიჩ-მიაბაროს, მოღუქან-მობაზარობენ, მიწამე, მიწუთე,  
გვთიბ, დაბოძგინდით, გიდობს, დავლამდი, გავსოენდი, დამიღამდი, მემწიროდა,  
ვაპატარე და მრავალი სხვა, რომელთა შესახებ ზემოთ იყო ბასი.

სრულიად ცხადია, რომ არ შეიძლება ერთი რომელიმე დიალექტური ფორ-  
მის ან ერთი რომელიმე ხელოვნურად შედგენილი სიტყვა-ფორმის (ვთქვათ.  
ზმნის) საფუძველზე ვივარაუდოთ ამ რიგის სხვა ფორმათა არსებობის შესაძ-  
ლებლობა და სალექსიკონ ერთეულები ამის მიხედვით დავადგინოთ (მასდა-  
რი ან სხვა რაიმე ფორმა). ამგვარს ლექსიკონებში, ჩვეულებრივ ლექსიკურ  
ერთეულთა გარდა, სალექსიკონ ერთეულს უნდა წარმოადგენდეს ყოველი  
ცალკეული სიტყვა-ფორმა, რომელიც კი ტექსტშია დადასტურებული და რო-  
მელსაც განმარტება ესაჭიროება. ასეთი ლექსიკონი სიტყვა-ფორმების ლექსი-  
კონი უნდა იყოს.

ამ წესით იქნა შედგენილი „დავითიანის“ ლექსიკონი, რომელიც 1955  
წლის გამოცემას დაერთო, და განმეორებულია 1980 წლის საიუბილეო გამო-  
ცემაში მცირედ შევსებული სახით.

## 8. რობაცა

### ხანძეთობისა და ჰაემეთობის საკითხისათვის\*

ქართული ენის ისტორიის შესწავლისათვის, როგორც ცნობილად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება უძველესი ხელნაწერების, ე. წ. ხანძეტური და ჰაემეტური ძეგლების აღმოჩენას. ეს ძეგლები გამოსცეს და სათანადო გამოკვლევა მიუძღვნეს მათს ენას ივ. ჭავახიშვილმა და ა. შანიძემა. ამ ძეგლების ენას ეხებოლნენ სხვა ავტორებიც.

ამჟამად ცნობილი ხანძეტი ძეგლები, V, VI, VII საუკუნეების ძეგლებად არის მიჩნეული, ჰაემეტ ძეგლს კი მომდევნო საუკუნეებისად თვლიან.

როგორც დადგენილია, ამ ძეგლების ენაში ხ-||ჸ- პრეფიქსები როგორც ხმოვნით, ისე თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან გამოხატავს, ერთი მხრით, მეორე სუბიექტურ პირს (შენ ხუწყი იგი, შენ აღხიღე იგი, შენ ხტირ ||შენ ჰუწყი იგი, შენ ჰტირ, შენ აღჰიღე იგი), მეორე მხრით,— მესამე ირიბი ობიექტის პირს (მან ხრქუა მას იგი, იგინი მიხეახლნეს მას ||მან ჰრქუა მას იგი, იგინი მიჰეახლნეს მას). ამავე დროს ხ-||ჸ- პრეფიქსი, როგორც ირიბი ობიექტის აღმნიშვნელი, გამოყენებულია, ძველ ქართულში ზედსართავის შედარებით-აღმატებით ფორმებთან: ხუდიღცს ||ჸუდიღცს, ხუფროვს ||ჸუფროვს.

ცნობილია აგრეთვე, რომ მომდევნო საუკუნის ძეგლების ენაში ხმოვნით დაწყებული ფუძეების წინ დასახელებული პრეფიქსები არ ჩანს არც ერთი ფუნქციით, ხოლო თანხმოვნით დაწყებული ფუძეების წინ წინახისმიერ ხშულებთან ჸ-ს ნაცვლად იხმარება ს-: მან მისცა მას იგი, მან სთხოვა მას იგი, შენ სტირ და სხვ., ხოლო დანარჩენ თანხმოვნებთან რჩება ჸ- პრეფიქსი: მან ჰრქუა მას იგი, მან ჰკითხა მას იგი, მან შეჰმოსა მას იგი, შენ მოჰკუედ და სხვ. ს- პრეფიქსი ფუძისეულ თანხმოვნებთან ასიმილაციით გადასულა ზ-, შ-, ჸ- ბეგრებში<sup>2</sup>.

ხ- და ჸ- პირის აფიქსების ურთიერთმიმართების შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში გამოითქვა რიგი მოსაზრება. ივ. ჭავახიშვილის აზრით, ხ- პრეფიქსი ქართულის საერთო კუთვნილება უნდა ყოფილიყო, რომელიც შემ-

\* გადმოიბეჭდა ქრებულიდან: ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. ჸV, ქუთაისი, 1956.

<sup>1</sup> იხ. ამის შესახებ ივ. ჭავახი შვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, ტფილისის უნივერსიტეტის მთამშე, ტ. II, 1922—23 წ.; ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ძარღისისათვის, ზფილისის უნივერსიტეტის მთამშე, ტ. III, 1923 და სხვ.

<sup>2</sup> იხ. ამის შესახებ, ა. შანიძე, დასახელებული ნაშრომი; მისივე, პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, I, 1936.

დეგში ჰ-დ ჩანს შეცვლილი. ხ ბგერის ჰ-დ შეცვლა მას მიჩნეული აქვს ჭრ-  
თული ენის ფონეტიკის ბუნებრივი განვითარების შედეგად<sup>3</sup>.

საწინააღმდეგო მოსაზრება აქვს გამოთქმული ამ საკითხის შესახებ შეცვლილობა  
ნიძეს. მისი აზრით, დასახელებული აფიქსების ძირითად სახედ უნდა მივიჩ-  
ნიოთ ჰ, რომელიც რიგ დიალექტში აქამდისაც შემონახულა, ხოლო ხ-, ისე  
როგორც ლ-, ს-, ზ-, ჟ-, ამ ძირითადი სახის ფონეტიკურ შენაცვლებას  
უნდა წარმოადგენდეს. ა. შანიძე, სრულიად სამართლიანად, არ თვლის შესაძ-  
ლებლად, რომ ხ პრეფიქსი შეიძლებოდა ფონეტიკურ ნიადაგზე გადასულიყო  
ჰ-ში, რამდენადაც ქართულ ენას საერთოდ არ ახსიათებს ხ-ს დასუსტება და  
ჰ-თი შეცვლა. „როგორ უნდა ავხსნათ, — წერს ა. შანიძე, — ხანის ჰაედ შეც-  
ვლა მხოლოდ პრეფიქსებში მოხდა, ხოლო სხვაგან კი არა? რატომ გვაქვს ჩვენ  
დღეს ხ არ ე ბა, ხ ატი, ა ხ ა ლ ი, ხ ე დ ვ ა, ს ა ხ ე ლ ი, ხ ი ლ ვ ა, ხ ო ლ ო,  
ხ უ თ ი და სხვა მრავალი, და არა (3) ა რ ე ბ ა, (3) ა ტ ი, ა (3) ა ლ ი, (3) ე დ-  
ვ ა, ს ა (3) ე ლ ი, (3) ო ლ ო, (3) უ თ ი და მისთ“<sup>4</sup>.

ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებს შორის დამოკიდებულება ა. შანიძეს შემ-  
დეგნაირად აქვს წარმოადგენილი: განსხვავება მათ შორის იმდენად ქრონო-  
ლოგიური კი არ არის, რამდენადაც დიალექტური, ე. ი. ისინი იმდენად სხვა-  
დასხვა ეპოქებს კი არ ეკუთვნიან, რამდენადაც სხვადასხვა კილოს, ხანმეტი  
ტექსტები ერთ კილოზეა დაწერილი და ჰაემეტი კი — მეორეზე<sup>5</sup>.

ხანმეტი და ჰაემეტი კილოების განლაგებისა და მათი საზღვრების შესა-  
ხებ ა. შანიძე ვარაუდობს, რომ ხანმეტი კილო უნდა ყოფილიყო სამხრეთ-  
აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით „მცხეთა-ბოლნისის რაიონებში  
და მიმდგომ მხარეებში“, რამდენადაც ხანმეტი წარწერები დადასტურებული  
იყო მცხეთასა და ბოლნიში, ჰაემეტი კი უნდა ყოფილიყო დასავლეთ  
საქართველოში<sup>6</sup>.

გარკვეული მოსაზრება აქვს ა. შანიძეს გამოთქმული იმის შესახებ, თუ  
რამ გამოიწვია ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში ხანმეტობის გაქ-  
რობა მერკე-მეცხრე საუკუნეებიდან და ჰაემეტობის დამკიდრება. ამის ერთ-  
ერთ მიზეზად შეიძლება ყოფილიყო, მისი აზრით, აღნიშნულ ხანში არაბე-  
ბის შემოსევა აღმოსავლეთ საქართველოში და მასთან დაკავშირებული გადა-  
ნაცვლება ქართული კულტურისა დასავლეთ საქართველოში<sup>7</sup>.

ა. შანიძეს დადგენილი აქვს, რომ ხ- პრეფიქსი და მისი ფონეტიკური  
სახეობა ლ- იმავე მეორე სუბიექტურისა და მესამე ობიექტური პირის გამო-  
სახატავად იხმარება ქართული ენის მთის კილოებში — ხევსურულში, თუ-  
შურსა და მოხევურში. ეს აფიქსი არსებითად თანხმოვნით დაწყებული ფუ-  
ძეების წინ გეხვდება<sup>8</sup>.

ა. შანიძის აზრით, მთის კილოებში ხ- ამ შემთხვევაში ჰ-საგან არის მი-  
ღებული შედარებით უფრო გვიან. ხ- და მისი ფონეტიკური ვარიაციი ისევე

3 ი. გ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 365.

4 ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისა-  
ოვის, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. III, გვ. 360.

5 იქვე, გვ. 361.

6 ა. შანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 361.

7 იქვე, გვ. 362.

8 ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მე-  
სამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფილისი, 1920, გვ. 157—171.

10. ისურიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXX

მეორეულია, როგორც ს- და მისი ბგერითი ნაცვალი ზ-, შ-, უ- პრეფქუნძები<sup>9</sup>  
დასახელებული ხ-||ჰ- აფიქსების გენეზისისა და მათი უძველესი ფრთხეული  
ტიკური სახის საკითხს ეხება არნ. ჩიქობავა. მისი აზრით, ამ აფიქსების ფრთხეული  
სავალი შეიძლებოდა ყოფილიყო ს- პრეფიქსი. ეს აფიქსი ისტორიულად პი-  
რის აღმნიშვნელი არ უნდა ყოფილიყო. პირის ნიშნად ეს პრეფიქსი შემდეგ  
ჩამოყალიბებულა. ქართული ზმნის პიროვანი ულვლილების ჩამოყალიბების  
დროს ამ პრეფიქსს ორი ფუნქცია დაპკისრებია: მეორე სუბიექტურისა და  
მესამე ობიექტური პირების გამოხატვა. ამოსავალი ს ბგერისაგან შეიძლებო-  
და მიგველო, ერთი მხრით, ჸ, ისე როგორც ეს დასტურდება აჭარულ კილოში  
(ჸად = სად), ხოლო შეორე მხრით ხ ბგერაც: ს→ჸ||ხ<sup>10</sup>.

ასეთი ახსნის შედეგად სრულებით გარკვეული ხდება ის მეტად უცნაური  
მოვლენა, რომ ძველ ქართულში ერთი და იმავე (ხ-||ჸ-) ფორმანტით იყო წარ-  
მოდგენილი ზმნაში მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირები.

ხ- პრეფიქსი ძირითადად იმავე ფუნქციით, რაც მას ძველ ქართულში  
ჰქონდა, როგორც ცნობილია, შემონახული აქვს სვანურ ენას ხმოვნით და-  
წყებული ფუძეების წინ: ხამპრე „შენ ამზადებ მას“, ხამპრე „იგი მას ამზა-  
დებინებს მას“ და სხვა... თანხმოვნით დაწყებული ფუძეების წინ ხ- პრე-  
ფიქსი, როგორც წესი, არა ჩანს. ა. შანიძეს, სრულიად სამართლიანად, ხ-ს  
ამოსავალ სახეობად სვანურისთვისაც მიაჩნია ჸ-. ეს პრეფიქსი ამჟამად არ  
იხმარება სვანურ ზმნებში. დასახელებულ ავტორს დადასტურებული აქვს  
აქ მისი ოდესლაც არსებობის კვალი: ად- პრევერბიან ზმნის ფორმებში, სა-  
დაც ირიბი ობიექტი ივარაუდება, პრევერბისეული და ყრუფება პირის ჸ  
პრეფიქსთან შერწყმის შედეგად: ათ-მეჩ-<sup>←</sup> ად-<sup>←</sup> მეჩ „შენ დაბერე ის“, შდრ.  
ად-მეჩ „მან დააბერა ის“; ათ-ბიშე-<sup>←</sup> ად-<sup>←</sup> ბიშიშე „მიაწოდა“<sup>11</sup>.

ამგვარად, როგორც გარკვეულია, ქართველურ ენებში მეორე სუბიექტუ-  
რისა და მესამე ობიექტური პირების ჸ-||ხ- პრეფიქსების ხმოვნის მიხედ-  
ვით ამჟამად შემდეგი სურათი ჩანს: ხ- პრეფიქსი სალიტერატურო ქართულში  
გადავარდნილია მეტევ საუკუნიდან დაწყებული (გამონაკლისია სამი ზმნა).  
მთის კილოებში გვხვდება ხ- პრეფიქსი, ჸ-საგან მილებული (ა. შანიძე), ისიც  
არსებითად თანხმოვნით დაწყებული ფუძეების წინ: ჸ-პრეფიქსი შემონახუ-  
ლია ქართულის ალმოსავლურ კილოებში. დასავლურ კილოებში ჸ-ს არსე-  
ბობის კვალი-ლა ჩანს<sup>12</sup>. ზანური ენის დიალექტებში არ დასტურდება არც  
ჸ-სა და არც ხ-ს ოდესლაც არსებობის კვალიც. ვარაუდობენ, რომ ზანური-  
სათვის ოდესლაც ჸ- პრეფიქსი უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი (ა. შა-  
ნიძე).

სვანურში შემონახულია ხ- პრეფიქსი მხოლოდ ხმოვნით დაწყებული  
ფუძეების წინ. ჸ- პრეფიქსის არსებობის კვალი კი ჩანს.

ამ წერილში ჩვენ გვინდა შევეხოთ ხ-სა და ჸ-ს ისტორიული ურთიერ-

9 ა. შანიძე, ჰემერტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართულა ენის ისტორიისა-  
თვის, ტფილისის უნივერსიტეტის მამბე, ტ. III, გვ. 360.

10 ა რ ნ. ჩიქობავა, გრამატიკული კატეგორია და ზმნის ულვლილების ზოგი სა-  
